

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და  
სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (თბილისი)

Ivane Javakhishvili Tbisisi State University,  
Faculty of Humanities's History of Christianity and  
Center of students's in the History of Christianity (Tbilisi)

ISSN 1987-7129

## ქრისტიანობის კვლევები

### Christian Researches

IV



გამომცემლობა „კნიგარესალი“

თბილისი 2010

Tbilissi 2010

UDC (უაკ) 27+271.22](479.22)

ქ-731

“ქრისტიანობის კვლევები” წარმოადგენს ქრისტიანობის კვლევების პერიოდულ გამოცემას. ჟურნალი ინტერდისციპლინურია და მასში განთავსებულია ქრისტიანობასთან მიმართებაში მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოკვლეული სამეცნიერო პრობლემები.

**მთავარი რედაქტორი:** ქეთევან პავლიაშვილი  
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი

**მხატვარ-დიზაინერი** მიხეილ ჩხენკელი, ისტორიის  
(კულტუროლოგია) მეცნიერებათა  
დოქტორი

### **სარედაქციო კოლეგია:**

მიხეილ ქართველიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე,  
დოქტორანტი)

ეთერ ბოკელავაძე (პასუხისმგებელი მდივანი, მაგისტრანტი)  
დავით ყოლბაძა (პოლონეთი, ვარშავის უნივერსიტეტის პრო-  
ფესორი)

ლეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი (პოლონეთი, ვარშავის უნივერსი-  
ტეტის პროფესორი)

გიორგი პაპუაშვილი (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)

გიორგი ოთხმეზური (პროფესორი)

ლელა ხაჩიძე (პროფესორი)

ვახტანგ ლიჩელი (პროფესორი)

ნანი გელოვანი (პროფესორი)

ნანა გელაშვილი (პროფესორი)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტის წმინდა გრიგოლ ფერაბის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სტუ-  
დენტთა სამეცნიერო ცენტრი, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

”Christian Researches” is the journal which introduce christian researches periodical edition. The Journal is interdisciplinary and it consists with different scientific branches problems who are already explored and has relation with Christianity.

**Chief Editor**      Ketevan Pavliashvili  
                          Professor, Doctor of Historical Science

**Painter-Designer** Mikheil Chkhenkeli  
                          Doctor of historical (Culturology)Science

### **Reviewers Board:**

Mikheil Kartvelishvili (Assistant of Chief Editor, Phd Student)  
Eter Bokelavadze (Executive Secretary, MA Student)  
David Kolbaia (Poland, Professor of Warsaw's University)  
Archpriest Henrik Paprotsky (Poland, Professor of Warsaw's University )  
Giorgi Papuashvili (Doctor of historical Science)  
Giorgi Otkhmezuri (Professor)  
Lela Khachidze (Professor)  
Vakhtang Licheli (Professor)  
Nani Gelovani (Professor)  
Nana Gelashvili (Professor)

## სარჩევი Contents

### ლოგოსმეტყველება (*Theology*)

#### გიორგი გვასალია

- წმინდა გრიგოლ ფერაძის ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეხედულება  
(„მამო ჩვენოს” განმარტების მიზევით) ..... 10  
**Giorgi Gvasalia**  
The national-religious appearances of Saint Grigol Peradze (accordong  
to “Our Father” s interpretation)..... 10

### საეკლესიო წყაროთმცოდნება და ისტორიოგრაფია (*Church sourcestudies and Historiography*)

#### მიხეილ ბარნოვი

- იოანე ღვთისმეტყველის “გამოცხადება” როგორც დასავლეთის  
ქრისტიანობის ისტორიის წყარო ..... 16  
**Mikheil Barnov**

Mediator of Jesus’, Saint John’s, “Apocalypse” - the source for the  
history of western Christianity ..... 16

#### დავით რეკვავა

- სამცელ კარაპეტიანის რუკა-ცნობარის უგულებლყოფისათვის ..... 22  
**David Rekvava**

About the ignore of the Samuel Karapetian’s map-reference book..... 22

#### ლევი მარკოზაშვილი, ლია გიუაშვილი

- ქრისტიანობის ისტორიის მკვლევარები IV-VII საუკუნეების დასაწყისის  
ეკლესიაზე (“გამოცხადების” ანალიზის  
საფუძვლზე) ..... 27  
**Ledi Markozashvili, Lia Guiuashvili**

The Researchers of history of Christianity about the Church of IV-VII  
centuries (bazed to analized to Apokaliphs)..... 27

## ექლესიის ისტორია (History of the Church)

### ქეთევან პავლიაშვილი

ქრისტიანობა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაცი-  
ის პრობლემებში ..... 34

### Ketevan Pavliashvili

Christianity in Political-Cultural Problems of Georgia ..... 34

### სოფიო ანდგულაძე

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის  
20-იან წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი  
(გასილ კარბელაშვილი) ..... 48

### Sopio Andguladze

The Relations of the Church and the State in the 1920s and the Bishop  
of Bodbe Stephane (Vasil Karbelashvili) ..... 48

### ირმა კეცხოველი

ქართველი ქალი და ქრისტიანული მრწამსი ..... 59

### Irma Ketskhoveli

Georgian Woman and Christian belief ..... 59

### ლელა გორგაძე

რუსეთის ეკლესიაში მამდინარე პროცესების ძირითადი ტენდენციები  
აღექვს II-ის პატრიარქობის პერიოდში ..... 65

### Lela Giorgadze

Main tendencies of the processus in the Russian church under the  
period of patrarchate of Alex II ..... 68

### გაა სილაგაძე

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თვისობრივი ხასიათი და მუშაობის  
თავისებურებანი საქართველოში ..... 73

### Eka Silagadze

„Antireligion fighter alliance“ and character of works in  
Georgia ..... 73

### მახეილ ქართველიშვილი, ეთერ ბოკელავაძე

საბჭოთა საეკლესიო დიპლომატია და რუსეთის მართლმადიდებელი  
ეკლესია XX საუკუნის 40-იან წლებში. ..... 85

### Mikheil Kartvelishvili, Eter Bokelavadze

Soviet Church diplomacy and Russian Orthodox Church in 40-s years  
of XX century ..... 85

<b>თამარ ტლაშვაძე</b>	
იქრუსალიმის წმინდა მიწებისათვის კონფლიქტი და რუსული პოლიტიკა (XVIII-XIX სს) .....	92
<b>Tamar Tlashadze</b>	
Conflict for the Jerusalem holy lands and the policy of Russian.....	92
<b>თამაზ ვაჩნაძე</b>	
ქართველი და პოლონელი ხალხების ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ (1832 წლის შეთქმულებაში პეტრე ზავილენსკის მონაწილეობის საკითხისათვის).....	100
<b>Tamaz Vachnadze</b>	
Struggle of Georgian and Pole People for National Freedom Against Russia (participation of Peter Zavilensky in conspiracy of 1832.....	100
<b>ლაშა ლოხნაძე, ლელა მებაგიშვილი</b>	
საქართველოს საზოგადოების სოციალური ფენების დამოკიდებულება წმიდა ნინოს ფენომენისადმი .....	108
<b>Lasha Dokhnadze, Lela Mebagishvili</b>	
The Dependence of the social layers of Geprgian society to the phenomena of Saint Nino .....	108
<b>ნინო ბოკელავაძე</b>	
წმინდა შიო მგვიმელის ღვაწლი ქართული ბერ-მონაზენობის განმტკიცებაში .....	115
<b>Nino Bokelavadze</b>	
The merit of Shio Mgvimeli in the strengthening of the Georgian monasticism.....	115

**კულტურულოვაა, ხელოვნებათმცოდნეობა**  
*(Cultural Studies, Art Studies)*

<b>თეა კობახიძე</b>	
ოშკის საკათედრო ტაძრის ერთი რელიეფის შესახებ /საინფორმაციო ხასიათის სტატია/ .....	121
<b>Tea kobakhidze</b>	
About one relief of Oshki cathedral /Informational Article/ .....	121
<b>Михеил Чхенкели</b>	
Символическая связь Премудрости Божией и Евхаристии в сербском монументальном искусстве XIII-XIV в. ) .....	132
<b>Mikheil Chkhenkeli</b>	

**ლიტერატურა**  
*(literature)*

**ლელა ხაჩიძე**

ათონზე ქართველთა მოღვაწეობის ისტორიიდან .....144

**Lela Khachidze**

Towards the Activity of Georgians on Mount Athos .....144

**ია გრიგალაშვილი**

წმიდა ნინოს ვინაობისათვის საკითხისათვის .....151

**Ia Grigalashvili**

The Question of St Nino's Title .....151

**ნაირა ბეპიევა, ნინო პოპიაშვილი**

ქართული სახელმწიფო ეკონომიკის აზროვნება და ქრისტიანობის გავრცელება ოსებში .....158

**Naira Bepievi, Nino Popiashvili**

The state thinking and distribution Christianity at the Ossetin .....158

**ეგა ვარდლაშვილი**

თამარ მეფის პარადიგმული სახისმეტყველებისათვის .....164

**Eka Vardoshvili**

Paradigmatic expression of the King Tamar .....164

**ლევან ბებურიშვილი**

„ ჰევადა წმინდანს იგი წამებულს . . .“ ( ილიას „განდეგილის“  
შესახებ ) .....169

**Levan Beburishvili**

“ He looked like a martyr saint...” (About the Ilia's “Ascet”) .....169

**ანა დოლიძე**

წმინდა ნინოს სახე მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში .....176

**Ana Dolidze**

The image of saint Nino in the georgian whiting in nineteenth  
century .....176

**ქეთევან აფთარაშვილი**

“აბდულმესიანი” (ქების ობიექტი და ავტორობის საკითხი) .....182

**Ketevan Aftarashvili**

“Abdulmesiani” (the object of the appology and the question of the  
autorship) .....182

<b>სალომე წულუქიძე</b>	
“ვეფხისტყაოსნისა” და ჰაგიოგრაფიის იდეალები (ერთი ასპექტი) .....	188
<b>Salome Tsulukidze</b>	
The ideals of the “The Knight in the Tiger Skin” and hagiography (one aspect) .....	188
<b>თამარ ადამია</b>	
ეროვნულ - ქრისტიანული მოტივები გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნებაში “ცალ-ცალკე და ერთად” .....	192
<b>Tamar Adamia</b>	
The National-Christian motives in Guram Dochanchvili's story: “Separately and together” .....	192

**სამართალმცოდნეობა  
(Law Studies)**

<b>ნათია შეუბუღიანი</b>	
საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ურთიერთობის საკითხისათვის.....	198
<b>Natia Shkubuliani</b>	
On the question of relation between State og Georgia and Georgian Church .....	198
<b>ცირა შალოშვილი</b>	
ქორწინების რეგისტრაციის ფორმა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით .....	205
<b>Cira Shaloshvili</b>	
The form of wedding registration with Christian ideology and modern Georgian law aspects .....	205

**ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია  
(Philosophy, phsycoLOGY, Sociology)**

<b>სალომე დავითულიანი</b>	
თაობათა შორის ურთიერთობები, მშობლებისა და შვილების მაგალითები, ქრისტიანული და ფსიქოლოგიური ასპექტებით .....	212

**Salome Davituliani**

The relations between generations in the example of parents and  
childrens with the christian and aspects ..... 212

**თარგმანები**  
*(Translations)*

**ბ. კოლოცოვი, ჭ. პავლოვა**

ტერმინების “მართლმადიდებელისა” და “მართლმადიდებლობის“  
ეტიმოლოგიისათვის..... 218

**ჯორჯ ელდონ ლედლი**

ახალი აღთქმის თეოლოგია—იოანე ნათლისმცემელი ..... 226

**ანა მებარდა**

“მებრძოლ უღმერთოთა კაგშირის” ისტორიიდან

(იდეოლოგიური ასპექტი) ..... 238

**დეკანზი ვასილი ზაევი**

ალბანეთის მართლმადიდებელი ეპლესია XII-XIX სს. .... 243

## ღვთისმეტყველება (Theology)

გიორგი გვასალია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის II კურსის მაგისტრანტი

### წმინდა გრიგოლ ფერაძის ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეზღულება

(„მამაო ჩვენოს” განმარტების მიხედვით)

ქადაგება, რომელიც საუფლო ლოცვას – „მამაო ჩვენოს” განმარტებას მიუძღვნა წმინდა გრიგოლმა (ფერაძე), საუკეთესო ნიმუშია ეგზეგეტიკური თხზულებისა. აღნიშნული ქადაგების ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს მოძღვრის დამოკიდებულება მრევლისადმი, თავისი სამწევსოსადმი, რაც აშკარად გვახსენებს საეკლესიო ისტორიაში წარმოადგენილ წმინდა მამას და ამ ნიშნით წმინდა გრიგოლი მათ ღირსეულად უმშენებს გვერდს. თუმცა, იმდენად, რამდენადაც საქმე ეგზეგეტიკურ თხზულებას ეხება, აღვნიშნავთ, რომ მოცემული ქადაგებით წმინდა გრიგოლი ძლიერ გვახსენებს წმინდა ოანე ოქროპირს. საქმე ის არის, რომ ზოგადად, წმინდა წერილის ეგზეგეტიკა წმინდა მამათა თხზულებებში ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ. ერთი ნაწილი აღნიშნული შრომებისა უშუალოდ ეგზეგეტიკური მიზნით არის შექმნილი,<sup>1</sup> ხოლო მეორე ნაწილი, თავის მხრივ, პომილიას წარმოადგენს, ანუ შექმნილია მრევლთან ქადაგებისას და მის წარმოთქმას კონკრეტული მიზანი გააჩნია.<sup>2</sup> ცხადია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ იგულისხმება ის, რომ ქადაგება

<sup>1</sup> ვთქვათ, წმინდა ეფრემ ასურის ეგზეგეტიკა მოსეს ხუთწიგნეულზე ან წმინდა მაქსიმე აღმსარებლის განმარტებები;

<sup>2</sup> საამისო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წმინდა ბასილი დიდის პომილიები ბიბლიურ შესაქესთან დაკავშირებით ან წმინდა ოანე ოქროპირის ქადაგებები;

ბის წარმომთქმელ მამათა მიზანი იყო წმინდა წერილი მათთვის საინტერესო მიზნებისათვის გამოყენებულიყო. უბრალოდ, ამ შემთხვევაში წმინდა მამები ცდილობდნენ თავიანთი მრევლისათვის ეწვენებინათ წმინდა წერილის ის მხარე, რომლის გააზრებაც მათ სულიერ წინსვლაში დაეხმარებოდა. სწორედ ამ უკანასკნელი ნიშნით წმ. გრიგოლი თავისი ქადაგებით ეკლესიის სვეტს – წმ. ორანე ოქროპირს გვახსენებს.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ წმ. გრიგოლის წარმოდგენილ ეგზეგეტიკურ ნაშრომს მთლიანად არ შევეხბით. ამჯერად ჩვენი მიზანია მხოლოდ ზოგადად მიმოვიზილოთ იყო და გამოვყოთ ის უმნიშვნელოვანების შტრიხი, რაც წმ. გრიგოლ ფერაძეს დაგვანახებს როგორც საინტერესო ეგზეგეტს, საეკლესიო და ეროვნულ მოღვაწეს.

„მამაო ჩვენოს“ განმარტება წმ. გრიგოლის მიერ წარმოთქმულია მრევლის წინაშე და ამ ქადაგების ძირითადი მიზანი თავად ეგზეგეტიკის შესავალშივე ირგვეა. მოძღვრისათვის მნიშვნელოვანია სამშობლოოდან შორს წასული ქართველები არ მოწყდნენ ისტორიულ ფესვებს და რაც მნიშვნელოვანია, წმინდა მამა ამ მიზნის მისაღწევად საღვთო მოძღვრების მართებულ გაგებასა და წვდომას მოიაზრებს.

წმ. გრიგოლის ქადაგებაში ყურადღებას იქცევს წმინდა მამის სახარებისეული სიმბოლოების მიზანმიმართული გამოყენება. მაგალითად, თავისი ქადაგების თავშივე წმინდა წმინდა მამას შემთაქვს ვენახის სიმბოლო, რითა ის მის მსმენელ ქართველ მორწმუნებს მიუთითებს სახარებისეულ ვენახზე, რაც ბიბლიური მოძღვრების თანახმად საღვთო ერს უკავშირდება, (1: 33-46) თუმცა აქვე შემოაქვს ორიგინალური ხედვა ამ სიმბოლოსი: წმინდა გრიგოლთან მოცემულ ვენახში შესაძლებელია რამდენიმე სახის ვაზი ვიზილოთ და მათგან გამოვარჩიოთ ის, რომელიც მეტადაა მისახედი. ზოგადად, ბიბლიური ეგზეგეტიკისათვის ნიშვნულია ვენახის ერთ მთლიანობად გაგება და მასში რაიმე დანაწილება არ გვხვდება (2: 234-237). აქვე დაგძენთ, რომ ქადაგებაში, შესაბამის ადგილას, ყურადღება გამახვილებულია თავად მევენახის როლზე და აქ მევენახე თავის ბიბლიურ სიმბოლოს უბრუნდება და მასში სულიერი მწყემსი მოიაზრება (3: 35).

ასევე მნიშვნელოვანია წმინდა გრიგოლის სიმბოლიზმის ის ტრადიციული სახე, რომელიც წმინდა მამათა ეგზეგეტიკაშია მოაზრებული. მაგალითისათვის შეგვიძლია მოიყვანოთ ასეთი შედარება: წმინდა გრიგოლი ცეცხლს ადრის მაცხოვრის მიერ წარმოთქმულ

სიტყვებს, რომელიც ძველ იუდეაში აღეგზო (3: 37) აქ აშკარად იკვეთება პარალელი წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკასთან, რომელიც აელვებული მაყვლოვანის სიმბოლოს განმარტავს. წმინდა კირილესათვის, განსხვავებით სხვა წმინდა მამებისაგან,<sup>3</sup> აელვებული მაყვლოვანი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა, გახლავთ სახე იუდეველებისა, რომელთა შორისაც სახარებისეული ცეცხლი აენთო, თუმცა ის მათ არ შეხებია (6: 295-260).

მნიშვნელოვანია წმინდა გრიგოლ ფერაძის ხედვა სიტყვა „ლოცვასთან“ დაკავშირებით. მისი მითითებით ის „სახლს“ უნდა ნიშავდეს და შესაბამისად, როგორც საცხოვრისის გარეშე ვერ იარსებებს კაცი, ასევე ულოცველად ვერ იცხოვრებს კაცი (3: 36). ეს გახლავთ სწორედ ის ხედვა, რომელიც მოცემულ ქადაგებაში ეგზეგეტიკური კუთხითა გასათვალისწინებელი და შესაბამისად თავისი მიზანმიმართულებაც გააჩნია, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. სწორედ აღნიშნული მიზნის ერთგვარ რეალიზებას წარმოადგენს წმინდა გრიგოლის მიერ „ვენახის“ გააზრება. მისოფის ვენახი საქართველოა და აქ კიდევ ერთხელ იკვეთება წმინდა მამის, ვითარცა ეროვნული თვითშეგნებით გაჯერებული უდიდესი მორწმუნის საოცარი სახე. წმინდა გრიგოლისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოეთის ცის ქვეშ მოქცეულმა ქართულმა მრევლმა არ დაივიწყოს ის, რომ საქართველო სწორედ იმ სავნაზეს წარმოადგენს, სადაც ქრისტეს მუშაკები უნდა მუშაკობდნენ. შესაბამისად, წმინდა გრიგოლისათვის მთელი საქართველო მოაზრებულია ვითარცა ეკლესია (რომლის საკუთრივი სიმბოლოც გახლავთ ვენახი) და სწორედ აქეთენ სვლისაკენ მიუთითებს იგი თავის მსმენელს.

უმნიშვნელოვანესია წარმოვადგინოთ ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რის გამოც წმინდა გრიგოლი აღნიშნულ ეგზეგეტიკს მოცემულ ქადაგებაში წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში (XX ს-ის 30-იანი წლები), როდესაც აღნიშნული ქადაგებაა წარმოთქმული, საქართველოსა და მის ეკლესიას საქამაოდ მძიმე ცხოვრება უწევდა. პრაქტიკულად ქვეყნა ნაციონალურ თვითმოფადიბას იყო მოწყვეტილი და მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ეკლესია თითქმის „უფროქციოდ“ დარჩენილიყო. ამგვარი მდგომარეობიდან გა-

<sup>3</sup> მაგალითად, წმ. გრიგოლ ნოსელი აელვებულ მაყვლოვანში, რომელიც არ იწვოდა, ყოვლად წმინდა ღვთისმმობლის სიმბოლოს ხედავს ( 5:41-42), აელვებული მაყვლოვნის სიმბოლო, ვითარცა ღვთისმმობლისა, ეკლესიაში სხვა სიმბოლოებზე უფრო ძლიერ დამკვიდრდა

მომდინარე გასაგები ხდება, რომ წმინდა გრიგოლისათვის უმთავრე-სი საშური საქმე სწორედ ქართული იდეის გაცოცხლება ხდება და ის ამას გაცილებით ოოლად ახერხებს უცხოეთში, ვიდრე მსგავსი რამის კეთება მაშინდელ საბჭოთა საქართველოში იყო შესაძლებელი. წმინდა გრიგოლის ქადაგებაში აშკარად ჩანს იდეა: ახლა ქართული ეკლესის შენარჩუნება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელი წინაპირობა.

ამასთან, ყურადღება მისაქცევადა იმაზეც, რომ წმ გრიგოლი თავის ქადაგებაში ემიგრაციის მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს. მისთვის ემიგრაციული ყოფა თავადაა განმსაზღვრელი იმისა, რომ აქ ხალხი მოკლებული იქნება ფართო შემოქმედებას, თუმცა ამაში, ერთგვარად, ერის კულტურული ისტორიის გამომაჩინებელი საღვთო განგებულებაცაა დანახული. წმ. გრიგოლს მიაჩნია, რომ „ემიგრაციაში ყოველთვის ჯამი კეთდება ერის სულიერი ცხოვრების“ (3: 42). შესაბამისად, სულიერი მოძღვრის შეგონებით, ქართულმა ემიგრაციამ იქაც, სადაც ის ახლაა მოქცეული, ისტორიულ-ნაციონალური მისია უნდა იტვირთოს; ეს მისია კი განუხორციელებელი დარჩება დმტრითან კავშირის გარეშე, კავშირისა, რომელიც მასთან საუბრის, სხვაგვარად რომ ვთქვათ ლოცვის გარეშე ვერ შენარჩუნდება. ეს ლოცვა კი, საუფლო ლოცვაა, მიმართული შვილისაგან მამისადმი.

აქვე მნიშვნელოვანია ის, რომ წმინდა გრიგოლისათვის საქართველო მხოლოდ მისი ლამაზი მთა და ველები ან თუნდაც ისტორიული ტაძრები და ციხე-კოშკები არაა. საქართველო ეს უმთავრესად ის ქართველი ერია, რომელიც ქართულ სულიერ კულტურას ქმნის (3: 40). შესაბამისად, წმინდა გრიგოლისათვის მნიშვნელოვანია შენარჩუნებულ იქნას უწინარეს ყოვლისა, სწორედ ქართველობა, მისი ნაციონალური თვითშეგნება და ეს მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი. აქ ჩვენ აშკარად ვაწყდებით ბიბლიურ მოძღვრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ღვთისათვის რჩეული ხალხი და ამ ხალხის სახელმწიფო განუყოფელ ერთობაშია მოაზრობული, თუმცა ქვეყნის არსებობის პრინციპი განხილულია როგორც მოცემულ ქვეყნაში მცხოვრები ნაციის ღმტრთონ ერთობის აუცილებელი პირობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია ხალხისაგან ჯერ ერი შედგეს და ის ღმერთს უნდა დაუკავშირდეს; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ამ ხალხს შექმნას სახელმწიფო. აღნიშნული იდეა ბიბლიოაში ასეა წარმოდგენილი: ღმტრთს იაკობის მოდგმა ჯერ ეგვიპტის მონობიდან გამოჰყავს, მერე აძლევს რჯულს (რაც ნაციონალურ კონსტიტუციად მოიაზრება და ღმერთსა და ხალხს შორის დადე-

ბულ ზელშექრულებას გულისხმობს), რითაც ეს ხალხი ერად, ნაციად ჩამოყალიბდება და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყავს ისინი აღთქმულ მიწაზე, ანუ აძლევს სახელმწიფოს (1: გამ. XII-XX; ისუ ნავეს-ძე. I-XI) სახელმწიფოებრიობის მოსახლეობის გზაც უკუსკლით ხასიათდება: ნაცია ჯერ კარგავს ეროვნულობას (შორდება ღმერთს და იღწევებს რჯულს) და შეძლებ სახელმწიფოც იშლება. სწორედ ამისი შიში აქვს წმინდა გრიგორის და შესაბამისად, გამოსავალიც ეროვნულობის შენარჩუნებაში აქვს მოაზრებული, რაც ოდენ ეკლესიაში, ღმერთთან ერთობითაა შესაძლებელი (3: 41).

წმ. გრიგორის მიერ სწორედ ამ კონტექსტშია განხილული თავად ეკლესიურობის პრინციპი. მაცხოვრის მაცხოვნებელი ვნების შემდგომ კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა: ქრისტე აღსდგა მკვდრეოთ და ზეცად ამიღლდა. მაცხოვრის აღდგომით მოხდა ადამიანის გამოხსნა, ხოლო ამღლებით – გამოხსნილი ადამიანური ბუნების საღვთო წააღში შეყვანა. ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ ამაღლება იქსო ქრისტეს მიწიერი მოიღვწეობის უკანასნელი მოვლენაა (4: 201). ამის შემდგომ არ წყდება საღვთო ზრუნვა ადამიანზე და ამაღლებიდან მეათე დღეს სულიწმინდის გარდამოსვლა ხდება, ანუ არსდება ახალი აღოქმის ეკლესია. თუკი მაცხოვარმა გამოიხსნა ადამიანი, ეს ჯერ კადევ არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული პიროვნებები გამოხსნილი არიან. მაცხოვრის მაცხოვნებელი ვნება ადამიანური ბუნების ხსნას უკავშირდება, ხოლო პიროვნებათა ცხონება უკვე ეკლესიაში აღესრულება სულიწმინდის მოქმედებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკლესია გახლავთ ის წიაღი, სადაც იქსო ქრისტეს მაცხოვნებელ მოძღვრებას პიროვნები უზიარებიან და მის ცხოველმყოფელ საიდუმლოში მონაწილეობით ცათა სასუცველისაკენ იკვალავენ გზას. ეკლესია, ეს არის პიროვნებათა კრებული. წმ. გრიგორი სწორედ ამ პიროვნებათა კრებულზე ამაზეცილებს ყურადღებას და ბრძანებს: „იქსო ქრისტეს სიტყვაც ჩავირდნილი მასსებში, არ ეძებს მასსებს, არმედ მხოლოდ ამისთანა მაღლიან პიროვნებებს...ესეთი პიროვნებები ქმნიან ეკლესიას“ (3: 41).

სწორედ ღმერთთან ერთობის იდეას ეძღვნება საუფლო ლოცვის – „მამა ჩვენოს“ მთელი ეგზეგეტიკა. ამ იდეითაა გაჯერებული წმინდა გრიგორის ქადაგება. ამ ნიშნით ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვნებს წყაროს წარმოადგენს XX საუკუნის I ნახევრის ქართული იდეოლოგის ისტორიისა და საქართველოს ეკლესიაში არსებული საღვთოსტეტებულო მეცნიერებათა – ეგზეგეტიკისა და პომილეტიკის ისტორიის შესასწავლად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. 1.. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1989;
2. წმ. ოთარე ოქროპირი. თარგმანებაი მათეს სახარებისაი. თარგმანი წმ. ეფთვიძე მთაწმინდელისა. წიგნი 3.თბილისი. 1996
3. წმ. მღვდელმოწამე გრივოლი (ფერაძე). ქადაგებები და ნარკვე- კები. თბილისის სასულიერო აკადემის გამოცემლობა. თბილისი. 2001;
4. .О вере и нравственности по учению православной церкви. Издание Московской патриархии. 1991
5. .Святитель Григорий Нисский. О жизни Моисея законодателя. Храм свв. Космы и Дамиана на Маросейке. 1999;
6. Творения святого отца нашего Кирилла Александрийского. Глафиры или искусные объяснения избранных мест из пятокнижия Моисея. Т. IX. Кн. 2. Москва. 2001.

**Giorgi Gvasalia**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
II year MA degree

### **The national-religious appearances of Saint Grigol Peradze (according to “Our Father” s interpretation) Summary**

Saint Grigol Peradze in his sermon “Our Father”’s interpretation means main theological question-unity of the man with the God according the prayer. The main motive of Saint Grigol’s sermon is restoration national identity of the Georgian diaspora in the emigration and only power of this is unity with God. For him only church is the space. Also Saint Grigol considered this principle: the State is concretely nation and dispiration of the nation is dispiration of State

# საეკლესიო წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (Church sourcestudies and Historiography)

## მიხეილ ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტურულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის I კურსის მაგისტრანტი

## იოანე ღვთისმეტყველის “გამოცხადება” როგორც დასავლეთის ქრისტიანობის ისტორიის წყარო

ბიბლიის ახალი აღთქმის კანონში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ადგილი უჭირავს იესო ქრისტეს მოციქულის, იოანე ღვთისმეტყველის “გამოცხადება”-ს. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის ისტორიის მკვლევარნი და თეოლოგები ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნებს შინაარსის მიხედვით სამ ჯგუფად ჰყოფენ: ისტორიული წიგნები (სახარებანი და მოციქულთა საქმეები); სამოძღვრო (კათოლიკე 7 ეპისტოლე და პავლე მოციქულის 14 ეპისტოლე); საწინასწარმეტყველო (წმ. იოანე მოციქულის “გამოცხადება”). სწორედ შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე (საწინასწარმეტყველო), იოანე ღვთისმეტყველის “გამოცხადება” დღიდან მისი შექმნისა ძვირფასი წყარო აღმოჩნდა როგორც ქრისტიანული ეკლესიისათვის, ისე სრულიად კაცობრითიბისათვის.

“გამოცხადება” შინაარსობრივად საკამაოდ მდიდარია. ამასთან, ნაწარმოები იმგვარად არის დაწერილი, რომ თითოეული წინადაღების თუ სიტყვის გააზრება განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვს და ფრიად სამურია, რამეთუ გამოირჩევა ღრმა შინაარსითა და ამოუწურავი სიბრძნით.

საეკლესიო ტრადიცია ოუწყება, რომ “გამოცხადება” (ისევე როგორც ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები) იქმნებოდა არაჩვეულებრივ პირობებში, რადგან წმინდა წიგნის შინაარსი თავად უფლისგან მომდინარეობდა - ღმერთი გამოცხადა წმ. იოანე მოცი-

ქულს და მას თავისი სათქმელი, გაფრთხილება აუწყა. წმ. იოანე-მაც როგორც “ღვთის სიტყვის ჭურჭელმა” დაიტია ეს ინფორმაცია და ადამიანებს წიგნის სახით უძნდერმა.

“გამოცხადების” ერთ-ერთ ნაწილში უფალი წმ. მოციქულს ესაუბრება 7 კლესიაზე: ეჯესოს, სმირნის, პერგამოს, თაიტირის, სარდიის, ფილადელფიისა და ლაზიდიკის. წმ. იოანეს ცხოვრების დროს აღნიშნული ეკლესიები (პირველი ქრისტიანული თემების სახით) უკვე ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდნენ და ვითარდებოდნენ. უფალი სწორედ ასეთ პირველ ქრისტიანულ კერძებს აღწერს და “გამოცხადება”-ში ახასიათებს.

ქრისტიანობის ისტორიის მკვლევარ-მეცნიერებმა ყურადღებით შეისწავლეს წიგნის ეს მონაკვეთი და საკითხის დასმის სახით შემდგები მოსაზრება გამოიტევეს: გამომდინარე იქიდნ, რომ მთლიანობაში “გამოცხადება” წინასწარმეტყველური ხასიათისაა, შეიძიო ეკლესიის დახასიათება მათი წმ. იოანეს თანადროული მდგომარეობის აღწერაც არის და ერთგვარად წინასწარუწყება მომავლი საუკუნეების შესახებ.

ამგვარად, მეცნიერთა ერთი ნაწილის შეხედულებით შვიდი ეკლესიის აღწერა არის წინასწარმეტყველება ქრისტიანობის ისტორიის შვიდ პერიოდზე, ანუ მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიის შვიდ ეპოქაზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია “გამოცხადების” ერთი ფრაგმენტი - მიმართვა სარდიის ეკლესიისადმი, რომელიც მეცნიერებმა ქრისტიანობის ისტორიის მეხუთე პერიოდს მოუსადაგეს. ეს ის დროა, როდესაც დასავლეთის ეკლესიაში საფუძველი დაედო საეკლესიო რეფორმაციის მტკიცნეულ პროცესს.

სარდიის ეკლესიისადმი მიმართვის სათაური შემდეგნაირია - “ჩემთან ივლიან თეთრი სამოსით”. მიმართვა შეიცავს სულ ხუთ აბზაცეს. ისინი იდეურად და შინაარსობრივადაც ერთმანეთისგან განსხვავდებან, მაგრამ მთლიანობაში, ზოგდად აღწერენ საეკლესიო რეფორმაციას.

საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, რეფორმაცია კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოიშვა. პირველ სამ აბზაცში საუბარია რეფორმაციის იდეაზე და ამ მოძრაობის მთავარ მიზანზე - ეპლესია დაუბრუნდეს პირველქრისტიანულ მდგომარეობას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მიმართვის მეოთხე-მეხუთე აბზაცები. სწორედ აქ ვხვდებით ზემოაღნიშნულ სათაურს - “ჩემთან ივლიან თეთრი სამოსით”, რაც იმის მიმართვის მიზანშებელია, რომ ეს აბზაცი ერთგვარად მიმართვის საკვანძო და ძალზე მნიშვნელოვან მო-

ნაკვეთს წარმოადგენს; აქვე იშიფრება მეზუთე პერიოდის სარდიის ეკლესიაში განვითარებული მთავარი მოვლენები და მისი მდგომარეობა. საგარაულოდ მკვლევარები აქ დასაშვებად მოიაზრებენ ჩეს იან ჭუსს და მის მიერ წამოწყებულ რეფორმაციას (ჭუსიტური მოძრაობა). “თუმცა სარდეში გაყავს რამოდენმე კაცი, რომელთაც არ წაუბილწაგს თავიანთი სამოსელინი, და ჩემთან ერთად ივლიან თეორებში, ვინაიდან ისინი ღირსი არიან” (1,494), -აღნიშნულია “გამოცხადებაში”. თუ პროტესტანტ ღვთისმეტყველთა მოსაზრებას დავყერდნობით და იან ჭუსის მოღვაწეობას თვალს გავადევნებთ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვები სწორედ მისდამია მიმართული, ანუ ჭუსია ის გამორჩეული პიროვნება რეფორმაციაში, რომლის მიზნებიც კათოლიკურ ეკლესიაში კრიზისის აღმოგზვრას ემსახურება.

იან ჭუსის პერიოდის ჩეხეთი გერმანულ-ლათინურ სივრცეში მოიაზრებოდა. ჩეხი რეფორმატორი სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-სლავურ მოძრაობას. იან ჭუსის მიმდევრებს - ჩეს ერს - “მებარძიმებას” (1) და “უთრაქვისტებს” (2) უწოდებდნენ. თუ თითოეულ სიტყვას განვმარტავთ, იან ჭუსი მოითხოვდა წმინდა ზიარება ბარძიმიდან (1) განხორციელებულიყო (როგორც ეს აღესრულებოდა აღმოსავლეთ ქრისტიანობაში); ამასთან, ჭუსი მოითხოვდა მრევლის ზიარებას ქრისტეს წმინდა სხეულის ორივე (2) ნაწილით, სისხლითაც და ხორცითაც (უტრაქუე - “ორივესახით”). კათოლიციზმში კი მორწმუნება ზიარება ბარძიმიდან არ ხდებოდა, მორწმუნებებს მხოლოდ ქრისტეს ხორცით აზიარებდნენ. ასევე, კათოლიკოთათვის მუდებელი იყო ბიბლიის ლათინური ენის გარდა სხვა რომელიმე ენაზე არსებობა, მათ შორის ჩეხურზეც, რასაც იან ჭუსი ეწინააღმდეგებოდა. მისი კათოლიციზმისადმი პროტესტი დიდი წვერის ტარებითაც გამოიხატებოდა (დასავლეთის სამღვდელოებაში წვერის ტარების ტრადიცია მიუღებელი იყო).

კათოლიკეთათვის ბუნებრივად მიუღებელი აღმოჩნდა იან ჭუსის მოღვაწეობა. ის კინსტრნცის საეკლესიო კრებაზე მიიწყევს 1415 წელს, ბრალი წაუყენეს, როგორც ერეტიკოსს და კოცონზე დაწვეს. ამით “ჭუსისტური მოძრაობა” არ შეწყვეტილა; პირიქით, უფრო გაძლიერდა, რამეთუ იან ჭუსი ჩეხი ერის სახით ბევრი თანამოაზრე და მიმდევარი ჰყავდა. პროტესტანტული აზროვნების თანახმად, სწორედ ამ კრებულზეა ნათქვამი “გამოცხადებაში”: “ჩემთან ერთად ივლიან თეორებში...”

იან ჭუსმა სიცოცხლეშივე ბევრი იღვაწა მიზნის მისაღწევად; საინტერესოა მისი მემკვიდრეობაც. მოძღვრისა და წინამღლიობის გარდაცვალების შემდეგ მისი მიმდევრები ცდილობდნენ ურთიერთო-

ბა დაემყარებინათ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან. ეს მცდელობა 1451 წელს მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაცემამ და ოსმალეთის ლაშქრობებმა მოლაპარაკებები ჩაშალეს. ამის შემდეგ, ჰუსის მიმდევრებმა გადაწყვიტეს მულტანსკეში მყოფ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან გაეგზავნათ ხელდასხმისთვის მომავალი მღვდელმსახურები. ამასთან, ჰუსის თანამოაზრე ჩეხების ნაწილმა მორავიელ ძმათ დამოუკიდებელი თემი ჩამოაყალიბა, რომელიც დღესაც მოქმედებს ჩეხეთში. იან ჰუსის იდეოლოგიამ ჩეხ ხალხში მოახერხა ორთოდოქსალური ქრისტიანობის აღორძინება და იმ ფუნდამენტის განახლება, რომელსაც ჯერ კიდევ IX საუკუნეში საფუძველი დაუდეს წმ. კირილემ, წმ. მეთოდემ, წმ. მთავარმა ბორვირიმ და წმ. ლიუდმილა დედოფალმა. ჰუსმა განაახლა ორთოდოქსალური ბაზისი ჩეხეთში, რომელზე დაყრდნობითაც მოხდა პირვანდელი კავშირის აღდგენა აღმოსავლეთთან.

დღეისთვის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეპლესის მრევლი შეადგენს 200 000 ადამიანს ოთხი ეპარქით; მოქმედებს 216 ტაძარი, მსახურობს 140 სასულიერო პირი. მღვდელმსახურთათვის მოქმედებს ოთხწლიანი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ფაკულტეტი ქ. რეშოვში, გამოიცემა ოთხი დასახელების საეკლესიო უურნალი და ა. შ.

ორთოდოქსალური ქრისტიანობის კუთხითაც იან ჰუსი მიიშვნელოვნეს პიროვნებად ჩამოყალიბდა ჩეხეთის ისტორიაში. ის ყველაზე რთულ და საკანონო მომენტებში იდგა ჩეხეთისა და სლოვაკეთის ორთოდოქსალური ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციების სადარაჯოზე. დასაშვებია ის ფაქტიც, რომ სარდიის ეკლესიისადმი ნათქვამ ზემოაღნიშნულ სიტყვებში მოაზრებული იყოს ჰუსიც: “გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე” (1,494).

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1991 წ.
2. ოგიცევი დ., კოზლოვი გ., რომაული კათოლიციზმი, თბ., 2004 წ.
3. შუა საუკუნეების ისტორია, გ. ჯუტალიას რედაქციით, ტ. I, თბ., 2004 წ.
4. ტივაძე გ., შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, თბ., 1967 წ.
5. გაზეთი “კანდიდატი”, №13 (284), 11-17 აპრილი, 2008 წ.
6. Михневич Д. Очерки из истории католической реакции, М., 1955 г.
7. Южная Моравия, Издание областного национального комитета Южной Моравии в Брно, Прага, 1974 г.
8. Cehoslovacka, Izdavacki zavod “Orbis”, Prag, 1966
9. Рубцов Б.Т., Ян Гус, 1958 г.
10. Пичета В.И., История Чехии, 1947 г.
11. Поснов М., История Христианской Церкви, Брюссель, 1964 г.

**Michael Barnov**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction - History of Christianity

I year, MA degree

**Mediator of Jesus', Saint John's, "Apocalypse" - the source  
for the history of western Christianity**  
**Summary**

New testament includes books of saint John, mediator of Jesus. One of them is "Apocalypse". In one of passages of "Apocalypse" god talks to John about seven churches. Among them, in chapter three, the fifth is the church of Sardia.

Western scientists of Christianity put forward hypothesis about those seven churches. According to their opinions: in that talk god of course describes the seven churches that are of the period of Saint John, but furthermore, generally these are the seven periods of world's Christian church. That is like prophecy about church's future centuries. Scientists think that talk addressed to church of Sardia is belonging to the fifth period of history of Christianity. That is period when reformation started in Europe and in talk there are described some events that took place during reformation.

In this article is discussed this hypothesis about Sardia from the point of view of protestant church scientists. According to them we can see main person in the prophecy about Sardia. It is Jan Hus, Czechian reformer who was defending national interests and was in disagreement with Roman Catholicism. Also there are discussed Jan Hus's attempts in order to get more familiar with orthodox Christianity.

## დავით რეკვავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის I კურსის მაგისტრანტი

### სამველ კარაპეტიანის რუკა-ცნობარის უგულებელყოფისათვის

ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობის ტენდენ-ციური გაშუქება, ძირითადად ძევლი სომხური ისორიოგრაფის ყვე-ლაზე გავლენიანი წარმომადგენლის – მოგესეს ხორენაციდან იღებს სათავეს, მისი შემდგომი განვითარება კი საგარეო ფაქტორის ზე-მოქმედების შედეგი იყო, რამაც მეტადრე ნებატიური სახე კავკასია-ში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან მიიღო, რომლის გამოძახილი დღესაც საკმაოდ იგრძნობა.

ფურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოში დიდი ხნის წინ დამკვიდრდა სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილი და დღესაც მათი ნაშიერი საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობს საქართველოში.

მართალია, ქართველები მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ხოლო სომხები მონოფიზიტი ქრისტიანები, მაგრამ ორივე ერი ხომ მაინც ქრისტიანია და მათ მეზობლობას ქრისტიანული მო-რალი, ზნებია, პრინციპები უნდა დადგებოდა საფუძვლად. მოხდა კი ეს ასე? ისიც უნდა თქვას, რომ ქართველ-სომხეთა საეკლესიო განხეთქილება VII საუკუნეში ხდება და ამგვარი რამ III-IV ას-წლეულებში, ყოველ შემთხვევაში, მაგაფიოდ არ შეიმჩნევა.

უცხოელ დამპყრობლებს გამორიდებული სიმეზი ლტოლვილი საუკუნეების განმავლობაში ტალღა-ტალღა შემოვიდა საქართველოში და მყუდრო თავშესაფარი პპოვა. გუშინდედა ბოგა-ნო მატერიალურად მომავრდა თუ არა, მაშინვე საკუთარ მონოფი-ზიტურ აღმსარებლობაზე იწყო ზრუნვა და ძნელებდობის უამს მი-ტოვებული, ქართული ეკლესიების დასაკუთრებას მიჰყო ხელი. ასე-ულობით ქართული ეკლესია სიმხურად აქცია. ფალსიფიკაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდება და ამ სათაკოლო გზით მომრავლდა „სომხური“ ეკლესიები საქართველოში. ამ ისტო-რიულ პროცესს ორ პერიოდად ვჰყოთ: I – უძველესი დროიდან

1801 წლამდე – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე; II – XIX-XX საუკუნეები. ეს პერიოდები გარკვეული ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ პერიოდში, საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ქართველი მეფის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე რაიმე საკულტო ნაგებობის აშენება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს სომხური მონოფიზიტური ეკლესის, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნიდან მწვავედ იყო დაპირისპირებული ქართულ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიასთან.

მართალია, სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში ფაქტია, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად რამდენად კანონიერი იყო მათი აშენება თავის დროზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, თუ არ არის ქართველი მეფის ან კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი ან წერილობითი ნებართვა ამა თუ იმ სომხური ეპლესის აშენების შესახებ, მაშინ 1801 წლამდე არსებული ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონა. კანონის დარღვევით არის აშენებული. ეს ერთი, მეორე – ქართველი მეფის ბრძანების ან კათოლიკოს-პატრიარქის ნების გარეშე მტრისაგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესის გადაკეთება-გადმოკეთება, მასზე დაშენება, მიშენება და სომხურ ეკლესიად ქცევა ასევე არასამართლებრივი აქტია და მიიჩნევა ნაძალადევ ქმედებად, მიტაცებად. ამიტომ საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ამგვარი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს, აღადგინოს მათზე თავისი კანონიერი იურიდიული უფლება.

ბევრი სომეხი მეცნიერი ცდილობს დაამტკიცოს მრავალი „სომხური“ ეკლესიების არსებობა საქართველოში საკუთარი ნაშრომების საფუძველზე. ყველაზე სრული ნაშრომი არის 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული რუკა-ცნობარი – „სომხური ეპლესიები საქართველოში“. ამ გამოცემის ავტორია პროფესიონალ კამპენ კარაპეტიანი. ეს ის კარაპეტიანია, რომელმაც გალანდა საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ქართველი ხალხი.

აღნიშნული ნაშრომის (რუკა-ცნობარი) შესავლის მიხედვით, სომხური ეკლესიები საქართველოში 40 რაიონში ყოფილა განთავსებული და მათი რიცხვი თურმე 650 აღწევს. თუმცა სიის მიხედვით „სომხური“ ეკლესიები საქართველოში არის 638. რუკაში შეტანილია თბილისის სურბ-ნშანის (ქართული წმ. ჯვრის) ეკლესია, ასევე, თბილისის ბეთლემი, რომელიც თურმე სომხებს აუშენებიათ, ხოლო 1900-1991 წწ. გაქართულებულა ანუ ქართველებს მიუთვისებიათ, მაგრამ თუ მივყვებით ეკლესიის ისტორიას, ვნახავთ, რომ

თბილისის ბეთლემი დაარსებულია ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში, ასევე მის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სიონის, მეტეხის, წმ. ჯვრის, გოლგოთის, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიების აშენება. თბილისის ოდითგანვე ქართულობის უგულებელყოფა არაკეთილსინდისიერებაა, რასაც კადრულობს ზოგიერთი სომეხი მკვლევარი.

რუკა-ცნობარში შეტანილია თბილისის ორმოც წამებულთა ეკლესია. რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, როგორც მეუე ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) აშენებული ტაძარი. პროფესორ ს. კაკაბაძის თქმით, ეს ტაძარი ვერ აშენდებოდა VI-VII სს-ში, რადგან ამის პირობები ქართლში, კერძოდ თბილისში, არ იყო. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ტაძარი თავიდანვე ყოფილა მართლმადიდებლური (3: 229).

ვახტანგი ბატონიშვილი ძველი თბილისის ეკლესიების საუბრის შესახებ აღნიშნავს: „კუალად უგულებათო ოთხი აწ უპყრავთ სომეხთა“ „აწ უპყრავთ სომეხთა“ იმას ნიშნავს, რომ მანაძღე სხვას, ე.ი. ქართველებს ეკუთვნოდათ ეს ეკლესიები (5: 326).

ს. კარაპეტიანის რუკა-ცნობარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში სულ არის 127 სომხური ეკლესია. აქედან 40 აშენებულია 1800 წლამდე. 1800-1900 წლებში, 100 წლის განმავლობაში, სომხებს 87 ეკლესია აუშენებიათ სამცხე-ჯავახეთში. XX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში ეკლესია არ აშენებულა. გამოდის 100 წლის განმავლობაში ახალქალაქის, ახალციხის, აღიგნის, ასპინძის და ბორჯომის რაიონებში სომხები წელიწადში სულ ცოტა ერთ ეპლესიას აშენებდნენ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ეკლესიები ფუნდამენტური მგვიდრი ნაგებობებია და არააჩქარევად, სახელდახელოდ აგებული ხუსტური. ამდენი ეკლესიის აშენება იმდროინდელი ჩოჩიალა ურმით და შიშველი ხელით წარმოუდგენელია. XIX ს-ში კი არა, დღეს, მექანიზებული მშენებლობის ეპოქაშიც კი მნელია დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ამდენი შენობის, მითუმეტეს ეკლესიის აგება. ამავე დროს, დარღვეულია სომხური საეკლესიო კანონი, რომლის მიხედვით სომხური ეკლესია უნდა შენდებოდეს ზუსტად 7 წლის განმავლობაში.

აღნიშნულ რუკა-ცნობარში კიდევ ბევრი ქართული ეკლესიაა „მონათლული“ სომხურად, მაგრამ ფაქტია, რომ ამის დასტური არის არა ლოგიკური არგუმენტები და სომხების მწარე სიცრუ, რომელიც, გამოკვლევის შემდეგ, ჩემი აზრით, შეიძლება სასაცილოდ არ ეყოს ადამიანს.

მიზეზი რუკა-ცნობარის ასეთი ელვისებური გამოცემისა არის 1995 წლის გაზაფხულზე თბილისში ახალშენის (ნორაშენი) ეკლესიის ირგვლივ ატეხილი აურზაური, დელეგაცია ეჩმიაძინიდან და სხვა. ამის გამო ერევანში სასწრაფოდ შექმნეს ეს უბადრუკი რუკა-ცნობარი და „დოკუმენტურად“ დაფიქსირებს 650-მდე „სომხური“ ეკლესია საქართველოში (6: 103-104).

ჯერ კიდევ დასადგენია როდის აშენდა პირველი სომხური ეკლესია თბილისში და საქართველოში. ამ საკითხს ტენდენციურად უდგება ერთი სომეხი მეცნიერი და თბილისს სომეხთა საგარეუბნო ციხესიმაგრედ მიიჩნევს (ამბობს ბონდო არველაძე) (2: 14).

როგორც ბონდო არველაძე აღნიშნავს, საპატრიარქოს შეუქმნია ქართული და სომხური ეკლესიების დამდგენი კომისია. კომისიაში აღბათ შედან ისტორიკოსები, ხელგანხათმცოდნები, პალეოგრაფები და სხვები. (2: 29).

დიდი სომხეთის იდეა დღესაც ცოცხლობს. სომხური ტრადიციით კი, დიდ სომხეთში ნახევარი საქართველო მაინც უნდა მოექცეს. საქართველოში 650 ეკლესიასაც ამ მიზნით ითხოვენ. იმედი აქვთ, რომ მდიდარი, გავლენიანი სომხური დიასპორა, კერძოდ ამერიკის სომხური დიასპორაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ საქმეებში. სომეხთა გარკვეული წრები ფიქრობენ, რომ საქართველოში სომხურ ეკლესიებს სომხური ეროვნული იდეოლოგიის კერძად აქცევენ. ამგვარი იდეოლოგია კი საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული.

ფაქტია, რომ საქართველოს მეფეები სომხებს ასახლებდნენ საქართველოში იმ მიზნთ, რომ მათ შორის მომხდარიყო დაახლოება, რათა ერთად ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. სამწუხაროდ ეს არ მოხდა და ამაში დამნაშავეები სომხები არიან. ამიტომ უსამართლოა სომეხთა მოთხოვნა ქართული ეკლესიების მათვის გადაცემის შესახებ.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. აბდალაძე (აბუდალაძე) – „საქართველო და სომხეთი“, თბ., 2008
2. ბ. არველაძე – „ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომები მეცნიერების მიერ გრძელდება...“, თბ., 2006
3. ს. კაკაბაძე, „ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა“, თბ., 1959
4. გ. მაისურაძე – „ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან“, თბ., 2008
5. ქართლის ცხოვრება, IV, 1973
6. ბ. არველაძე “Армянские или грузинские церкви в Грузии?!” , Тб., 1996 г.

**David Rekvava**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction - History of Christianity

I year, MA degree

### **About the neglectation of the Samvel Karapetian's map-reviw**

#### **Summary**

In this article is considered in 1995 in Armenian language in Erevan published Samvel Karapetian's map-reviw “the Armerian churchs in Georgia”. In this map is fixed 650 armenian churches, in this article is considered this question.

## ლედი მარკოზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
I კურსის მაგისტრანტი

## ლა გიუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
I კურსის მაგისტრანტი

## ქრისტიანობის ისტორიის მკვლევარები IV-VII საუკუნეების დასაწყისის ეპლესიაზე (“გამოცხადების” ანალიზის საფუძველზე)

“გამოცხადების” ბერძნული შესატყვისია აპოკალიფისი, რაც “ხილვას” ნიშნავს. ამ სათაურს ატარებს ახალი აღთქმის ერთადერთი წინასწარმეტყველური წიგნი, რომელიც “წმინდა წიგნის” მთელი წრის ბუნებრივ დასრულებას წარმოადგენს.(4)

აპოკალიფის ავტორად საკულტო ტრადიცია ითანებული შეტყველს ასახელებს. აღნიშნული მოსაზრების ირგვლივ სამეცნიერო წრეებში აზრთა სიჭრელე არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი ითანებული ავტორობას არ ეთანხმება. რაც შეეხბა ღვთისმეტყველთ მეოთხე სახარების, სამი კათოლიკე ეპისტოლებს და აპოკალიფის ავტორთა გაიგევებისათვის საკმარის არგუმეტად მიაჩნიათ ენობრივი, ტერმინოლოგიური და ოქმატური სიახლოვე.(6)

პოლემიკური საკითხია “გამოცხადების” დათარიღებაც. ერთნი მისი შექმნის დროდ ასახელებენ 60 წელს, სხვანი 68 წელს, წმინდა ეპიფანე 41-54 წლებზე მიანიშნებს, რაც სავარაუდოა, რამეთუ ქრისტიანთა ცხოვრების იმ დროინდელი ძღვომარეობა .როგორც ის “გამოცხადებაშია” გადმოცემული, მეტყველებს მისი შექმნის უფრო გვიანდელ თარიღზე.(4) ასიის შვიდი ეკლესიდან ყველას, რომელსაც ითანებული ავტორის მიმართავს უკვე გააჩნიათ თავისი ისტორია და მეტ-ნაკლებად რელიგიური ცხოვრების მიმართულებაც

განსაზღვრული აქვთ. ამ თვალსაზრისით აპოკალიფსის დაწერის დროდ მოიაზრებენ 95-96 წლებს, როდესაც ითანე იმპერატორ დომიციანეს დროს გადაასახლეს კუნძულ პატმოსზე.(5) აღნიშნულ ვარაუდს იზიარებენ წმინდა იერონიმე, ირინეოსი, ევსევი კესარიელი და კლიმენტი ალექსანდრიელი.

ამგარად, „გამოცხადება” იმთავითვე ქრისტიან მოაზროვნეთა განსახილველ თხუზულებას წარმოადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ნაწარმოები სამეცნიერო კვლევის სერიოზული ობიექტი გახდა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთის ქრისტიანობის მკვლევარ-მეცნიერთათვის, „გამოცხადების” ირგვლივ მრავალ მეცნიერს პოსნოვი, ტალბერგი, ბოლოტოვი და ა.შ. აქვს გამოთქმული მოსაზრება. თანამედროვე ეპოქაში მკვლევარებმა დაიწყეს „გამოცხადების” ცალკეული ფრაგმენტების ეკლესიათა ისტორიულ პროცესებთან შეკვერებით შესწავლა. ამ გზით მიღებული სამეცნიერო შედეგები უამრავ პოლემიკური სასიათის მსჯელობას, თუ ახალ საკვლევ პრობლემას წამოჭრის. წარმოდგნილი ნაშრომის მიზანა თანამედროვე ეტაპზე მეცნიერთა დიდი უმრავლესობის კვლევის შედეგების წარმოჩნა, მათ მეცნიერულ ობიექტურობაზე მსჯელობა.

„გამოცხადება” მოიცავს ოცდაორ თავს, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით რამდენიმე ნაწილად იყოფა. მასში გადმოცემულია წინასწარმეტყველური ინფორმაცია სამყაროსა და ეკლესიის დასასრულზე, რომელიც იწყება იმპერატორ ნერონის დროინდელი დენის აღწერით და სრულდება „წუთისოფლის აღსასრულზე” უწყებით.(6)

ამ ეტაპზე, საკვლევ პრობლემად წარმოჩნილია „გამოცხადების” მეორე თავი, რომელშიც გადმოცემულია ასიის შვიდ ეკლესიაზე წინასწარმეტყველებანი. აღნიშნულ ეკლესიათაგან თითოეულის მიმართ შესაბამისად მოცემულია დარიგების ციკლი; მათი მრევლის ქრისტიანული ცხოვრებისა და ჭეშმარიტი რწმენის ხოტბა, მათში არსებული ნაკლოვნებების გამო გაკიცხვა, შეგონება, ნუგეში და დაპირება. ნიშანდობლივია, რომ მოცემული პირდაპირ ესადაგბა ასიის ეკლესიების მდგომარეობას; ამავდროულად წინასწარმეტყველება განკუთვნილია ზოგადად ქრისტიანული ეკლესიისა და ფინანსულად, ითანეს ეპოქაში მოქმედი ყველა ეკლესიისათვის.

„გამოცხადების” მეორე თავში მოცემულ შვიდივე ეკლესიაში მეცნიერთა ერთი ნაწილი პირობითად მოიაზრებს ქრისტიანობის ისტორიის შვიდ პერიოდს: ეწ. სამოციქულო პერიოდიდან ვიღრე „ქვენიერების დასასრულმდე.” ამ ეკლესიების მიმართ შედგენილი ეპისტოლე წინასწარმეტყველური ხასიათისაა და შეესატყვისება

ქრისტიანობის განვითარების ცალკეულ პერიოდს, რომელიც დასაშვებია მისადაგებულ იქნას ქრისტიანობის ყველა პერიოდის ისტორიულ ახსნასთან, თუმცა განსაკუთრებული სისავსით არის გადმოცემული ქრისტიანობის აღრეული პერიოდის ისტორიული სურათი,(5) რომლის შესანიშნავი მაგალითია, პერგამოს ეკლესიის ისტორია. (IV-VII სს)

ნაშრომის დასაწყისში ხოტბა აქვს შესხმული პერგამოს ეპლესიას, ქრისტიანული მოძღვრებისადმი ერთგულების გამო—“ერთგული მოწმის, ანტიპას დღეებშიც კი, რომელიც მოიკლა...” (გამოცხ.2.13) აღნიშნული განპირობებული იყო ქრისტიანობის მიმდევართა დევნით. თუ გადავხედავთ ქრისტიანობის ისტორიას, მისი გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან ვიდრე კონსტანტინე დიდაძე, ქრისტიანობამ ვაუდლო დევნის უმბიმეს პერიოდს (3)—”ვიცი საქმენი შენი და თუ სადა მევიდრ ხარ, სადა-იგი არს საყდარი ეშმაკისა” (გამოცხ. 2.13) და განვითარების გზა გააგრძელა. ამ გზაზე ახალ მსოფლგაებას უკიდურესად საშიში წინააღმდეგობები გაუჩნდა: თუ წარმართი რომაელი იმპერატორების ხანაში ეკლესიის ფიზიკური განადგურებისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა, ეკლესიის კატაკლიზმიდან გამოსვლის შემდეგ, მისი ოვისუფალი მოღვაწეობის ხანაში, მას შეექმნა ბევრად უფრო საშიში მდგომარეობა, ეკლესიას მოეძალა ცრუ სწავლების ნაკადი, რაც ჰქმნიდა წინაპირობას მისი ერთიანობის რღვევისა და ჭეშმარიტების გზიდან გადახვევისათვის.

საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, ქრისტიანობის ისტორიის IV-VII საუკუნეები მსოფლიო საეკლესიო კრებების ეპოქაა. აღნიშნული განპირობებული იყო პირველქრისტიანობიდან რიგი გადახრებითა და დოგმატური საკითხების გარშემო მიმდინარე დაპირისპირებით. კრებებზე დაგმობილ იქნა ცრუ სწავლებანი და ქრისტიანობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნი საკითხები გადაწყდა, რამაც შემდგომში მისი განვითარების პროცესზე დადგებითი ზეგავლენა იქნია: ჩამოყალიბდა სამების დოგმატი და შედეგი იქნა სარწმუნოების სიმბოლო; დაგმობილ იქნა არიანელობა, წესტორისა და მონოფიზიტობის ერესები; მიღებულ იქნა კანონები: წეილ ბავშვთა ნათლობა, ღვთისმშობლის ხატის თაყვანისცემა, მიცვალებულთა წესის აგება და ა.შ.

დიდი ბრძოლების შედეგად “სადა-იგი ეშმაკი მკვიდრ არს” (გამოცხ.2.13) ქრისტიანულმა ეკლესიამ შეძლო თავი დაელწია ცრუ სწავლებისგან და მტკიცებდ დაცვა ჭეშმარიტი რწმენა. მეცნიერებულებართა აზრით, აღნიშნულს იუწყება უფლის სიტყვით ღვთის-

მეტყველი-“მტკიცედ გიაბყრიეს სახელი ჩემი და არა უარ-ჰყავ სარ-წმუნოებაი ჩემი” (გამოცხ. 2.13.)

“გამოცხადების” ამავე ნაწილში აღნიშნულია საეკლესიო ცხოვრების უარყოფითი ელემენტებიც, რომლის პარალელებიც მოიძიება ქრისტიანობის ისტორიის ზემოთ მითითებულ პერიოდში; კერძოდ, შეინიშნება საერო ხელისუფლებასა და სასულიერო იერარქიას შორის მძმდინარე დაპირისპირების პროცესები.

სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური კურსი მიმართული იყო ეკლესიის მთავრობის ინტერესებისამებრ გამოყნებისაკენ, მისი სახელმწიფო სამსახურში ჩაყენებისაკენ. ბუნებრივია ასეთი პოლიტიკა ეკლესიას აკარგვინებდა თავის ძირითად ფუნქცია-მოვალეობას. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ქრისტიანობის პროგრესული ძალების ბრძოლით საერო ხელისუფლებასთან. საეკლესიო წყაროები იუწყებიან, რომ იმპერატორები აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო კრებებში და ხშირ შემთხვევაში ეს კრებები მათი უშუალო ბრძანებით იმართება. იყო შემთხვევა, როდესაც საერო ხელისუფლება უხეშად ჩაერია დოგმატურ საკითხებშიც, რის გამოც ეკლესია მას აქტიურად დაუპირისპირდა.(7)

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნეგატიური პროცესების გვერდით არსებობდა უამრავი ისტორიული ფაქტი, როდესაც იმპერატორები და პატრიარქები ერთობლივად იღწვოდნენ სახელმწიფო-ებრივ-სარწმუნოებრივი საკითხების მოსაგვარებლად; ხშირად იმპერატორები ძალის გამოყნებითაც ცდილობენ საეკლესიო განხეთქილების შეჩერებას.

მიუხედავად საერო და სასულიერო მთავრობას შორის აშკარა თუ დაფარული დაპირისპირებისა, სახელმწიფო თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მაინც იცავს ეკლესიის მთლიანობას; თავის მხრივ, ეკლესიაც მტკიცე იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის სიძლიერისათვის. აღნიშნულის ნათელი მაგალითია IV-VI ს-ების მიჯნაზე სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში არსებული მდგომარეობა.(5)

IV საუკუნეში ბერძნულ-რომაულ სამყაროს ბარბაროსი ხალხები მიეძალნენ და რომის იმპერია მის უმცელეს კულტურასთან ერთად ნანგრევებად იქცა. ქრისტიანული ეკლესია აღმოჩნდა ის რეალური ძალა, რომელმაც იტვირთა პოლიტიკური უსუსურობის დაბალანსება; მიტოვებული ქალაქების დაცვა და სასოწარკვეთილი მოსახლეობის გამნენვება. ეკლესიის თავგანწირვა და სიმტკიცე აღაფრთოვანებდა მრევლს. სასულიერო კრებული ცდილობდა იმპერიის შენარჩუნებას და ბარბაროსთა შემოსევების მოგერიებას.(7)

ამგვრად, სამღვდელოებამ წებსით თუ უნებლიერ იტვირთა სა-მოქალაქო და სასულიერო პასუხისმგებლობა, რამაც მოგვიანებით დასავლეთის ეკლესიაში სახე იცვალა და მანკიერ მხარედ ჩამოყალიბდა.

მიმდინარე გარემოებაში, აუცილებელ პირობად დადგა ბარბაროს ხალხების ქრისტიანულ რწმენაზე მოქცევა, რისთვისაც ეკლესიამ მიზნად დაისახა მათ გრძნობებსა და წარმოდგენებზე ზემოქმედება, გაიზარდა რელიგიურ ცერემონიალთა რიცხვი, მათი აღნიშვნის მრავალფეროვნება და ბრწყინვალება. სწორედ ამ გზით მოქმედებდა წარმართებზე ეკლესია დიდი წარმატებით.

წარმართები ახალ რწმენას ღებულობდნენ არა შინაგანი მოთხოვნილებისა და მრწამსის გამო, არამედ ანგარიშიანობითა და გამორჩების მოლოდინით. ისინი მხოლოდ გარეგნულდ იყვნენ ქრისტიანები, რეალურად კი წარმართები, თავიანთი ჩვევებისა და ცრურწმენების შენარჩუნებით. სწორედ ზემოაღნიშულში ვლინდება “გამოცხადებაში” მხილება—“გყავს მანდ ზოგიერთი, ბალაამის მოძღვრების მიმდევარი ბალაამისა, რომელმაცა ასწავლა ბალაქს, საცოტური დაედო ისრაელის ძეთა წინაშე, რათა ეჭამათ კერპთათვის შენაწირი და ემრუშათ” (გამოცხ.2.14)

ამ ხალხების წინაშე ეკლესია უძლური აღმოჩნდა. იბრძოდა რა ბარბაროსების გაქრისტიანებისათვის, თვით ეკლესიას დაემუქრა გადაგვარება; დაიწყო ქრისტიანული საიდუმლოებების წარმართულ გრძნეულებასთან გაიგივების პროცესი, რამაც ქრისტიანული მრწამსის დამახინჯება გმოიწვია.(7) “გამოცხადებაში” საყვედურია გამოთქმული მიმდინარე გარემოების გამო—“შენცა გყვანან, რომელთა უპყის სწავლაი იგი ნიკოლაელთაი” (გამოცხ.2.15)

წინასწარმეტყველება პერგამის ეკლესის მიმართ მთავრდება ნუგეშთა და დაპირებით: “რომელმან სძლოს მივსცე მას მანანაისა მისგან დაფარულისა და მივსცე ქვაი სპეტაკი და ქვასა მას თანა სახელი ასლი დაწერლი, რომელი არავინ უწყის, გარნა, რომელმან მიიღოს” (გამოცხ.2.17) მკვლევართა ერთი ნაწილი მანანს ძევლ აღთქმიდან ნასესხებად და ზეციური პურის წინასახედ ანუ იესო ქრისტედ მიიჩნევს. ისინი მანანის სახით იაზრებენ უფალთან მომავლი ნეტარი ცხოვრების ცოცხალ ურთიერთობას, ხოლო “თეთრ ქვას კი ქრისტიანების სიწმინდედ და უცოდველობის სიმბოლოდ, რის გამოც მომავალში ჯილდოდ დაუბრუნდებათ.(4) ეს კი იმათ მიეცემათ, ვინც ქრისტეს სახელსა და რწმენას შეურყევლად დაიცავს”—აღნიშნავს მკვლევარი ს. სეროვი.

ამგვარად, აშენარაა რომ “გამოცხადების” შინაარსი მკაფიოდ ასახავს ქრისტიანობისა და მისი ეკლესიის ისტორიის კონკრეტულ პერიოდს, რაც იმის დასტურია, რომ მის შინაარსს ისტორიული საფუძველი აქვს და უდიდესი მნიშვნელობა ყველა დროის ეკლესიისათვის. სხვა საკითხია მკვლევართა განსხვავებული შეფასებები ზე-მოაღნიშნულის ირგვლივ, ამ ეტაპზე წარმოდგენილია მეცნიერთა ერთი პოზიცია, რომლის თანახმადაც “გამოცხადების” დამრიგებულ-ურ-დიდაქტიკური ხასიათი განსაზღვრავს ქრისტიანული ეკლესიის შემდგომი განვითარების ისტორიულ ეტაპებს. “გამოცხადების” ცალკეული ნაწილების კვლევა კი იძლევა, როგორც ეკლესიის წარსული ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტთა მკაფიო სურათს, ისე დარიგება-რჩევებს მისი სამოძღვლო ცხოვრების ირგვლივ:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ იოანეს “გამოცხადება” ყველა დროის ეკლესიის მოღვაწეობის შესწავლის უპირობო წამოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ახალი აღთქმა თბ; 2004წ.
2. ვი. ბოლოტოვი-საეკლესიო კრებები თბ; 2009წ.
3. გ. კოპლატაძე-ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბ; 2007წ.
4. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების (აპოკალიფსის) განმარტება, წმინდა ანდრია კესარიელის განმარტებაზე დაყრდნობით თბ; 2006წ.
5. ქ პაგლიაშვილი- ქრისტიანობის ისტორია, (ხელნაწერი) თბ; 2009წ..
6. 6. პაპუაშვილი- ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანები
7. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ტ.3. თბ; 2005წ
8. მსოფლიო საეკლესიო კრებები-თარგმნა და კომენტარები დაურთო არჩილ ხაჩიძემ თბ; 2009წ
9. М Постнов, История Христианской Церкви, Брюссель, 1964 г.
10. М. Талберг, История Христианской Церкви, М., 1991

**Ledi Markozashvili**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction - History of Christianity

I year, MA degree

**Lia Giuashvili**

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction - History of Christianity

I year, MA degree

**The researcher's of the history of the christianity about the IV-**

**VII centuries church**

**(according to the analize to “Apokaliphs”)**

**Summary**

In this article is considered the ideas of The researcher's of the history of the christianity and scientific conclusions II chapter of “Apokaliphs”, where is the prophecy of seven churchs of asya, it is cycle of preach at several church: appologie the truth faith, critic of the defects, comfort and precept, that is all for state of churchs of Asyas.

In “Apokaliphs”, concretly second chapter is according seveb churchs and the scienist things that is sven period of chistian church, from the apostolic period to the end of the world. As example it's considered analyze of Pergamo's church in the period during the centuries of IV-VII. The epistle of this church corectly the history of this centuries, ger positives or negatives part, knowladge with the prophecy.

## ექლესიის ისტორია (History of the Church)

ქეთევან პავლაშვილი  
ივანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

### ქრისტიანობა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციის პრობლემებში

ისტორიულად, საქართველოს მრავალფეროვან სამყაროსთან უხდებოდა ურთიერთობა, რაც გავლენას ახდენდა მის კულტურაზე, სარწმუნოებასა და შესაბამისად პოლიტიკურ ორიენტაციაზეც.

ქართველი კულტურის რაობის შესახებ მსოფლიოს სამცნიერო წრეებში განსხვავდებული მოსაზრება არსებობს: 1) სხვა კულტურასთან შერწყმის შედეგად წარმონაქმნი კულტურა; 2) სხვადასხვა ეპოქაში განსხვავდებული კულტურული ფენების დაშრევის შედეგი; 3) სასაზღვრო ტიპის კულტურა; 4) რომელიმე ცივილიზაციის პერიფერია და ბოლოს 5) თვითმყოფადი, დამოუკიდებელი კულტურა. (19: 17)

ქართველი ერის კულტურის ისტორია ცხადჰყოფს, რომ ქართული კულტურა არ განეკუთვნება ე.წ. „სუვთა“ კულტურათა რიცხვს, რომელიც ყალბბდება და ვითარდება რომელიმე ცივილიზაციის წიაღში. გეოპოლიტიკური და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა გზასაყარზე მდებარე საქართველოს, ისტორიამ ისეთი კულტურა ჩამოუყალიბა, რომელიც დასაშვებია მხოლოდ სასაზღვრო კულტურათა რიცხვში მოვაზროთ. აღნიშნულმა განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემების დაყენება – გადაწყვეტაც (1 : 101-102)

საუკუნეების მანძილზე, ქართველებს იმავე კულტურულ გარემოცვაში უხდებოდათ ცხოვრება, რომელიც ეპოქის იდეალს წარმოადგენდა; ამიტომ იყო, რომ ქართველი ერი ერთდროულად აკეთებდა კულტურულ-რელიგიურ, ცივილიზაციურ და ბოლოს, ყოვე-

ლივედან გამომდინარე, პოლიტიკურ არჩევანსაც. ისტორიის თითოეულ პერიოდში, საქართველოს მიერ არჩეულმა პოლიტიკურ-რელიგიურმა ორიენტაციამ განაპირობა ცივილიზაციური პარამეტრების ჩამოყალიბებაც და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს უნდებოდა ზან „დასავლური“ და, ზანაც „არადასავლური“ მოდელის სახელმწიფოს შექმნისათვის მეცადინება. მთელი ისტორიის მანძილზე, საქართველოში ჩამოყალიბებული ცივილიზაციურ პარადიგმებზე (თვითიღინობითიკაცია, რელიგია, სახელმწიფო ინსტიტუტები) მსჯელობას მიკვავართ დასკვნამდე, რომ ზოგჯერ ის შესაძლებელია მოვაზროთ აღმოსავლურ-ქრისტიანული, ბიზანტიური, ზანაც სხვა, ცივილიზაციის ნაწილად. (11 : 13-15 ; 22 ; 30 ; 32)

განსხვავებულ კულტურებთან სისტემატური კონტაქტები, ამ კულტურათა გადაკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე, ბუნებრივ საფრთხეს უქმნიდა ქართული კულტურის თვითმყოფადობას მაგრამ გარე აგრძესორთა საფრთხე, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის გამოკვეთასაც აიძულებდა. ასეთ შემთხვევაში, როდესაც ქართველი ერი ასრულდა კულტურულ-პოლიტიკური აგრესის საფრთხეს, წინა რიგში წევდა პრაქტიკულ არგუმენტებს; ამასთან, თვითმყოფადობის გადარჩენა – შენარჩუნებისათვის აყალიბებდა იდეურ თეორიებსაც. (17 : 137-139)

საქართველო უმცველესი კულტურული და პოლიტიკური ტრადიციების ქვეყნაა. ეროვნული თვითმყოფადობის გაძლიერების საქმეში ოდითგან წამყანა როლს ქრისტიანული რელიგია, ეკლესია და ეროვნული სამღვდელოება ასრულებდა. საუკუნეების მანძილზე, ეპლესის ღვაწლმა აიძულა ქართული მენტალობა ქრისტიანობა ეროვნულ ნიადაგზე დაეყენებინა. შედეგად, ქართული ეროვნული ცნობიერება ქრისტიანობას გადაეჭირდ და მთელი მისი ისტორიის მანძილზე მის შემდგომ ცხოვრებას ლაიტმოტივად გაჰყვა. (20 : 47-50, 8 : 4-6 ; 7 : 2-3 ; 31 : 23)

საქართველოს ისტორიაში ყოველთვის არსებობდა ორი ოპოზიციური რეალობა – დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამყაროთა სახით; შესაბამისად, ქართველი ერის ცნობიერებაც ამ ორი სამყაროდან გამომდინარე იმპულსების ურთიერთქმედებების ფონზე ყალიბდებოდა. ამ საქმეში საქართველოს ეკლესია არც თუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა. (4, 5:100-104 ; 34 ; 40 : 412-415) ქვეყნის სამომავლო ბედის განსაზღვრაში ეკლესია ერს გზას აჩვენებდა და ტრადიციული ლირებულებების დაცვით ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირებისაგან უბიძგებდა. მიუხედავად აღმოსავლეთ მაჰმადიანურ სამყაროსთან მჭიდრო მეზობლური ურთიერთობი-

საა, ქართველ ერს არასდროს ჰქონია ფატალური სწრაფვა მისკენ. ქართველთა მიზანი იყო შესაძლებლობების მიხედვით აღმოსავლეთთან გამიჯვნა და დასავლეთთან კავშირთა გზების ძიება. დასაშვებია, რომ, რადგან საქართველოსკენ აგრესია აღმოსავლეთიდან მოდიოდა, შესაბამისად ეს სამყარო ქართველმა მტრის ხატთან გააიგივა, განსხვავებით მისთვის შორეული დასავლეთისაგან.

თავისი ადგილმდებარებიდან გამომდინარე, რომელიმე ქვეყანაზე, ქართველთა პოლიტიკური არჩევნი, ამ უკანასკნელს დამპყრიბელად აყალიბებდა და ქართველ ერს მუდმივად უხდებოდა პოლიტიკური აღტერნატივის ძიება.

გააზრიბული ჰქონდა, რა ქართველ ხალხს მისი გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული უპირატესობა და აქედან გამომდინარე გარე სამყაროთა მისდმით პოლიტიკური ონტერესები, ერთი ცდილობდა შიდა ძალების კონსოლიდაციას, ისეთი იდეური თეორიის შემუშავებას, რომელიც ზოგადად კავკასიას დაიცავდა გლობალიზაციური პროცესებისაგან. ასეთ იდეად საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ერთანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგინდა. ამ უკანასკნელმა მეტ-ნაკლები დონით შეძლო ფორმირება (XI-XII-სს), მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა მისი არსებობის შემდგომი შესაძლებლობები ფაქტობრივად აღმოგზებრა. (2 : 173-175, 23)

ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში ქართველ ერს გეზი ევროპაზე ჰქონდა აღგბული და მიუღებელი აღმოსავლეური აგრესისაგან თავდასხინის მოკავშირედ მას ყოველთვის ევროპა-დასავლეთი ესახებოდა. ქართული და უცხოური წყაროები ადასტურებენ, რომ შუასაუკუნეებიდნ მოყოლებული ქართულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში მოკავშირედ მყარად ფიგურირებს ევროპა. ამ საქმეშიც ისევ ქრისტიანული რელიგია და ქართველი სამღვდელოება ასრულებს ჰეგემონის როლს. საზღვარგარეთ მოქმედი ქართული სულიერების სავანები დიპლომატიური უწყებები და ქართველი ბერძონაზნია დიპლომატი ელჩების მისით გამოდიოდნენ. ისინი შუამავლის როლს ასრულებდნენ ევროპის ქვეყნებთან და ევროპაში კათოლიკურ ეკლესიასთან ქართველთა „ნათესავის“ ძიების საქმეს მისდევდნენ. ამ მხრივ, საქარისია დასახელდეს ათონის წმინდა მთის ქართველი ბერების ცხოველი კავშირები ბენდიქტელთა ორდენის ბერებთან, ქართველი დიდი განმათავისუფლებლების, საეკლესიო მამების პეტრე იბერისა და იოანე მთაწმინდელის აქტიური მოღვაწეობა საერთაშორისო-საეკლესიო დიპლომატიურ ასპარეზზე(2, 4 : 215, 18: 21). შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი აზროვნების ისტორიაში დასავლეური ორიენტა-

ციის გაჩენა ქვეყნის ზელისუფლების პოლიტიკური პარტნიორის ძიებაზე მიგვანიშნებს. ნიშანდობლივია, რომ საქართველო ეძიებს არა მფარველს, არამედ პოლიტიკურ მოკავშირეს და ამ „უკანასკნელად დასავლეთს – ევროპას მოიაზრებს. აღნიშნულის მიზეზი საძიებელია იმ შექმნილ გარემოში, რომელშიც მოელი შუასაუკუნეები საქართველოს უხდება არსებობა. საქართველო, დალლილი ერთომორწმუნე ბიზანტიის იმპერიის ე.წ. „მფარველობისა“ და აღმოსავლური სამყაროს ლია აგრესისაგან, ევროპას პოლიტიკურ ალტერნატივად მოიაზრებს. აღნიშნულის მაგალითები მოიძიება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. მაგალითად, ნორმანდიული ქრონიკის (1136 წ.) თანახმად, 1123-1124 წლებში საქართველოს მეფე დავით IV-ე და კილიკიის მთავრის ძმა ერთობლივი ძალებით ანთავისუფლებენ სულთანთა ტყველ მყოფ რაინდებს; ასევე რომის პაპის 1211 წლის 7 ოქნისის ეპისტოლე, რომლითაც რომის ეკლესიის მეთაური საქართველოს მეფეს წმინდა მიწის დაცვისაკენ მოუწოდებს. ევროპული წყაროები იხსენიებენ ქართველ მეფე – ხუცესს, ვინმე იოანეს (ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, იოანეში მოიაზრება დავით IV-ე, ან მისი ძე დემეტრე), იგივე ეს ავიდ –ს, რომელსაც მოიაზრებენ ევროპას მხსნელად მონღოლთა აგრესისაგან და ა.შ. (2, 4 : 215, 18: 21) ამრიგად, ფაქტია, ქართველი ერის ლტოლვა დასავლეთისაკენ და ქართულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ევროპას მოკავშირედ გააზრება. კვლევის სხვა საკითხია, ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობები გამოიწვევდა, თუ არა დროთა ვითარებაში ქართული სამყაროს დაახლოებას დასავლეთის ცივილიზაციასთან და შესაბამისად საქართველოში ცივილიზაციური (აღმოსავლურ-ბიზანტიურ-მართლმადიდებლური) მახასიათებლების ცვლილებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს არ გადაუხევია კულტურულ – პოლიტიკური ტრადიციების დაცვის გზიდან და მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი ერთგულებაში წარმოაჩნა ქართული სარწმუნოებრივ – სახელმწიფოებრივი ცნობიერების ძირითადი ეტაპები. ამ ეტაპებმა ეპოქებთან შესატყვევისობაში განსაზღვრა პოლიტიკური ორიენტაციები, რომლებიც წარმომადგრენების ნაირგარი ფორმებით. ყველა ეტაპზე, საქართველო რადიკალურად არ გამოჯვნია დაპირისპირებულ სამყაროს და ლავირილების მეთოდით იგერიებდა თავსმოხვეულ მის აგრესიას. (23 : 47-50).

ქართული რელიგიურ – სახელმწიფოებრივი ცნობიერების ძირითადი ეტაპები შემდეგი სახით შესაძლებელია დაჯვაუფლეს:

1). IV-VI საუკუნეები. ამ ეპოქაში, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ წარმოაჩინა მისი პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიის იმპერიისაკენ. ამავე პერიოდში, იდეოლოგიურ-პოლიტიკური ხასიათის ბიზანტია-სპარსეთის ომების ციკლი საქართველოს ტერიტორიაზე აყალიბებდა ერთიან საქართველოს და შესაბამისად ერთიანი კავკასიის იდეას, რომელმაც მოგვიანებით XI საუკუნეში პირვე რეალიზება. (2: 162-164 20: 44-45).

ზოგადად VI-VII საუკუნეების კავკასიაში რელიგიური პოზიციების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, რაც მჭიდრო კაგშირში იყო ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციების გარკვევასთან. ამავე პერიოდში, მძღავრი იდეოლოგიური ბრძოლები მიმდინარეობს შიდა კავკასიურ სივრცეში კავკასიის გაერთიანების პეგემონობასათვის.

2). VII-VIII საუკუნეები. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს აღარ ჰყავს სახელმწიფო ხელისუფლება, მაგრამ ისევ არსებობს სახელმწიფო ინტიტუტები. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია აშენად ბიზანტიის მხარესაა; შესაბამისად, მიმდინარეობს ბიზანტიური კულტურის ინტენსიური ათვისების პროცესი; თანდათანობით ფალიბეგია საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ცნება, რომლის წიაღშიც განისაზღვრა საქართველოს ეკლესიის დიოციზიტური მიმართულება. ზემოაღნიშნულს შედეგად მოჰყვა: მონოფიზიტურ სამყაროსთან დაპირისპირებაში, ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია; ასევე, კავკასიაში ჰეგემონური პოზიციის განმტკიცება, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართული სამყარო ემზადებოდა პოლიტიკურ-ეკლესიური გაერთიანებისათვის და ეკლესიამ შეძლო ერთს რელიგიური კონსოლიდაცია, რითაც ის პოლიტიკური გაერთიანების ბაზისად ჩამოყალიბდა. (4, 5, 10: 20-27, 20: 103-106)

3). IX-XIII საუკუნეები. ამ ეპოქაში უკვე შეიქმნა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო, რომელმაც იტენირა სრულიად კავკასიის გაერთიანების ისტორიული მისას. მიმდინარე გარემოება ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ ინტერესებში არ თავსდებოდა. საქართველოს ეკლესია, რომელმაც ნიადაგი შეამზადა საქართველოს ზელისუფლების ჰეგემონობით კავკასიის გაერთიანებისა, ბიზანტიის იმპერიისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო, რამეთუ ის კარგავდა თავის გავლენას კავკასიაზე. ასეთ შემთხვევაში, ბიზანტიამ დაიწყო საქართველოს ეკლესიის დამცრობის მიმართულებით მუშაობა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალური უფლება ეჭვევეშ დააყენა. კავკასიაში, საქართველოს გავლენის შესუსტების მიზნით ბიზანტია სომხეთი ეკლესიისადმი ლიოალური პოლიტიკის გზას და-

ადგა. საქართველოს ხელისუფლებამ და საეკლესიო იერარქიამ გა-  
მოწვევას ფართო ეროვნული იდეოლოგიური ფრონტის გაშლით  
უპასუხეს. აღნიშნულ ეპოქაში საქართველომ ისევ დააყენა პოლიტი-  
კური აღტერნატივას ძიების საკითხი, რაშიც მას დახმარებას უწევ-  
და საქართველოს ასპარეზზე მიმდინარე პროცესები.

მიმდინარე პერიოდში განვითარებულმა ჯგაროსნულმა ლაშ-  
ქრობებმა სინთეზირება მოახდინა რამდენიმე საზროვნო სისტემისა:  
დასავლურ – ქრისტიანულის, აღმოსავლურ – ქრისტიანულისა და  
ისლამურის. საქართველოს ტერიტორიაზე შეხვედრამ და აქ დამ-  
ხდება კულტურულმა ტრადიციებმა თვისიძირივად ახალი შინაარ-  
სის კულტურა ჩამოაყალიბა, რომელიც ერთის მხრივ ზემოამოთ-  
ვლილი კულტურულ მახასიათებელთა შეჯერების შედეგად დადამა-  
ნასიათებელი გახდა მხოლოდ ქართული სამყაროსოების და მეორის  
მხრივ, ქართველებს ახალი პოლიტიკური ორიენტაციის (დასავლეთი  
– ქ.პ.) გზა დაანახა, ევროპული ორიენტაციის წინა რიგში წამოწე-  
ვდმ, ერთანა საქართველოს მეფებს ისლამური სამყაროს წინააღ-  
მდეგ ბრძოლის გაგრძელება დააკისრა, რამეთუ მაჰმადიანური ქვეყ-  
ნების პოლიტიკური ინტერესები კავკასიაში ჰეგემონობაზე საქარ-  
თველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან კატეგორიულ წინააღ-  
მდეგობრიობაში მოდიოდა. საქართველოს წინაშე დასახული პრობ-  
ლემის გადაწყვეტას გონივრულად უძღვებოდა მისი ხელისუფლება.  
პოლიტიკური ისლამის ძლევის მისა ნათლად აისახა ქართველი  
მონარქების ეპითეტებში: „მესის მახვილა“, „ყოვლისა აღმისავლე-  
თისა და ჩრდილოისა მფლობელი“ და ა.შ. (10: 9-11; 19:7 2: 99-  
102 6: 111-112, 17: 80-89 21: 66-68)

4). XIV-XVII საუკუნეები. ამ ეპოქაში ბიზანტიური ცივილი-  
ზაციის ქარაბა აღმოსავლურ ქრისტიანობას საზოგადოების განვი-  
თარების წამყვანი ფუნქცია დააკარგვინა. ყოველივეს შედეგად, სა-  
ზოგადოებრივი პროგრესი საგრძნობლად შეფერხდა. პარალელურად,  
აქტიურად მიმდინარებდა ისლამური სამყაროს აღზევების პროცე-  
სიც. ორი დიდი, აგრესიული მაჰმადიანური იმპერიის (ოსმალეთი და  
ირანი – ქ.პ.) ფორმირებამ, ერთმანეთში ძალთა გადანაწილებისათ-  
ვის უწყვეტმა ბრძოლებმა, საქართველო ამ დაპირისპირების პოლი-  
გონად აქცია. მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრიობას არ-  
სებობა არ შეუწყვეტია, მაგრამ მისი განვითარების პროცესი ას-  
წლეულობით შეჩერდა. ქართველ ერზე იძულებით თავსმოხვეულმა  
აღმოსავლურმა კულტურულ-პოლიტიკურმა ინტერესებმა სერიოზუ-  
ლი ვნება მოუტანა ქართულ ეროვნულ ფსიქიკას და ის ხანგრძლი-  
ვი დროით ერთ დონეზე გაყინა; შესაბამისად, შეჩერდა ერთიანი კავ-

კასიური იდეის შემდგომი განხორციელებაც და საქართველომ დაპ-კარგა ერთიანი კავკასიის ფორმირებაში ჰქონდა ისტორიული პოზიცია. (10: 9-11; 19:7 2: 99-102 6: 111-112, 17: 80-89 21: 66-68)

აღნიშნულ პერიოდში, საქართველომ კიდევ უფრო გაააქტიუ-რა დასავლეურ ორიენტაციაზე მეცადინება. შორეულ აღმოსავლეთ-ში ვატიკანისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ინტერესები საქართველოს საკითხს ევროპისათვის აქტუალურს ხდიდა. საქარ-თველო, როგორც კათოლიკიზმის აღმოსავლეთში გავრცელების პლაცდარმი არა მხოლოდ ევროპისთვის იყო საინტერესო, არმედ თავად საქართველოსთვისაც (18: 59 7-614, 26: 127-131; 27: 133-137). საქართველოს ხელისუფლება დასავლეურ ორიენტაციას მოი-აზრებდა ისლამური აგრესისაგან განთავსუფლების ერთად-ერთ საშუალებად. მართალია, საქართველოს მონაწილეობამ ანტიოქმა-ლურ კოალიციებში წარმატება ვერ მოიპოვა, მაგრამ მის ხელისუფ-ლებას დასავლეური ორიენტაციისაგან გამიჯვნა, არც შემდგომ საუ-კუნები (XVIII ს.) უცდია.

5). XVIII საუკუნე. XVIII საუკუნე ფაქტობრივად წინა საუ-კინებში გამოკვეთილი დასავლეთისაგნ საქართველოს პოლიტიკუ-რი ორიენტაციის გაგრძელებას წარმოადგენს მაპმადიანური რკალი-საგან თავდახსნისათვის. პარალელურად აღნიშნულისა, საქართველო პოლიტიკურ ორიენტაციას ჩრდილოეთისაგნაც ეძიებდა; განსაკუთ-რებით იმ დროს, როდესაც ის ხელმოცარული რჩებოდა ევროპისა-გან.

პოლიტიკური ძიების გზა ძირითადად კულტურული კავშირე-ბის დამყარებაზე გადიოდა. მძიმე პირობების მიუხედავად, ქართვე-ლები ენერგიულად ცდილობდნენ ურთიერთობების დამყარებას პო-ლიტიკურ-კულტურულად დაწინაურებულ დასავლეთ ევროპის სა-ხელმწიფოებთან და სახელმწიფოებრივი აღმავლობის გზაზე მდგომ ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიასთან.

ისლამური იზოლაციისაგან დახსნისათვის დასავლეთის ასპა-რეზზე ქართველ მოღვაწეთა დიპლომატიურმა აქტიურობამ – შედე-გი ვერ გამოიღო და საქართველოს პოლიტიკურ ალტერნატივად ერთადერთი რუსეთის მართლმადიდებლური ქვეყანა დარჩა.

რუსეთის იმპერიის აღმოსავლეური ქრისტიანობის მიმდევარი ხალხების ისლამური აგრესისაგან ე.წ. „დაცვის მისამ“ და „მესა-მე რომად“ გამოცხადებამ, რუსეთს მართლმადიდებელი ერგების თვალში მიმზიდველობა და ავტორიტეტი შესძინა. საქართველოს-

თვისაც რუსეთი „თავის გამოხსნის, დაცვა-გადარჩენის“ ერთად-ერთ ქვეფნად იქცა.

თავის მხრივ, რუსეთში აგრესიული დაპყრობლური პოლიტიკური კურსი შემუშავდა მეზობელი ქვეყნების მიმართ, განსაკუთრებით კავკასიისადმი. მისი პოლიტიკურ-კულტურული ათვისების ცენტრად რუსეთის ხელისუფლებამ საქართველო მოიაზრა და მისი დაქვემდებარების მიმართულებით მიზანმიმართული მუშაობა დაიწყო. (12: 217-219; 28: 607 14, 24, 25).

6). XIX-XX საუკუნის 10-იანი წლები. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო ერთმორწმუნე რუსეთთან დაპყრობილ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველი ერი იმთავითე არ შერიგებია დაპყრობილ მდგომარეობას და დაიწყო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ეს პროცესი რუსეთ-საქართველოს მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა როგორც ფიზიკურ, ისე იდეოლოგიურ ფრონტზე. ქართველი ერის ფურადება მიმართული იყო ეროვნული რწმენის, ფასეულობების, კულტურისა და თვითმყოფადობის გადარჩენა-შეარჩენებისაკენ. ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესში აქტიური ადგილი ეკვა საქართველოს ეკლესიასა და ქართველ სამღვდელოებას. აღნიშნულის შედეგი იყო ქართველი ერის დიდი გამარჯვება – ეროვნული ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენა, რასაც მაღვევე მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაც(9, 24, 25, 13, 37).

7). 1918-1921 წლები. აღნიშნული პერიოდი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებისა და აღმშენებლობის დროა. ახლადაღმოცენტრულ სახელმწიფოს როთული შიდა და გარე ვითარებები შეექმნა. ბურჟუაზიული რუსეთისათვის საქართველო კლავინძებურად რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. რუსეთის პოლიტიკური ძალები ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოს შიდა არეულობის პროცესირებას. ქართული პოლიტიკური ორიენტაციები კლავინძებურად დასავლეთისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ამ მხრივ, მიღებულმა იმედგაცრუებამ საქართველოს ბედი უკუღდა შებრუნა. ყოველივეს შედეგად, 1921 წლის თებერვალში რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და ის ხანგრძლივი დროით მოწყვიტა გარე სამყაროს, ჩაკეტა საბჭოური სისტემის დახშულ სივრცეში.

პირველი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს დამცირავი უარყოფითი წვლილი თავად მის ხელისუფლებასაც მიუძღვის: 1). ქვეყნის სათავეში იყვნენ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, რო-

მელთათვისაც უცხო იყო ეროვნული საკითხი; და 2). ზელისუფლების ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა, ეროვნული ეკლესიის გამიჯვნა სახელმწიფო ინტერესებისაგან, ქართული ეკლესიის ისტორიულ-ტრადიციული ფუნქციის დაკარგვა და ა.შ. (9, 24, 25, 13, 37).

XX საუკუნის 20-30-აანი წლები. მიმდინარე წლებში ყალიბდებოდა საბჭოთა სოციალისტური სისტემა და სახელმწიფოებრიობა, რომლის ნაწილი საქართველოც იყო. ქართველი ერი, ისე, როგორც საბჭოთა იმპერიაში შემავალი სხვა დაპყრობილი ერები ეროვნული შემცენების დისკრედიტაციას განიცდიდა. საბჭოთა იმპერიის იდეოლოგია აგებული იყო საბჭოური ერის შექმნაზე, რომელის კულტურაც ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური უნდა ყოფილიყო. ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიქმნა მებრძოლი ათესტური მოძრაობა, რომელიც მწვავედ დაუპირისპირდა ეროვნულ ეკლესიას, რამეთუ ეს უკანასკნელი ეროვნული კონსოლიდაციის, ეროვნული გრძნობების გაღვივებისათვის იყო მოწოდებული (15, 16, 24, 25, 13).

30-აან წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნული დაუმორჩილებლობების მოძრაობამ სახელისუფლებო რეპრესიები გამოიწვია, რომელსაც ყველა სოციალური ფრინის პროგრესული ძალები ემსხვერპლნენ (15, 16, 24, 25, 13, 38; 39). საქართველოში იდეის გამარჯვებისათვის საბჭოთა ზელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის იერსახის განადგურება დაისახა მიზნად და დაიწყო ეკლესიის მიზანმიმართული მოდერნიზაცია – დისკრედიტაციის მმართულებით მუშაობა. ქართული მართლმადიდებლობა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია, როგორც ეროვნული იდეოლოგიის ბირთვი პოლიტიკური ანგარიშსწორების საკითხი გახდა (29). ქართველი ერი შეძლებასდაგვარად ცდილობდა ეკლესიასთან სიახლოეს, სულიერი სიმშევიდის მოპოვებას, სამომავლო იმედის განმტკიცებას. ქართველმა ხალხმა მთელი შინაგანი ენერგია ეროვნული კულტურის განვითარებისაკენ წარმართა და ცდილობდა პოლიტიკურად ხელსაყრელ გარემოებას სათანადოდ ეროვნულ-იდეოლოგიური, ეროვნულ-მენტალური სიმტკიცით შეხვდოდა.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. აბაშმაძე ვ., ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ., 1992
2. აბდალაძე ა., ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XIს., თბ., 1988
3. ავალიშვილი ა., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989
4. ალექსიძე ზ., კავკასია და ქრისტიანული აღმოსავლეთი IV-V სს. მსოფლიო კრებებს შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 241, თბ., 1983
5. ალექსიძე ზ., რელიგიური სიტუაციების შესახებ VIIს. კავკასიაში, ქურ. მაცნე, ისტორიის სერია, №1, თბ., 1974
6. ბადრიძე შ., საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984
7. ბაქრაძე ა., დავიწყებული იდეა, ქურ. რწმენა, №2, თბ., 1990
8. გამსახურდია ჭ., ქართველობა და უცხოუთის გენია, თბ., ტ. VII, 1966
9. ბენდიანიშვილი ალ; ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921 წწ-ში, თბ., 1980
10. გამსახურდია სვ., წინააზიური, ბერძნული და ქართული სააზროვნო ურთიერთობები. (IV-IX სს.) ქურ. ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, თბ., №3, 1988
11. გვალია ტ., გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1991
12. დარჩია მ., გაიოზ რექტორი, თბ., 1988
13. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1917-1952 წ., თბ., 2004
14. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბ., 2004
15. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია. XXს. ნაწ. I, 1900-1937 წწ., თბ., 2005წ.
16. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთთან და ურუსეთოდ, თბ., 2007წ
17. ვაჩნაძე ნ., სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V-Xს.), თბ., 1998
18. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995
19. კაციტაძე კ., ორიენტაციები, თბ., ქურ. ომეგა, №1, 2000წ

20. ქობალაძე ვ., მართლმადიდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა, №7-9, ობ., 1997წ
21. ლომინაძე ბ., სახელმწიფოსი და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII სს. საქართველოში, კრებული – საქართველო რუსთაველის ხანაში, ობ., 1966
22. ნათაძე ნ., ერი და ეროვნული კულტურა, ობ., 1990
23. პავლიაშვილი ქ., ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში საეკლესიო განხეთქილების მნიშვნელობა (IV-XI სს.), კრებული – კულტურის ისტორიის საკითხები, VIII, ობ., 2000
24. პავლიაშვილი ქ., საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, ობ., 2008
25. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945წწ., ობ., 2008
26. პავლიაშვილი ქ., კათოლიკური ეკლესია და საქართველო, ობ., 1987
27. პავლიაშვილი ქ., „კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე (XIII-XVIII სს.), ობ., 1999
28. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, ობ., 1979
29. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი – 1700, საქმე -1, 22; ფონდი 1818, საქმე 139; ფონდი – 1938, საქმე – 237; ფონდი – 2080, საქმე 149, 157.
30. ყორანაშვილი გ., ეროვნული საკითხი – ზოგადთეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ასპექტები, ობ., 1997
31. ჩიტეიშვილი მ., ქრისტიანული რელიგიის ადგილი ქართველთა მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ჟურ. განთიადი, №8, ობ., 1990
32. ხიდაშელი შ., საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებები ფეოდალურ საქართველოში, ობ., 1989
33. ჯაფარიძე ა., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, ტ. I, ობ., 1996
34. Анучин В., Географический Фактор в развитии Общества, М., 1982
35. Арш Г.А., Предистория Греческого проекта. Век Екатерины II, Дела Балканские, М., 2000 г.,
36. Бушков П.Г., Материалы для новой истории Кавказа 1722 по 1803 год, ч. II, СПб., 1869г.
37. Егоров Вл., к истории провозглашения грузинами автокефалии своей церкви в 1917 г., М., 1917г.
38. Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. IV, Тб., 1937г

39. Постановление Пленума ЦК КПСС. Тезисы ЦК КПСС, М., 1967г.
40. Тойнби А. Джж Постижение истории, М., 1997

**Ketevan Pavliashvili**  
Professor of Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Doctor of Historical Sciences

### **Christianity in Political-Cultural Problems of Georgia**

#### **Summary**

Historically, Georgia happened to face aggression from the diverse world, what effected its culture, religion and accordingly its political orientation.

There is a different viewpoints in scientific circles of the world regarding essence of Georgian culture: 1. A culture appeared as a result of influence of other culture; 2. a result of stratifying of different cultural groups in different epochs; 3. Border type culture; 4. a periphery of some civilization and finally 5. Original, independent culture.

The history of Georgian nation proves that Georgian culture is not among so called "pure" cultures, being established and developed within some civilization. In Georgia located at the crossroad of East and West civilizations the history served for establishment of such a culture, which can be considered to be a border one only. The above determined both raising and solving of political orientation problems of Georgia.

During centuries Georgians had to live in the same cultural surrounding, which presented to be an ideal of the epoch; that's why Georgian nation was simultaneously making cultural-religious, civilization and finally – proceeding from all the latter –political choice. In each period of the history, political-religious orientation selected by Georgia served for establishment of civilized parameters and accordingly, Georgia happened to try its best for making sometimes "West Type" and sometimes "East Type" State model. When discussing civilization paradigms (self-identification, religion, state institutes) established in Georgia during the whole history, we come to a

conclusion, that sometimes it can be considered as a part of east-Christian, Byzantium or other civilization.

Systematic contact with different cultures, intersection of these cultures on the territory of Georgia was a serious danger for originality of Georgian culture but a jeopardy coming from foreign aggressors made for revelation of Georgian political orientation. In such case, when Georgian nation shared a danger of cultural-political aggression, practical arguments were foreground; besides, for survival-preservation of its originality was establishing ideological theories as well.

Georgia is a country of ancient cultural and political traditions. From the very outset in strengthening of national originality Christian religion, church and national clergy had leading role. During centuries, merit of Church made Georgian mentality to raise Christianity on national ground. As a result Georgian national consciousness merged with Christianity and during the whole history became a burden of its life followed.

In the history of Georgia there always were two oppositional realities – in the form of west and east world; accordingly, consciousness of Georgian nation was being established against a background of interaction of impulses coming out these two worlds. In this case Georgian Church had significant role. In determination of country's future fate the church had a leading role and defending traditional values stimulated for strengthening ties with Christian World. In spite of close neighboring relations with East Moslem World Georgian nation never fatally strived for it. Georgians, according to possibilities, always aimed at isolation from the East and connection with the West. Due to the fact, that Georgia always experienced aggression from the East, it's logical that the latter was the enemy for Georgians unlike the distant West.

Due to its location, political choice of Georgia was permanently changing, because selected country always happened to turn into conqueror and the latter had nothing to do, but to search for alternative.

Realizing its geopolitical and geo-strategic advantage and accordingly political interests of outer world towards it Georgian people tried its best to consolidate internal forces and to elaborate such ideological theories, which would protect the Caucasus in general from globalization processes. Such idea was creation of united Caucasian State. The latter was more-or-less founded (XI-XII cen.), but the world processes actually eradicated possibilities of its future existence.

Searching for Georgian state political orientation the nation made selection on the Europe, because the latter seemed to be an ally for

Georgia in aggression coming from the East. Georgian and foreign sources stated that beginning from Middle Ages Georgia's state thinking was always definitely attracted towards the Europe. In this case Christianity and Georgian clergy is of leading role as always. Georgian spiritual cloisters located abroad, diplomatic agencies and Georgian monk hood took upon diplomatic mission. They were acting as mediators between Georgia and Europe and were searching for "ties" with Catholic Church. In this case it's enough to name lively ties of Georgian monks from Holy Athos with black monks (Benedictines); also activities of great Georgian liberator monks Peter the Iberian and Ioane Mtatsmindeli in the field of international-ecclesiastic diplomacy.

Appearing of west orientation in state thinking of Middle Ages Georgia was a sign of searching for political partner by the Power. It's significant, that Georgia was not seeking for protector, but for political ally and considered the west, the Europe to be the latter. The reason for the above can be laid in the environment, in which Georgia used to live during ht middle ages. The Europe was a political alternative for Georgia tired from so called "protection" of coreligionist Byzantium and from obvious aggression of East World. The examples of the above can be found both in Georgian and in foreign sources. For example, according to Norman chronicles (1136) in 1123-1124 Georgian king David IV and a brother of Cilician prince by common efforts were releasing knights being in captivity by Sultan; also in epistle of June 7, 1211 the Pope was applying to Georgian King for defending the Holy Land. European sources mention Georgian king – a certain Ioane (according to Georgian historiography under Ioane there is meant David IV or his son Demetre) the same Pex David, who was considered to be a savior of Europe from Mongols etc. Thus, aspiration of Georgians towards the west and regarding the Europe as ally by state Georgian thinking is obvious. The other issue of the survey is whether close ties with Europe would provide for assimilation of Georgian nature with west civilization and accordingly alteration of civilizational characteristics (east-Byzantium-orthodox) in Georgia.

Besides of the above, Georgia did not give up cultural and political traditions and remained devoted to Orthodox Christianity and this revealed main stages of Georgian religious-state consciousness. These stages in accordance with epochs determined political orientations revealed in different forms. At all stages Georgia was not radically isolated from the opposite world and was parrying coming aggression using manoeuvring method.

სოფიო ანდლულაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის 20-იან  
წლებში და ეპისკოპოსი სტეფანე ბოლგელი  
(ვასილ კარბელაშვილი)**

საუკუნების მანძილზე ქრისტიანულმა ეკლესიამ სახელმწიფოსთან ურთიერთობის როული და წინააღმდეგობრივი ეტაპები განვლო. ეკლესიის საერო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების უმთავრესი ასპექტები უპირველეს ყოვლისა ახალი აღთქმის ტექსტებშია საძიებელი. სახელმწიფო ქრისტიანული შოთვლმხედველობის აღმოცენება და ჩამოყალიბება კი იმპერატორ კონსტანტინე დადიას (306-337) მოღვაწეობიდან იღებს სათავეს. დროთა განმავლობაში, სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დამოკიდებულების ფორმებიც. უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობის მტკიცე გარანტის ქვეყნის დემორატიული სტრუქტურების არსებობა განაპირობებს. დემოკრატიული მმართველობა, რომელიც ხალხის თავისუფალ ნებას და პრინციპებს ეფუძნება, ხელს უწყობს ეკლესიის თავისუფალ და სტაბილურ თანაარსებობას სახელმწიფოსთან, ხოლო რაც უფრო ტოტალურია სახელმწიფო მმართველობა, მით უფრო დევნილი და შევიწროვებულია ეკლესია, რამეთუ ასეთი ხელისუფლება ერთპიროვნულ ან კლანურ მსოფლმხედველობაზე აგებულ დამოკიდებულებას გამოხატავს ზოგადად სარწმუნოებისა და ეკლესიის მიმართ. ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზეც უპირველეს ყოვლისა ამ უმნიშვნელოვანეს ასპექტში განიხილება და მათ შორის ურთიერთობის დეტალებზე მსჯელობა სწორედ აქვთან უნდა დავიწყოთ.

საქართველოს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქლასიკური მართლმადიდებლური ქვეყნის ნიმუშად მოიაზრება და შესაბამისად მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს ნაწილს შეადგენს, საქმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ოვალსაზრისით. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორია, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრით განსხვავდება მსოფლიო საქრისტიანოს დანარჩენი ნაწილის ისტორიისაგან, მაგრამ ეს დასკვნა მხოლოდ ზედაპირულა.

არსებული საკითხის ღრმა და დეტალური შესწავლა, რომელიც თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ თავისი არსებობის მანძილზე ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და მრწამისის განსაკუთრებული სიმტკიცით დაცა-შენარჩუნებამ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას საერო ხელისუფლებასთან დამტკიცებულების უაღრესად ბრძნული და დახვეწილი მეორე ხერხით გამოუმუშავა, რამაც ურთულესი მსოფლიო პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხდავად, განაპირობა არა მხოლოდ ეკლესის თვითმყოფადობა და მთლიანობა, არამედ მისი მაღალი ავტორიტეტი სახელმწიფოში.

აღნიშნული საკითხის კვლევისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთის ზედმიერებით შესწავლას ამ მიმართულებით, რაც ზემოაღნიშნულ დასკვნს უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს. მთი უმტეს, რომ ისტორიას გარკვეულწილად განმეორებადობა ახასიათებს და წარსული გაკვეთილების გათვალისწინება სამომავლოდ სწორი კონტურების მოხაზის საუკალებას მოგვცემს. ჩვენი კვლევის პერიოდი, XX საუკუნის 20-იანი წლები, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისა და განმტკიცების აქტუურ პერიოდს წარმოადგენს, საინტერესოა აღნიშნული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ პერიოდში მოღვაწე სასულიერო იერარქთა შეხედულებები ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ, იმ გზებისა და საჭალებების განხილვა-განალიზება, რამაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არა მხოლოდ გადაარჩინა ფიზიკური განადგურებას, არამედ, გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა სახელმწიფოსთან ჯანსაღი და სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად. გვინდა ყერადორება გავამახვდოთ აღნიშნული ეპოქის ერთ-ერთი ოვალსაჩინო სასულიერო პირის. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილის) მოღვაწეობაზე ამ მიმართულებით. გავააღმინოთ, თუ როგორ ხდავდა ის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დარღველირების პრობლემის გადაწყვეტას საქართველოს ისტორიის ამ უკიდურესად რთულ პერიოდში და ზოგადად რა წვლილი შეიტანა მან ეროვნული ეკლესიის გადარჩინის საქმეში.

ვიდრე უშუალოდ აღნიშნული პერიოდის განხილვას შეუდგებით, მოკლედ გავაშექმნათ იმ ეტაპებს, რაც საქართველოს ეკლესიამ რუსეთის თვითმყობელური რეჟიმიდან მოყოლებული ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებამდე განვლო. იმდენად, რამდენადაც საქართველო რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში მოიაზრებოდა, შესაბამისად, მისი ეკლესიაც, დამოუკიდებლობა დაკარგული

და უფლებააყრილი, რუსეთის ექლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ეს ის დროა, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს მიერ ეკლესიის ბიზანტიური “ჩახუტება” უკიდურეს ზღვრამდე იყო მისული [3; 23-25]. “საქართველოს საეგზარხოს” სახელწოდებით არსებული დევნილი და შევიწროვებული საქართველოს ეკლესია კი თავისუფლების აღსაღენად იძრძოდა. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა 1917წლის 12 მარტს ავტოკეფალიის გამოცხადებით დაგვირგვინდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესიასა და სახელმწიფოს მორის გარკვეული პრობლემები წარმოიშვა (ეკლესიის აღვილი სახელმწიფოში, საკლესიო ქონების საკითხი, ეკლესიისა და საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთობა და სხვა). შემდეგში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის (1918-1921) მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, ანტისრწმუნობრივი ხასიათის მოქედავად, ეკლესიას მაინც აძლევდა არსებობის საშუალებას. 1920 წლის 19 ნოემბრის პროექტით ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, საქართველოს ეკლესია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად ცხადდებოდა არა მარტო მატერიალურად, არამედ იგი განთვისუფლებულ იქნა სახელმწიფო ფუნქციებსგანაც (ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება და სხვა). მართალია ამ პროექტის ძალით საქართველოს ეკლესიას არსებობის სახსარი გამოეცალა, მაგრამ მას უფლება ეძლეოდა შეექმნა სამრევლოები და საზოგადოება-კავშირები. ამ უკანასკნელთ იურიდიული პირის უფლება ენიჭებოდათ და ექვემდებარებოდნენ საერო ხელისუფლებას. იმ დროისათვის აღნიშეულ პროექტს ქართველი სამღვდელოების პროტესტი მოჰყვა. მენშევიკური მთავრობისაგან განსხვავდით, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხს ქართველი სამღვდელოება ასეთ ფორმულირებას უკეთებდა: ეკლესიის სრული ჩაურევლობა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც მხოლოდ საზოგადოების სარწმუნობრივ-ზეორივი კულტურისა და აღზრდა-განსპერაციისათვის უნდა ეზრუნა. თავის მხრივ, სახელმწიფოც უნდა გათავისუფლებულიყო ყოველგვარი საეკლესიო-სარწმუნოებრივი ხასიათის ფუნქცია-მოვალეობისაგან. ასეთნაირად გაგძიებით და წარმოდგენილი ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს მორის არამც თუ აძლევდა სახელმწიფოს ნებას წაერთმია ეკლესიისათვის კუთვნილი ქონება, ან ახლის შეძენის საშუალება მოესპო, არამედ ეკლესიის შენახვისგანაც არ ათავისუფლებდა მას [6]. ჩვენს მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული მმართველობის პერიოდში, სადაც საქართველოს ეკლესიაში მოღვაწე იმდროინდელ სამღვდელოებასთან ერთად, წარმოჩნდილია ეპისკოპოსი

სტეფანე ბოლხველის (ვასილ კარბელაშვილი) შეხედულებები და მო-  
საზრგებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირდებით [2; 105-114].

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, რუსთის მიერ საქართვე-  
ლოს ანექსის შემდეგ, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთი-  
ერთობა უკიდურესად დაიძაბა. საქართველოს რევოლუციის 1921 წლის  
15 აპრილის დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია  
იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად გამოცხადდა. თუ  
მენტევიკური მთავრობის დროს მართლმადიდებელი ეკლესია გათანაბ-  
რებულ იქნა სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან, ბოლშევიკური რე-  
ჟიმის დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო სასტიკი ბრძოლა  
რელიგიის წინააღმდევე. კომუნისტური სისტემა რელიგიისადმი  
მტრულ სახელმწიფო სისტემას წარმოადგენდა, რომელმაც ეკლესია  
კონტრრევოლუციურ ძალად გამოაცხდა. ზემოაღნიშნული დეკრეტი  
სინდისის თავისუფლებაში ანტირელიგიურ და ათეისტურ გაგებას  
გულისხმობდა. სინდისის თავისუფლება არ იყო თვითონეულისათვის  
სამართლებრივად უზრუნველყოფილი ავტონომია, რომელიც საშუა-  
ლებას იძლეოდა წესჩეულებისა და რელიგიური პასუხისმგებლობის  
გათვალისწინებით არჩევანი გაეკეთებინათ ჭეშმარიტად შეცნობილის  
სასარგებლოდ. იგი უფრო ნიშავდა სინდისის თავისუფლებას რალი-  
გიისაგან [7; 49]. სახელმწიფოსაგან ეკლესის გამოყოფის პრინციპი  
ნიშავდა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის ფეხულა სფე-  
როს სეკულარიზაციას. ამ დროისათვის ეკლესის სტატუსი განი-  
საზღვრებოდა დევიზით: ”კიოსრს კიოსრისა და ღმერთს ღვთისა”.  
სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული  
ორი რადიკალურად განსხვავებული სფერო გახდა. ეს იყო მდგომა-  
რეობა, რასაც პრაქტიკულად და სულიერი თვალსაზრისით განიც-  
დიდა თავდაპირველი ეკლესია, ანუ სახელმწიფოსაგან თავისუფალი,  
მაგრამ დევნილი და შევიწროვებული ეკლესია, რომელმაც იცის  
სოფლის ბუნება და ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ყოველი ამ-  
ჰვეჭნური ხელისუფლება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ერთის  
მხრივ მიწიერია და მეორე მხრივ იგი ღვთისგანაა (რომ. 1:1) [3; 23-  
25]. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლე-  
სის ამ პერიოდში მოღვაწე სასულიერო კრებული, რომელიც  
ბოლშევიკური წნების პირობებში ცდილობდა გამოსავლის პოვნას.  
საბჭოთა იმპერიის მსშტაბით გაჩაღებული ანტისარწმუნოებრივი  
პოლიტიკა დამანგრეველი ძალით ემუქრებოდა არა მხოლოდ რუსულ,  
არამედ მის პერიოდში შემავალ კროვნულ ეკლესიებსაც. აღნიშ-  
ნული პოლიტიკა XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ორ ეტაპად  
წარიმართა, რომელთაგან პირველი მეტად უხეში და ძალადობრივი

ფორმებით გამოიხატა და იგი ლენინ-ტროცქის სახელებს უკავშირდება. მეორე ეტაპი, რომელიც 1922 წლიდან დაიწყო და სახეშეცვლო-ლი ფორმით, თუმცა იგივე შინაარსით განაგრძობდა უკლესის დეენა-შევიწროვებას, სტალინური საეკლესიო პოლიტიკის დასაწყისად არის მიჩნეული. ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფოს მეთაურის წინაშე დადგა საკითხი ეკლესის სფეროში რეფორმების გატარებისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო საეკლესიო ორგანიზაციის არსებობა და მისი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში ჩართვა [5; 445]. როგორც ცნობილია, ასეთი პოლიტიკის წყლობით, რესული ეკლესის წიაღში განხეთქილება (სქიზმა) წარმოიქმნა და იგი ტრადიციული მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელ ეწ. “ტიხონოველებად” და “ობძოვლენტბად” გაიყო. ეს უკანასკნელი იყო სწორედ ის ახალი მოდერნიზტებული ეკლესია, რომელსაც საბჭოური ავტორიიტარული სისტემის იდეოლოგის ფუნქცია უნდა ეტვირთა. ყველაზე უძალავრესი, რითაც იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა ტრადიციულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გახლადათ ის, რომ “ობძოვლენტბას” ანუ “განმახლებელთა მოძრაობის” წარმომადგენლებს ვალებოდათ ქრისტიანული სწავლების შინაარსისა და ხასიათის შეცვლა-შელამაზება კომუნისტური იდეალებით, რაც მიუღებელია ზოგადად ქრისტიანული სწავლების ნორმებით.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა იმპერიის მასშტაბით წარმოებული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეროვნულ ეკლესიასაც, რომლის შეგნითაც ოპოზიციურად განწყობილ სამღვდელოთა ფრთა ჩამოყალიბდა. მის წარმომადგენლოად ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელიც (ვასილ კარბელაშვილი) გვევლინება, რომელიც 1926 წლის დეკემბერში ქ. ქუთაიშში გამართულ საეკლესიო კრებას დაესწრო. ოპოზიციური ფრთის ჩამოყალიბება საქართველოს ეკლესიაში განპირობებული იყო სამღვდელოებას შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გამო, რაც არ შეიძლება გაიგივებულ იქნას რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესთან. ოპოზიციურად განწყობილ სამღვდელოებას გაუმართლებლად მიაჩნდა ეკლესიის აშკარა დაპირისპირება საერო ხელისუფლებასთან, რადგან არსებული პოლიტიკური რეალობა აიძულებდ მას შეეცვალა ბრძოლის ტაქტიკა. ამ უკანასკნელის აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წმიდა კათალიკოს-პატრიარქ ამბოსის (ხელაია) მიერ გენიუს საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის შემდეგ გამოიკვეთა. სადაცოდ არ მიგვაჩინა იმაზე მსჯელობა, რომ ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების პირველ ეტაპზე, კათალიკოს-პატრიარქ ამბოსის (ხელაია) მიერ განსაკუთრებული სიმამაცით

გაუდერებულმა პროტესტმა მსოფლიო საზოგადოების მიმართ პირნათლად შესრულა თავისი როლი. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საპროტესტო ნოტა იმის მანიშნებელი გახლდათ, რომ საქართველოს ეროვნული ეკლესია, რომელიც საუკუნეების მანძილზე მტკიცედ იდგა ქართული სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე, იოლად არ დასთობდა და პირიცხებს. მაგრამ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მკაფიოდ გამოიკვეთა იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს ეკლესიას ლიოალური კურსი უნდა აეღო სახელმწიფოსთან მიმართებაში. ლიოალობა გულისხმობდა საკუთარი პოლიტიკური და ზნეობრივი კრიტერიუმების არსებობის პირობებში აშკარად, რადიკალურად არ დაპირისპირობდა გაბატონებული პარტიის იდეოლოგიას, კომუნისტურ სახელმწიფოს [4; 403].

ქართველ სამღვდელოთა ოპოზიციური ფრთის მიერ 1926 წლის დეკემბერში გამართულ კრებაზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), შექმნა სრულიად საქართველოს ეკლესის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს (ციცქაშვილი) თავმჯდომარეობით. მის თანაშემწედ კი დადგენილ იქნა სტეფანე ბოდბელი. ჩვენ შევისწავლეთ და გავანალიზეთ ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის მონაწილეობა აღნიშნულ კრებაზე, სადაც შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ მისი როლი ამ პროცესებში [1; 252-259], ამიტომ მასზე აღარ შევჩრდებით. საგულისხმოა, რომ “ქუთაისის კრებაში” აქტიური მნაწილეობის მოუხდავად, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი მკეთრად რადიკალურ და უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღანებდა ახალი ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ. ერთ-ერთ მიმართვაში საეპარქიო კრების მიმართ იგი აღნიშნავდა, რომ ახალი პოლიტიკური რეჟიმი უკიდურესად სახითათო იყო, რომელიც ძირითად იღებდა კაცის გულიდან სარწმუნოებას, ანადგურებდა და ანგრევდა მის ოჯახს და აყორავბდა მის ზნეობას, იმიტომ, რომ ისინი ქრისტეს გარეშე ამგვიდრებინენ ახალ “ქრისტიანობას” [9; 12-20]. “... მათი მისწრაფება არის დაამყარონ მთელ ქვეწიერებაზე სოციალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს ლეში და მისი ფუფუნება, ხოლო სულზე ზრუნვა მთ ჭირ ტყემლის ფასადაც არ უღირთ (მიაჩნიათ); ქრისტეს მოძღვრებით კი სული უდიდესი ფაქტორია კაცის ცხოვრებაში, რომელშიც უნდა გამოსჭვიოდეს ვითარება უფრორე სულისა, ვიდრე ხორცისა” [10; 268-273] – აღნიშნავდა იგი. ისტორიული გამოცდლების გათვალისწინებით მას სჯეოდა, რომ ურწმუნოება საბოლოოდ გამარჯვებას ვერ მიაღწევდა [9; 12-20]. იგი მიიჩნევდა, რომ არსებულ რეჟიმთან დაპირისპირება ისევ ეკლესის გადარჩნითა და

გაძლიერებით იყო შესაძლებელი. საამისოდ საერო ხელსუფლებასთან ურთიერთობა უაღრესად ფრთხილი და დიპლომატური ფორმით უნდა წარმართოდა. მას მიაჩნდა, რომ ქართულ ეკლესიას მოხერხებულად უნდა აევლო გვერდი მოდერნიზაციის შეუქცევადი პროცესისას-თვის, რასაც ასე ესწრაფოდა ბოლშევიკური ხელისუფლება და ქრისტიანული მსოფლიშედველობის შეუცვლელად, საეკლესიო კანონების განუხრელი დაცვით უნდა ებრძოლათ ურწმუნობის დასაძლევად. ეპლესის მსახურთა გარკვეულ დათმობებზე წასვლა კი იმის გათვალისწინებით უნდა მომზდარიყო, რომ დოგმატური სწავლება არ დამახინჯებულიყო.

ამ პერიოდში ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის მთელი ძალის-ხმევა საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული სარწმუნოებრივი ხასიათის დეკრეტების რეალური წარმართვისაკენ იყო მიმართული, რადგან ეკლესიას და სახელმწიფოს ურთიერთობას სწორედ აღნიშნული დეკრეტების საფუძველზე ხდებოდა. მაგრამ ხელისუფლების მიერ გამოცემული სარწმუნოებრივი ხასიათის დეკრეტები ფორმალური იყო და ცხოვრებაში მისი პრაქტიკული განხორციელება არ ხდებოდა. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის, როგორც ბოდბის ეპარქიის მმართველი მღვდელმთაგრის პირად არქივში მრავლად გახვდება მისი მიმართვები როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე საკავშირო ხელისუფლების ორგანოების მიმართ, სადაც აღნიშნულია ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა უფლებების უხეში დარღვევის, მათი დევნა-შევიწროვების, ეკლესიათა ნგრევისა და დაზურვის ფაქტები. მას კარგად ესმოდა, რომ ადგილებზე გამოვლენილი უამრავი შემთხვევა ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა შევიწროვების შესახებ, სწორედ ცენტრალური ორგანოებიდან წამოსული დირექტივა იყო და არა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების უპასუხისმგებლი და გულგრილი დამოკიდებულების შედეგი, მაგრამ რადგანაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საურთიერთობო ენა იმ დეკრეტებზე გადიოდა, რასაც საკავშირო ცენტრალური ორგანოები გამოსცემდნენ, ამიტომ ის იძლებული იყო რეაგირება სწორედ მათგან მოეთხოვა. მნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იძროონდელ ღვთისმსახურთა გაუსაძლისა მდგომარეობა თუნდაც იმ ფაქტიდნ გამომდინარე, რომ მღვდელმთავრებს საერო ხელისუფლების ნებართვის გარეშე ტაძრებში შესვლა და ღვთისმსახურების აღვლენა ეკრძალებოდათ. 1927წ. 20 მაისს, №189 მიმართვის საფუძველზე, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი, როგორც ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი, სიღანის მაზრის პროკურორ კონსტანტინე გოგიშვილისაგან ნებართვას ითხოვდა წმიდა ნინოს ეკლესიის მოსალოცად და ღვთისმსახუ-

რების აღსავლენად [9; 198]. მის არქივში მრავალი ამგვარი დოკუ-  
მენტი მოიძებნება სხვადასსხვა თანამდებობის ქონე საერო ხელისუ-  
ფალთა სახელზე, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დეპრეტების გათ-  
ვალისწინებით სათანადო რეაგირებას მოითხოვდა ღვთისმსახურთა  
და მორწმუნეთა დევნა-შევიწროვების, ეკლესიათა დახურვის და სხვა  
გამოვლინებების შესახებ. წერილებიდან და მიმართვებიდან ნათლად  
ჩანს, რომ ყველა ეპარქიაში, მორწმუნეთა შორის დაპირიპირება და  
შფოთის შეტანა გარეშე პირთა მეშვეობით, ხელოვნურად ხდებოდა.  
განსაკუთრებით რუსი და ქართველი ეროვნების მორწმუნეთა შორის  
[9; 60]. 1925 წლის დეკემბერში ბოდის საეპარქიო კრების წარმო-  
მადგენლები ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს შემდეგი შინაარსის წე-  
რილს წერდნენ: “... კარგა ხანია მთავრობამ გამოსცა დეპრეტი-ინ-  
სტრუქცია შესახებ ეკლესიების განნისა, ქინების ჩაბარებისა და სა-  
რელიგიო მოთხოვნილებების დაგმოყოფილებისა, მაგრამ რა მიზეზია,  
რომ ყველგან ვერ ეწყობა და კალაპოტში ვერ დგება. ამის მიზეზია  
ვიღაც ბოროტი ენების გავლენა ”მთავრობა გატყუბოთ“. ჩვენ ბოდ-  
ბის ეპარქიის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებული გთხოვთ უმორჩი-  
ლესად, მიიღოთ მამობრივი ზრუნვა და შრომა, რომ მოახსენოთ, სა-  
დაც ჯერ არს, რომ ალაგონ ამგვარი ბოროტი “ბაცაცა მოლაპარაკე-  
ნი” და მთავრობისა განკარგულებისა არ აღმასრულებელი, რითაც  
ყოველი პატივისცემა და ძალა ეკარგება კანონსაც და კანონის ძე-  
ბელსაც ” [8; 130]. როგორც ჩანს, მორწმუნეთ გულუბრყვილოდ  
სჯეროდათ, რომ აღნიშნული პროცესები, რომელიც დესტაბილიზაცი-  
ას იწვევდა ეკლესიაში, მხოლოდ პროვოკატორთა, ეწ. ”ბაცაცა მო-  
ლაპარაკეთა“ მეშვეობით ხდებოდა, რომლებიც ხელს უშლიდნენ  
მთავრობის განკარგულებების შესრულებას და მღვდელმთავარს  
თხოვნით მიმართავდნენ, რათა სათანადო რეაგირება მოეხდინა ყოვე-  
ლივე ზემოაღნიშნულზე.

ეპისკოპოსი სტეფანეს ალავერდის ეპარქიაში მოღვაწეობის პე-  
რიოდს განკუთვნება მისი მოხსენება სსირ აკ ცაფის თაგმვდომარის  
მიხა ცხაკაიას მიმართ, სადაც ის მოითხოვდა 1918 წლის 23 ან-  
ვრის ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და სასწავლებლის  
ეკლესიისაგან ჩამოშორების კანონის შესრულებას და ცხოვრებაში  
გატარებას. ასევე ყველა სხვა დანარჩენი კანონისა და დეპრეტის გან-  
კარგულებების უკლებლივ შესრულებას როგორც უმაღლესი ხელ-  
მძღვანელობის მხრიდან, ისე მათი ქვეშევრდომებისაგან. ალავერდის  
ეპარქიის მდგომარეობის მაგალითზე იგი განიხილავდა ეკლესიებისა  
და ღვთისმსახურთა გაუსაძლის მდგომარეობას სრულიად საქართვე-  
ლოში. მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ ყოველივე ამას აღგილობ-

რიგი ხელისუფლება დუქმილით და გულში სიხარულით ხვდებოდა, რომელსაც ავიწყდებოდა რომ ასეთი საქციელი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს კანონმდებლობის შეგინება და გაქირდვა იყო. იგი თხოვნით მიმართავდა მისა ცხაკაის რათა ჯეროვანი განკარგულება მოუხდინა მისდემი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და აღმასრულებელ ორგანოებზე ყველა გაუგებრობისა და უსამართლობის თავიდან ასაცილებლად, რათა ხელი აეღოთ სარწმუნოებისა და მორწმუნე ერის გამასხარავებაზე, ეკლესიების ნგრევაზე და ა.შ. [10; 90-91]. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1923წელს, ეპისკოპოსმა სტეფანემ იგივე შინაარსის წერილი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს იბ. სტალინსაც გაუგზავნა, სადაც გაბეჭდულად გაილაშქრა საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის წინააღმდეგ [13].

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების დარეგულირებას ეხებოდა აგრეთვე მის მიერ სხვადასხვა დროს შედგენილი პროგრამები, პროექტები და წესდებები. ამ საკითხებზე ფურადწების გამახვილებას იგი საეკლესიო კრებებზეც მოითხოვდა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად ღონისძიებებს სახავდა [12; 101]. ამავე საკითხს ეძღვება სრულიად საქართველოს ტერიტორიალურ ავტოკუფალურ ეკლესიათა ეპისკოპოსთა კრებისათვის მის მიერ შექმუშავებული პროგრამა-წესდება, რის მიხვდითაც კრების თვითონეულ წევრს უნდა მიემართა სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარებებისათვის და ეცნობებნათ საქართველოს ეკლესიის მთელ ტერიტორიაზე, ადგილობრივ ეპარქიებში არსებული მძიმე ვითარება. პროგრამა-წესდებაში მას პუნქტობრივად აქვს ჩამოყალიბებული ყველა ის ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობდა ეპლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობის დარეგულირების პროცესს [11; 27].

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლებში, სახელმწიფოსა და ეპლესიას შორის უკიდურესად დაბაბული ვითარების მოუხედავდა, იმდროინდელი საქართველოს ეკლესიის სასულიერო კრებულის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს არსებული ვითარების ეკლესიის სასარგებლოდ შემობრუნება და გამჭრიახვა, დიპლომატური პოლიტიკის წყალობით, შეინარჩუნეს ეკლესიის მთლიანობა და სიმტკიცე. ამ პერიოდში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ სასულიერო პირთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელს (გასილ კარბელაშვილი), რომელმაც სწორად აუღო აღდღო იმხანად შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას და როგორც საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთმა მაღალმა იერარქმა, სახელმწიფოსთან

ურთიერთობა იმგვარ კალაპოტში წარმართა, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის დაცვა-შენარჩუნების პირობებში, ხელი შეუწყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების დარგულირების პროცესს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდოულაძე ს., “ქუთაისის კრება” (1926წლის დეკემბერი) და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (გასილ კარბელაშვილი), ქრისტიანობის კვლევები II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიციარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბ., 2009;
2. ანდოულაძე ს., ვასილ კარბელაშვილის მოსაზრებანი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში (1918-1921), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, თბ. 2004;
3. გინაძე ზ., ეკლესია სახელმწიფოში, საერთაშორისო კონფერენცია “რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში”, 2004წ. 4-7 თებერვალი, თბ.2007;
4. ნათმელაძე მ., დაუშვილი ა., ჯაფარიძე მ., წენგუაშვილი კ., საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ. 2008;
5. პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ.I, თბ. 2008;
6. სსცუა, ფონდი №1459, აღწ'1, საქმე №41;
7. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფო და რელიგია, თბ.2001;
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №54;
9. იქვე, საქმე №55;
10. იქვე, საქმე №56;
11. იქვე, საქმე №59;
12. იქვე, საქმე №66;
13. იქვე, საქმე№371.

**Sophio Andghuladze**  
Doctor of History

**The Relations of the Church and the State in the 1920s  
and the Bishop of Bodbe Stephane  
(Vasil Karbelashvili)**

**Summary**

The 20's of the 20<sup>th</sup> century were the years of active establishment and strengthening of the totalitarian Bolshevik regime that influenced all spheres of social and political life of the country. This influence was much vulnerable for the traditional Orthodox Church of Georgia as the Communist system was a hostile state system towards religion. Bolshevik government announced the church as a counterrevolutionary force and broke a merciless war towards it and clergy. In such circumstances the necessity of clergy's consolidation to rescue the church was inevitable as ever before. Very often it was equal to selflessness. Despite the extremely tense relations between the church and the state the spiritual fathers of those days Church of Georgia could manage to change the situation in the favor of the church, to maintain the unity and firmness of the church that was the result of their wise, diplomatic police.

Among the prominent Georgian religious figures of those days the Bishop of Bodbe Stephane (Vasil Karbelashvili) is worthy of special note. He could manage to become aware and understand the whole difficulties of those days political situation. As one of the high hierarchs of the Church of Georgia he could manage to lead the relations of the church and the state in the right channel so that to defend and maintain Christian outlook He also promoted the regulation of the church and the state relations.

ირმა კეცხოველი  
საქართველოს ტექნიკური უნივერ-  
სიტეტის პროფესორი

**ქართველი ქალი და ქრისტიანული მრწაში**

ყოველ კულტურას აქვს თავისი რწმენა-წარმოდგენების სისტემა სამყაროზე, ისტორიაზე, მათ შორის, სექსთა ურთიერთობაზეც. ეს წარმოდგენები ყალიბდება მთელი მისი არსებობის მანძილზე და გადმოიცემა მენტალიტეტის შინაარსის სახით, რომელიც თავისთავად მოიცავს ფსიქიკის, როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ პლასტებსაც.

მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ის რელიგიური წარმოდგენები, რომელსაც აღიარებს და მისდევს მოცემული კულტურა; რელიგიური მსოფლიშედველობა წარმოადგენს ერთგვარ ზნეობრივ ნორმას, ზნეობრივი პრინციპების ერთიანობას, რომელიც საფუძვლად ედება საზოგადოების არსებობის სხვადასხვა სფეროს. განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესს, დაწყებულს სამართლებრივი სფეროთი და დამთავრებულს ყოველდღიურობით. შესაბამისად, კულტურული მენტალიტეტი მოიაზრებს გარკვეულ ცრურწმენებსაც და სტერეოტიპებსაც, დამახასიათებელს ამ კულტურის მატარებელი ხალხისათვის. აქედან გამომდინარე, ისტორიულად ეპოქათა კვალი რჩება კონკრეტული ხალხის ფსიქიკში და, შესაბამისად, აისახება ცხოვრების წესში.

ქალის ტრადიციულ იმპერატივებს ქართულ აზროვნებაში ადგილი იმან განუმტკიცა, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველო ღვთისმშობელ მარიამის წილმხვედრილ ქვეყნად აღიარა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოწიწება და თაყვანისცემა იმითაც წარმოჩნდა, რომ მის სახელზე უამრავი ტაძარია აგებული საქართველოში. ისიც აღსანიშნავია, რომ IV საუკუნის I მეოთხედში ღვთის განგბით ღვთისმშობლის მონაცელებად ქალი იქნა წარმოდგენილი, ქართველთა განმანათლებლობის უწმიდესა მოვალეობა წილად ხვდა კაბადოკილ წმინდა ნინოს, რომელიც მოციქულთა სწორადაა მიჩნეული წყაროებში, ხოლო ზოგიერთი მოციქულადაც აღიარებს, მაგალითად, ნიკოლოზ გულაბერისძე, არსენ ბულმაისიმის ძე [სულავა, გვ. 28-43].

ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ სახელმწიფოებრივ რელიგიად IV საუკუნის დამდევს გამოცხადდა, 325 წლის ნიკეს I

მსოფლიო საექლესიო კრებიდან ერთი წლის შემდეგ, 326 წელს. „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „მოქცევა ქართლისა “ დაწვრილებით მოგვითხრობენ წმინდა ნინოს მიერ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება „საკითხავი სეუტისა ცხოველისა, კურთისა საუფლო სა, და კათოლიკე ეკლესისა “, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, თმარის გამეფებასთან დაკავშირებით დაიწერა.

ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გააძახვილა ნიკოლოზ გულაბერისძის საძიებელ პრობლემაზე, თუ რატომ მოავლინა ღმერთმა საქართველოში ქალი განმანათლებლად? კათალიკოსი წერს: „ პირველად ესე საძიებელ არს, თუ რადასათვეს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუქნდა მომართ, რომელი-ესე გონიერად ისმინნეთ. უკუეთუ ღმერთმან ინებოს გულისხმისყოფად ჩუქნდა, უგუნურთა განმაბრძნობელმან, რამეთუ თქუმულ არს ესე, ვითარცა უწყით, ჭეშმარიტი და უცილობელი, ვითარმედ შემდგომად ვნებისა ღმრთისა და მცხოვრისა ჩუქნისა იესუ ქრისტ სსა და აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა მისისა ბრძანებითა უფლისამთა კიდეთა ჭევყნისათა წარივლინნეს მოციქულნი ისრად რჩეულად და ელვად ნათლისად თითოეულსა ადგილსა, ვითარცა სული მისცემდა“ [გულაბერისძე, გვ. 11].

ნიკოლოზ გულაბერისძემ ირი მიმართულება გამოკვეთა:

1. „მას ჟამსა უკუე ყოვლად სანატრელი იგი და უფრო სად კურთხეული დედა ღმრთისა ცა სურვიელ იყო და მეცადინებდა წარსლვად ქადაგებად ძისა მისისა ღმრთეებისა და გულისთქუმით წადიერ იყო აღმოსავალით კერძოთა მათ წარმოსლვად შესაბამისობისათ ს სახელისა მისისა, ვითარცა იწოდების აღმოსავალით მზისა სიმართლისა“ [გულაბერისძე, გვ. 12]. როდესაც საქართველოს მოქცევის საბოლოო ჟამი მოახლოვდა, „ ხოლო ვინამოთვან იგი დედაკაცი იყო ყოვლადსანატრელი და კურთხეული, უზეშმაესი იგი დედათად და მამათად და ზეცისა ძალთადცა, ამისთვისცა უკუე უკუნადსენელთა ჟამთა, რაჟამს ღმერთმან ინება წყალობად და ცხორებად ნათესავისა ჩუქნისად, დედაკაცივე წარმოავლინა, ვითარ ვპგონებ მე, გამოთხოთ და ხუაშნითა დედისა ღმრთისამთა ძისა თვისისა თანა, ვინამოთვან ნაწილიცა იყო დედისამ ღმრთისა; ამისთვეს უფროვსლა საგონებელ და საეჭუელ არს და ესე არს ერთი ჭეშმარიტი და უეჭუელი მზიზნა“ [გულაბერისძე, გვ. 12].

2. მეორე ჭეშმარიტ მიზეზად ნიკოლოზ გულაბერისძე ასახელებს ქართველთა თვისებებს: „ხოლო მეორე და უჭეშმარიტესი ესე

არს, ვინაოთგან ყოველთა ნათესავთამასა უმშნვარესნი და უველურესნი იყვნეს ესე ნათესავნი, ამისთვისცა დედაკაცი წარმოავლინა, რამთა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძალი ღმრთებისა მისისამ და არავისი ენად კადნიერ იქმნეს ამაომსა მთხველობისათვის ცუდისა მეტყელებად, ვითარმედ სიმ ნემან და სიბრძნით ფილოსოფოსობამან“ [გულაბერისძე, გვ. 12].

იგნე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ნიკოლოზ გულაბერისძეს „აზრიც კი არ ებადება იმის შესახებ, რომ უველურესი ხალხის მოსაქცევად სწორედ ძლიერი პიროვნების გაგზავნა იყო მოსალოდნელიცა და სრულებით ბუნებრივიც“ [8]. მეცნიერმა ისიც აღნიშნა, რომ ნიკოლოზ გულაბერისძეს მიზნად დაუსახავს საქართველოში ქრისტიანობის ქალის მიერ გავრცელება-ქადაგების საფუძლიანი ახსნა, ამ მოვლენის ფილოსოფიურ-ისტორიული შეფასება: „წმინდა ნინოს მოღვაწეობის ღირებულების კერძო საყოთხი საზოგადო თვალსაზრისით აქვს გამუქტებული და ამის გამო მას ებადება კიდევ ერთი აზალი, „სხუა ცა საძიებელი ღირსებისათ ს დედათა პატივისა“ [გულაბერისძე, გვ. 13-14], ანუ თანამედროვე ტერმინებით რომ გამოვთქვათ მისი აზრი, ქალთა უფლება-ღირსების შესახებ [ჯავახიშვილი, გვ. 406].

მართალია, ავტორმა ქალთა ფიზიკური „უძლური ბუნება“ შესანიშნავად იცის, მაგრამ ყურადღებას აქცევს ერთ გარემოებას: „რამეთუ განმაცხოველებელსა მას აღდგომასა ღმრთისა და მაცხვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დღანივე ღირს იქმნეს ზეშთა ნეტარებისა დიდსა პატივისა ხარებისასა“ [გულაბერისძე, გვ. 13]. ეს დიდი პატივი ხარებისა წმინდა მახარებლებს აღწერილი აქვთ. ეს ეპიზოდი, მაცხოვრის აღდგომა პირველად მენენელსაცხებლე დედებს რომ ეუწყათ, არაერთგზის არის გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

რ. სირაძემ „დედათა პატივის“ სიმბოლიკა თვით სვეტიცხოველს დაუკავშირა, რისთვისაც მოიხმო ის საღვთისმეტყველო სახელები, რომელსც წმ. ანდრია კრიტელმა განმარტა თავის საკითხავში „შობისათ ს ღმრთისმშობლისა“. „სახლ ღმრთისა“, „ტაძარ წმინდა“, „სიონ“ - ამ სიმბოლოებით სვეტიცხოველს შექილოდვთისმშობლის განსახოვნება [სირაძე, გვ.134].

არც ისაა შემთხვევითი, რომ პირველმა ქართველმა ჰაგიოგ-რაფმა იაკობ წუცებამა ქრისტეს რჯულისათვის პირველწამებულად ქალი წარმოაჩნია. ვარსექნ პიტიაზშის მეუღლე შუშანიკ დედოფალი, რწმენაურყევი, სულით მტკიცე, ამაღლებული ქალია, რომელიც

თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას, უზრუნველ ცხოვრებას, უფომანოდ ანაცვალებს რწმენას და უძალლეს ნებისყოფას იჩენს თავის არჩევანში, არ ერიდება ტანკვა-გვემით სიკვდილსაც კი. ამავე დროს აღსანიშნავია აგრეთვე, შუშანიკის წიგნიერება და განსწავ-ლულობა, როდესაც ვარსკენის უზნეო საქცევლით აღშფოთებულმა პროტესტის ნიშანად სასახლე მიატოვა და ტაძარს მიაშურა: „თანა წარიტანნა ევანგელე თვისი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“, რომელთაც, სხვა საეკლესიო წიგნებთან ერთად, შემდგომი ექვსი წლის პატიმრობის მანძილზე კითხულობდა („რამეთუ ექვსი წელი ციხესა მას შინა აღესრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყვაოდა მარხვითა, მარადის მღვიმარებითა, ზედგომითა, თაყვანისცემითა უწყინად და კითხვითა წიგნთა თა მოუწყინებლად“ [ძეგლები, გვ. 17] და უფრო ქვემოთ: „ხოლო წმინდამნ შეშნიკ... დიდისა გულმოძგინებითა ხელთა აღიზუნა დავითნა და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერგასნი ფსალმუნნი დაისწავლანა, რომელთა იგი დღე და დამეზეს ქნელისა მის მეუფისა მიმართ სათოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით“ [ძეგლები, გვ. 18].

ქალის პიროვნებისადმი დამოკიდებულების აღმოსავლურ და დასავლურ ფონზე განსაკუთრებით ამაღლებულად მოჩანს ქალისადმი დამოკიდებულება ქართულ სინამდვილეში. საქართველოში ქრისტიანობამაც ანგარიში გაუწია ეროვნულ ტრადიციას და ერთგვარად გადაუხვაა ბიზანტიური ორთოლოგესიდან, ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს შთააგონა „არა მამაკაცებად, არა დედაკაცებად, არამედ ყოველნი ერთი ხართ“.

ქალის კონცეფცია ყველაზე ნათლად გამოვლინდა XII საუკუნის მიწურულის საქართველოში შექმნილ მსოფლიო ლიტერატურის შედევრში „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, – როგორც მეცნიერებაში აღიარებულია, – ქართულ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ქართულ სინამდვილეს წარმოაჩენენ მასში მოქმედი პერსონაჟი ქალები. შოთა რუსთაველის დამოკიდებულება ქალისადმი წმინდა ქართული მოვლენაა. „ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟ ქალთა მთელი პლეადაა წარმოდგენილი – ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ასმათი. ისნი, გარეგნული სილამაზის ფონით, განასახიერებენ სიკეთეს, სიბრძნეს, გონიერებას. მათში შეზავებულია გარეგნული და სულიერი დირსებები. ქალი: მეფე და მმართველი! ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გადავავლოთ თვალი თამარის მეფობის პერიოდს, როდესაც ქალმა მოიკრიბა უძიდესი გამძლეობა, შორსმჭვრეტელობა. მან შეძლო ის, რაც ხშირად არ ხელეწიფება მამაკაცს.

რა მიზეზებმა, რა თავისებურმა კონკრეტულ-ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა ქალის განსაკუთრებული ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში? ცნობილია, რომ ქალის წამყვანი როლი ოჯახში მატრიარქატის ეპოქიდან იღებს სათავეს. უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებშიც ქალი განდღიერებულია იმით, რომ მზის ღვთაება ქალად, დედად არის წარმოდგენილი („მზე დედა ჩემი...“).

ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში უმნიშვნელოვანესია ქალის დედობრივი ფუნქცია. ეს ასპექტი ჩემის სინამდვილეში, წარსულშიც და ამჟამადაც განსაკუთრებით ღირებულია. მუდმივი თავდაცვის და მტერთან გამუდმებული ბრძოლების გამო, დედა-ქალმა, რომელიც მუდმივად შეითავსებდა მამაკაცის ფუნქციასაც, იყო ოჯახის წმენებიც და აღმზრდელიც. ამიტომ შვილის აღზრდაში დედის ფუნქცია იყო წამყვანი. იგი ყოველთვის იჩენდა მიმტევებლობას შვილის მიმართ, რის შედეგიც იყო განსაკუთრებული ემოციური კავშირი შვილთან, რომელიც შვილის ინფანტილურობის საფუძველი გახდა, ანუ შვილი მუდმივ ბავშვად მიაჩნდა დედას. ჩემი აზრით, დედა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დედაშვილური ურთიერთობის გადაჭარბებულ შემსრულებლად გვევლინებოდა. ეს დამოკიდებული იყო სოციალური და ყოფითი მოვლენების ხშირ ცვალებადობაზე.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში მუდმივი სოციალური დაძაბულობის გამო, დღეს ქალი, განსაკუთრებით, ოჯახის დედა, იქცა სოციალურად ძალზე მნიშვნელოვან ფენომენად, ვინაოდან სწორედ მას დაეკსრა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ოჯახის მოვლა-პატრონობა და გაძლილა. ერთი მხრივ, ქრისტიანობა ქართულ ოჯახში რწმენის დანერგვის ბურჯად მიიჩნეოდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო არაქრისტიანული ხალხებით გარშემორტყმული საქართველოსათვის, ხოლო ისტორიულად ქართველებისათვის ქრისტიანობა ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნეოდა.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1979.
2. ნიკოლოზ გულაბერისძე, საკითხავი, გალობანი, პარაკლისი, დაუკავშირი სვეტიცხოველისანი, გამოსაცემად მოამზადა ნესტან სულავამ, თბ., 2007.
3. რ.სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ., 1992.
4. რ.სირაძე „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ. 1997.
5. 6. სულავა, არსენ ბულმაისიმისძის „გალობანი წმიდისა მოცი-ქულისა ნინოსნი“, ჟურნ.„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1999.

**rma Ketskhoveli**  
Professor of Georgian  
Technical University

## **Georgian Woman and Christian belief**

### **Summary**

Woman always played significant role in Georgian history. The position of Woman in Georgian selfwarness has been strengthened also because Christianity avowed Georgia as the share of most Holy Mother of the God.

The reign of Tamar is one of the most significant periods in Georgian history, Queen Ketevan through her heroic selfsacrificing immortalized her name. Western and Oriental historic sources countain numerous data about Georgian diplomat woman Gulchora.

Woman was lso cherished in other countries, but in Georgia respect towards ladies demonstrated at the same time gratitude to them. In modern Georgian society economic and social troubles forces women to take to more vigorous ways in order to more overcome them and to make most of their abilities. Social studies reveal that in modern Georgian family values exercisalaty women need detailed investigation.

## **ლელა გიორგაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
საქართველოს ისტორიის სპეციალობის  
დოქტორაკნტი

### **რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე პროცესების ძირითადი ტენდენციები აღექსი II-ის პატრიარქიბის პერიოდში**

პატრიარქი აღექსი II (ერისკაცობაში აღექსე რიდიგერი) 1990 წლის იგნისიდან სათავეში ჩაუდგა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. მისი მოღვაწეობის ხანა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდს დაემთხვა.

ამ ისტორიულ ცვლილებათა პერიოდში ყველაფერი თავიდან ან ხელახლა იყო გასაკეთებელი, რადგან იცვლებოდა ბევრი რამ: სახელმწიფო წყობა, იდეოლოგია, მსოფლიხედველობა... მოსახებნი და გადასადგმელი იყო მთელი რიგი პოლიტიკური, დიპლომატიური და იდეოლოგიური ნაბიჯებისა.

პატრიარქი აღექსი II მეტად მოღვაწე პიროვნება იყო. სასულიერო წრეებში აღარებდნენ, რომ მან ღირსეულად, არჩევნების გზით დაიკავა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მწევმათაგრის ტახტი. აღექსი II-ს უყვარდა ეპარქიების მონახულება, სიწმინდეების მოლოცვა, არც თუ იშვიათად სტუმრობდა შორეული ეპარქიების რიგით სოფლებს და ადასრულებდა წირვებს ადგილობრივ ეკლესიებში. მისი პატრიარქობის პერიოდში აშენდა და აღდგა ახალი და ძველი ეკლესია-მონასტრები, მთელი სისრულით გაიშალა საეკლესიო მოღვაწეობა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, გაიზარდა მონასტრთა რიცხვი. შესაბამისად, გაიზარდა მრევლის რაოდენობა.

თუმცა, მისი მოღვაწეობა არც თუ უმტკიცნეულოდ მიმდინარეობდა. ეს იყო დიდ ცვლილებათა ხანა. შესაბამისად, წინააღმდეგობა დიდი იყო, როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლებისა, თუ თავიდ სასულიერო პირთა მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის გააქტიურებამ და რელიგიისთვის ტაბუს მოხსნამ საზოგადოების გარკვეულ წრეების გაღიზიანება გამოიწვია, რის გამოც 1990-იანი წლების დასაწყისში გახშირდა სასულიერო პირთა მცველობები.

პატრიარქის ინტრინიზაციის დღიდან დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი უპირველესი და უმიშვნელოვანესი საკითხებისა; მათ

შორის იყო ეკლესიის სტატუსის საკითხი ახალ, პოსტათეისტურ ხანაში. ამის მიღწევა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული თავად პატრიარქის ინიციატივასა და უნარზე: ისე აქტუალურობისა სა-ხელმწიფო ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებთან, რომ გაემყარებინა ეკლესიის ღირსება და სტატუსი. ამის უნარი აღექსი II-მ მაშინ-ვე გამოავლინა: ის დაუახლოვდა პოლიტიკურ მოღვაწეებს და რე-ლიგია სახელმწიფო იდეოლოგიის როლში გამოიყვანა.

1991 წელს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში თავი იჩინა განხეთქილებამ ეწ. ტრადიციონალისტებსა და რეფორმისტებს შორის. განხეთქილების მიზეზად რამდენიმე საკითხი იქცა, მათ შორის: სახელმწიფოსა და ეკლესიის საეჭვოდ მჭიდრო ურთიერთობა, ეკლესიის წარმომადგენელთა ისტორიული თანამშორმლობა სუკ-თან, ეკლესიის დოქტრინისა და ეკლესიოლოგიის გამრტივების სა-კითხი, მეველი სლავური საღვთისმსახური ენის ახლით შეცვლა, ეპუმენური ურთიერთობის გაფართოების მოთხოვნა და სხვ.

1990-იან წლების რეფორმისტებში მარტო სასულიერო პი-რები არ მოიაზრებოდნენ. ეკლესიის რეფორმირებაში აქტიურ მონა-წილეობას იღებდნენ ეწ. „საერონიც“ (ერისკაცები), ანუ ისეთ პო-ლიტიკურ ძალთა წარმომადგენელნი, რომელთა მოღვაწეობის ამო-საგალ წერტილად მართლმადიდებლოგური მომღვრება მიიჩნეოდა. ეს კიდევ ერთი ფაქტია, როცა პოლიტიკა აქტიურად ერეოდა საეკლე-სიო საკითხებში და პირიქით, ეკლესია მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმიანობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით 1993-94 წლების მიჯ-ნაზე პატრიარქმა აღექსი II-მ სპეციალური განცხადებაც გააკეთა, რადგან ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში უკვე საკმარის თვალში საცემი იყო და არც თუ იშვია-თად ხდებოდა ისე, რომ ერთანი ეკლესიის წარმომადგენელნი სხვა-დასხვა, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ პოლიტიკურ მხარეს ხვდებოდნენ. უწმინდესმა ასეთ მღვდელმსახურებს შესთავაზა არჩე-ვნის გაგეთება: გაეწებებნათ პოლიტიკოსთვის თავი ან განეგრძოთ პოლიტიკურ მოღვაწეობა ანაფორის გარეშე.

1990-იან წლებში რუსეთის ეკლესიაში კიდევ ერთი უცნაუ-რი მოვლენა გამოავლინდა, ეწ. “მლადოსტარჩესტვი”: ნაკლებად გა-მოცდილი მღვდელმსახურები ამეტებდნენ თავიანთ უფლებებს სამ-წყსოს მიმართ და საკუთარ ნებას უმორჩილებდნენ მრევლს. პატრი-არქს ამაზეც შეკვეთი რეაქცია ჰქონდა. საკითხი განიხილეს სინოდ-ზე და გამოიტანეს შესაბამისი განმარტება მსგავსი მოქმედებების აღასკვეთად.

საერთოდ, პატრიარქ ალექსი II-ის მიზანი იყო ინტელექტუალურად აემაღლებინა რწმენა საზოგადოებაში და მისი ხედვით, ეს მრევლის ცნობიერების ამაღლებით უნდა დაწყებულიყო. ამისათვის საჭირო იყო კვალიფიციური ღვთისმსახურები, შესაბამისი სასულიერო ლიტერატურა..., რაც ალექსი II-ის პატრიარქობის პირველ ეტაპზე იშვიათობას წარმოადგნდა. შესაბამისად, პატრიარქის ინიციატივით, დაიწყო დიდი მუშაობა ამ მიმართულებით: ითარგმნებოდა ლიტერატურა, იხსნებოდა სამრევლო სკოლები, ხდებოდა ღვთისმსახურთა გადამზადება და სხვ.

პატრიარქის ასეთი მოღვწეობისა და ათეისტური ხანის დასრულების შედეგად რუსულმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოავლინა რელიგიის მიმართ. გაიზარდა რელიგიური აქტოურობა, რომელმაც პიკს 1990-94 წლებში მიაღწა. ამის შემდეგ დაიწყო მართლმადიდებლობით დაინტერესების შეჩერება და კლება. ამის მიზეზად იქცნენ თავად ეკლესიის მესკეურნი: გაპოლიტიკურებული რელიგია – როცა ხელისუფლება ხშირად იყნებოდა მართლმადიდებლობას საკუთარი ინტერესების გასატარებლად; ეკლესიისა და უშიშროების წარმომადგენლოთა მრავალწლიანი თანამშრომლობა; მოუწესრიგებელი კანონმდებლობა; ეკლესიის წიაღში წარმოშობილი დაპირისპირება ტრადიციონალისტებსა და რეფორმისტებს შორის და სხვ.

რუსეთის მოუგვარებელი კანონი „რელიგიის შესახებ“ საზოგადოებაში გაუზრკველობას და გადიზიანებას იწვევდა. კონცეპტუალურად ეს კანონი ემყარებოდა მითიურ „საერთაშორისო“ სტანდარტს, მაგრამ სინამდვილეში აზიანებდა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი ერების სულიერ იდენტურობას. კანონში არ იყო გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიების პროცესური საკითხები, რომლებიც განსხვავებულ, ინდივიდუალურ მიღომას საჭიროებდნენ.

არსებული კანონით კი ხდებოდა არა იმდენად კონფესიათა იურიდიული გათანასწორება, რამდენადაც ძალაშორივი, ფაქტობრივი გათანაბრება.

ასეთი დაპრკოლებების არსებობის გამო საზოგადოებამ სხვა „რწმენის ობიექტების“ ძიება დაიწყო. ამან კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთში სხვადასხვა წარმომავლობისა და მიმართულების სექტების შედწევას. მოსახლეობაში გაზრდილი რელიგიურობის გარდა, რუსეთში სექტების შეღწევას მოუწესრიგებელი კანონმდებლობაც დაეხმარა, რომლის მიხედვითაც დაშეგებული იყო რელიგიური პლურალიზმი. საბჭოების დაშლის შემდეგ, პირველივე შესაძლებლობისთანავე რუსეთში ათასობით სხვადასხვა წარმომავლობის

მქადაგებული გამოჩნდა. 1998 წელს მკვლევარმა საბრინა რამეტმა ჩაატარა კვლევა და 300 000-მდე სახალხო მკურნალი, მჩხიბავი, ჯადოქარი თუ ფსიქოლოგი აღრიცხა.

კანონმდებლობის მოწესრიგება დააჩქარა და სექტებთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხი გამძაფრა „აუმ შინრიკიოს<sup>4</sup>“ სექტასთან დაკავშირებულმა სკნდალმა<sup>5</sup>. თუმცა კანონმდებლობის და საერთოდ, სარწმუნოებრივი სიტუაციის მოწესრიგებას ხელს უშლიდა რუსეთის მოსახლეობის რელიგიური სიჭრელეც. 1990-2000 წლებში ჩატარდა ათობით სოციოლოგიური გამოკითხვა რელიგიურ საკითხებზე, მაგრამ ზუსტი მონაცემები მაინც არ არსებობს. საშუალოდ რუსეთის მოსახლეობის 50% მართლმადიდებლობას აკუთვნებს თავს, თუმცა იმავე გამოკითხვებიდან გამომდინარე, რუსეთში რელიგიურობის ხარისხი მის პროცენტულ მჩვენებელთან შედარებით ძალიან დაბალია, ანუ, ეს არ ნიშავს იმას, რომ ისინი

---

4 „აუმ შინრიკი“ ასევე ცნობილი ორგორც „ალეფი“ 1987 წელს იაპონიაში დააპარას სიოკო ასაპარამ. ესაა ქრისტიანობის, ბუდიზმისა და ინდუიზმის ნარევი. აუმ შინრიკიო – სანსკრიტისა და კრისის ენებზე დაახლოებით ნიშავს „ჭემმარიტების რელიგიას“, „უმაღლეს სიმართლეს“. 2000 წელს ორგანიზაციამ შეიცვალა სახელი და დაირქვა ებრაული ანბანის პირველი ასოს სახელი „ალეფი“. 1995 წელს იაპონიაში მას ჰყავდა 9 000 მმდევარი, მაშინ როდესაც მსოფლიოში მისი მიმდევრების რაოდენობა 40 000 აღწევდა. მისმა დამფუძნებელმა სიოკო ასაპარამ, რომელიც ტოკიოს ერთ-ერთ გარეუბანში ერთოთახინ ბინაში ცხოვრობდა, თავის ბინაში დაიწყო იოგასა და მედიტაციის სწავლება, მისი მოწაფეთა რიცხვი გაიზარდა. მოიზიდა ახალგაზრდები და ჩამოაყალიბა რელიგია ელიტისათვის. იგი გაემგზავრა ინდოეთსა და ტიბეტში და გაეცნო რა ბუდიზმს და იქაურ ფილოსოფიას, შექმნა ახალი რელიგია. იგი ქადაგებს აპოკალიფის აჩქარებულ მოახლოებას, რომლის შედეგადაც გადარჩება მხოლოდ მისი მიმდევარი. მანმდე მისი გათვლით აპოკალიფის ჯერ კიდევ 1997 წელს უნდა მომსდარიყო. (ჭიკი)

5 „აუმ“ სექტამ 1995 წელს იაპონიის მეტროში ასობით მგზავრი მოწამლა გაზით. გამომიებამ აღმოაჩინა ტოკიოდან 100 კმ-ის დაშორებით სექტის მიერ შექმნილი ბიო იარაღის მწარმოებელი ქარსანა, რომელიც ცდების ჩატარებას არც ადამიანებზე თაკილობდა.

ზედმიწევნით აღასრულებენ მართლმადიდებლურ წესებს, არამედ ეს უფრო ფსიქოლოგიური მოვლენაა, როგორც კულტურული კუთვნილება ან უძრალოდ, მოდის აყოლა (ეს ტენდენცია ძირითადად 1990-იანების დასაწყისში შეინიშნებოდა).

სექტების გარდა, რუსეთის ფედერალურ კანონმდებლობაში არც ათეზზმა გათვალისწინებული, ეს კი რელიგიურ ექსტრემისტებს აძლევთ სამართლებრივ საფუძველს, აღიქვან ათეისტები სპეციალურ სექტანტებად, რომელთაც ღმერთის არარსებობის სწამთ. სხვათა შორის, 1992-94 წლებიდან გამოჩნდნენ პირველი პოსტკომუნისტური ათეისტები, რომელთა რიცხვი აქტიურად მატულობდა და 2000 წლისთვის შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ათეისტთა აპსოლუტურ უმეტესობას ახალგაზრდობა შეადგენდა. უმრავლესობა თავად მივიღა ამ ე.წ. „ახალ რუსულ ათეიზმამდე“, რომელსაც ჩამოშორებული ჰქონდა მარქსისტულ-ლენინისტური გადმონამთები.

პატრიარქ ალექსი II-ის მოღვაწეობის მნიშვნელზე, როგორც აღვინიშნეთ, შეინიშნებოდა ეკლესიისა და ხელისუფლების დაახლოება. ამის რამდენიმე მიზეზის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ორივე მხარეს ხელს აძლევდა ეს დაახლოება – ეკლესია ამით საყდენს იძლიერებდა და მაღლდებოდა სახელმწიფო რელიგიის დონეზე, სახელმწიფო კი, იყენებდა რა სასულიერო პირთა სიახლოვეს ადამიანებთან და მათ სულებთან, ცდილობდა თავისი შიდა პოლიტიკისა და იდეოლოგიის გატარებას. სწორებ ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია საზოგადოების დიდი წინააღმდეგობა.

ერთ-ერთი საკითხი, რამაც ხალხის ნაწილი აღაშფოთა, იყო მართლმადიდებლობის აქტიური პროპაგანდა არა მხოლოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, არამედ სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებშიც. მათი აზრით, ეს იყო მართლმადიდებლობის თავს მოხვევა და სხვა რელიგიების უფლებების შეღახვა და დისკრიმინაცია, რადგან მაშინ კონსტიტუციით არც ერთ რელიგიას არ ენიჭებოდა უპირატესობა. მართლმადიდებლობის პროპაგანდა კი ხდებოდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან სფეროში – განათლებასა თუ მასმედიაში.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ახლო ურთიერთობამ ეკლესიის ქონებასა და ძალაუფლებაზეც იქონია გავლენა. თუკი XX ს-ში მის სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას მკაცრად აკონტროლებდა საბჭოური ხელისუფლება, 1990-იანი წლებიდან სურათი რადიკალურად შეიცვალა. სულ რამდენიმე წელიწადში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო უზარმაზარი საგადასახადო შეღავთები;

მოახერხა გამხდარიყო მომპოვებელი და გამსაღებელი ნავთობპრო-დუქტების, საიუველირო ნაკეთობების, ალკოჰოლური სასმელებისა; მონაწილეობდა კონვერსიით მიღებულ შეიარაღებაში. გარდა ამისა, ის უშუალოდ მონაწილეობდა უშველებელი უცხოური ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილებაში. თუმცა, ამ ყოველივეს ფინანსური აღრიცხვის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. მიჩნეულია, რომ რუსეთის ეკლესია ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი კაპიტალისტია რუსეთში და ვერც პრეზიდენტი, ვერც ხელი-სუფლება გვერდს ვერ უვლიან მის კომერციულ ინტერესებს.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მოვლენებისა, რაც რუსეთის ეკლესიაში ხდებოდა უწმინდესი ალექსი II-ის პატრიარქობის პერიოდში. საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ პატრიარქმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის სულიერების განვითარებაში პოსტკომუნისტურ წანაში. სამოცდაათწლიანი ათეზმის შემდეგ მრავალმილიონიანი და ეთნიკურად და რელიგიურად ჭრელი რუსეთის მართლმადიდებლობაზე მოქცევა მეტად დიდ ძალას სმევას საჭიროებდა. პატრიარქმა ალექსი II-მ შეძლო რუსეთის მართლმადიდებელი მოსახლეობის მეტნაკლებად ეკლესიისკენ მობრუნება, ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება, სასულიერო მუშაობის განვრცობა და მრ. სხვ.

პატრიარქი ვერც ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობას აუკლიდა მხარს, რადგან იმ ხანებში ეკლესიისათვის დამოუკიდებლად ამდენის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. გარდა ამისა, რუსეთისთვის ტრადიციულია ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრობლობა სახელმწიფო ინტერესების გატარების მიზნით. თუმცა, საზოგადოების მხრიდან ეს ნაბიჯი არ იყო დიდად მოწონებული. გაპოლიტიკურგბული რელიგია არამარტო შიდა განკითხვის, არამედ საერთაშორისო სასაუბრო თემადაც იქცა. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ მსგავსი მოვლენა რუსეთის სახელმწიფოს დრომოჭმულობის მაჩვენებელი იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://index.org.ru/journal/11/dubin.html> Борис Дубин Массовое православие в России (девяностые годы)
2. <http://index.org.ru/journal/11/verh.html> Александр Верховский Русская Православная Церковь и свобода выражения в светском обществе
3. <http://www.ateism.ru/> Новый Русский Атеизм и РПЦ
4. <http://www.opeterburge.ru> – Анна Тирле – Реванш РПЦ и экспансия заморских религиозных сект. Часть I
5. <http://www.opeterburge.ru> – Анна Тирле – Реванш РПЦ и экспансия заморских религиозных сект. Часть II
6. <http://index.org.ru/journal> - Борис Дубин “Массовое православие в России”
7. [www.wikipedia.com](http://www.wikipedia.com) – Русская церковь в патриаршестве Алексия II
8. Независимая Газета 1991 4.М №56, стр. 6 И. Близнюк – Молодежное религиозное движение набирает силу
9. <http://index.org.ru> - Борис Дубин “Массовое православие в России”
10. <http://www.pravoslavie.ru/> Александр Музafferov ГОД ПРАВОСЛАВНОЙ РОССИИ
11. [www.pravoslavie.ru/analit/](http://www.pravoslavie.ru/analit/) - И. Куницин Защита религиозной идентичности в эпоху глобализации
12. <http://pridurki.org/> Секретный отдел КГБ (тринадцатый) РУССКАЯ ПОРНОСЛАВНАЯ ЦЕРКОВЬ МОСКОВСКОЙ ПАТРИАРХИИ КАК ФИЛИАЛ ГОСБЕЗОПАСНОСТИ СССР-РФ
13. <http://www.pravoslavie.ru/analit/> ЗАЩИТА РЕЛИГИОЗНОЙ ИДЕНТИЧНОСТИ В ЭПОХУ ГЛОБАЛИЗАЦИИ

**Lela Giorgadze**

Ivane Javakhshvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction-history of Georgia

Phd Student

## **Main tendencies of the processus in the Russian church under the period of patriarchate of Alex II**

### **Summary**

Patriarch Alexy II had to lead the Russian Orthodox Church during a difficult historical period of changes. In 1990, when he became the leader of the church, the USSR had collapsed and the era of atheism had ended. Changes took place in every sphere of society: politics, economics, ideology and religion as well. New ways of relations and development had to be found. During his reign many churches and monasteries were founded or reconstructed; ecclesiastical activities had been spread all over the country... One of the main goals of Alexy II was to improve religious knowledge and skills in parish. Much had to be done, so patriarch never stopped.

Though there were serious problems during his reign to solve: contradistinction between traditionalists and modernists; discursive legislation about religion; intrusion of sects, insufficient number of educated clerics; too close relationship between state and church, which caused suspicion among population, etc.

What was main lack of Alexy II's politics and what were advantages – is discussed in the thesis.

## ექა სილაგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
საქართველოს ისტორიის სპეციალობის  
დოქტორანტი

## მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თვისობრივი ზასიათი და მუშაობის თავისებურებანი საქართველოში

ბოლშევიკი ლიდერების მიერ კარგად გააზრებულ, ზოგჯერ ევროპის ანტისარწმუნოებრივი პუბლიცისტიკიდან ნასესხებ ლოზუნებს, უბრალო მასებში პროპაგანდა სჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით, სათავეში მოსვლიდან მცირეოდენ ხანში, შესაბამისი ბაზის მომზადების შემდეგ, რუსეთის სინამდვილეში საჭიროებამ მოითხოვა ორგანიზაცია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბება. თავდაპირველად, ანტირელიგიური კამპანიის წარმართვის ფარგლებში, 1924 წელს, რუსეთში, სევეროდვინის რაიონში, საზოგადოება „ათეიისტი“ ჩამოყალიბდა, რომელიც 3500 წევრს აერთიანებდა. იმავე წლის 27 აგვისტოს, საზოგადოება „ათეიისტის“ პერიოდული გამოცემის, „უღმერთოს“ რედაქციაში შემდგარ კრებაზე, დამსწრეთა მიერ მიჩნეულ იქნა ანტირელიგიური ორგანიზაციის შექმნა. აირჩიეს საბჭო, მართვის ყველა უფლებით, საფუძველი ჩაუყარეს ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში უკვე სტაჟიანი უღმერთო ათეიისტი, ემილიანიან იაროსლავსკი ჩაუდგა. აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა, თავდაპირველად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას მოიცავდა, რომელიც კომუნისტი იდეოლოგიბის გაგებით ხელს უშლიდა პროგრესსა და განვითარებას, მაშასადმე ლენინისულ „კულტურულ რევოლუციას“. ანტისაეკლესიონ განწყობის დანერგვის მიზეზი მკაფიოდ გამოხატული უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ახალმა წყობილებამ, სამეცნ ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ეკლესია მონარქიის დასაყრდენად გამოაცხადა და ყველანაირად ეცადა ამ იდეოლოგიის დასაბუთებას. ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნითა და ანტირელიგიური იდეოლოგიის დასანერგად გამიზნულ პერიოდულ გამოცემებში იტეჭდებოდა სხვადასხვა სტატიები. ასე მაგალითად, სტატიაში „ცოტა რამ პროსტიტუციის შესახებ“, ავტორი ხატავს რუსეთის სინამდვილეში არსებულ პრობლემას ამ საკითხთან დაკავშირებით და ას-

ქვნის, რომ, „თუკი რუსულ სასულიერო პირთა და მონასტერთა როლი ჯერ კიდევ არაა გამორჩეული, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში რუსული ეკლესია არ ჩამორჩებოდა დასავლურს და არათუ ანადგურებდა, არამედ ხელს უწყობდა ქალთა მორჩილების ქადაგებით ექსალუატატორებს და ამით, პროსტიტუციის ფუძემდებლად გვვღინინებოდა”(13, 17). მოუხდავად იმისა, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოება ხორციელ ვნებათა შორის ყველაზე მძაფრად სიძვასა და მრუშობას გმობს, ბოლშევიკები არ თაკილობდნენ ამ ბრალდების წაყინებასაც, რათა რელიგია გაბატონებულ კლასთა იარაღად გამოეცხადებინათ. კომუნისტებმა რელიგია, როგორც არაპროვერსული და დრომოჭმული მოვლენა, ხალხისათვის საზიანოდ გამოაცხადეს. „ღმერთი მხოლოდ ბავშვური კონცეფციაა გამოწვეული შიშის გრძნობით,” ესპნელი რევოლუციონერის ფრანცისკო ფერერის ეს სიტყვები, ვოლტერისეულ „გავსრისოთ არამზადა” ეხმანება, რომელიც „არამზადში რელიგიას გულისხმობს. „ქრისტიანობა, ეს არის უწესო მკრეხელობა უფლის წმინდა სახეზე”(4, 225). გერმანული მოღვაწე, პ. ფონ გოგერნი წერს: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დადგება დრო, როცა ათეიზმი საერთოსაკაცობრიო პრინციპად იქცევა”.. „ნეტისარწმუნოებრივი დოქტრინა უაზრობაა სინდისის თავისუფლების აღიარების გარეშე. ეს აღიარება ანტირელიგიურობაში ეკლესიასთან მტრულ დამოკიდებულებას აღზრდის, რადგან ეკლესია არსებითად სინდისის თავისუფლების აღიარების მოწინააღმდეგება” (2, 186). „ენტრეგიულად დაგუჭიროთ მხარი თითოეულში სინდისის თავისუფლებას, მაგრამ განუხრელად გამოვუცხადოთ ომი ყველა რელიგიას, რადგან ისინი არსით მთელი კაცობრიობის მტრები არიან” (8, 128). აღნიშნული მოძღვრება ბოლშევიკებმა კონსტიტუციურადაც გამყარეს და სინდისის თავისუფლება გამოაცხადეს. „მოქალაქეთავების სინდისის თავისუფლების უზრუნველოფის მიზნით, ეკლესია საქართველოს სსრ-ში გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან, რელიგიური კულტების შესრულება და ანტირელიგიური პროცესის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის (7, 30).

ბოლშევიკების მიერ განხორციელებული პოლიტიკის წყალობით, ეჭვეშ არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ ყველა სახის რელიგიური აღმსარებლობის არსებობა-არარსებობის საკითხი დადგა. თუმცა მათი ლიდერის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხედება გაცილებით შორსმჭვრეტელური აღმოჩნდა. მან დაინახა ეკლესიისა და სარწმუნოების იდეოლოგიური ძალა და ისიც, რომ მძლავრი ანტირელიგიური ორგანიზაცია „მებრძოლ უღმერთო-

თა კავშირის” სახითაც კი, უძლეური იყო რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ, ყოფილმა სემინარიელმა, მართლმადიდებელი რელიგიის დახმარებით, რესერტის „მესამე რომად” გარდასახვა დაისახა მიზნად, თუმცა არ დასცალდა. რელიგიური ტრადიციების მოშლა და დამახინჯება მოხერხდა, რელიგიურ წრებში დაინერგა სკულპტური აგნტურა, რომელსაც კრიკრუტულად საეკლესიო იერარქიის დისკრედიტაცია ევალებოდათ. სახელმწიფო გამოცხადდა ათეისტურად, მაგრამ ათეიზმი ზედაპირულ ხასიათს ატარებდა და სხვადასხვა ერები კვლავაც იდენტიფიცირდებოდნენ იმ ძირეულ რელიგიურ აღმსარებლობასთან, რომელსაც ისინი საუკუნეების მანძილზე ატარებდნენ. „ბოლშევიკთა პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა პრაქტიკულ ცხოვრებაში აბსოლუტური სეკულარული სახელმწიფოს რეალიზება. ამდაგვარი სახელმწიფო მმართველობა სრულიად განთავისუფლებული უნდა იყოს ქრისტიანული ტრადიციებისაგან. ბოლშევიკური ხელისუფლება ქრისტიაული ზნეობისა და ჭეშმარიტ სმართლებრივ პრინციპებს აცხადებდა ყალბ და ფარისევლურ ფორმებად, რომელიც ემსახურებოდნენ საზოგადოების უმეცრებაში ყოფნას; და რომელიც აკმაყოფილებდნენ ექსპლოატორული კლასების ამბიციებს; ხელს უწყობდნენ მათ მიერ მშრომელი მასების ჩაგვრას (10, 31). „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” საბჭოთა სინამდვილეში აღმოცენება იძენად კანონზომიერია, რამდენადაც კომუნიზმი და სოციალიზმია ანტირელიგიურ-ანტისარწმუნოებრივ-ანტიკლასობრივი იდეოლოგიის მატრიტებელი. კომუნიზმის იდეოლოგებს საბჭოთა კავშირში, პრეტენზია პქონდათ, რომ თვით კომუნიზმია ახალი რწმენის სახეობა და მას არავთარი კავშირი არ აქვს ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა რელიგია. სწორედ აქედან გამოდინარე, მთებრძევად იმისა, რომ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი მკეთრად საბჭოთა მოვლენაა, ვერც ბოლშევიკებმა აუქციეს გვერდი იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომლის თანახმადაც, „ყველგან და ყოველთვის, პოლიტიკას, როგორც კაცობრითიბს სხვა სულიერ მოვლენასაც, ახლო დამოკიდებულება აქვს სარწმუნოებასთან. სწორედ საკვირველია ამბობს კომუნისტი პრუდონი, როგორც კი შევტოპავო პოლიტიკაში, მაშნევ ღვთისმეტყველებას წავაწიდებთ. ეს ასეც უნდა იყოს. სარწმუნოება ხომ, ეს კავშირი ღვთისა და ადამიანს შორის, არის ამასთანავე საძირკველი კაცობრიულ კავშირთა და საიმედოდამცველთა ჭეშმარიტ უფლებისა და საუკუნო ნორმათა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკა” (1, 3-4). „სახელმწიფო ხელისუფლების საერო ინსტიტუტებსა და ეკლესიას შორისი ურთიერთობები ვითარდება რამდენიმე ძირითადი სოციალური სცენა-

რით: 1) თეოცრატიული ვარიანტის შემთხვევაში, ექლესია ფლობს მაქსიმალურ სულიერ და პრაქტიკულ ძალაუფლებას საზოგადოებაზე და სახელმწიფოსა და საზოგადოებაში განვითარებული არც ერთი პროცესი ექლესის ჩარევის გარეშე არ ვითარდება; 2) დემოკრატიული სისტემის სახელმწიფოში, ამ უკანას სკნელისა და ექლესის ინსტიტუტებით თანამშრომლობები შეთანხმების საწყისებზე და ინაწილებენ გავლენის სფეროებს ურთიერთის საქმეებში ჩაურევლობით; 3) სახელმწიფოს მმართველობის ავტორიტარული მოდელი, როდესაც საერო ხელისუფლება ძალაუფლობს საეკლესიო იერარქიაზე და მასზე დაქვემდებარებულად მოაზრებს. ასეთ დროს, ეკლესია ძლიერ ზეწოლას განიცდის საერო ხელისუფლებისაგან. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ყოველი ქრისტიანის მოვალეობა დამორჩილოს მოქმედ ხელისუფლებას „რამეთუ უფროსი საშიშნი არიან არა კეთილი საქმეებისათვის, არამედ ბოროტათვის... სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ორი სახის ხელისუფლების მმართველობით ვლინდება; ესენია ღვთისმოშიში და უღმერთო ხელისუფლებები. რუსი სოციოლოგი პიტიომ სოროკინი აღნიშნავდა: გონიერი შორსმჭვრუტელი მმართველები და პოლიტიკოსები ჰატივს მიაგებენ რელიგიას, არ უარყოფენ ღმერთს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ურწმუნონი არიან. ასეთი პოზიცია აისახება იმით, რომ ისინი ღმერთში დაშმარე ძალას ხედავენ, რომელიც კონტროლს უწევს სამოქალაქო სოციალურ ნორმებს”. . . ნაშანდობლივია ის ფაქტიც, რომ რუსეთის იმპერიის წააღში ჩამოყალიბებულმა ბიზანტიიზმის თავისებურებებმა და მისით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა უკიდურესად მახინჯვი ხასიათი შეიძინა და აშკარად დაარღვია ქრისტიანული მოძღვრებით გათვალისწინებული სახელმწიფოსადმი წაყენებული მოთხოვნება. აღნიშნულის დასტურია როგორც ცარიზმის რუსეთის ზოგიერთი ისტორიული ეტაპი, ისე საბჭოური და პოსტსაბჭოური მმართველობის სისტემები” (10, 30). საბჭოთა წყობილების დამყარებას საქართველოში წინ უსწრებდა მეწმევიკური მთავრობის მმართველობა. ხანმოკლე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში, მეწმევიკური ხელისუფლება ნორ ჟორდანიას მეთაურობით, მართალია სოციალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე რელიგიურ საკითხსაც მრავალ ასპექტში ბოლშევიკების მსგავსად განიხილავდა, მაგრამ ბოლშევიკთათვის, მეწმევიკური ხელისუფლება სხვა სახის საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან ისინი ევროპასა და განსაკუთრებით გერმანიაზე ორიენტირებდნენ, ამიტომ, საქართველოში, როგორც საბჭოთა საზღვრისპირა ქვეყანაში, ფურადღების მოღწენება არ შეიძლებოდა.

ბოლშევეკურმა ხელისუფლებამ, მართალია აღადგინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, მაგრამ ქვეყნის შიგნით ავტონომიების ჩამოყალიბითა და სეპარატისტული იდეოლოგიის წახალისებით, მუდმივი მანაპულირების შესაძლებლობას იტოვებდა. საქართველოს ჩამოეჭრა ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორიები მეზობელი რესპუბლიკების სასარგებლობით. მოუხედავად ამისა, საქართველო მოჩვენებითი აღმშენებლობისა და „კულტურული რევოლუციის“ გზას განუხრელად დაადგა. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ საქართველოს უჯრედის ამოქმედების საჭიროება, თავიდანვე გამოიკვეთა. 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, 1917 წელს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა უსწრებდა წინ. ეკლესია ყოველთვის ეროვნული იდეოლოგის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს არსებობის მანიოლზე, რომელსაც, ისევე უწევდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ქართულ მოწინავე საზოგადოებას. მაგრამ როდესაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება, ბოლშევეკებმა ეროვნული იდეოლოგიის არსებობის მავნებლობა სხვადასხვა ერებში და მეტადრე საქართველოს მაგალითზე მკვეთრად დაინახეს, მითუმეტეს, რომ ეროვნულობის ქადაგებას, მეფის რუსეთის პირობებშიც კი, რომელიც დღენიადაგ ქართული ეპლესისა და ქართული საზოგადოების რუსიფიკაციორულ პოლიტიკას აწარმოებდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარის მანიც ახერხებდნენ. ბოლშევიკებმა კარგად აპრიბირებულ მეთოდს მიმართეს და ხალხის თხოვნის გათვალისწინების საბათით, რომლის საფუძველი „კოლექტიური წერილები“ ხდებოდა, დაიწყეს ეკლესიების დახურვა და სამღვდელოების შეცვროება რეპრესიების გზით. მასიური წასიათი ეკლესიების დახურვას მოელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1923 წლიდან მიეცა. ეკლესიების სიმრავლიდან გამომდინარე, ეს განსაკუთრებით დაეტყო საქართველოს. საბჭოთა კავშირს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, გათაცა ბრანგა წმინდანთა ნაწილების მოღების შესახებ. „სიწმინდეები, ეს მოოქროვილი კუბოები, სავარაუდოდ „უხრწელი“ სხულები ძველი დროის კლასთა მმართველი წარმომადგენლებისა, აუცილებელი იყო როგორც მასების დაგიპონზებისათვის, ვითომდაც რელიგიური მიზნებისათვის. ამიტომ: 1) ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები უნდა დაეყრდნონ მშრომელთა მასების რევოლუციურ აზროვნებას, ამათანავე გამორიცხონ ყოველგვარი როჭოფობა აღნიშნული აქტების განხორციელებისას (6, 106). ორჭოფობა ან რაიმე სახის გადახრა, ბოლშევეკური ხელისუფლების მხრიდან სასტიკად ისჯებო-

და. მათი მმართველობის პირობებში, თანდათან ნადგურდებოდა ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილი, მასობრივ წმინდას არაერთი რიგითი ადამიანი ემსხვერპლა, მაგრამ ერთს გონიერივი ნაწილის განადგურება იყო უმძიმესი დარტყმა ქართული საზოგადოებისათვის, რომლის წიაღში მრავალწლიანი რუსიფიკატორული მმართველობის პირობებშიც კი ეროვნული დამოუკიდებლობის იღეა მანიც აღმოცენდა. ერთერთმა ქართველმა პატრიოტმა, ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამარსებელმა, მოვაინებით კი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლმა, ტრიფონ ჯაფარიძემ, უდიდესი ღვაწლი გასწია, რათა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში, მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები გადაერჩინა. „1923 წლისათვის, საქართველოში მასიურად დაიწყეს ეკლესიების დაკეტვა, სამშროება შეექმნა მათში დაცულ ქრისტულ ჭედური ხელოვნების ნიმუშებსა და უნიკალურ ხელნაწერ წიგნებს. ტრ. ჯაფარიძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამოქმედო ზონაში არსებულ ეკლესიებში დაცული ეროვნული სიმძიდრე გადაერჩინა. „რადგან ქალაქიც და სოფლებშიც დაიწყეს ეკლესიების დაკეტვა და ნივთების გამოტანა, წერდა იგი ვუკოლ ბერიძეს, მე ვაცნობე აღმასკომს ჩემი მოვალეობა-დანიშნულება და მოვსთხოვე მოელ მაზრაში ყველა თემისათვის ცენობებინა და ნივთები პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებოდა და ჩვენს უნახვად არაფერი დაკარგულიყო. დავუსახელე ეპლესიები, საიდანაც ნივთების გარდა, თვით შენობებია ფრესკებინად დასაცავი და არ წაეხდინათ. გელათის აჩხიმანდრიტს მივცით დასაცავად ქაღალდი. მოწამეთას ნივთები ჩამოიტანეს პროფკავშირში. იქ მივედი კონდაკოვის წიგნით ხელში და მოესთხოვე ყოველივე ჩემთვის გადასარჩევად ეჩვენებინათ (5, 41). ეკლესიის გადასარჩენად ტრიფონ ჯაფარიძე საეკლესიო მუზეუმის შექმნის საბაბით ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავდა, რათა მუზეუმი ქალაქის ცენტრში მდებარე საკათედრო ტაძრში განთავსებულიყო, მართალია ტაძრი ქვაშვეთის ტაძრისაგან განსხვავებით, სადაც ბოლშევიკებს აბანოს მოწყობა სურდათ, განადგურებას ვერ გადაურჩა, მაგრამ ქუთაისის მუზეუმს ეკლესიის კუთვნილი არაერთი სიმძიდრე გადაეცა. ასე გადარჩა გელათის მონასტრის ჭედური ხელოვნების ნიმუშები და ხელნაწერები, რომელთა ხილვა ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია შესალებელი. ასევე არგვეთის მთავრების, წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ნეშთი, რომელიც 1923 წელს უღმერთოებმა მოწამეთა მონასტრიდან გამოიტანეს და შეურაცხვეს (10). ასევე მოქმედებას წინ უსწრებდა 1923 წლის 4 მარტს გაზეთ „მუშა და გლეხში“ დაბეჭდილი სტატია რუბრიკით „ბრძოლა ცრუმორ-

წმუნების „წინააღდევგ”, მასში საქიმო კომისიის ოქმი დავით და კონსტანტინეს ნეშთების შესახებ გვაუწყებდა: „18 თებერვალს ქუთაისის უქიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრთა მიერ, მოხდა ნეშთების დათვალიერება რათა დადგენილიყო მათი სასწაულოქმედების უნარი. კომისიის მიერ გამოტანილი დასკნით, ნეშთებს არავთარი სასწაულომოქმედი დანიშნულება არ აღმოაჩნდა” (11, 73). ნეშთი სასწაულებრივად გადაურჩა განადგურებას და გადაეცა მუზეუმს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სერგო ორჯონიკიძე აღნიშნავს: „საქართველოში, ქუთაისთან ახლოს, მოწამეთას მონასტერში, სადაც დავით და კონსტანტინეს ნეშთები ინახებოდა, ქუთაისელებმა შეკრიბეს ყველა მაზრიდან მოხუცი ქრისტეანები, სამღვდელოება, ექიმები, გახსნეს და იქ აღმოაჩნდეს მხოლოდ ფერფლი ძვლებისა, ქრისტენებზე ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქნია” (3, 22). სერგო ორჯონიკიძე ამბობდა, რომ ეკლესიების დახურვა საქართველოში, პირველი ნაბიჯია ათეიზმისაკენ. ქუთაისის მთავარანგელოზის სასაფლაოს ეკლესიის წინამდევრი, დეკანზი ა. შანიძე, არქეოლოგიური ნაშთების გამგეს, ჯაფარიძეს მიმართავს: „გაცნობებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულის, ქუთაისის სასაფლაოს მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში ყოფილ ძველი ეკლესიის ნაშთის ანგრევენ წითელარმიელები, რაზედაც წარმოადგინეს ქუთაისის აღმასკომის ნებართვა. ნაშთის ქვები უნდა გაიხმარონ გზის მოსაკრძალ” (16). უსარგებლოდ გამოცხადებული საეკლესიო ნაგებობების უმეტესობა თანდათან ნადგურდებოდა. განსაკუთრებით დაემზნა ეკლესიების განადგურების პროცესი გურიას, რადგან იქ უმეტესწილად ზის ნაგებობები იყო. ნივთიერი ფასეულობების ამოღების პროცესი ქართული ეკლესიის წიაღიდან საქმაო დროს მოითხოვდა, ამიტომ, სადაც ვერ მოასწრეს უღმერთოებმა მათი ამოღება, ამჯობინებდნენ ევლოთ მოწმუნებებს, რათა მათი წინასწარი დატაცება არ მომსდარიყო. ამის მაგალითია არაერთი გრიფით საიდუმლო წერილი ქალაქ ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარის, ვინმე გველესიანის მიერ დაწერილი: „როგორც შემოსულ ცნობებიდან ჩანს, თქვენთან მორწმუნები მოსულან განცხადებით ადგილობრივ მთ ვარანგელოზის ეკლესიაში წირვა ლოცვის ნებართვის შესახებ, რაზედაც თქვენ შეუფერებლად მიგიმართავთ მათოვის და უარი გითქვამთ, რომ თუ ეპლესია მოქმედია და მისი ნივთები არ ყოფილა გამოტანილი, თქვენ არავთარი უფლება არ გაქვთ მსურველ გლეხებს აუკრძალოთ ეპლესიაში სიარულით (17). იქვე არის მეორე მიმართვა, მიტრობოლიტ სიმეონ ქუთათელ გაენათელისა: ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარეს მიმართ: „დღეს 16 აგვისტოს, ჩემთან გამოცხადდნენ

ქუთაისის რაიონის ოფუჩხეთის თემის, სოფელ გუმათის მორწმუნება წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ მათ მოუტანიათ ადგილობრივი თემის აღმასკომის თავმჯდომარესთან გუმათის მორწმუნება ხელმოწერილი განცხადება თავისი რელიგიური წესებისა და მარიამბის მარწევაში, ჩვეულებრისაბეჭრ, წირვლოცვის ნებართვისათვის ადგილობრივი მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომელიც როგორც განაცხადეს, მორწმუნება განკარგულებაშია საბჭოთა ხელისუფლებისაგან გადაცემული. თემადმასკომის თავმჯდომარეს, ძნელაძეს, ეს განცხადება წაურთმევია, დაულანძლავს ისინი, შეუგინებია მათი სარწმუნოებრივი კრძნობა და გამოუგდია. ამის უფლება მას, საბჭოთა ხელისუფლებისგან გამოცემული კანონმდებლობათა მიხედვით არ ჰქონდა” (17, 21). საქართველოში 1920 წელს მომხდარი მიწისძერის გამო, არაერთი ტაძარი ისედაც დაზიანდა და შეკეთებას საჭიროებდა. 1917 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 1500 ეპლების 1600 მდვდელი, მედავითნე და დიაკონი ემსახურებოდა, 1921 წლისათვის მათი რიცხვი 2000-ია, 1930 წლისათვის 1050 ეკლესია და სამლოცველო სახლია, 1200 მეტი კულტმსახურით. 1935 წლისათვის ქუთაისის მაზრაში გამოცხადებული უღმერთო ხუთწლების საპასუხოდ, სულ 58 სამლოცველო დარჩა, აქედან 16 იყო მოქმედი, 31 დაკეტილი, 5 კლუბად და 6 საწყობად გადაკეთებული. „1936 წელს, ფოთის საკათედრო ტაძრისთვის, ბერიას ბრძანებით, საკურთხეველი მოუნგრევათ, საპარადო მინაშენები გაუკეთებით და შეიგ თეატრი შეუსახლებიათ” (17, 4). უკვე 1937 წლისათვის, მოქმედი ეკლესიების რიცხვი 187-დე შემცირდა, ხოლო 1940 წლისათვის კი 78-ს არ აღმატებოდა. „მოძღვრის გარეშე დარჩენილ მრევლს შეესივნების კომუნისტი პროპაგანდისტები. ძველი და საშუალო თაობის უმრავლესობა ეკლესიის და მოძღვრის გარეშეც ინარჩუნებდა ღვთისადმი რწმენას, მაგრამ ახალგაზრდობა ასეთ რწმენას მოკლებული იყო, მათზე დამღუტველ გავლენას ახდენდა დემოგოგიური კომუნისტური პარტია” (14, 67). „ბოლშევკური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების დაკეტვას ხშირ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობაც მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომაც, პარტიული მუშაქები არც ძალის გამოყენებას ერიდებოდნენ. გორში, სოფელ ქვემო ხანდაქში შეიარაღებული ოთხი პარტიული ჩავიდა და საზოგადოებას ეკლესიის გაუქმება აცნობა: – „ჩვენ ვპეტავთ ეკლესიას, ეს ჩვენი ნებაა!” (14, 21). ეკლესიის მესვეურნი, ისევ გაბედულად ცდილობდნენ სტიქიურად განვითარებული მოვლენების შექრებას, მიმართავდნენ ყველა ინსტანციას. 1923 წელს. თავის წერილში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დავით კაჭანიძე

მისა ცხაკაიას მიმართავდა წერილით და რჩევა დარიგებას აძლევდა: „მე თქვენ გიცნობთ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვსწავლობდი თბილის სემინარიაში, როცა თქვენ მოსწავლეთა შორის სთესდით სოციალიზმის თესლისა. . . კომუნიზმის გაძლიერებისთვის უმჯობესია საბჭოთა ხელისუფლებამ უმაღლესი საერო მთავრობის №25 დეკრეტი სარწმუნოების შესახებ დაიცვას. ხოლო, თუ საექლესიო წესები და სამღვდელოებაში რაიმეა დასაგმობი, მიზეზი თვით რელიგიაში – ქრისტიანობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თავად სამღვდელოებაა „გასაჩითქი” (სტილი დაცულია)“ (14, 23). „1925 წლისათვის, საბჭოთა კავშირში სიკვდილით იყო დასჯილი 250 000 ღვთისმსახური (მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი, იღუმენი, ხუცესი, დიაკონი, ბერი, მონაზონი)“. „გასაჩითქად” მოწოდებული უღმერთოების მუშაობა უფრო მეტად ორგანიზებული რომ ყოფილიყო, უკვე 1928 წელს, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ საქართველოს ფილიალი დაფუქნდა. მომდევნო წლის 1 ივნისს ჩატარდა ყრილობაც, რომელსაც გამოცდილი ათეისტი ციხელაშვილი წარუდგა, მან მოხსენების ფრგლებში განაცხადა: „ჩენ ერთხანობას გატაცებულები ვიყავით ეპლესის დახურვით და ადმინისტრაციული ზომების მიღებით, შემდეგში, როდესაც ამან არ მოგვცა კარგი შედეგები, მოგვიხდა უკან დახევა, ეკლესიები ზოგიერთ ალაგებ დაუუბრუნეთ და ყველა ის ორგანიზაციები რომლებიც აწარმოებდნენ მუშაობას სულიერად დაუცნენ. ჩვენი კლასოური მტრები წამოღვნენ ფეხზე და ამ მხრივ მოგველის დიდი მუშაობა“ (15, 3). უკვე 1930 წელს გამართულ ყრილობაზე, მთელ რიგ იგივე პრობლემათაგან, წინ იწევს ფინანსური საკითხი და უღმერთონი დაუფინანსებლობაზე და აგიტაციის ნაკლებობაზე ჩივან. თუმცა ფართიდ გაშლილი რეპრესიების ფონზე, აღნიშული ორგანიზაციის ხელგაშლილი დაფინანსება საბჭოთა ხელისუფლებისათვის არახელსაყრელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ, უღმერთოთა კავშირის წევრებმა საწევრო გადასახადი დაწესეს ორგანიზაციაში დარეგისტრირებულთათვის, თუმცალა, შემოსული თანხები არაურთხელ გაიფლანგა.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ პოლიტიკურ-იდეური დანიშულება და თვისობრივი ხასიათი ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის უმთავრეს მიზანს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასა და ლენინისეული „აულტურული რევოლუციის“ განხორციელების საქმეს, რადგან კომუნისტური იდეოლოგით „ქრისტიანობა კერძო საკუთრების წინააღმდეგ არ ამხედრებულა, პირიქით, იგი ადასტურებდა და მხარს უჭერდა მას“ (9, 69). ხოლო მუშაობის თავისებურე-

ბით, საქართველოს უჯრედი გამოირჩეოდა გაცილებით მეტი სისასტიკითა და შეუწყნარებლობით, მართლმადიდებელ ეკლესიაში ბოლშევკები მთელი სიცხადით ხედავდნენ იღეურ მტერს, რადგან მათივე მოძღვრებით, „ანტიქრისტეს სარწმუნოება არის ბოლშევკიზმი” (15, 15). ანტირელიგიური კამპანიის სამიზნედ ქცეული მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში, ღოთისმსახურების სიცოცხლის რისკის ფასად, ცდილობდნენ ქართველ ერში სულიერი ბალანსის შენარჩუნებას. შესაძლოა მათი მცდელობა გაცილებით უშედგო ყოფილიყო, რომ არა ისები ბესარიონის ძე სტალინის მიერ, ანტირელიგიური კამპანიის შესუსტების პოლიტიკა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ განაპირობა. კომუნიზმის ბელადმა ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა შეცვალა და რესული მართლმადიდებელი ეკლესის ქვეშ გაერთიანებული დანარჩენი ეკლესიების საერთო სარუსეთო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, მეორე მსოფლიო ომის დროს სარწმუნოებრივ დარგში ლოიალურობა გამოავლინა. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა” არსებობა 1947 წელს შეწყვიტა, ხოლო მისი წევრები, საზოგადოება „ზნანიეში” გადანაწილდნენ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხრუშჩოვის პოლიტიკის წყალობით, რელიგიური დევნა-შევაწროვება ისევ განახლდა, თუმცა განსხვავებული სახე მიიღო. „უღმერთო სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ბოლშევიკი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები მიზანმიმართული პროგრამების მეშვეობით, იღეურად დევნიდნენ სარწმუნოებას და ზნეობრიობას. ათეოზმისა და მატერიალიზმის აპოლოგიებები მოხერხებულად აითვისეს მართლმადიდებლური ქრისტიანობის დოგმატიკური ტონი და გარეგნულად თავიანთ თეზისებსა და გამოსვლებში დაბეჭითებით მსჯელობდნენ, ასაბუთებდნენ სოციალისტურ იდეებს. უღმერთო ხელისუფლება მიზანმიმართულად იღწვეოდა ძველი იდეებს – სახელმწიფოს, როგორც „მიწიერი კეთილდღეობის იდეებს აღორძინებისათვის”(10, 33).

ამრიგად, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” საქართველოს უჯრედის საქმიანობამ, უდიდესი როლი ითამაშა ახალი თაობების ანტისარწმუნოებრივი სულისკეთებით აღზრდის საქმეში, ეწ. „ახალი ადამიანის” ფორმირებაში. აგიტაციის პარალელურად, ნამგალითა და უროთი ხელში, ინგრეოდა არა მხოლოდ ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა, არამედ მთლიანად სულიერი სამყარო ცალკეული ერებისა, რომლის აღდგენას ჯერ კიდევ დიდი დრო ესაჭიროება.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. „ათეიზმი”, ქ. ქუთაისი, 1910.
2. „Акация”, 1903 II
3. Второй съезд коммунистических организаций кавказия 1923 т 19-23 марта
4. „масонские итальянские обозрение” 1886 г
5. მუმლაძე ც. ტრიფონ ჯაფარიძე. ქუთაისი 1993
6. О религии и церкви” მოსკოვი, 1965
7. რეზოლუცია, სსრ „მუკის” მეორე კრილობა, თბ., 1930
8. „საფრანგეთის დიდი ლოუის კონვენტი” 1922, ოქტომბერი
9. „ქრისტიანობა” „მუკის ცენტრალური საბჭო, 1936
10. „ქრისტიანობის კვლევები”, III, თბილისი 2009
11. გაზეთ., „მოწამეთა” №7-8., ივნის-აგვისტო, 1990 წ
12. გაზეთ., მუშა და გლეხი, 1923 წ 4 მარტი
13. გაზეთ., „უღმერთო დაზგასთან” №12, 1929
14. ურნალი საარქივო მოამბე 2008 №1
15. სუიცა, ფ 1547, აღწ 1, საქმე 3
16. ქცსა, 8659 ფ 192
17. ქცსა, ფ 149, აღწ 1 საქმე 381

**Eka Silagadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction-history of Georgia

Phd Student

## **„Antireligion fighter alliance” and character of works in Georgia**

### **Summary**

The new policy of Bolsheviks demanded antireligious propagation. The state of the Unions has been declared by atheistic. For this purpose leaders of Bolsheviks have created the new organisation by name of „Antireligion fighter alliance”, which cell, has been opened and in Georgia 1928. Having come to the authorities communist party declared religion the enemy of new thinking. Have started to close churches, repressed many religious people and confessors. 1925 they arrested and also have killed about 250 000 spiritual hierarches orthodox churches. Bolsheviks carried on propaganda among Christian, which of for fear gradually transformed in atheists and entered into ranks of party. During board of communists the quantity of operating churches in Georgia is considerable reductioned. The church in Georgia always supported patriotic spirit among Georgians and showed resistance of new ideology. „Antireligion fighter alliance” have an influence over cultural-religious development of Georgia.

**მიზეილ ქართველიშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის დოქტორანტი

**ეთერ ბოკელავაძე**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
II კურსის მაგისტრანტი

### საბჭოთა საეკლესიო დიპლომატია და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 40-იან წლებში

თანამედროვე ეტაპზე უდიდესი შემცენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, რადგან სრულიად აშკარაა, რომ მის ობიექტურ გააზრებაზე დიდწილადა დამოკიდებული თანამედროვე ვითარების პირუთვნელი შეფასება და სახელმწიფოებრივი განვითარების სამომავლო პერსპექტივების მეტ-ნაკლები სიზუსტით დასახვა.

საბჭოთა საეკლესიო-დიპლომატიის შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და თავისებურ პერიოდს წარმოადგენს დიდი სამამულო ომის (1941-45 წწ) პერიოდი, როდესაც მეტად საინტერესოდ განვითარდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი, გამოიკვეთა მათი დაახლოება-ურთიერთობანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

საქურადღებოდ მიგაჩნია ხაზი გაუესვათ იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, აშკარა გახდა საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო კურსში რადიკალური ცვლილებებისათვის სამზადისი. საბჭოთა სახელმწიფო ჩართული იყო საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებში და ზედმიწევნით ინფორმაციას ფლობდა მოსალოდნელი ომის საკითხებზე. აღნიშნულ გარემოებაში საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა თადარიგის დაჭრას, რათა “სოციალიზმის მონაპოვარს” შიდა და გარე “მტრული ელემენტე-

ბისგან” საფრთხე არ შექმნოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით ესაჭიროებოდა სანდო დასაყრდენი ძალა, რომელიც საზოგადოებაში სტაბილიზაციის და გარე აგრესიის წინააღმდეგ თავდადებული, ერთგული ბრძოლის გარანტი იქნებოდა. ასეთად სახელმწიფო ხელისუფლებას მართლმადიდებელი ეკლესია მიაჩნდა.

სწორედ აზნაური მიზნებით საბჭოთა მთავრობა იცვლის ეკლესიასთან მიდგომის გზებსა და მეთოდებს; მთელი ძალის ხმელეთი ცდილობს მისი ხალხში არსებული დიდი ნდობა-ავტორიტეტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას; მოსახლეობის დარაჯვას და მის ჩაბათს მოწოდებით; ეკლესის ჩარევის ეროვნული ინტერესი ანტიფაშისტური მიმდინარეობის ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგიად ჩამოყალიბების, ეკლესიასთან კეთილმეგობრული ურთიერთობა-თანამშრომლობის დამყრების, შსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური ნდობის აღდგენა-მოპოვების, ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საერთაშორისო საზოგადოება საბჭოთა მთავრობას ხშირად საყვედურობდა საეკლესიო იდეოლოგიის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების გამო, ამიტომ ეკლესიისადმი მთავრობის ლოიალურ დამოკიდებულებას უნარი შესწევდა მსოფლიოს ქვეწები დადგებოთად განეწყო საბჭოთა სახელმწიფოსადმი.

ომის საწყის პირიოდშივე რუსეთის საეკლესიო იერარქებმა ზუსტად განსაზღვრუს და შეავასეს შექმნილი უაღრესად რთული სამხედრო-პოლიტიკური ძალობრუება, მათ შესანიშნავდ გაიაზრეს, რომ საჭირო იყო ეკლესიის იდეურად სწორი, ტაქტიკურად გამართლებული პოზიცია დაეკავებინა.

დაწყების პირველივე დღეს რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცემები, მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ) დაწერა ეპისტოლე, რომელშიც გადმოცემული იყო საბჭოთა ხელისუფლების სრული მხარდაჭერა, სამშობლოს დასაცავად ომში მონაწილეობა ყველა მართლმადიდებლის უწმინდეს მოვალეობად გამოცხადდა.

1942 წლის 22 ივნისის ეპისტოლეს შემდეგ მიტროპოლიტმა სერგიმ კიდევ 23 ეპისტოლე გაუგზავნა სამღვდელოებას და მრევლს, ამ ეპისტოლეთა საერთო აზრი იყო, რომ ღმერთის შეწენით საბოლოო გამარჯვება საბჭოთა კავშირს დარჩებოდა (1, 80). ასევე სრული მხარდაჭერა გამოეცხადა ცენტრალური ხელისუფლების ყველა სახის მოქმედებას, რომელიც სახელმწიფოს დაცვა-გაბლიურებისკენ იყო მიმართული. პატრიარქის მოწოდებების წერილობითი ვერსიები სისტემატურად იძებლდებოდა ცენტრალურ პრესაში.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რუსეთის ეპლესია მხოლოდ ეპისტოლებისა და მიმართვების გაგზავნით არ შემოფარგლულა და გადაწყვიტა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურადაც დადგომოდა გვერდით, კერძოდ ეკლესია იმთავითვე შეუდგა მრევლში ფულადი სახსრებისა და სხვა შესაწირის (ოქრო-ვერცხლის ნივთების, ძვრვების ქვების და სხვ.) შეგროვებას ომის საჭიროებისთვის

1943 წლის 4 სექტემბერს იოსებ სტალინმა მიიღო პატრიარქის ტახტის მონაცელე, მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი), ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ალექსი (სიმანსკი) და პატრიარქის ეგზარქის უკრაინაში, კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტი ნიკოლოზი (იარუშევიჩი). ამ შესველრაზე გადაწყვდა რუსეთის ეპისკოპოსების კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა. (1)

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება შედგა მოსკოვში 1943 წლის 8 სექტემბერს. კრებას ესწრებოდა 19 იერარქი (3 მიტროპოლიტი, 1 არქიეპისკოპოსი, 5 ეპისკოპოსი).

ეპისკოპოსთა კრებამ რუსეთის პატრიარქად აირჩია პატრიარქის ტახტის მონაცელე, მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი). 1943 წლის 12 სექტემბერს შედგა ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია. საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ სამატელო ომის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთში მოქმედი ეკლესიების რიცხვი. 1944 წლის გაზაფხულისთვის რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაახლოებით 40 ეპარქია არსებობდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საეკლესიო ლიტერატურის გამოცემის საქმე. 1943 წლის სექტემბერში განახლდა “მოსკოვის საპატრიარქის ჟურნალის” გამოცემა. ჟურნალის პირველი რედაქტორი პატრიარქი სერგი იყო.

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სადღით სინოდმა დაამტკიცა სასულიერო განათლების სისტემის პროექტი. პროექტის მიხედვით მოსკოვში უნდა გახსნილიყო მართლმადიდებლური სალფისმეტყველო ინსტიტუტი, ხოლო ეპარქიებში – საღვთისმეტყველო კურსები.

ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: გამოცემისა და განათლების უფლების მინიჭებით საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ეკლესიას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა, აღნიშნული რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში საგსებით სამართლიანადაა მჩნევული ეკლესიის ინსტიტუტის გაძლიერებისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან და შეგნებულ ნაბიჯად.

საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკის ერთ-ერთ საინტერესო მი-  
მართულებას წარმოადგენდა რუსეთის ეკლესიის ბრძოლა წმინდა  
მიწაზე არსებული ყოფილი ცარისტული რუსეთის დროინდელი ქო-  
ნების დაბრუნება-დაკანონებისათვის.

როგორც ცნობილია რუსეთის სახელმწიფოს საეკლესიო-პო-  
ლიტიკური ონტერიესებს წმინდა მიწისაღმი მრავალსაუკუნოვანი ის-  
ტორია აქვს. მან მეტად რთული ევოლუციური გზა განვლო; ისნი  
წმინდა პოლიტიკური მიზნით იყო განპირობებული, საეკლესიო დიპ-  
ლომატიის მეშვეობით ხორციელდებოდა და მრავალმხრივი განვთა-  
რებით სასიათდებოდა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის სა-  
იმპერატორო კარმა შეიმუშავა საეკლესიო-დიპლომატიური მისიების  
ორიგინალური პროექტები, რომელშიც საგანგებო ადგილი წმინდა  
მიწას და მაცხოვრის საფლავს ეკავა (პეტრე დიდის, ეკატერინე  
II-ის პროექტები) (5). XIX საუკუნის 40-იან წლებში კი იმპერა-  
ტორ ნიკოლოზ I-ის რეზოლუციით, 1847 წლის 11 თბერვლიდან  
საფუძველი ჩაეყარა “რუსეთის სასულიერო მისიას პალესტინაში“.

წმინდა მიწაზე ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს, რუსეთის  
მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა მნიშვნელოვა-  
ნი ტერიტორიები : უფლის საფლავის ტაძრის ახლოს; აგრეთვე  
ძველი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით (“მოსკობია”); ელეონის  
მთაზე (მაცხოვრის ამაღლების ადგილთან); გორნეში (ყოვლადწმინ-  
და ღვთისშობლისა და ელისაბერის შეხვედრის ადგილას); ქებრონ-  
ში, იაფიასა და იერისხომში. შეძნილ ტერიტორიებზე აიგო მასშტა-  
ბური სამონასტრო კომპლექსები, ჩამოყალიბდა დიდი რუსული თე-  
მი, რომელიც ისტორიოგრაფიაში “რუსული პალესტინის“ სახელ-  
წოდებითა ცნობილი (5). XIX საუკუნის 80-იან წლებში “მისიას-  
თან“ დაარსდა რუსული ეწ. “მართლმადიდებლური პალესტინური  
საზოგადოება“, რომელმაც წმინდა მიწაზე ფართო საგანმანათლებ-  
ლო საქმიანობა გააჩარისა და ამავე სამართლებრივი სამართლებრივი  
არამხოლოდ პალესტინაში, არამედ სირიასა და ლიბანში. 90-იან  
წლებში კი ანტიოქიის პატრიარქ სპირიდონის ინიციატივით  
“საზოგადოების“ განმგებლობაში გადავიდა დამასკოს ქალთა სკოლა  
და რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი (5).

სასულიერო მისიის წარმატებებმა მნიშვნელოვნად განამტკიცა  
რუსული დიპლომატიის პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში თუმ-  
ცა ვთარება რადიკალურად შეიცვალა 1917 წლის ოქტომბრის სა-  
ხელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სა-  
თავები მოსული ბოლშევიკური მთავრობა ეკლესია-სახელმწიფოს

ტრადიციული ურთიერთთანამშრომლობის ნაცვლად ანტისაეკლესიო პოლიტიკის გატარებას შეუდგა, რამაც თავის მხრივ საინტერესო ასახვა პპოვა წმინდა მიწაზე არსებულ პოლიტიკურ ბატალიებში. პალესტინის სასულიერო მისია კანონიურად მოწყდა მოსკოვის საპატრიარქოს და რუსულ საეკლესიო ქონებას რუსეთის ემიგრანტული ეკლესია დაუფლდა. ამ უკანასკნელის მატერიალუმა უძღურებამ და მჭიდრო პოლიტიკურმა კავშირებმა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, შედეგად გამოიწვია ის ფაქტი, რომ 1918 წლიდან წმინდა მიწაზე რუსული მისიას უძრავ-მოძრავი ქონება ინგლისის კოლონიური მმართველობის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, რომელმაც 1922 წელს რუსეთის საეკლესიო ქონება კანონიერი მფლობელის სანქციის გარეშე, ერთა ლიგის მანდატით დაიკანონა. ამ დროიდან ინგლისი წლების მანძილზე აღნიშნულ ქონებას სავაჭრო-კომერციული მიზნებით იყენებდა, როთაც დიდად მოგებას იღებდა (8, 231).

ვითარება რადიკალურად იცვლება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ზემოთ ჩვენს მიერ ნახსენები საეკლესიო პოლიტიკის ლიბერალიზაციის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლება ინტერესდება წმინდა მიწაზე რუსეთის ეკლესის ქონების მდგომარეობით. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი ანტიპიტლერული კოალიციის სახელმწიფოს წარმოადგენდა მას მეტად მნიშვნელოვან და მომგებიან პოზიციაზე აყენებდა.

აღნიშნულ პროცესებში კორექტივები შეიტანა 1948 წლის 14 მაისს, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაშ. ამ ტერიტორიაზე რუსეთის საკუთრების დაბრუნების მიზნით ფართო დიპლომატიური მოძრაობა გაიშალა, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ, როგორც საერო, ისე საეკლესიო მოღვაწეები. 1948 წლის 14 ოქტომბერს იოსებ სტალინმა ხელი მოაწერა სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს დადგენილებას “საბჭოთა კავშირიდან ისრაელის სახელმწიფოში მუდმივი საქმიანობისთვის არქიმანდრიიტ ლეონიდეს (რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელის სტატუსით) და ვლადიმერ ევგენიოვჩის (მისიის მღვდლის სტატუსით) გაგზავნის შესახებ“. (5) განახლდა რუსეთის სასულიერო მისიის მოღვაწეობა წმინდა მიწაზე. მისიის მუშაობამ სათანადო შედეგი გამოიღო : ისრაელის ხელსულებამ მოსკოვის საპატრიარქოს პალესტინის რუსული მისიის უძრავ-მოძრავი ქონება სრულად გადასცა, თუმცა მოგვიანებით ისრაელ-არაბეთის საომარი ვითარებისა და მათ შორის სამშვიდობო ზავის თანახმად, სახელმწიფოთაშორისმა გამოიწმა ზოლმა რუსეთის საეკლესიო გუთვინილებაზეც გაიარა : ისრაელის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული რუსული უძრავი ქონება დაუბრუნდა საბჭოთა

ხელისუფლებას, ხოლო იორდანიის ტერიტორიაზე არსებული ეპილესია-მონასტრები კი რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის ოქრისდიციაში მოექცნება.

ამრიგად საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო-დიპლომატიურ-მა პოლიტიკაში წმინდა მიწაზე რეალიზება მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 30-იან წლების მიწურულს დაწყებულმა საეკლესიო პოლიტიკის ლიბერალიზაციამ არსობრივი გაგრძელება მეორე მსოფლიო ომის წლებში პპოვა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის მნიშვნელოვან დაახლოებაში გამოიხატა. საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიური საეკლესიო-დიპლომატიური ბრძოლა აწარმოა წმინდა მიწაზე რუსეთის ეპლესის კანონიერად კუთხითი ქონების დაბრუნებისთვის, რაც მოელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მეტ-ნაკლები წარმატებით დასრულდა.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ვაჩნაძე მ, გურული ვ რუსეთის ეკლესიის ისტორია, ტ. 3, ნაწ. I (1900-1945), თბ., 2008
2. პავლიაშვილი ქ. საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX საუკუნის 20-60-იან წლებში (“სტალინის პროექტი” და ეწ. “ფორთოხლის გარიგება”), ქრ. “ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები” №2 (6), თბ., 2009
3. პავლიაშვილი ქ. საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში, თბ., 2008
4. პავლიაშვილი ქ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. I, თბ., 2008
5. Россия в Святой Земле. Документы и материалы, т. I, М., 2000
6. Цыпин Вл., История русской церкви (1917-1997), .., 1998
7. Lane C, Christian Religion in the Soviet Union : A Sociological Study, New-York, State University of New York Press, 1978
8. Maurice J. Le destin du christianisme pendant le régime soviétique (1917-1978), Paris. 1997
9. Shubin D, A History of Russian Christianity, Vol. IV, New-York, 2006

**Mikheil Kartvelishvili**

Ivane javakhshvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
Phd Student

**Eter Bokelavadze**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
II year MA degree

## **Soviet Church diplomacy and Russian Orthodox Church in 40-s years of XX century**

### **Summary**

The scientific study of the Soviet Union's history in modern stage has it great theoretical and practical important, because it's obvious the dependent today's state development objective analysis and the plan of the future perspectives in more or less exactness.

In this article is considered the Soviet church diplomacy during the 40-s years of XX century, problem of Palestiniana, In the history of russian church Holy Land was the great importance, it was much of projects, during the soviet era Iosef Stalin began the new project and this was realized only partially.

## თამარ ტლაშვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
II კურსის მაგისტრანტი

### იერუსალიმის წმინდა მიწებისათვის კონფლიქტი და რუსული პოლიტიკა (XVIII-XIX ს)

იერუსალიმსა და წმინდა მიწას ყველა ქრისტიანის ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია. მრავალი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს თითქმის ყველა ერი ცდილობდა წმინდა მიწის აღორძინებაში საკუთარი სულიერი და კულტურული წვლილი შეეტანა.

წმინდა მიწაზე უფლებების მოპოვებისათვის კონფესიათა შორის კონფლიქტს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მასში მონაწილეობას იღებდა ქრისტიანული აღმსარებლობის თითქმის ყველა მიმდინარეობა, რომელთა შორის მთავარ მოწინააღმდეგებად ძლიერი და გავლენიანი კათოლიკები და მართლმადიდებელი ბერძნები ითვლებოდნენ. ამ უკანასკნელთა კონფლიქტს ჰქონდა ღრმა დოგმატური და პოლიტიკური საფუძველი, რისი მიზეზთაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქრისტიანული ექლესია გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიებად.

XI საუკუნეში იერუსალიმი ჯვაროსანთა ხელში აღმოჩნდა, რამაც წმინდა ადგილებზე ბიზანტიის ეკლესიის მონოპოლიური კონტროლის დაცემა განაპირობა. რომელ იერუსალიმში თავისი პატრიარქი დასკა, ხოლო მართლმადიდებლებს ჩამოერთვათ ქრისტიანული სიწმინდეების მფარველობის უფლება.

ჯვაროსანთა განლენის შემდეგ, მუსლიმანებმა მართლმადიდებლებს ჩამორთმეული ტაძრები და მონასტრები დაუბრუნეს. თურქ-სელჩუკები მათ უფრო ნდობას უცხადებითნენ, ვიდრე კათოლიკებს, რადგან ამ უკანასკნელთაგან ჯვაროსნულ რევანშ მოელოდნენ.

მოგვიანებით, ოსმალეთის იმპერიასა და ევროპის სახელწიფოს შორის სავჭრო ურთიერთობათა გაფართოების შედეგად, დასავლეთის ეკლესიამ ევროპელ მონარქთა მხარდაჭერით, წმინდა მიწაზე თავისი უფლებები მოითხოვა. თანდათანობით დაიწყო იერუსალიმში

კათოლიკეთა პოზიციების აღდგენა, რაც ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების მოსყიდვით ხერხდებოდა.

იმისა, რომ ჯვარისან-რაინდთა წმინდა მიწაზე „მოღვაწეობის“ შედეგად, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები მრავალი საუკუნის მანძილზე პერსონა ნონ-გრანტად ითვლებოდნენ, XIV საუკუნის შუა სანებში მათ მფლობელობაში იყო იერუსალიმსა და ბეთლემში არსებული მრავალი ტაძარი და სიწმინდე. რომმა წმინდა მწის მფარველად ფრნცისკანელთა ორდენი გამოაცხადა. ამ უკანასკნელთა მოქნილ დაპლომატის წყალობით კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდა მიწაზე თავისი პოზიციები გაიმუარა.(3)

მართლმადიდებელი ბერძნები აპროტესტებდნენ დასავლეთის ეკლესისათვის მინიჭებულ უფლებებს და მთვარ არგუმენტად მოჰქონდათ ხალიფა ომარის მიერ 636 წელს გამოცემული სიგელი, რომლის თანახმადაც, სწორედ მართლმადიდებელებს ენიჭებოდათ ქრისტიანულ სიწმინდეების მფლობელობის უფლება. ფრნცისკანელები ამის საბასუხოდ ამტკიცებდნენ, რომ VII საუკუნეში, როდესაც სიგელი შედგა, ქრისტიანები ჯერ კიდევ ერთ ჯახად იყნენ და ამიტომ ხალიფას ბრძანება რომის ეკლესიაზეც ვრცელდებოდა.

მრავალსაუკუნოვანი მტრობა და ურთიერთუნდობლობა აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიებს შორის, იერუსალიმში წივევდა განსაკუთრებულად მწვავე ფორმის კონფლიქტებს. ზოგჯერ მაცხოვრის საფლავზე პირველობისათვის ბრძოლისას ბერებს შორის ხდებოდა სისხლისი შეტაკებები.

ოსმალთა ბატონობისას, მთელი ქრისტიანული საკუთრება მუსულმანთა ხელში იყო, რომლებსაც დამპყრობლები თავიანთი შეხედულებებისამებრ განკარგავდნენ. ქრისტიანულ კულტურულ დაწესებულებათა ნაწილი მათ გადაკეთეს მეჩეთებათ. მხოლოდ მცირე მათგანი აგრძელებდა პირველდელი დანიშნულებით ფუნქციონირებას.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიებს შორის წმინდა ადგილებისათვის კამათში, გადამწყვეტი სიტყვა სულთანს ეკუთვნოდა. ამ თუ იმ მხარისათვის დადგითი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იყო ოსმალეთის იმპერიასა და ევროპელ მეთაურთა შორის ურთიერთობების მოგვარებაზე, ასევე დიდი მნიშვნელობა პქნიდათ თუ ვინ გაიღებდა ყველაზე დიდი ოდენობის ქრისტიანს. ამის შესაბამისად, სხვადასხვა დროს ტაძრებსა და სიწმინდეებს მფლობელებიც სხვადასხვა პყავდათ.(3)

XVII საუკუნეში წმინდა მიწების მფლობელებად ხან კათოლიკები გვევლინებიან, ხანაც მართლმადიდებელები. თუკი საუკუნის დასაწყისში მაცხოვრის საფლავის ეკვდერი ეკუთვნოდა ლათინებს, 1612

წლიდან იგი მართლმადიდებელთა და სომეხთა ხელში გადავიდა. საბოლოოდ, 1675 წლიდან ბერძნები მაცხოვრის ტაძრის კუპეკლიის ერთპიროვნული მფლობელები გახდნენ. ფრანცისკანელებმა კი 1690 წლისთვის ბეთლემის მღვიმე დაისაკუთრეს.(3)

1719 წელს კათოლიკებმა თურქებისაგან მაცხოვრის საფლავის ტაძარი და მისი მათვარი გუმბათის რეკონსტრუქციის უფლება მიიღეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთის ეკლესია იქნებოდა მისი ერთპიროვნული მფლობელი.

XVIII საუკუნის I ნახევარში საფრანგეთი აქტიურად გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე და აღმოსავლეთში აძლიერებს თავის პირზიცებს. ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები დასავლეთის ეკლესიისთვის, რათა მოეხდინა თავისი პირზიცების განმტკიცება წმინდა მიწაზე. 1740 წელის თურქეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებების შედეგად ფრანცისკანელებს შეუნაჩუნდათ ყველა ის უპირატესობა, რითაც ადრე სარგებლობდნენ იერუსალიმის წმინდა ადგილებში. ამრიგად, როგორც ჩანდა, კათოლიკურმა ეკლესიამ მოახერხა საკუთარი თავი დაუმკიდრებინა ქრისტიანული სიწმინდეების მთავარ მფარველად, რამაც მართლმადიდებლების ძალიან დიდი უქმაყოფილება გამოიწვია.

იერუსალიმის წმინდა ადგილების ისტორიაში გარდატეხის პერიოდად იქცა

1757 წელი. თურქებმა, იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებელთა მღლელგრძების თავიდან ასაკოლებლად(რაზეც ისინი მოსახლეობის უმეტესობას შეადგინდნენ), კათოლიკებს სპეციალური ფირმანით ჩამოაჭრეს წმინდა ადგილებზე მინიჭებული უფლებები.. ბერძნულ ეკლესიას დაუბრუნდა ბეთლემის შობის ტაძარი და ზეთისხილის ბალიონ მდებარე დკონიშმობლის აკლდამა. მაცხოვრის საფლავზე კი ორივე ქრისტიანულმა მიმდინარეობამ თანაბარი უფლებები მიიღო. ზოგიერთი წყაროს ცნობით, 1757 წლის ფირმანი დიდი ვეზირის რაპიდ ფაშას ჩარევით შედგა, რომელმაც თითქოს ბერძნების-გან ქრთამი აიღო.(3)

1757 წლის ფირმანით, მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის გაყოფილმა უფლებებმა მიიღო სტატუსკვლ, რომელიც ამჟმადაც ამ სახით მოქმედებს.

XVIII საუკუნის შუა ხანებში კათოლიკეთა გავლენა ოსმალეთის იმპერიაში შესუსტდა. წმინდა მიწებისადმი იკლო პოლიტიკოსთა და საზოგადოების ინტერესმაც. ევროპელი მონარქები ადრინდელი გულმოდგინებით აღარ იცავდნენ აღმოსავლეთში დასავლეთის ეკლესი-

ის ინტერესებს. ყოველივე ეს კი განმანათლებლობის ეპოქაში ადამიანის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების შედეგი იყო.(2)

ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეულ არქიტე გამოვიდა უკვე სერიოზულ მეტოქედ ქცეული რუსეთის იმპერია. მოსკოვმა, გააცნობიერა რა თავის თავი ბიზანტიის მეტკვიდრედ, ჯერ კიდევ ივანე III-ის პერიოდში, ცდილობდა განებტყიცებინა თავისი კავშირები მართლმადიდებელ აღმოსავლეთით. რუსეთის სარწმუნოებრივ-კულტურული მისწრაფებანი წმინდა მიწისადმი უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებით იყო განპირობებული და საეკლესიო დიპლომატიკური კავშირებით ხორციელდებოდა. (1)

რუსული საისტორიო წყაროების თანახმად, წმინდა მიწაზე რუსული დიპლომატიის პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ეპლესის მამიმთავრის, მიხეილ სირელის ელჩიია იერუსალიმში, რომლის მიზეზებისა და შედეგების შესახებ ცნობები აღარ მოგვპოვება. მომდევნო საუკუნეებში აღოსავლეთში უკვე ხშირად იგზავნებოდა დაზგრვითი ფუნქციით რუს მომღლოცველთა ჯგუფები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მონარქებს, პეტრე I-სა და ეკატერინე II-ს შემუშავებული პეტრიანური პროგრამა ახლო აღმოსავლეთის ასათვისებლად. რუსეთის იმპერიისათვის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრება უშუალოდ უკავშირდებოდა ქრისტიანობის წმინდა ადგილზე მის უხეხის მოკიდებას.(1)

თავის მხრივ, ბიზანტიის მემკვიდრის პრეტენზით გამოსულ რუსეთის სახელმწიფოში აღმოსავლეთის სასულიერო იერარქია ხედავდა მხსნელს, რომელიც გაანთავისუფლებდა მათ ოურქი დამპყრობლებისგან. მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავრებისაგან რუსეთის ეკლესიამ ჯილდოდ პატრიარქობის ინსტიტუტის დადგინების უფლება მიიღო(1589წ). სწორედ ამ ფაქტით მოახდინეს აღმოსავლეთის ეკლესიებმა მართლმადიდებლურ დიპტიხში ცვლილების შეტანა და რუსეთის ეკლესიას მეხუთე ადგილი დაუთმეს. (1)

1768-1774წლებში მმდინარე რუსეთ-თურქეთის ოშმი, რუსეთის წარმატებები აიძლებდა სტამბულს დათანხმებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებს. 1774წლის ქურუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით თურქეთმა იკისრა ვალდებულება მტკუცდ დაუცვა ქრისტიანული კანონი და ეკლესიები.

XIX საუკუნეში აღმოსავლეთის საკითხში რუსული პოლიტიკა ახალ ფაზაში გადავიდა. იმპერიამ საბოლოოდ განიმტკიცა თავის თავში მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში მართლმადიდებელთა მფარველის როლი. მისი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით ბერ-

მნულ-მართლმადიდებელი ეკლესია იერუსალიმშა და ბეთლემის წმინდა ადგილებზე ინარჩუნებდა კონტროლს.(2)

1808 წელს მაცხოვრის საფლავის ტაძარში მომზდარმა ხანძარ-მა მნიშვნელოვნად დააზიანა ქუგუკლია. ხანძრის სპეციალურად მოწყობაში კათოლიკები, მართლმადიდებლები და გრიგორიანელები ერთმანეთს ადანაშაულებნდნ, რომლის მიზანიც ტაძრის ნაწილებზე კონტროლის ხელახლი გადანაწილება იყო, რაც იძულებითი რეკონსტრუქციით მოხდებოდა. მართლმადიდებლებმა მოახერხეს თურქი ჩინოვიკების მოსყიდვა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უფლება მიიღეს. ამ საქმეში კი მათ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება რუსეთის სახელმწიფომ აღმოჩნდნა. ანლიდან იქნა ამოყვანილი კუპულია, რისი წყალობითაც ბერძნებს ქრისტიანული სიწმინდეების მაფარველის სტატუს უნდა განემტკიცებინათ. მაგრამ კათოლიკებმა 1811 წელს მოახერხეს მაცხოვრის საფლავის ეგვტერის ხელში ჩაგდება. ხოლოდ 1817 წელს რუსული დიპლომატიის ძალისხმევით სამართლიანობა აღდგა და ბერძნებს მაცხოვრის საფლავზე ღვთისხახურების უფლება მიეცათ. 1829წლიდან კი დამყარდა ტაძრების ერთობლივი ფლობის წესრიგი, კათოლიკებს, მართლმადიდებლებსა და გრიგორიანელების შორის.(3)

XIX საუკუნის შუა ხანებში, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ემ წამოაყენა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იერუსალიმშია და ნაზარეთის ქრისტიან მოსახლეობათა ექსტერიტორიულობას. პროექტის თანახმად თითოეული ქრისტიანული საზოგადოება-მართლმადიდებლები, კათოლიკები და პროტესტანტები, გამოიდოდა სულთნის ოურისდიქციიდან და ექვმდებარებოდა ე.წ. რეზიდენტთა კონტროლს, რომლებიც დანიშნულნი იქნებოდნენ შესაბამისად რუსეთის, ავსტრიის და საფრანგეთის, ინგლისის და პრუსიის მიერ.(3)

რუსეთისთვის ეს პროექტი მოუღებელი აღმოჩნდა, რამდენადაც ეწინააღმდეგებოდა ახლო აღმოსავლეთში მის პოლიტიკურ ზრახვებს.

ფრიდრიხის ამ გეგმას უფრო პოლიტიკური მიზნები პქრნდა, ვიდრე „მმური სიყვარული“ აღმოსავლეთის ქრისტიანებისადმი.

XIX საუკუნის 30-იან წლებში წმინდა ქალაქზე ევროპელთა ზეწოლითა და კათოლიკე-პროტესტანტთა გაძლიერებული პროზელიტიზმის შედეგად, იერუსალიმში პირველი პროტესტანტი ეპისკოპოსი გამოჩნდა. 1847 წელს რომმაც აღადგინა იერუსალიმის ლათინური საპატრიარქო.

1843 წელს რუსეთის იმპერიის მიერ, იერუსალიმში მომლოცველის სახით, გაგზავნილ იქნა არქიმანდრიტი პორფირე, რომელსაც დაზვერვითი საქმიანობა უნდა ეწრმოებინა. მის „მოღვაწეობის“ შემ-

დფომ, რუსული ექლესიისა და სახელმწიფო დიპლომატის ერთობლივი ძალის ხმელით, 1847 წელს იერუსალიმში დაარსდა ორგანიზაცია „რუსული სასულიერო მისია იერუსალიმში”.

ამდენად, მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის წმინდა აღვილებისათვის გრადეცულმა ბრძოლამ შედგენ მძიმე ომის დაწყებას, რამაც რუსეთის იმპერიას ევროპასა და აღმოსავლეთში მოელი რიგი პოზიციები დაათმობინა. სინამდვილეში წმინდა მიწებისათვის ბრძოლა იყო მხოლოდ ნიღაბი, რომლის ქვეშაც იმღებოდა უფრო სერიოზული პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიალური ზრახვები, რისი მიზნითაც რუსეთი დაუპირისპირდა თურქეთს.

ყირიმის ომი ისტორიაში შევიდა, როგორც „ბეთლემის ტაძრის გასაღებისთვის“ დაწყებული ომი.

ამ პრივენში საფრანგეთის ხელისუფლებაც ჩაერთო, რომელიც ცდილობდა წმინდა მიწაზე ფრანცისკანელთა უფლებების კვლავ აღდენას. ეს კი რუსეთის გალიზიანებას იწვევდა.

საბოლოოდ, 1852 წელს თურქეთის სულთანმა გამოსცა ფირმანი ქრისტიანული წმინდა აღვილების შესახებ, რითაც ფაქტობრივად 1757 წლის სტატუსი იქნა აღდენილი. ამავდროულად ლათინურ ექლესიას მცირე უპირატესობაც მიეცა: ბეთლემის ტაძარსა და მაცხოვრის შობის მღვიმეს დაუპირულდა კათოლიკური ვერცხლის ვარსკვლავი, ხოლო იერუსალიმში ლათინ ეპისკოპოსს გადაეცა მაცხოვრის შობისა და საფლავის ტაძრის გასაღების დუბლიკატი.(3)

მგრადი, წმინდა აღვილებთან დაკავშირებული კამათი, რომელიც ლოკალური მნიშვნელობის იყო, გადაიზარდა დიდ საერთაშორისო დაპირისპირებაში.

როგორც ომის დასრულების შემდეგ, პარიზის მსოფლიო კონგრესზე გამოჩნდა, ევროპელთა ინტერესი წმინდა მიწისადმი, გმოწვეული იყო რუსეთის, როგორც ქრისტიანთა დამცველის ამბიციების შესაზღუდად.

1877-1878 წლების ოში თურქეთის დამარცხებამ ევროპულ არეაზე რუსეთს მდგომარეობა უფრო განუმტკიცა. ბერლინის კონგრესზე მიღებული ტრქებაზთ, თურქეთი იღებდა ვალდებულებას და ეცა თავისი მოქალაქეთა უფლებები მიუხედავად მათი აღმსარებლობისა. ასევე ევროპის დიპლომატიურ კორაცის განუმტკიცდა ქრისტიანულ დაწესებულებებსა და მოძლოცველებზე მეურვეობის უფლება. განმტკიცდა აგრეთვე პალესტინის სიწმინდეების სტატუსკვლი.

XIX საუკუნის II ნახევარში ევროპულმა საკონსულოებმა, მათ შორის 1858 წელს იერუსალიმში გახსნილმა რუსეთის საკონსულომ,

დაიწყო აქტიური დაცვა ქრისტიანი მოსახლეობისა მუსულმანთა ზე-წოლისაგან.

დიდი კონკურენცია გამოიწვია წმინდა ქალაქში მნიშვნელოვანი ადგილების დაკავებამ. როგორც აღმოჩნდა აქაც გამარჯვებული რუსეთი გამოვიდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილში, აგბულ იქნა დიდი რუსული კომპლექსი, რომლის ცენტრშიც ბიზანტიური სტილით შესრულებული წმინდა სამების ტაძარი იდგა. დროთა განმავლობაში რუს მომლოცველთა რიცხვი გაიზარდა, რაც კომპლექსის გაფართოებას მოითხოვდა.(6)

ამგვარად, XIX საუკუნის ბოლოს რუსეთმა წმინდა მიწაზე საკმაოდ მტკიცე პოზიციები დაიკავა. იგი იქცა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მთავარ მოთამაშედ და იმდენად განიმტკიცა თავისი პრესტიჟი, რომ ევროპული სახელმწიფოები მას სერიოზულ მოწინააღმდეგად აღიქვამდნენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ქ, საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში თბ. 2008წ
2. Киняпина Н.С. Внешняя политика России второй половины XIX века. М., 1974.
3. Несенко Т.В. Конфликт вокруг святых мест в Иерусалиме и политика России (конец - вв) М.1970г
4. Лисовой Н.Н. Храмы Русской Палестины. СПБ. 1910 г
5. Лисовой Н.Н. Русская духовная миссия в Иерусалиме / История и духовное наследие. Жур. Богословские труды. М.1999г
6. Путилов Сергей, Храм Гроба Господня - разделенная святыня
7. Крылов А.В. Сорокина Н.М, Русская Палестина

### ინტერნეტ საიტები:

8. <http://www.kiev-orthodox.org>
9. <http://www.baznica.info>
10. <http://ricolor.org>

**Tamar Tlashadze**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
II year MA degree

## **Conflict for the Jerusalem holy lands and the policy of Russian**

### **Summary**

The work is about the conflict which rose during the division of the holy lands of jerusalem by confessors, and also about the Russian empire's interest towards these lands, the later was conditioned by the countries political interest and was being carried out via ecclesiastical diplomatic links . Russia's desire to gain its honorary place among the other powerful countries in an international field would come true only if it managed to control some of these holy lands.

Confessions have been fighting for their rights concerning the holy lands through centuries. In this conflict almost every branch of christian confession was involved, among which the main rivals were believed to be the powerful catholics and greek orthodox christians. Through centuries the owners of the holy lands were wheather catholics or orthodox christians.The Russian empire was lobbying the orthodox church intensively.

By the end of nineteenth century Russia had strengtenthed its position in the holy lands. It became a main figure in the near east and its prestige increased greatly. As the result of this European countries considred Russia to be their serious opponent.

თამაზ გაჩნაბე  
ვარშავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ  
ევროპის სპეციალობის მაგისტრანტი

ქართველი და პოლონელი ხალხების ეროვნული  
თავისუფლებისათვის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ  
(1832 წლის შეთქმულებაში პეტრე ზავილენსკის  
მონაწილეობის საკითხისათვის)

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში დაწყებული, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, მიმართული ეროვნული მოძრაობის ლოგიკურ გაგრძელებას წარმადგენდა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო ბრძოლის აღდგენისათვის ბრძოლის თვისობრივად ახალი საფეხური იყო.

ცნობილია, რომ საქართველოში 1832 წლის მოვლენებს წინ უსწრებდა პოლონეთში 1830 წლის 30 ნოემბერს დაწყებული აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავდა ლიტვას, ბელორუსის ნაწილს და უკრაინის დასავლეთ ტერიტორიებს და, რომელმაც 1831 წლის ოქტომბრამდე გასტანა.

წინამდებარე გამოკვლევის მიზნია გაშუქდეს პოლონელი და ქართველი ხალხის კონტაქტები საერთო მტრის – რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც მეფითო გამოხატულება შეიძინა პოლონეთის 1830-1831 წლებისა და საქართველოს 1832 წლის შეთქმულების პოლცესში.

მართალია, პოლონეთის 1830-1831 წლის აჯანყებასთან ქართველთა ორგანიზაციული კავშირის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტები არ გაგაჩნია, მაგრამ არც ეს კავშირი უნდა მივიჩნიოთ სათუოდ. პოლონეთის აჯანყებისადმი ქართველ შეთქმულთა უკრალება შემთხვევითი არ იყო, რამეთუ მას უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა და პოლონელების მოაზროვნე ევროპაც ამ აჯანყებას უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მივიჩნიოთ, რომ პოლონელთა მონაწილეობა ქართველთა 1832 წლის შეთქმულებაში შემთხვევითი ხასიათის არ უნდა იყოს. პოლონეთის 1830-1831 წლის აჯანყების დამარცხებით დაიწყო პოლონეთის დიდი ემიგრაცია დასავლეთ ევროპაში. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა შეპყრობილი

აჯანყებულები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებში გადაა-  
სახლა. გადასახლებულთა აღგილ-სამყოფელი რუსეთის აღმოსავლეთ  
გუბერნიები : ციმბირი, ჩრდილო კაზახთი და ეწ. „სამხრეთ ციმბი-  
რი“-კავკასია იყო. აღმოსავლეთ გუბერნიებში გადმოსახლებულ პო-  
ლონელთა მოღვაწეობა, არც საბჭოთა და, არც პოლონეურ ისტორი-  
ოგრაფიაში სათანადოდ შექმნავლილი არ არის.

ქართველ და პოლონელ ამბოხებულთა ძირითადი ურთიერთო-  
ბები პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და კავკასიაში პოლონელე-  
ბის გადმოსახლების დროიდან იწყება. ამ ეტაპზე კი ნაშრომში ყუ-  
რადღება გამახვილებული საქართველოში ყოფილ სამოქალაქო გუ-  
ბერნატორ პოლონელ პეტრე ზავილენსკის მონაწილეობას შეთქმუ-  
ლებაში, რომლის ირგვლივაც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა  
სხვადასხვაობა არსებობს.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის აქტებში  
რუსეთის, პოლონეთისა და ვილნიუსის არქიეპისტი, დაცული ცნობე-  
ბი, გვაძლევნ საფუძვლს მტაცებისას, რომ ქართველი შეთქმულე-  
ბი ცდილობდნენ აჯანყებაში გადმოსახებული პოლონელების ჩარ-  
თვას.

რეპრესირებულ პოლონელთა გარდა, თბილისში რუსეთის ბი-  
უროკრატიულ აპარატში მსახურობდნენ და მაღალი თანამდებობები  
ეკავათ. პოლონეურ წარჩინებულთა გვარის წარმომადგენლებიც, რო-  
მელთა შორის იყო საქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნა-  
ტორი პეტრე დამიანეს ძე ზავილენსკი.

ქართველი შეთქმულები საგამომძიებლო კომისიის წინაშე  
ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით გამოდი-  
ოდნენ, ერთი და იგივე პირის ირგვლივ განსხვავებულ აზრს გამოთ-  
ქვამდნენ. აღნიშნული საბუთები მკვლევართა დაბნევას იწვევს, რა-  
მაც განაპირობა პეტრე ზავილენსკის შესახებ მკვლევართა სხვადას-  
ხვა პოზიცია მისი შეთქმულებაში მონაწილეობის თაობაზე.

3. ზავილენსკის ბიოგრაფიის შესახებ ცნობები 1832 წლის  
მასალების მეშვეობით მოგვეპოვება, რომლებიც ეხება მის ჩამოს-  
ვლას საქართველოში, სახაზინო ექსპედიციის უფროსის თანამდებო-  
ბაზე დანიშნას და აქედან სამოქალაქო გუბერნატორის პოსტზე და-  
წინაურებას.

როგორც მასალებიდან ირკვევა, საგამომძიებლო კომისიამ და-  
კითხულთაგან გამოჰყო 145 კაცი, რომლებიც დანაშაულის მიხდ-  
ვით დაჰყო ათ ჯგუფად. მე-8 ჯგუფში (ამ ჯგუფში იყვნენ ეჭვმიტა-  
ნილნი, რომლებმაც ან წინასწარ იცოდნენ შეთქმულების შესახებ,  
ან მათ თანაუგრძობდნენ) სხვა პირებს შორის დასახელებულია სა-

ქართველოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი პეტრე ზავილენ-სკი.

როგორც მაღალი თანამდებობის პირი პ. ზავილენსკი ცხადია, უშეალოდ არ კონტაქტობდა შეთქმულებთან, იგი მხოლოდ ხელ-მძღვანელ პირებთან იყო დაკავშირებული. შეთქმულების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ ალექსანდრე ორბელიანმა 1833 წლის 15 ოქ-ბერვალს საგამომძიებლო კომისიას მისცა ჩვენება : „წარსულს 1831 ოდესა მოვიდა ანბავა პოლშამ იბუნტაო და რამოდენიმე ხანი გა-ვიდა, გაზაფხული იწყებოდა, მაშინ ერთ დამეს, მეორობებები საათი იქნებოდა, შინათაგან კარზე მიველ, საჭიროებისათვის, თულფით და ოდესაც კიბიდ ან ძირს ჩამოვედ, ერთ ხმა მამესმა რუსულად, კნი-აზ სოვეტნიკ ორბელიანოვი შინ არისო, მე უთხარი ვინ ხარ მეთქი – ღუბერნატორმა დავიბარაო – საჩქარო ჩავიცვი და წავედო. ოდესაც მოვედი თავის სამწერლო სტოლს წინ უჯდა, მითხრა და-ჯექიო, როცა მის სიახლოებს დაუჯექი, - ლაპარაკი დავიწყეთ – ლაპარაკს შორის მითხრა, საყარელო ალექსანდრევ აქაც უნდა ეცადო, რომ ბუნტი მოხდესო, მე პირველად გამიკვირდა და შემდეგ, რადგანაც რომ მწყალობდა, დავიჯერე, მივუტევე კარგი მეთქი ვეც-დები უთუოდ და ავდექ წასასვლელად, მითხრა, წადით და ვინც შენიანი თავადი და მოქალაქე იყენენ მოიხვი და შემოიერთეო. მე ამის გამონე ვიფიქრე, ამას უთუოდ ჩემგნით სურს მოქმედება მეთ-ქი და წამოსვლის დროს მითხრა მანამ აღარ დაგიბარო, ნუღარ მოხვალო – შემდეგ აღარც დავუბარებიგარ და აღარც მიგსულვარ“.

საგამომძიებლო კომისიას აღ. ორბელიანმა თავი ისე მოაჩვე-ნა, თითქოს მან შეთქმულების შესახებ 1831 წლის გაზაფხულმდე არაფერი იცოდა და მხოლოდ პ. ზავილენსკისგან შეიტყო. ცხადია პ. ზავილენსკი იცოდა საქართველოში შეთქმულების მზადების შე-სახებ, ამიტომ მან პოლონეთის აჯანყების დროს დაავალა თავის ხელქვეითს აღ. ორბელიანს „ბუნტის“ მოწყობა „ვინც კი შენიანია, თავადი ან მოქალაქენი იყენენ მოიხვი და შემოიერთეო“. რა თქმა უნდა, ალექსანდრეს განცხადება, რომ მას პირველად გაუკვირდა თავისი უფროსის ეს საუბარი, მაგრამ რადგანაც სამსახურში სწყა-ლობდა, ხათრი ვეღარ გაუტეხა და წინადადებაზე დათანხმდა. ეს ალექსანდრე ორბელიანის მიერ თავის გამეამიტებას უფრო უნდა მი-კაწეროთ, ვიდრე გულახდილ აღიარებას. აღ. ორბელიანი არც თუ ისე გულუბრყვილო პიროვნება ჩანს, რომ სახელმწიფოს წინააღ-მდეგ გამოსვლაზე ცარიშმის თფიციალურ მოხელეს დათანხმდებო-და, თუ ადრე კავშირი მასთან არ ექნებოდა. მნელი დასაჯერებელია, აგრეთვე თვით ის ფაქტი, რომ მეფის გუბერნატორი თავის ხელქვე-

ითებს ასეთ წინადადებას ამბოხებულთ შესთავაზებდა. საფიქრებელია, რომ პ. ზავილენსკისა და აღ. ორბელიანის გაცნობა 1831 წლის გაზაფხულზე კი არა, გაცილებით ადრე 1828 წლიდანაა სავარაუდებელი ე.ი. იმ დროს, როდესაც ზავილენსკი პირველად ჩამოვიდა საქართველოში; არც ის მოვლენაა გამორიცხული, რომ პოლიტიკურ დიდგვაროვნთა ფენის წარმომადგენლები რუსეთის თვითმყრობელობის სამსახურში იდგნენ და დაკისრებულ ვალდებულებებს ზედმიწევნითი სიზუსტით ასრულებდნენ. დასაშვებია, რომ პ. ზავილენსკი ამ კატეგორიის წარმომადგენელი იყო და მისი გასაუბრება ორბელიანთან დაზურვით ხასიათს ატარებდა.

ოქროპირ ბატონიშვილი, რომ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისხამდგმელია ქათულ ისტორიოგრაფიაში კარგა წნის დადგენილია. აღნიშნული ცნობილი იყო თვად საგამომძიებლო კომისიის წევრებისთვისაც.

ოქროპირ ბატონიშვილი „დროებით“ ჩამოვიდა თბილისში 1829 წელს და მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა შეთქმულების ორგანიზაციული და სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის. როგორც შეთქმულების მასალებიდნ, ისე სხვა საარქივო დოკუმენტებიდანაც დგინდება, რომ მას შეთქმულების ხელმძღვანელადაც მოიაზრებდნენ. სანტერესოა სწორედ ის ფაქტი, რომ ზავილენსკი ახლო ურთიერთობაშია ოქროპირ ბატონიშვილთან და, როგორც შეთქმულთა წევნები ადასტურებენ სამსახურებრივ საქმებზე მამავალი ზავილენსკი ყოველთვის ჩერდებოდა მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილთან და სხვა შეთქმულებთან სათათბიროდ. აღნიშნული ფაქტი საკმაო საფუძველს იძლევა ვიზერით, რომ ზავილენსკის შეთქმულთა მესვეურებთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონიდა, როგორც მოსკოვში, ისე თბილისში; ამიტომაა, რომ შეთქმულების მონაწილეთა უმეტესობა, მართალია ზავილენსკის პირადად არ იცნობდა, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ მისი განწყობილება.

როგორც შეთქმულთა მასალებიდან ჩანს, თბილისის საფრანგეთის საკონსულოს ყოფილ მდივანს ლეტელიეს ქართველთა შეთქმულებაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონია. ის დაკითხული არ ყოფილა, რადგან შეთქმულების გამომჯდავნებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა. ლეტელიეს შეთქმულებაში მონაწილეობას კი შეთქმულთა

ჩვენებები ადასტურებენ. გრიგოლ ერისთავს ლეტელიე გაუცვნია ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთ-ერთი თავყრილობის დროს, როდე-საც ქართულად მოლაპარაკე ლიტელიეს უსაუბრია საქართველოს უმწეო მდგომარეობის შესახებ და ქართველებს თავისუფლებისკენ მოუწოდებდა. მათ საიდუმლო საუბარს ესწრებოდა ერთ-ერთი პო-ლინელი მოხელე. დიმიტრი ორბელიანი ჩვენებაში აღნიშნავს: „როდესაც გიორგი ერისთავი შვებულებაში მიემგზავრებოდა, წმოს-ვლის წინა დრეს ვიყავით კონსულის მდივან ფრანგ ლეტელიესთან, სადაც პირველად გამაცნო გიორგი. ამასთან ერთად იყო ერთი პო-ლონელთაგანი, არ ვიცი არც სახელი, არც გვარი. ეს ჩემი პირვე-ლი შეხვედრა იყო პოლონელთან. იდანს გველაპარაკა ლეტელიე ქართულად, გიორგი ერისთავს კი ფრანგულად და საქართველოს შესახებ კი გვითხრა, რომ მთავრობა მათ უსამართლოდ ექცევა, არ ცდილობს არაფრით მის გამოლინებას და ერთი სიტყვით სურს მი-სი დაქვეითება, რის გამოც საქართველომ უნდა ეცადოს თავი გაინ-თავისუფლოს.“

ზემოთ მოტანილი ცნობები ჩვენს ყურადღებას შემდეგი გა-რემობით იმსახურებს: 1. ორივე შეთქმული, როგორც გიორგი ერისთავი, ისე დიმიტრი ორბელიანი საზგასმით აღნიშნავენ მოსკოვ-ში ფარნაოზ ბატონიშვილის ბინაზე უცნობი პოლონელის დასწრე-ბას მათ საუბარში. როგორც ცნობილია, 1832 წლის შეთქმულება, განსაკუთრებით კი მისი მომამზადებელი პერიოდი, გასაიდუმლობელი იყო და მისი არსებობა მეფის მთავრობაში მხოლოდ ბოლო დროს გაიგო. ასეთ საიდუმლო ორგანიზაციაში შეთქმულები უცხო პირს არ დაასწრებოდნენ და თუ ასეთი რამ მოხდებოდა, მაშინ სასა-უბრო თემა აჯანყდა არ იქნებოდა. „ვიდაც პოლონელი მოხელე“ რომ შეთქმულების მონაწილე იყო, ეჭვვარეშეა, რაღაც უცხო პი-რის თანდასწრებით შეთქმულებაზე თავისუფლად ლაპარაკი გამო-რიცხულად მიგვაჩნია. ე.ი. „ვიდაც პოლონელი“ შეთქმულების აქ-ტიური მონაწილეა, რომელიც ეთანხმება „ბატონ ლეტელიეს მოსაზ-რებას“ და თავისივე აზრსაც გამოთქვამს საქართველოს შესახებ, მისი ბედისა და მომავალი აჯანყების გამო. 2. „ვიდაც პოლონე-ლი“, რომ შეთქმულების აქტიური მონაწილეა, მიგვანიშნებს შემდე-გი გარემოებაც: შეთქმულები არ ასახელებენ მის სახელსა და გვარს, ხოლო ლეტელიესთან საუბარში მის პიროვნებას სასხვათა-შორისო დამსწრედ წარმოგვიდგენენ. ჩვენთვის ცნობილია, რომ შეთქმულების მონაწილეებმა, თავიანთ ჩვენებებში ფაქტობრივად არ გაამხილეს შეთქმულების მთავარი მომენტები და საგამომძიებლო კომისიას საქმე ისე წარმოუდგინეს, რომ ეს შეთქმულება უნდა ყო-

ფილიფო რეალურ შინაარსს მოკლებული აჯანყება და იგი ზერელი, ფუჭ თცნებად წარმოადგინეს. შესაძლებელია და დასაშვებია ჩვენი გარაული, რომ „ვიღაც პოლონელი“ ან ახალი, ჩვენთვის უცნობი პოლონელი წევრია, ან პ. ზავილენსკია, ან სულაც იდენტურები, ერთი და იგივე პირები არიან. ზავილენსკი უცხო პირი რომ ყოფილიყო, მისი თანდასწრებით აჯანყების მომზადებისა და გეგმების ირგვლივ ლაპარაკი რომ არ შეიძლებოდა ამას იგივე დიმიტრი ორბელანი ერთ-ერთი პასუხით ამჟღავნებს: „მოსკოვში მე ვიყავი ზავილენსკისთან, ის აქებდა საქართველოს და თავადიშვილებს, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომ ის მისი მეგობარია და პატრიოტი... მან განაცხადა, რომ სურს ჩემი გაცნობა, რადგან, როდესაც ამბობდა, ჩემი მმა ალექსანდრე მისი მეგობარი იყო. მას საქართველოზე მეტი არაფერი უთქვაშს, რადგან იქ უცხო პირი იყო“.

მეტად საინტერესოა პ. ზავილენსკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ურთიერთობა. რომანტიკოსი პოეტი არ უარყოფს პ. ზავილენსკისთან ურთიერთობას და მას მეგობრადაც კი აღიარებს. „პ. ზავილენსკის – აცხადებდა ალ. ჭავჭავაძე – ძალიან კარგად ვიცნობდი.

პირველად ვნახე იგი კარატინში, აბანოების კარებს იქით. გრაფ პასკვეჩის ქებამ მოაფიქრებინა მისი ახლო გაცნობა და ბოლოს მასში ვიპოვე რა თავისებურებანი საკადრიის კეთილშობილ და ქეთილგონიერ ადამიანისა, მას საბოლოო დავუმეტობრდი“. ალ ჭავჭავაძე იმასაც აცხადებდა, რომ „მე და ზავილენსკი მაღლ დავუახლოვდით ჩვენი აზრების მსგაცებისა გამო“.

როგორც ცნობილია, შეთქმულებს შემუშავებული პქნდათ აჯანყების დაწყებისა და განვითარების გეგმა, რომელსაც შეთქმულნი „პირველი დამის განკარგულებას“ უწოდებდნენ. ეს გეგმა არის ერთადერთი შემორჩენილი საპროგრამო დოკუმენტი და იგი შეუძევნია იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით დიმიტრი ორბელიანს. გეგმის მიხედვით გადანაწილებული იყო საყარაულო და სხვა ადგილები, რომელიც უნდა დაეკავებნათ აჯანყების ხელმძღვანელებს თავიანთი რაზმებით. რაც შეეხბა „პირველი დამის განკარგულების“ მე-9 პუნქტს, აქ აღნიშნული იყო, რომ შესაკრები ადგილი თათრის მოედნი იყო, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას, და აქ უნდა შეკრებილიყვნენ თავადი ლუარსაბ ორბელიანი, მარშალი დიმიტრი და მამუკა ორბელიანები, თავადი ლუარსაბ ერისთავი. ქვე უნდა ყოფილიყვნენ პოლონელებიც და უნდა ემოქმედათ საჭიროების მიხედვით. ქართველთა შეთქმულებაში პოლონელთათვის ასეთი როლის მიკუთვნება და მათდამი ნდობა, სხვა არაფერია, თუ არა ქართველთა და პოლონელთა მიერ ერთობლივი აჯანყების მომზადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვი-ფიქროთ, რომ პ. ზავილენსკი არა მარტო პირადად იყო დაკავშირებული შეთქმულებთან, არამედ იგი უნდა ყოფილიყო საქართველოში ეწ. გადმოსახლებული (ცმირ შემთხვევაში რუსეთის მთავრობა იმ-პერიის სხვადასხვა გუბერნიებიდან ანაწილებდა ჩინოვნიკებს კავკა-სიაში, რაც მათი თანამდებობაზე ერთგვარი დაქვეითების მანიშნებელი იყო), ან აქ მეფის სამსახურში მყოფი პოლონელების საერთო იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი, რომელიც აკავშირებდა პოლონელებს ქართველებთან. გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქ-ტიც, რომ პოლონელებს და ქართველებს ეთანაგრძნოთ ერთმანეთი-სათვის, როგორც ორი თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, თბ., 1935,
2. ნიკოლეიშვილი ნ., “1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მოწინავე საზოგადოება”, ჟურნალი “შაცნე” 1967წ №2
3. სოხაძე ბ., დეკაბრისტული მოძრაობა და ქართული საზოგადოე-ბა, თბ., 1976
4. სურუგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათშვილის ეპოქა, თბ., 1968
5. ხუნდაძე ს., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1936
1. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სსცსა), ფონდი, 1457, საქმე 13, ფურცელი 2385
2. სსცსა, ფონდი. 1457, საქმე 13, ფურცელი 2359-2360
3. Акты, собранные Кавказкою Археографическою комиссию, главного управления Кавказского, под ред. Ад. Берже, Т. VIII, Тифлис 1881, стр. 292-293
4. “Польская эмиграция до и во время последнего мятежа 1830-1831 гг”, (извлечение из журнала “Вестник” западной России), Вильно, 1866 Г.

**Tamaz Vachnadze**  
Warsaw State University  
Direction-Eastern Europe  
MA Student

**Struggle of Georgian and Pole People for National Freedom  
Against Russia  
(participation of Peter Zavilensky in conspiracy of 1832)**

**Summary**

Conspiracy of 1832 was a logical continuation of national movement, which took place in the beginning of XIX century in Georgia against Russian domination. The above event followed after Poland rebellion against tsarism in 1830-1831.

The present work reveals unions of Georgian and Pole people in struggle against mutual enemy – Russia. The event was more vividly expressed after rebellion of 1832, when a number of Pole rebels, together with other governors, were exiled by Russia to so called "South Siberia" – Georgia.

Presented work investigates the event concerning participation of Pole former civil governor – Peter Zavilensky in conspiracy of 1832; the work elucidates interrogation minutes of rebellion participants and compared to the events taking place in Russia.

There are different viewpoints in Georgian historiography regarding participation in 1832 Poland rebellion. The survey also considers the idea of P. Zavilensky's being an agent of Empire as one of the officials of Emperors Court.

At the same time, the present work reveals confirmation documents of P. Zavilensky's private relation with Georgian conspirators: Prince Ioane, Dimitri Orbeliani, Alexander Chavchavadze, Prince Okropir etc.

The work concluded that P. Zavilensky was not only personally connected with conspirators, but he would be "exiled" to Georgia in the form of tsarism official. It may be also assumed, that he was ideological-practical leader of Poles, who connected them with Georgians. These people condole to each other as nations, struggling for freedom against Russian domination.

## **ლაშა დოხნაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
I კურსის მაგისტრანტი

## **ლელა მებაღიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის  
I კურსის მაგისტრანტი

## **საქართველოს საზოგადოების სოციალური ფენების დამოკიდებულება წმიდა ნინოს ფენომენისადმი**

კაბადოკიელი ქალწულის წმიდა ნინოს მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ქართულ მიწაზე და ქადაგებით, სასწაულთა აღსრულებით, წმინდა ცხოვრებით და უდიდესი ღვაწლით სამუდამოდ დატოვა კალი ჩევნი ქვეყნის ისტორიაში. წმ. ნინო არის არამარტო ისტორიული პირი, საზოგადო მოღვაწე მისიონერ-მქადაგებელი, არამედ უდიდესი წმინდანი, რომელსაც წილად ხვდა პატივი მოციქულთა სწორის წოდებისა.

ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში იწყება მოციქულთა მოღვაწეობით. მათი ღვაწლით ჩევნის ქვეყანაში დაარსდა ქრისტიანული ოემბი, გაჩნდნენ ჭეშმარიტი ღმერთის მიმდევრები, რასაც ადასტურებს, როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური მასალა (3:87)

საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, IV საუკუნის პირველ ნახევრამდე არ მომხდარა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რასაც რიგი ფაქტორები განაპირობებდა: ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის-წარმართობის არსებობა, ქართველი ერის არასათანადო მზადყოფნა ქრისტიანული იდეის გასააზრებლად, ქრისტიანთა რეპრესიები და ა. შ.

მოციქულთა მიერ დაწყებული საქმის სრულყოფის პატივი წილად ხვდა კაბადოკიელ ქალწულს-ნინოს. ნინოს სახასიათო მოღვაწეობამ ის სრულიად გამორჩეულ მოვლენად ჩამოაყალიბა ქართულ სინამდვილეში.

სამცნიერო წრეებში დიდ ინტერესს იწვევს მაშინდელი ქართული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების დამოკიდებულება წმიდა ნინოს ფენომენისადმი. მიიღო თუ არა წმიდა ნინოს პიროვნება, შეიწყნარა თუ არა მის მიერ ნაქადაგები სჯული ქართულმა საზოგადოებამ, დაწყებული სამეფო ოჯახიდან დამთავრებული “წვრილ ერამდე.” აღნიშნულზე მსჯელობა დასაშვებია წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ არსებულ წყაროებში ფიქსირებული ცნობებით.

აღსანიშნავა, რომ წმიდა ნინოს ქართლში სამისიონერო მოღვაწეობის დაწყების დროს მირიან მეფეს უკვე საკმაო ცოდნა ჰქონია ქრისტიანობის შესახებ, ამიტომ “არა დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა” (1:103) ჩანს, რომ მეფეს ჰქონდა შინაგანი ბრძოლა-მიელო თუ არა ახალი რჯული, მაგრამ რიგი გარემოებების გამო ამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადაღმისგან თავს იკავებდა. შამაგიეროდ ნანა დედოფალი არ სწალობდა ნინოს და მის სარწმუნოებას-“ზოლო ნანა დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შეურაცხ ჰყოფდა ქადაგებას მას” (1:103)

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მძიმედ დავადგებული ქართლის დედოფალი წმიდა ნინომ ღვთის ნებით განკურნა, რამაც მისი ქრისტეს რჯულზე მოქცევა განაპირობა. გაქრისტიანების შემდეგ, ნანა დედოფალი დაუახლოვდა წმიდა ნინოს და ცდილობდა უფრო ღრმად გაუცნო ახალი მოძღვრება:” და მიერთოგან შეიქმნა იყი მეგობრად თვისად შინაურად, და მარადის ჰკითხავნ და გამოიწვლილავნ სჯულსა ქრისტესა” (1:105)

აღსრულებული სასწაულის მოუხედავად, მირიან მეფე ახალი რჯულის მიღებისგან მაინც თავს იკავებდა. უფრო მეტიც, სანაზიოროდ წასულს, ბოროტის შთაგონებით, ქრისტიანთა, მათ შორის ნანა დედოფლის განადგურების აზრი ეუფლებოდა. იგი გონს თხოთის მთაზე აღსრულებულ სასწაულით მოეგება და უკან დაბრუნებული მაშინვე მაყვლოვანში ღოცვად დამდგარ წმიდა ნინოს ესტუმრება. მაღლიერებით აღვსილი მეფე თავს ქრისტიანად თვლის და ეუბნება მოციქულთა სწორს:”აწ ღირს ვარ სახელისდებად სახელისა და შენისასა და მხსნელისა ჩემისასა”(1:111) ნიშანდობლივია, რომ მირიან მეფე სრულად იზიარებს წმიდა ნინოს აზროვნების მნიშვნელობას და მის მოციქულებრივ მისიას, რის გამოც უდიდესი პატი-

ვისცემით განეწყობა ქართველთა განმანათლებლის მიმართ და მის თითოეულ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშველობას ანიჭებს. მას სურვილი აქვს აღაშენოს ტაძარი იქ, სადაც წმიდა ნინო მიუთითებს:”სადა აღუშენო სახლი ღმერთსა?” (2:137) თავის მხრივ, წმიდა ნინო ადასტურებს პატივისცემას მეფის მიმართ და ტაძრის ადგილსამყოფელის განსაზღვრას მას მიანდობს:”სადაცა მეფეთა გონიერა მტკიცე არს”(2:137)

აღსანიშნავია, რომ წმიდა ნინოსადმი ღრმა პატივისცემით განწყობილია არა მხოლოდ მეფე და სამეფო ოჯახი, არამედ ქართლის მაღალი საზოგადოებაც, როდესაც მეფე და დედოფალმა ტახტის მექმედრე რევისაგან და სალომე უჯარმელისაგან წმიდა ნინოს დასწულების ამბავი შეიტყვეს:”შეკრა მას ზედა სიმრავლე ერთა ძლერთა, რმეთუ ხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა ნინოსსა, ვითარცა პირსა ეცისა ანგელოზისასა... და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი დედოფალნი გარემოს მხსდომნი, რომელთა გარდამოდიოდეს ცრუმლნი თვალთაგან მათთა განშორებისათვის მოძღვრობისა მათსა და მოღვაწისა და სნეულთა მკურნალისა ხელვანისა”(2:126). ნიშანდობლივია, რომ ამქვეყნიური აღსასრულის ჯამს მირიან მეფის რძალი “სალომე უჯარმელი და პეროვავრა სივნიელი, და მათ თაანა ერისთავნი და მთავარნი”(1:127) სთხოვდნენ წმიდა ნინოს, რათა მოეთხოოთ მისი ცხოვრების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა დიდ პატივს მიაგებდა მაშინდელი ქართლის წარჩინებული საზოგადოება კაბაღოვილ ქალწულს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული წერილობითი წყაროები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების დაბალი ფერების ცხოვრების აღწერას. მიუწვდომად ამისა, წმიდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ არსებული წყაროებით შევგიძლია ვიმსჯელოთ დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ წმიდა ნინოს ფენომენისადმი. წმიდა ნინოს მოღვაწეობის მიზანი იყო ქართველთა გაქრისტანება, ანუ ჭეშმარიტი სიტყვის დავანება ყოველი ქართველის გულში, განურჩევლად იმისა, რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება იგი. ამ მიზნის მისაღწევად ქადაგებდა, კურნავდა, სასწაულებს ახდენდა იგი, როგორც მეფისა და წარჩინებულთათვის, ისე მსახურთა და გლეხთათვის.

წმიდა ნინოს ქადაგებით მოქცეულ მეფესა და დიდებულთა მსგავსად, მდინარე მტკვარში ნათელს იღებს სრულიად ქართლის მოსახლეობა, გარდა მთიელთა ერთი ნაწილისა და ებრაელთა:”და სიმრავლემან ქართლისამან, თვინიერ ხოლო არა ნათელ იღეს მთი-

ელთა კავკასიანთა...და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ იღეს”(1:116)

ქართლის საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ცალკე ინათლებოდნენ, დიდ გულმოლგინებას იჩენენ ნათლობის საიდუმლოს აღსრულების საქმეში, რადგან “ესმინა ქადაგება წმიდა ნინოსი, რომელსა იტყვიან, -ყველმან, რომელმან არა ნათელ იღოს, არა პპოვოს მან ნათელი საუკუნო”(1:116) ზემოაღნიშვნულიდან ჩანს, რომ მათთვის წმიდა ნინოს სიტყვები უცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

საყურადღებო ფაქტია, რომ ერთ-ერთი პირელთაგნია, ვინც მიიღო და დაუთმო საკუთარი კერა სხვა ქვეყნიდან მოსულ ქალწულს, სწორედ მეფის ბაღის მცველის ოჯახი იყო ( 4:172). წმიდა ნინომ მათთან ცხრა თვე იცხოვრა; დაუფასდა ოჯახს ამაგი, რადგან ღმერთმა ნინოს ლოცვით აუსრულა დიდი წნის ოცნება ანასტოსსა და მის მეუღლეს მისცა სანატრელი შვილი. მათ მაშინვე აღიარეს ქრისტე და დაუმოწაფენ წმიდა ნინოს.

მოციქულთა სწორის მიერ აღვლენილი სასწაულები, დაბალი სოციალური ფენის სხვა წარმომადგენლებსაც შეეხო. მან უამრავი ადამიანი განკურნა, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა. წმიდა ნინო სიცოცხლის ბოლომდე აღასრულებდა სასწაულთ, რასაც “ყოველი ერი ხედვიდეს, შიშით და ძრწოლით, მოვიდოდეს, თაყვანისცემად გულის მოდგინები” (1:124).

ქართლში შემოსულ წმიდა ნინოს ბრაული თემბიც დახვინენ, რომლებიც ყველაზე მეტად ელოდნენ მესიას, მაგრამ საბოლოოდ მათი დიდი მაწილისათვის ქრისტეს სჯული და წმიდა ნინო მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა ქართველი ებრაელები მუდმივად საქმის კურსში იყვნენ იერუსალიმში მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიურ მოვლენებზე, რაც კარგად აისახა “მოქცევაი ქართლისში”. საქართველო – პალესტინის კონტაქტებზე ახ.წ. დასაწყისში საუბრობს სიდონია. ქართველი ებრაელები იყნენ გზის გამკალავნი საქართველო – პალესტინის ურთიერთობისა, რამაც გავლენა მოახდინა ქართველი ქრისტიანული კულტურის შემდგომ განვითარებაზე. საქართველოს ებრაული თმების ოთხი წარმომადგენელი ესწრებოდა უფლის ჯვარცმას და მათ სახელს უკავშირდება საქართველოში კვართის ჩამოტანაც.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. მეექსე საუკუნეში საქართველოში რამოდგნიმე ნაკადად შემოვიდნენ ებრაელები და პირველ ცნობას მათ შესახებ ვნედებით ლეონტი მროველთან და ვახუშტი ბატონიშვილთან “შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ური-

ათანი ნაბუქოდონოსორისგან დასაბამით ძლი და დასხა იგინცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს არაგვს ჩრდილოდ კერძოდ”.

ებრაული თემებიდან ნინოს დაემოწავა ებრაული ბერი აბიათარი, რომელიც მოქცევის შემდგომ, ყოველთვი იდგა წმინდანის გვერდით, უშიშრად და დაუცხრომლად ქადაგებდა ქრიტეს რჯულს: “ახალი რჯული ისწავლა წმიდა ნინოსგან და ნინოზე უფრო მეტად უხსნიდა ყოველ კაცს ჭემარიტ რჯულს”. აბიათარ მღვდელი გულმხურვალე მიმდევარი გახდა უფლისა, იგი იყო მცოდნე ძელი აღთქმისა და მას ეწოდა ახალი პავლე – “ხოლო ახლა, რადგანაც ჩვენმა მამებმა ხელი შეახესიმ მწირი დედაკაცის ძეს და მოკლეს ის, აიღო ღმერთმა ხელი წყალობისა ჩვენისაგან და გაჰყო ჩვენი სამეფო, განგვაშორა მის წმინდა ტაძარს და უგულებელპყო ჩვენი ერი სრულიად და მას შემდეგ გავიდა სამასი წელი და მეტიც, აღარ შეისმინა ჩვენი ველრება და უნდა ვიჟიქროთ რომ ზეცით იყო ის კაცი”.

უნდა აღინიშნოს რომ წმიდა ნინო დახმარებისთვის არავის ეუბნებოდა უარს, გაურჩევლად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. იგი კურნავს ერთ-ერთ მოგვ მთავარს, სახელად ხუარას, რომელიც მეფის ნათესავი იყო. ხუარამ და მისმა ოჯახმა აღიარა ქრისტე და “დაემოწავა წმიდასა ნინოს იგი და ყოველი სახლი მისი ადიდებდა ღმერთსა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისათ არს დიდგბაი უკუნთი უკუნისამდე, ამინ” (2:131).

ამრიგად საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა წმიდა ნინოს განხილავს, როგორც ღვთის განგებით მოვლენილ ფენომენს, ამიტომ მის ყოველ მოწოდებას კანონდებით მნიშვნელობას ანიჭებს და თავის სამოქმედო პროგრამად იხდის. ქართულ წერილობით წყაროებში წმიდა ნინო მოიხსენიება, როგორც “ღირსი”, “ნეტარი”, “წმიდაი”, “მოციქული ჭეშმარიტი ღვთისაი”, “ქადაგი ჭეშმარიტებისაი” და ა.შ. (5:79).

კაბადოკიელი ქალწულის მიმართ თქმული ეპითეტები ცხად-ჰყობს, თუ რაოდენ დიდი პატივისცემა და მოწიწება ჰქონდა ქართველ ხალხს მისი განმანათლებლის მიმართ.

## **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. რ. დევდარიანი – ქრისტიანული მწერლობის საკითხები: წმიდა ნინოს ცხოვრება. 2002 წელი.
2. პ. პეპლიძე - ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ. 1996 წელი.
3. ე. მამისთვალიშვილი – ებრაელი ხალხის ისტორია საქართველოში, თბ 1975 წელი.
4. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1998 წელი.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, თბ 1972 წელი.
6. ს. ყაუჩიშვილი – ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბ 1955 წელი.
7. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 6. 1, თბ 1963 წელი.
8. ან. ჯაფარიძე – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, 1995 წელი.

**Lasha Dokhnadze**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
I year MA degree

**Lela Mebagishvili**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Direction-History of Christianity  
I year MA degree

## **The Dependence of the social layers of Georgian society to the phenomena of Saint Nino**

### **Summary**

In this article by the old Georgian narrative sources, it's considered The Dependence of the social layers of Georgian society to the phenomena of Saint Nino. The phenomena of the Cabadocian Virgin is really great evenement in the history of the our country. With the grace of Saint Nino in Georgia Christianity became State-religion, whole was defined change her political, cultural and ideological course. As naturel that christianization of Georgia not was simple and once proces.. before etrending Saint Nino in Kartli there were very solid pagan religion, king and an royal family participated ativity in this proces.. The change old ideology from new ideology was so difficult, it's great role of Cabadocian Virgin.

Different social group was Jewish population, their have other religius things and traditions, as monotheist faith. It's very interesting dependence for another monotheist religion's speacher Saint Nino.

In IV century Georgian society was diveded bu different group. in the article it's considered depanadnce of royalty and low societies's populations depandance's question for the phenomena of Saint Nino.

## ნინო ბოკელავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

### წმინდა შიო მღვიმელის ღვაწლი ქართული ბერ-მონაზვნობის გამტკიცებაში

ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტი III-IV სს-ში ჩამოყალიბდა ეგ-  
ვაბტიშმი, სადაც დაარსდა პირველი მმათა და დედათა მონასტრები.  
ბერ-მონაზვნობა იქცა ქრისტიანული ეკლესიის საძირკვლად და შემ-  
დგომში მისი ძლიერების საყრდენად. ბერ-მონაზვნობა ეგვიპტიდან  
გავრცელდა მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, მაგ-  
რამ მას აქ არ ჰქონდა მასშტაბური ხასიათი. საქართველოში ბერ-  
მონაზვნობის გავრცელება და განმტკიცება დაკავშირებულია ცამეტი  
ასურელი მამის სახელთან, რომლებმაც დაარსეს სამონასტრო კომ-  
პლექსები და საფუძველი ჩაუყარეს კანობიტური ტიპის ბერ-მო-  
ნაზვნობას. მათ მიერ დაარსებულმა მონასტრებმა და მათმა ღვაწ-  
ლმა საქართველოში განამტკიცეს ბერული ცხოვრება, რამაც ზელი  
შეუწყო ზოგადქრისტიანული ტრადიციების დამკვიდრებას ქართულ  
სახელმწიფოში.

V ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისში საქართველო  
სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და განიცდიდა მის როგორც  
პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ ზეწოლას. სპარსეთის სამეფო წე-  
ლისუფლება დარწმუნდა რა, რომ ქართლში მაზდენობის გავრცე-  
ლება ადვილი არ იყო, მართლმადიდებლობის აღმოფხვრა ისევ  
ქრისტიანულ წიაღმი აღმოცენებული სხვა, საპირისპირო კონფესიის  
დაწერგვით სცადა. სპარსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ქრისტია-  
ნობის ისეთ მიმართულებას, რომელიც იდევნებოდა მის მეტოქე რო-  
მის იმპერიაში. ეს იყო ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმდინარეო-  
ბა: რომელიც ქრისტეში მხოლოდ ერთ, ღვთაებრივ ბუნებას აღია-  
რებდა. სპარსეთის ხელისუფლებამ ქვეშვრდომ ქრისტიან ქვეწებში,  
რომის იმპერიასთან სარწმუნოებრივი ნიადაგის მოშლის მიზნით,  
მონოფიზიტობის გამარჯვებისთვის დაიწყო ბრძოლა.

ამ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასა და მწვავე დოგმატური და-  
პირისპირების უამს, ასურელი მამების მოსვლას ქართლში უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა: მათ თავიანთი მოღვაწეობით არამარტო საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას, გააძლიერეს ბერ-მონაზნობა, არამედ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველთა ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა-შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცამეტი ასურელი მამის ჩამოს-ვლამდე საქართველოში უკვე არსებობდა ბერ-მონაზნური ცხოვრება, რომელიც მღვდელმთამე გრიგოლ ფერაძის შეფასებით, განდეგილურ ხასიათს ატარებდა. ბერები ცხოვრობდნენ უდაბურ ტყეებსა და უდაბნოებში. რის გამოც მათი ვინაობა ისტორიისათვის უცნობი დარჩა. წმ. გრიგოლ ფერაძის შენიშვნით „ბერმონაზნობა გარკვეული კულტურულ-ისტორიული ძალა გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კინობიტურ ცხოვრებაში ჩაეტოო და გარკვეული წესები შეიმუშავა“. კინობიტურ ცხოვრებას კი საქართველოში სწორედ ასურელმა მამებმა დაუდეს სათავე (3,142).

ასურელ მოღვაწეთა მიერ დაარსებული მონასტრები მალე მძლავრ სამონასტრო ცენტრებად იქცნენ, რომელთაც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულეს ქართველთა სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში.

ასურელ მამათავანი ქართლში სამონასტრო ცხოვრების დაარსებასა და ბერმონაზნობის გავრცელებაში განსაკუთრებული წვლილი მოუძღვის წმ. შიო მღვიმელს.

წმინდა შიო ოანე ზედაზნელის ერთ-ერთ მოწაფეთაგანი იყო. იგი 20 წლის ასაკში აღიკვეცა ბერად და მოძღვართან ერთად, უდაბნოში შეუდგა ბერულ ცხოვრებას. ღირსი იოანეს სწავლით, შიო მონაზნობის საქმეს, როგორც დიდ ზელოვნებას, ისე დაუუფლა და მიაღწია დიდი მამების სისრულის საზომს.

20 წლის ბერული ცხოვრების შემდეგ ნეტარი მამა, სვიმონ ანტიოქელის კურთხევით, მოძღვართან და 11 სირიელ ბერთან ერთად, ქართლში შემოვიდა(4,114-117).

ასურელი ბერების ჩამოსვლა საქართველოში, ქრისტიანულ სამყაროში იმ დროისათვის ფართოდ გაგრძელებულ მისიონერულ მიზანს ემსახურებოდა: მათ მისიას ქართლში დიოფიზიტური მრწამსის დაცვა და განმტკიცება წარმოადგენდა.

ქართლში შემოსული ბერები თავდაპირველად ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ. ზედაზნისკენ მიმავალ გზას უკავშირდება შიოს პირველი სასწაულიც: მაისის თვე იღგა და მდინარე არაგვი ადიდებულიყო. ქართლის კათალიკოსი ევლავიოსი იოანეს სთხოვდა, არ გასულიყნენ ადიდებულ მდინარეში, რადგან საშიში იყო, თუმცა ნეტარი შიოს ლოცვით მდინარე დადგა მანამ, სანამ მამები მეორე

მხარეს არ გადავიდნენ. ამ სასწაულის მხილველნი ადიდებდნენ უფალს, რომელმაც ამგვარი მადლი მიანიჭა თავის ერთგულ მსახურებს (4,121-122). სასწაულებს ასურელი მამების და მათ შორის „შიოს ცხოვრებაში“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ შიოს ცხოვრებაში და მის მიერ აღვლენილმა სასწაულებმა განაპირობეს მის მონასტერში ბერთა რიცხვის გამრავლება და ზოგადად საქართველოში ბერული ცხოვრების გავრცელება.

იმ პერიოდისათვის ქართლში გარდაცვლილი იყო ორი ეპისკოპოსი: წილებისა და ნეკრესისა. კათალიკოსმა და ეპისკოპოსმა გადაწყვიტეს, რომ ახალი ეპისკოპოსები სირიელი მამებიდან აერჩიათ: აბიბოსი ნეკრესის, ხოლო ისე წილების ეპისკოპოსად აკურთხეს (4,123-124).

ამს შემდეგ ნეტარ იოანეს ეჩვენა ყოვლადწმინდა ღვთიშმობელი და წმინდა ნინო, რომელთაც მოუწოდეს მას, თავისი მოწაფეები ქართლის სხვადასხვა კუთხეში გაეგზავნა. თავად კი მოძღვარ იოანესა და კათალიკოსის კურთხევით მცხეთის დასავლეთით, კლდოვან ადგილებს მიაშურა, სადაც ღრმა, უწყლო ხევთან ახლოს, მცირე გამოქვაბულში დაბინავდა (4,125-127).

ნეტარ შიოს არაერთი განსაცდელისა და სირთულის დათმენა მოუხდა, თუმცა უფლისადმი უსაზღვრო რწმენითა და ლოცვით ყოველგვარი დაბრკოლების გადაღახვა შეძლო. დიდი მოთმინების უნარის, განუწყვეტელი ლოცვისა და მარხვის სანაცვლოდ უფალმა მას ნუგეშმისმელი მოუკლინა მტრედის სახით, რომელსაც მისთვის ყოველდღიური საზრდელი მიჰქონდა. ქრისტესთვის მაშვრალს, უფალმა გამოქვაბულთან ახლოს, მშრალი კლდიდან სასწაულებრივად წყალიც კი გარდოუდინა.

წმინდა შიოს ბერული ღვაწლი მაღლე ყველასათვის ცნობილი გახდა. ღვთის ნებით, მისი ამბავი შემდეგნაირად გაცნადდა: იმ ხანად ქართლში ერთი წარჩინებული კაცი ცხოვრობდა—ციხედიდის მოავარი ევგრე, ღვთიშმახურებასა და საღვთო წერილის კითხვაში აღზრდილი. ერთხელ ევგრე მხლებლებითურთ ნეტარი შიოს საყუდელთან ახლოს ნადირობდა. ნადირობისას მისი მონები გაიფანტნეს, ევგრემ კი უეცრად შენიშვნა მტრედი, რომელსაც გამოქვაბულისენ საზრდელი მიჰქონდა. მთავარმა მტრედი მეორე დღესაც შეამჩნა, გაპყვა მას და გამოქვაბულში მისულმა, მღოცველი ბევრი იხილა. ბერის ვინაობის გაგების შემდეგ ევგრემ მასთან დარჩნა ისურვა. ნეტარმა შიომ იგი ჯერ რწმენასა და გადაწყვეტილების სიმტკიცეში გამოსცადა, შემდეგ კი დართო ნება, ბერად აღვეცი-

ლიყო. ახლადშემდგარი ბერი ნეტარ შიოსთან დამკვიდრდა (4,132-137).

ევაგრეს ბერად შედგომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ორგანიზაციისთვის, რადგან სწორედ მისი მეშვეობით გახდა ცნობილი შიოს ღვაწლი ქართლის სამეფო კარზე, რასაც შეძღვოში ქვეყნის ხელისუფლის მიერ მისი აღიარება და სავანის გაფართოება მოჰყვა.

ნეტარ შიოს სახელი მალე საქვეყნოდ გახდა ცნობილი. მრავალი მორწმუნები მიღიოდა მასთან, დებდა ბერულ აღთქმას და მახლობლად მკვიდრედებოდა. დროთა განმავლობაში ბერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, საჭირო გახდა ტაძრების აგება. ნეტარი მამის თაოსნობით, მცირე ხანში, ბერების სამყოფელთან აიგო სამი ეკლესია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (ორი მათგანი) და ითანე ნათლისმცემლის სახელზე.

მალე ქართლის მეფემ შეიტყო მხედართმთავარ ევაგრეს ბერად შედგომის ამბავი. სწრაფლად მაიშურა ბერების სამყოფელს და ერთგული მსახურის ერში დაბრუნება სცადა, მაგრამ ამაռდ. როდესაც ევაგრემ მეფეს ნეტარი შიო აჩვენა, მეფე შეკრთა, რადგან ღვთის დიდი მაღლი იგრძნო მასში, სამეფო გვირგვინი მოიხსნა და წმ. ბერის ფეხებთან მუხლმოდრეკილმა, დალოცვა ითხოვა. ღირსმა შიომ დალოცვა მეფე და შესთხოვა უფალს, განემტკიცებინა იგი ჭეშმარიტი სარწმუნოების სიყვარულში. წმინდა მამამ იქვე სასწაულებრივად მეფის ერთ-ერთი მთავარიც განკურნა. უსაზღვრო სისარულით აღვსილმა ხელისუფალმა, მონასტერს ოთხი სოფელი, ოქროს ბარიძმი, ოქროს დიდი ჯვარი და გახტანგ გორგასლის მიერ მდიდრულად შემცირი სახარება შესწირა (4,141-143).

ქართლის მეფის მიერ შიოს სავანისადმი მამულების ბოძება, მეტყველებდა იმაზე, რომ მეფემ საკუთარ თავზე აიღო მონასტრის მფარველობა, აღნიშნული კი თავისთავად, ნიშნავდა შიოს ღვაწლის აღიარებას სამეფო ხელისუფლების მიერ. ქართლის ხელისუფლების საკედესიო პილიტიკამ საბოლოო ჯაშში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ასურელ მამათა საქმიანობის წარმატებას საქართველოში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმინდა შიოს უფლისებან სასწაულოების უნარი ჰქონდა მინიჭებული. სწორედ კურნებასთან ერთად, ნეტარმა მხეცთა მოთვინიერებაც შეძლო, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში თანამოსაგრები და ქართველი მრევლი.

ნეტარი მამის მადლმოსილება იყო ნაყოფი იმ ასკეტური ღვაწლისა, რაც თან სდევდა მის მრავალწლიან ბერულ ცხოვრებას.

მის სახელს უკავშირდება აგრეთვე განდეგილობის ერთ-ერთი ფორმის – დაყუდებულობის დამკვიდრება ქართულ ეკლესიაში. მისი ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მონასტერში ხანგრძლივი მოღვაწეობის შეძლება, წმინდა შიო მოძღვრისა და ქართლის კათალიკოსის კურთხევით, მღვიმეში დაყუდებულ ცხოვრებას შეუდგა. ამგვარი სახის ასკეტიზმი, როგორც ჩანს, ქართული ბერძონაზენობისათვის სახასიათო არ იყო, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ მას ეკლესიის საჭეომპყრობლის საგანგებო კურთხევა დასჭირდა.

განუზომელია ნეტარი შიოს ღვაწლი ქართული ბერძონაზენობისა და ზოგადად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. ასურელი მამის ღვთივსათნო ცხოვრებამ საქართველოში ხელი შეუწყო ზოგადქრისტიანული და კერძოდ, ასკეტური სამონაზონ ტრადიციებს დაფუძნებას, სამონასტრო კულტურის ჩამოყალიბებას, რაც ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბერძონაზონთა რიცხვი (ცნობილია, რომ მის საკანეში 2000-მდე ბერძოგვიდობდა), რაც თავის მხრივ, მტკიცე საფუძველს უქმნიდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მის შიდა სტრუქტურასა და იქრარქიას. წმინდა მამის ღვაწლი მის სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული სამეფო ხელისუფლების მიერ, რასაც შემდგომში ქართველ ერში დიოფიზიტური მრწამსის გამარჯვება მოჰყვა.

## **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

1. მერკვილაძე დ. ასურელი მამები, წგნ. I, თბ., 2006
2. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეპლესიის ისტორია, ტ. I, თბ., 1996
3. წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ბერმონაზგნობის და-საწყისი საქართველოში, თბ., 2006
4. წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრება, წგნ-ში ძველი აგიოგრაფიუ-ლი ძეგლები, ტ. III, თბ., 1978

**Nino Bokelavadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
III year Student

### **The merit of Shio Mgvimeli in the strengthening of the Georgian monasticism**

#### **Summary**

In this work is considered the general aspects of the history of georgian orthodox church in VI century, fondation of the monastic institute and monasticism life in Georgia. We also considered the merit of the Assyrians persons and concretely of Shio mgvimel in the strengthening developement of the monastic culture an asceticism. In the fone of opposition of the directions diophysitical and monophysitical, we analized the role of Saint father's role in the winning of Orthodox christianity in Kartli.

## **კულტუროლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა (Cultural Studies, Art Studies)**

**თეა კობახიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
საქართველოს ისტორიის მიმართულების  
დოქტორანტი

**ოშკის საკათედრო ტაძრის ერთი რელიეფის შესახებ  
/საინფორმაციო ხასიათის სტატია/**

„მართლაც ჩვენს დროში აღსრულდა ყველაფერი,  
როდესაც ჩვენი თვალით ვწერდავდით სამღლოცელო სახლების საუ-  
რავებიდან ძირამდე თავისი საძირკვლითურთ ნვრუა...“  
ესები კესარიელი  
„საუძლებელო ისტორია“

ბალზე რთულია ასეთი მძიმე ფრაზით დაწყება, მაგრამ უფრო  
სასტიკია ის რეალობა, რის შესახებაც მინდა მოგითხროთ.

დიადმა მამამთავარმა თარგამოსმა მიწა-წყლის დანაწილები-  
სას „ქართლოსს... უჩინა საზღუარი აღმოსავალით ჰერეთი და მდი-  
ნარე ბერდაოჯისი, დასავალით ზღუა პონტოსა, სამხრეთით მთა,  
რომელი მიჰყების ბერდაოჯისა მდინარის თავსა და მთა, რომელი  
მიჰყების დასავლით კერძო რომლისა წყალი გარდამოდის ჩრდი-  
ლოეთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყების მთა [თა]  
შორის კლარჯეთს და ტაოსა“ [5. 28]

ტაო კლარჯეთის სამხრეთით მდებარე მკაცრი, არაორდინა-  
ლური და მეტად შთამბეჭდავი ღანდშავგტის მქონე ქვეყანაა. მას  
„ბანის წყალი ჰყოფდა...ორ ნაწილად იმიერ და ამიერ ტაოდ“ [5.  
65]. ტაო შძლავრ პოლიტიკურ-კონფესიურ რეგიონად მოიაზრება  
შუასაუკუნეთა საქართველოში, განსაკუთრებით VII-X საუკუნეებში  
სწორედ ტაო-კლარჯეთი იქცა რბევებით დაუძლურებული ქართლის  
სამეფოდან იძლევით წასული სამეფო სახლის ნავთსაყდელად.  
სწორედ ბაგრატოვანთა ტაოს სახლმა წარმართა ათასწლოვანი  
წარმატებული სახელისუფლო პოლიტიკა საქართველოს ტახტზე.



ტაოს მიწაზე მეფობდა დიდი კურაპალატი, დავით III; მისი მოღვაწეობა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებულია ქართული მონარქიული ონსტიტუტის არსებობის მანძილზე. დიდი კურაპალატი „... სახელგანთქმული იყო ყველგან, როგორც შინ სა-ქართველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებითა და მაღალი სულიერი და ზენებრივი თვისებებით“ [5. 123]. მის მიერ განხორციელებულმა თანმიმდევრულმა პოლიტიკამ და შესაშურმა დიპლომატიამ მოამზადა საქართველოს ტახტი გაერთიანებული სამეფოს პირველი დიდი მეფისათვის (ბაგრატ III, გურგანის ქ 974–1014 წწ.) ჯერ მაზდაცური სპარსეთის, შემდგომ არაბთა შემოსევების შედეგად დაბაბუნებული, მონარქის ინსტიტუტის გარეშე დარჩენილი ქართლის პოლიტიკურ-კონფესიურია პრიორიტეტი დაუცა, აპრიორის სტატუსით სწორედ ტაო-კლარჯეთი დაწინაურდა, სადაც აპოგეას მიაღწია ეროვნულმა ფასეულობებმა.

კონფესიური აღმავლობა—მდგრადობის პოსტულატები დიდი მემნასტრე მამის, ეკლესია-მონასტერთა მაშენებლისა და ქმაგის გრიგოლ ხანძიოკლისა და მის მოწაფეთა ღვაწლის შედეგია: „მას უას-სა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მაღიდებელნი.“ [2. 233]

ტაორთა დაქვეთ—დამტინანსებლები სამეფო სახლის წევრები და დიდი ფეოდალები იყვნენ. (აშოტ კურაპალატი, გაბრიელ დაფან-ჩული). ტაოს X საუკუნის დიდი ზომის ტაძართა სამშენებლო—სარესტავრაციო სამუშაოების წარმმართველად „კეთილად ხსენებული დავით კურაპალატი“ [3. 373] მოიაზრება.


დავით კურაპალატის მეოხეობითაა აგებული ტაოს სამეფო მამულის არქიტექტურული მშენება — ოშეის დიდებული კათედრალი. „... ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხოვრებათა ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნასე კურაპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავისა, დავით მაგისტროსსა...“ ეს საღებავით შესრულებული იმ დიდი წარწერის ერთი მონაკვეთია, რომელიც ტაძრის სამხრეთი შესას-

კლელის ტიმბანშია წარმოდგენილი. იგი საფუძვლიანად შეისწავლა ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ (1917 წ.) [7. 131]



მონუმენტური საეპისკოპოსო ტაძარი ტაოში თორთუმის-წყლის უღამაზეს ხეობაში დგას და თავისი დიდებული ხუროთმოძღვრული ფორმებით გარემომცველ ლანდშაფტზე დომინირებს. იგი, ცნობილ სემინარიასთან ერთად, დიდი კონფესიური ცენტრის შემადგენელი ნაწილია. სემინარია ძლიერ დაზიანებული სახითაა დღემდე მოღწეული და კარგდრალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

ქართული სულიერების ეს ორი კერა სოფელ ოშვანკის შუაგულშია (უფრო ზუსტად, თურქული სოფელი მოგვიანებით განეფინა აქ). ტაძრისა და სემინარიას შორის საცხოვრებელი სახლია, რომელიც პირდაპირ ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზეა მიღმული.



ტაძარი იმპოზანტურია, მონუმენტური ზომების (სიგრძე 43 მ., სიგანე 30 მეტრმდე, სიმაღლე 33 მ.) ტრიკონქი. იგი სიდიდით ხაზგასმულად აღმატება მანამდე აგებულ ყველა ქრისტიანულ ტაძარს საქართველოში. სტილისტურ-მხატვრული გაღაწყვეტით ასალი დროის ტიპიური ქმნილებაა. დაწვეწილია ინტერიერის მოწყობისა და საფასადო მორთულობის სისტემა; გუმბათი ცილინდრულ ფორმას იღებს და დეკორაციულ არეთა რაოდენობა მასზე 24-ს აღწევს. ინტერიერი ხაზგასმულად დიდი (გუმბათი, საკურთხევლის შვერილების ნაცვლად, ოთხ მძლავრ პილონს ეყრდნობა) და ნათე-

ლია (საფასადო განათებასთან ერთად თორმეტი სარკმლიანი გუშბათის ყელი). ტაძრის ფასადები დეკორატიული თაღედით ირთვება. ეს მოტივი შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის საფასადო მორთულობის „სავიზიტო ბარათად“ იქცა. ორნამენტებითა და ცხოველზეულ ფერურებიანი რელიეფებითაა მორთული ტაძრის სარკმელები, კარნიზები, ბორების კაპიტელები. ამ საფასადო სკულპტურის დიდებულებითა და მრავალფეროვნებით ოშეს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს შუა საუკუნების ქართულ ტაძართა შორის.

ოშეის ცნობილი სემინარია შუასაუკუნეთა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის დიდებული კერა იყო. აქ 978 წ. ოშეის ცნობილი ბიბლია შეიქმნა. იგი ოანე—თორნიკე ერისთავის დაკვეთით ეტრატზე ნუსხურად დაწერილი სრულყოფილი ნიმუშია. ბიბლია ივერონისათვის იყო შეკვეთილი, ათონზეა დაცული და ერთ-ერთი უძველესია ბიბლიის მთლიან ხელნაწერთაგან.

ოშეის საგანმანათლებლო ცენტრში მოღვაწეობდნენ დიდი მწიგნობარ — განმანათლებლები: ოანე ოშელი, სტეფანე დეკოზი, ოანე ჩირა, ბიბლიის გადამწერნი — მიქაელ ვარაზ ვაჩეს ძე, სტეფანე მწერალი, გიორგი გელასის ძე და გაბრიელ ოშელი.

დღეს სემინარიის მხოლოდ ნანგრევებია. ჩამოქცეულია თაღებიანი მონუმენტური დარბაზის გადახურვა და კედლები. აღარ არსებობს იატაკის ნაშთებიც კი (აქ ახლა ხე-ბუჩქები და ბალახია); ძლიერ დაზიანებულია წიგნთსაცავი (შესაძლოა ბიბლიის სარევიზიო ცენტრი), რიმელსაც წრიული ფორმის გუშბათური გადახურვა ექნებოდა (გადახურვის ფარგლებში იქნებოდა გაჭრილი სარკმლები ინტერიერის გასანათებლად).

რაც შეეხბა ტაძარს, დაზიანება—ნგრევათა ფორმატი აქ სრულად ტრანსცენდენტურია. დაზიანებულია თორმეტისარკმლიანი გუშბათი, ჩამონგრეულია აფსიდათა კონქები, აღარ არსებობს იატაკი, დაზიანებულია (ზოგ ადგილას ჩამოგდებული) კარიბჭეთა დამჭერი სვეტები, დარღვეულია სარკმელთა საპრეები და ფორმა, გამორღვეულია სამხრეთი კარიბჭეს დასავლეთი ნაწილი, უძმიმეს მდგომარეობაშია ღრმა სამკუთხა ნიშებითა და დეკორაციული თაღედით ცხოველზეულად გაფორმებული აღმოსავლეთი ფასადი. აქ ბოლო წლებში მოსახლის ბოსელი და დამხმარე ნაგებობა იდგა. ღუმელის საკვამლე მილი საკურთხევლის ფასადს ჰქონდა მიდგმული და მძიმე შედეგიც სახეზე! ფასადი სრულიად გაშავებულია, კედლის წყობა კი დარღვეული.

ქართული საკულტო არქიტექტურის ამ შედევრს სრულდად აღარ აქვს დასავლეთის სიგრძივი მკლავის გადახურვა, ტაძრის ინტერიერში წვიმს და თოვს.

ბალზე შორს წაგვიყვანს ტაძრის ყველა დაზიანებული მონაკ-ვეთის ჩამოთვლა. თემის მთავარი მიზანი სამხრეთი ფასადის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთზე მოთავსებული ცნობილი რელიეფური კომპოზიციის დღევანდელი მდგომარეობის გაცნობაა.



მონუმენტური რელიეფური კომპოზიცია 1999 წლამდე წუთ ფიგურას შეიცავდა. ცენტრალური სამეული ქრისტიანული სამყარო-სათვის ცნობილი მოტივის „დეისუსის“ პერსონაჟებია (ღვთისმშობელი, მესა, ოთანე ნათლისმცემელი). „დეისუსის“ მარჯვნივ და მარცხნივ ტაოს სამეფო სახლის წევრების, სატაძრო კომპლექსის ქტიოტორების – დავით მაგისტროსის (დავით III კურაპალატი) და ბაგრატ ერისთავთერისთავის ფიგურებია. „... ღმრთივ გუირგუინისანთა მეფეთა ჩუენთა (იწყეს – თ. კ.) შენებად ამის წმიდისა საყდრისა“ [7. 131] მათ დიდმა ქრისტიანებმა და ქველმოქმედებმა „...უშურველ ყნენ საფასენი წარმავალნი წარუვალისა მისთუის..“ [7. 131]

რელიეფური კომპოზიციის თითოეული წევრის ფიგურა ცალკე ქვის ფილაზზეა, დამოუკიდებელია, მაგრამ ეს ფაქტი სრულად არ არღვევს ამ დიდებული რელიეფური სცენის იდეურ მთლიანობას და მხატვრულ სრულყოფილებას.

1999 წელს ჩამოვარდნილ (ან ჩამოგდებულ!) იქნა კომპოზიციის ერთი ფიგურა (ფილა ღვთისმშობლის რელიეფური გამოსახულებით). იგი კარგა ხანს იქვე იღო, მიწაზე. მისი შემდგომი ადგილ-სამყოფელი უცნობია.

ერთი თვის წინ ჩამოვარდნილ (ან ჩამოგდებულ!) იქნა დეისუსის შემადგენელი მეორე რელიეფური ფილა (უფლის გამოსახულებით).

ჩამოგდებული რელიეფი (ფილის სიმაღლე 147 სმ., ფილის სიგანე 70 სმ., რელიეფური ფიგურის სიმაღლე 133 სმ.) ფასადის წინ, რელიეფური კომპოზიციის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწაზე ას-კენია.

სოფელი ოშვანე გულთბილი სტუმართმოყვარებით არ გა-  
მოირჩევა, განსაკუთრებით ქართველთა (გურვთა) მიმართ. მართა-  
ლია, არც ხაზგასმულ უხეშობას ჰქონია ადგილი, მაგრამ მაინც შე-  
უძლებელია საფასადო სკულპტურის ამ დიდებულ ნიმუშის იქნეან  
ნებისმიერი ფორმით გამოიტანა და მისთვის სათანადო ადგილის მი-  
ჩინა..

რელიეფური კომპოზიცია სამხრეთის პასტოფორიუმის ფარ-  
გლებშია, მის სამხრეთ კედელზე, ძირიდან დახლოებით 2 მეტრის  
სიმაღლეზე. პეტოფორიუმის კედელი მის ქვეშ გამორღვეულია  
(თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებულ არაერთ ქართულ ტაძარს  
ურღვევნ კედლების წყობას, განსაკუთრებით საკურთხევლის და  
აღმოსავლეთის კომპარტიმენტების ფარგლებში. გაუნათლებელი და  
გამდიდრების სურვილით აღძრული მოსახლეობა ქართული ტაძრე-  
ბის კედლებსა და საძირკვლებში ოდითვან გადანახულ საგანძურს  
ეძებს). რელიეფური ქვების ჩამოვარდნაც, შესაძლოა, ამ მონაკვეთში  
კიდლის რღვევაშ გამოიწვია.

ეს სტატია დიდი გულისტყივილით და უსაშველობის გან-  
ცდით დაიწერა. მე ხშირად ვარ ტაო-კლარჯეთის მიწაზე და ყო-  
ველთვის, იქ ჩასვლისას, ახალი არასასიამოენო „სიურპრიზები“  
მზღდება. ძნელია უყურო ჩვენი ფესვების რღვევას, ხსნის გზის  
არარსებობას.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. მოქცევა ქართლისა, ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერა-  
ტურის ძეგლები, თბილისი 1963 წ.
2. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქ. V-XI  
სს. მწერლობა, თბილისი 1981 წელი.
3. გიორგი მთაწმინდელი, ონე და ექვთიმეს ცხოვრება, ქ. V-XI  
სს. მწერლობა, თბილისი, 1981 წელი.
4. ევსები ქესარიელი, საეკლესიო ისტორია, მოსკოვის წმიდა გი-  
ორგის სახელობის ქართული ეკლესია, თბილისი 2007 წელი.
5. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბი-  
ლისი, 1983.
6. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI,  
თბილისი, 1982.
7. ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი  
1974 წელი

**Tea kobakhidze**

Ivane javakhshvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Direction-history of Georgia

Phd Student

## **About one relief of Oshki cathedral /Informational Article/**

### **Summary**

*“All these things were fulfilled in us, when we saw with our own eyes the houses of prayer thrown down to the very foundations...”*

*Eusebius of Caesarea*

It is very difficult to start with such a grave phrase but the reality about which I am going to narrate below is crueler.

While distributing lands, great ancestor Thargamos assigned a territory to Kartlos bordering Hereti and the river Berdaojisi on the east, the Sea of Pontus on the west, and on the south – the mountain ranging across the river Berdaojisi up to the river source and the mountain ranging towards the west with water falling on the north side and joining river Mtkvari running between the mountains of Klarjeti and Tao” [5.28].

Tao-Klarjeti is a province located in the south with wild, unusual and amazing landscape. It was “divided by river Bani into two parts” [5.65]. Tao was a powerful political-confessional region of medieval Georgia, especially in VII – X centuries. Tao – Klarjeti became a harbor for the royal establishment forced to move from the kingdom of Kartli weakened by invasions by that time. Bagratovani royal dynasty of Tao conducted a thousand-year successful ruling policy on the throne of Georgia.

land of Tao was reigned by David III the Great Kurapalati. His reign was one of outstanding and successful periods throughout the history of existence of Georgian monarchical institute. Great Kurapalati “...was famed everywhere, inside Georgia, as well as outside, among Armenians, Greeks and Arabs, with power and supercilious moral character” [5.123]. The sustainable policy conducted by him and distinctive diplomacy prepared Georgian throne

to be ascended by the first great king (Bagrat III of Georgia, son of Gurgen 974-1014 y.) of the unified kingdom.

Political-confessional priority of Kartli – the kingdom weakened by invasions of Mazdean Persia at first and then Arabs – plunged. The status of a prior was assigned to Tao-Klarjeti where national values reached the apogee.

Postulates of confessional progression-sustainability are the result of activity of great ecclesiastic figure, builder of churches and monasteries Grigol Khandzeli and his disciples:

“At that time saint fathers started construction of monasteries and churches in the desert, thus increasing the number of servants of Saint Trinity and eternal believers”. [2.233]

Construction of churches was ordered and financed by members of royal establishment and powerful feudals (Ashot Kurapalati, Gabriel Dapanchuli). Davit Kurapalati managed construction-restoration works of large churches in the 10<sup>th</sup> century in Tao. [3.373]

Davit Kurapalati had patronage over construction of magnificent monastery Oshki – the architectural splendor of royal property of Tao. “... RmerTman Seewien orTave exovrebaTa ZeTa RmrTiv kurTxeulisa adarnase kurapalatisaTa, bagrat erisTavTa erisTavisa magistrosa...” (short prayer for Adarnase Kurapalati, Bagrat Eristavteristavi and Davit Magistrosi). This is a short passage from the extended writing made in paint and presented on tympanum of south entrance of the monastery. It was thoroughly studied by expedition of Eqvtime Takaishvili (in 1917) [7.131].

Monumental bishop cathedral is located in the captivating gorge of the river Tortumistskali in Tao, dominating over the surrounding landscape with its splendid architectural shapes. It is a part of large confessional center together with the prominent seminary. The building of the seminary remains in a very damaged form. It is located on the north-east of the monastery.

These two Georgian spiritual hubs are located in the heart of village Oshvanka (more precisely, the Turkish village was set up here after invasion). Nowadays, there is a residential house built between the monastery and the seminary, which is directly attached to the north façade of the monastery.

The monastery is spectacular, triconch of monumental sizes (length 43 m., width up to 30 meters, height 33 m.). Its dimensions considerably exceed those of other Christian churches built in Georgia before. In stylistic and artistic terms it is a typical masterpiece of new epoch. System of interior arrangement and façade decoration is exquisite. The

dome bears cylinder shape and number of decorative areas on it reaches 24. The interior is predominantly large (the dome rests on four strong pylons instead of prominences of altar) and bright (twelve-window dome together with façade lighting). Facades of the monastery are decorated with figurative arcade. This motive became a “trademark” for façade decoration of medieval Georgian architecture. Windows, eaves and capitals of pillars of the monastery are decorated with ornaments and figurative relieves. In terms of significance and complexity of the mentioned façade sculpture, Oshki monastery rates one of the highest among medieval Georgian monasteries.

The seminary of Oshki was a very important centre of culture and education of medieval Georgia. In 978 the famous Bible of Oshki was created here. It is a sample of complete Bible written on parchment in Nuskhuri alphabet form, by order of Ioane-Tornike Eristavi. The Bible was ordered for Iveroni, it is preserved at Athons and is one of the oldest among complete manuscripts of Bible.

Great mentors were engaged at Oshki educational center: Ioane Oshkeli, Setefane Dekanozi, Ioane Chira rewriters of the Bibile – Michael Varaz Vache, Stefane Mtserali, Giorgi the son of Gelas, and Gabriel Oshkeli.



Nowadays, there are only ruins of the seminary remaining. The walls and roofing of monumental hall composed of arches are demolished. There are not even remains of the floor (now one can see bushes and grass instead). The book-depository (it could be the Bible revision center of) is seriously damaged, which might have had round dome style roofing (with spaces cut for panes to cast light into the interior).

As for the monastery, the format of damage and destruction here is absolutely beyond limits. The dome is damaged, conches of apses have collapsed, the floor does not exist, pillars holding the church-gate are damaged (at some places they have fallen down), window pits and forms are upset, west part of the south gate of the monastery is

კრების დადგენილება, რომელსაც წინამდებარე კანონი მოიხსენიებს, იმასთან დაკავშირებით, რომ 25 წლამდე ასაკის ქალწული არ შეიძლება სამონოზნო ხარისხში იქნეს აყვნილი, სხვა არა არის, თუ არა იანინის 393 წლის კრების დადგენილება, წინამდებარე კანონი კი უშევებს მოხსენიებული განწესებიდან გადახვევას იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ქალწულის უბიწოებას საფრთხე ემუქრება, ანდა, როდესაც სიკვდილის პირას არის და თვითონ, ან მისი მშობლები, ან მეურვეები ივეღლებან, რომ წყალობის ღირსყონ იგი და არ დაუშვან მისი სიკვდილი სამონოზნო წესის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, კანონი ნებას რთავს ეპისკოპოსს, რომელსაც უფლება აქვს მონოზნად აღკვეცოს ქალწულები, და რომლის ნებართვის გარეშეც საერთოდ ვერავინ გახდება მონოზონი,\* (\*ის. ბალსამონის განმარტება, III, 592.) შეიწყნაროს ქალწული და შემოსოს იგი სამონოზნო შესამოსელით მანამდე, ვიდრე 25 წლი შეუსრულდებოდეს; ეპისკოპოსის ასეთი ქმედება, მსგავს შემთხვევაში, განკითხვას არ ექვემდებარება. თუმცადა, აქ, აუცილებელია მზედველობაში ვიქონითო ტრულის კრების მე-40 და ბასილი დიდის მე-18 კანონები და, ამასთან, სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო გვაინდელი განწესება, ანუ – ტრულის კრების დასახლებული კანონისა.

იმ ექვსი კანონის გარდა (1, 29-33), რომლებიც ნამდვილად ამ კრებამ (419 წლისამ) მიიღო, წინამდებარე (126-ე) კანონი არის ბოლო – აფრიკული ეკლესიის წინანდელი კრებების კანონებს შორის, რომლებიც განიხილა და მიიღო კართაგენის ამ (419 წლის) კრებამ მთელი აფრიკული ეკლესიისათვის. კველა ეს კანონი წაიკითხეს და მიიღეს კრების პირველ სხდომაზე, 419 წლის 25

მარტს. იმის გამო, რომ ყველა (წმინდა) მამისთვის (რიცხოვნობით – 217), რომლებიც აქამდე კრებაზე იყვნენ, მნელი იყო კართაგენში ყოფნის გაგრძელება კიდევ ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტებად, ამიტომ დადგინდა, რომ მუშაობის საბოლოო დამთავრებამდე დარჩენილიყო 15 ეპისკოპოსი, დანარჩენებს კი ნება მიეცათ თავ-თავიანთ ეპარქიებს დაბრუნებოლონენ. სწორედ ამ გადაწყვეტილებას შეიცავს შემდეგი, 127-ე კანონი.

ანკვირიის (314წ.) კრების მე-19 კანონი კი განაჩინებს, “ვინც ქალწულობის აღთქმა დადო და მტრე დაარღვია, მეორედ ქორწინებულთა ეპიტიმია უნდა შეასრულოს. ქალწულებს კი, რომლებმაც გადაწყვიტეს სხვა მამაკაცებთან, როგორც მმებთან, ერთ ჭერქვეშიცხოვრონ, ჩვენ ამას ვუკრძალავთ.”

(მოციქულთა – 5, 26; I მსოფლიოს – 3; IV მსოფლიოს – 16; ტრულის – 5, 12, 13, 40, 44, 46, 47; VII მსოფლიოს – 18, 22; კართაგენის – 3, 4, 25, 38, 44, 70; ორგზის – 3, 4; ბახილი დიდის – 6, 18, 19, 20, 60, 88).

ეს კანონი ერთნაირად ეხებათ ქალწულობის აღთქმის შეურაცხმყოფელ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს. დედაკაცები, რომლებიც ასეთ აღთქმას აძლევდნენ წმინდა ქალწულებად იწოდებოდნენ და თავიანთი აღთქმის შესახებ საჯაროდ აცხადებდნენ ეპლესიაში ეპისკოპოსის წინაშე (IV მსოფლიო კრებ. მე-16 კან; კართაგენის კრებ. 44-ე კან.); ზოგიერთი მათგანი დედათდიაკვნად დგინდებოდა (IV მსოფლიო კრებ. მე-15 კან.). მამაკაცები, ასევე, საზეიმოდ დებდნენ აღთქმას ეპისკოპოსის წინაშე და ქალწულებად იწოდებოდნენ. ისინი უმთავრესად კლერიკოსები ხდებოდნენ და ეპლესიაში იერარქულად მაღალ ადგილებს იკავებდნენ (ტრულის კრებ. მე-12 კან.). დანაშაული, რომლის შესახებაც კანონი საუბრობს, ანუ ქალწულობის აღთქმის დარღვევა, არ უნდა გავიგოთ, როგორც სიძის ცოდვა, არამედ–კანონიერი ქორწინება, რაც, რათქმა უნდა, შეწირული ქალწულებისათვის ცოდვა იყო, რის გამოც კანონი მათ განუწესებს მეორედ დაქორწინებულთათვის დაწესებულ სასჯელის. ეს სასჯელი ითვალისწინებდა ერთი წლით წმინდა ზიარებიდან განყენებას (ბასილი დიდის მე-4 კან.); რადგან სიძის ცოდვის შემთხვევაში, დაექვემდებარებოდნენ მებავეობისათვის დაწესებულ სასჯელს, რაც, უკვე, ოთხი წლით ითვალისწინებდა წმინდა ზიარების მოკლებას (ბასილი დიდის 22-ე კან.). კანონში მოხსენიებულ პირებში არ უნდა გიგულისხმოთ მონიზონი მამები და მონიზონი დედები, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ კრების დროს მონიზონობა ჯერ კიდევ არ იყო დაფუძნებული და ამიტომ არ გააჩნდა

**თავისი გარევულად განსაზღვრული და დამტკიცებული წესები;** მეორეც, იმიტომ, რომ კანონები, რომლებიც IV საუკუნის მეორე ნახევარში იქნა მონოზნებისათვის მიღებული და იგივე საკითხებს ეხდა, გაცილებით უფრო მქაცრ საჯელს განაწესებენ (ბასილი დადის მე-60 კან.; შდრ. IV მსოფლიო კრებ. მე-16 და ტრულის კრებ. 44-ე კანონებთან) (ხაზი ჩვენია—ი.გ.)

როგორც ამ კანონის მეორე ნაწილიდან ჩანს, ისეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც ზოგიერთი ქალწული ქალწულობის აღთქმას დებდა და, იმავდროულად, უცხო მამაკაცთან დასავით ცხოვრობდა, რათა, მათივე სიტყვებით, ერთად გაწვრთნილიყვნენ სიკოთესა და კეთილმსახურებაში. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა ქალწულების ასეთი ერთობლივი ცხოვრება უცხო მამაკაცებთან ერთ ჭრებეშ, საცდურის მიზეზია და კანონიც ამიტომ კრძალავს.

ჩვენი აზრით, წმინდა ნინოს შეიძლებოდა ჰქონოდა შეწირული ქალწულის წოდება, რადგან ასაკის გამო ის ვერ მიიღებდა დედათლიაგნის წოდებას, ხოლო მონაზნის წოდება მხოლოდ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება საეკლესიო პრაქტიკაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

1. გრიგოლაშვილი ლაურა, “ყოველთა გუასწავე გალობა ”, “წმინდა ნინო”, სამეცნიერო კრებული I, თბილისი 2008
2. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტომი I, თბილისი 2007
3. ბიძინა ჩოლოფაშვილი, ქართულენოვანი ეკლესია—ახალი იერუსალიმი, თბილისი 2008
4. Константин Лернер, Евреи Грузии От Элинизма до позднего феодализма Иерусалим 2008

**Ia Grigalashvili**

Professor of Ivane Javakshvili

Tbilisi State University,

Doctor of Philological Science

## **The Question of St Nino's Title**

### **Summary**

According to the History of the Church by Rufinus St Nino isn't mentioned. Author told about the enlightener of the country, but he hadn't noticed about her name. Platon Ioseliani considered that might be Nino wasn't the name of the Saint, but it was her title. Bidzina Cholokashvili agreed with this opinion and added that it was the title of ecclesiastic person who was deacon of mothers. Konstantine Lerner thinks that she was a submissive.

Ecclesiastical Law of the IV century calls the maidens who are donated to the church "the donatives". We consider that St Nino was a "donative maiden" because she was donated by her parents.

## **ნაირა ბეპეგი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## **ნინო პოპაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

### **ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქრისტიანობის გავრცელება ოსებში**

ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორია ისტოგე ძეგლია, როგორიც თვით ქართველებისა და ოსების ისტორია. თანაცხოვრების განმავლობაში კი იყო ძეგრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველ მეფეებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ოსებთან, ხშირად ისინი სტრატეგიული პარტნიორები, თანაცემბრძოლები და დინასტიური კავშირების გამგრძელებლებიც ყოფილან.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში პირველივე საუკუნეებიდან დასტურდება. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ კი ქვეყანა ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლად ბოლომდე რჩება.

ქრისტიანობის გავრცელების პროცესი რთულად მიმდინარეობდა საქართველოს მაღალმოანეთში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანულ რელიგიას ქართველებისათვის რელიგიურის გარდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. სწორედ ამიტომაც, ცნობილია, რომ ქართველი მეფეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ქრისტიანულ განმტკიცებულიყო და სრულყოფილად დაფუძნებულიყო.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ გარდა საქართველოს მაღალმოანეთისა, ქართველები მეზობელი ხალხების გაქრისტიანებაშიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამეზობლო პოლიტიკასაც. ერთმორწმუნე მეზობელი ქვეყნები საქართველოს გაძლიერების საწინაარი იყო. ამიტომაც ქართლი ჩრდილოეთ კავკა-

სიის ხალხების გაქრისტიანებაშიც მონაწილეობდა. ამ მხრივ უთუ-ოდ მნიშვნელოვანია ოსთა გაქრისტიანების საკითხი.

ოსებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ ისტორიულ წყაროებში: ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და დასავლე-თევროპულ წყაროებში მათ ზოგან აღანგბად იხსენიებენ, ზოგან – ასებად. რუსულ წყაროებში – იასი (იასი). ქრისტულ წყაროებში ოვსი ან ოსი. ქვეყანას, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ქართველებმა შეარქეს ოვეთი-ოსეთი. აქედან გავრცელდა თანამედროვე რუსული სახელწოდებით **ისეთი**, **ისეთი**. ოვითონ ოსები თავიანთ თავს უწოდებენ **ირობ** («ირონ»), ხოლო თავიანთ ქვეყანას – **ირისთონს** («Иристон»).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ოსებს სკვით-სარმატ-ალანთა პირ-დაპირ შოთომავლებად მიჩნევს. მათ ენაში, ტრადიციასა და ადათ-წესებში შენარჩუნებულია ბევრი ელემენტი, რომელიც სკვით-სარ-მატ-ალანურ და კავკასიურ საფუძვლებზეა წარმოქმნილი.

სკვითები რამდენიმე ღმერთს იცნობდნენ: მზისა და ცის გან-მგებელს – პაპას; თაბითის კერისა და ბედიერების ღმერთს – თა-ბითის; ომების ღმერთს – არესს.

ალანები ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ეზიარნენ ქრისტია-ნობას. ქრისტიანიზაცია ოსეთში ხანგრძლივ პროცესს მოიცავდა. პროცესი კესარიელი, ბიზანტიელი ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ ალანები არაან ქრისტიანები. აქ, რასაკვირველია, ალანთა ერთი ნა-წილი იგულისხმებოდა, რომლებსაც მჭიდრო კავშირი პქონდათ ბი-ზანტიასთან. ალან-ოსების მეორე ნაწილმა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქრისტიანობა საქართველოდან მიიღო და VII საუკუნეში მთელი ოსეთი მცხეთის კათალიკოსის სამწყსოში შედიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსებში ყველაზე ძლიერ სალოცავად ითვლება წინარექრისტიანული (VII – VI ს) ღვთაება ვასთირჯი. ვასთირჯი წმინდა გიორგის კულტთან სინკრეტიზებული მამაკაცთა მფარველი ღვთაებაა.

ასე, რომ ქრისტიანობა ოსეთში ბიზანტიისა და საქართველოს ზეგავლენით გავრცელდა.

IX საუკუნის მოღვაწე, სლავური დამწერლობის შექმნელი კონსტანტინე (იგივე კირილი, ცნობილი ბერძენი სწავლული) იხსე-ნიებს ალანებს მათ შორის, რომლებსაც “აქვთ დამწერლობა და ადიდებენ ღმერთს თავიანთ მშობლიურ ენაზე.” ღვთისმსახურება ალანურ ენაზე სრულდებოდა და ითარგმნებოდა ქრისტიანული სა-სულიერო ლიტერატურა.

უნდა აღინიშნოს, რომ XVII-XVIII საუკუნეებში დიგორელი ოსების ერთმა ნაწილმა (ყაბარდოს გავლენით) ისლამი მიიღო. დღეს ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან. მცირე ნაწილი სუნიტი მუსლიმია. ოსებში დღემდე შემორჩენილია ძველი ხალხური რწმენა-წარმოდგენები.

საღვთო პანთეონში მთავარი ადგილი უკავია ღვთაებათა ღვთაებას (Хуыщату Хуыщау), ყველაზე ძლიერი სალოცავი ოსებში წინარექტისტიანული (VII-VI ს. წვ. წ. აღ-მდე.) ღვთაება ვაჟისტორ-ჯაა (Уастырჯы). ვასთირჯი წმინდა გიორგის კულტთან სინკრეტიზებული მამაკაცთა, მგზავრთა და მეომართა მფარველი ღვთაებაა. დღიც პატივს სცემდნენ ოსები მოსავლის ღვთაებას ვაცილას (Уасицилла), მონადირებისა და გარეული ცხოველების მფარველს აფსისის (Æფსას), მგლების მფარველს — თუთირს (Тутыр), წვრილებება საქონლის ღვთაებას, ფალგარას — (Фатларга), აკ-რიის დამცველ ღვთაებას საფას (Сафа), სამჭედლო საქმეთა განმგებელს, ზეციურ ქურდალაგონს (Курдаглангон), წყალქვეშეთა სამეფოს განმგებელს, დონბეჭთირს (Донбеттыр), ქარის ღვთაებას გალაგონს და სხვ. არსებობდნენ სოფლისა და გვარის მფარველი ღვთაებებიც.

ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, ოსებშიც წარმართობა ქრისტიანობა შეცვალა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, პირველად ქრისტიანობა ანდრია მოციქულს უქადაგებია, რომელიც ოსებში აფხაზეთიდან გადავიდა. “ოსი ხალხის ნაწილი ქრისტიანობას მოციქულთა ეპოქაში ეზიარა I-II საუკუნეებში”.

გახუშტი ბაგრატიონის ცნობით, “ოვსნი სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწევსნი ნიქოზისანი და უფროის დუალნი... იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და საღმრთო სამღედელოთა პატივსა უყოფენ და თაყვანს სცემენ”.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსთა გაქრისტიანებამ დიდი როლი ითამაშა ამ ერის კულტურულ ცხოვრებაში. X საუკუნეში ქრისტიანობა ოსებში ოფიციალურ რელიგიად იქცა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშანვდა, რომ მისი გავრცელების სფერო საყოველთაო იყო.

ოსთა გაქრისტიანების პირველ საფეხურზე ბიზანტიამ ისინი თავის რელიგიურ გავლენაში მოაქცია. კონსტანტინებოლიდან გაგზავნილი ეპისკოპოს-მიტროპოლიტები ბიზანტიის სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდნენ.

მოგვიანებით ხდება რუსეთის ცარიზმის მიერ ოსთა იდეოლოგიური დაპყრობა ქრისტიანი მისიონერების საშუალებით. რუსული

ექლესიის მსახურები ჩავიდნენ ოსეთში და ღვთის სახელით, როგორც ისტორიკოსი ამბობს, “დაიწყეს ოსეთის დაპყრობა”.

ქრისტიანიზაციის პროცესი 100 წელზე მეტსანს მიმდინარეობდა. ოფიციალური სასულიერო კომისია დამტკიცდა პეტერბურგში 1743 წელს, სადაც შედორდნენ ქართული წარმომავლიბის პირებიც. 1745 წელს ეს კომისია უკვე ოსეთშია და ის ფუნქციონირებს ყიზლარში, მოგვაინებით კი, გადადის თბილისში. აკად. ნ. ჯუსოითის თქმით, განსაკუთრებული კვალი ამ კომისიისა ოსეთის კულტურის განვითარებაში არ ჩანს. კომისიის ძირითადი მიზანი მოსახლეობის სრული ქრისტიანიზაცია, ვერ განხორციელდა.

პროგრესული ნაბიჯი ამ კომისიისა კი ის იყო, რომ ოსებმა მიიღეს სასულიერო განათლება და გაიხსნა სასულიერო სკოლები.

ოთხა გაქრისტიანებაში დიდი როლი ითამაშა საქართველოში.

ქრისტიანობის გავრცელებამ დღის წესრიგში დააყენა ქართული სასულიერო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საკითხი.. თარგმანები შეასრულა იღუმენ გრიგორმა ქართული ანბანის საფუძველზე 1747 – 1753 წწ. ეს იყო პირველი ხელნაწერი წიგნები ოსურ ენაზე.

სახარება და ფსალმუნი ოსურ ენაზე თარგმნა გ. მჭედლოვამ. ოსური კულტურის ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სასულიერო სემინარის მასწავლებელმა დანიელ ჭონქაძემ (1830-1860წწ). მან შეადგინა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკინი, რომელიც შემდეგ გამოსცა შიფრერმა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ჯერ კოდვ დავით აღმაშენებელმა დაარასა ოთხა შეიძლებისათვის სასწავლებელი, სადაც სწავლა ზუცური და ქართული მხედრული ასოებით მიმდინარეობდა.

პირველი სასულიერო სკოლა გაიხსნა 1766 წელს მოზდოკში, თუმცა ამ სკოლის გახსნის გადაწყვეტილება 1753 წელს იყო გამოტანილი, რომელიც ქურთათის ხეობაში უნდა ყოფილიყო გახსნილი (ამ საქმეს სათავეში ედგა პახომი).

ოსეთის სასულიერო კომისია ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ოსური წიგნის გამომცემელი. 1798 წელს მოსკოვის სინოდალურ სტამბაში დაიბეჭდა “დაწყებითი განათლება ღვთისმეტყველების შემსწავლელთათვის”. წიგნში გამოყენებული იყო აღვარდინი, რომელიც შექმნა მოზღოვეს ეპისკოპოსმა გაი თაყაევმა ოს გენცაუროვებთან (კესაევებთან) ერთად.

1836 წელს ვლადიკავკაზში იხსნება ოსური ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1848 წელს აქვე იხსნება სამსედო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა.

ქრისტიანობის გავრცელება უფრო აქტიურად მეორე პერიოდში გახდა შესაძლებელი. ამ მიზნით შეიქმნა 1860 წელს თბილისში სასულიერო კომისია, რომლის მიზანიც იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღორძინება კავკასიაში.

აღნიშნული კომისიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1885 წელს ვლადიგაგაზის ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი იოსების თაოსნობით სასულიერო სკოლებში ოს ბავშვებს მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ. მანვე შეადგინა ანბანი ოსური სკოლებისთვის, რუსულ-ოსური ლექსიკონი და ოსური ენის გრამატიკის მოკლე კურსი.

ქართველები და ოსები მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობებით გამოიჩინენ, ჯერ კიდევ 1746 ბერ-მონაზონი ეფრემი წერდა, რომ ოსეთში ბევრი ადამიანი, რომელსაც შეუძლია წერა-კითხვა ქართველი ანბანით და შეიძლება გაიგზავნონ ისინი ქრისტიანული მისით საშობლოში.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ითარგმნებოდა სასულიერო ლიტერატურა, ფართოდ ვითარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც ოსების, როგორც ერთ-ერთი უძველესი კავკასიელი ხალხის ადაპტირებას უწყობდა ხელს ქრისტიანულ სამყაროსთან.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ნართები, ცხინვალი, 1988.
2. ოსური ფოლკლორი, თბ. 2002
3. ოსური ზეპირსიტყვიერება. თბ., 2005
4. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2006.
5. З.Д. Гаглоев, Осетинские фамилии, Цхинвал, 2002.
6. Тахбазты Х., Ирон Җэзаг, Дзәуджыхъау, 1991.
7. Чындызажасавы әмәз зианы ағъдауттә, Дзәуджыхъау, 1995.
8. История Осетии, Владикавказ, 2000.
9. История южных осетин, Цхинвал, 1990.
10. История Северной Осетии XX век, Москва, 2003.
11. Нафи Джусойты, История Осетинской литературы, Тб., 1980.
12. Б.В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

**Naira Bepievi**

Professor of Ivane Javakshvili

Tbilisi State University,

Doctor of Philological Science

**Nino Popiashvili**

Professor of Ivane Javakshvili

Tbilisi State University,

Doctor of Philological Science

## **The state thinking and distribution Christianity at the Ossetin**

### **Summary**

In different historical sources the Ossen name on different names. For example, in the Byzantium, Arabian, Persian, Armenian and their West European sources sometimes his alans, in some experts. In Russian sources jassen. In the Georgian sources ovsen. The country where there lived Ossen, Georgians named Ovseti-Oseti. From here the modern Russian name Ossens, Ossetia. Ossetins of name iron, and the country Iryston. Alans, in the fourth century have accepted Christianity. Christianity in Ossetien had long process. Prokofi Kesarjsky, was the Byzantium historian noticed that Alan - Christians. Here, of course, it was meant a part Alans which had a close contact to Byzantium. A part the Alan-Ossen, on «Kartlis zkhovreba», have accepted Christianity from Georgia and in VII century all Ossetia went to Katalikosu to Mtshetsky church. So, the Christianity in Ossetia has extended through Byzantium and Georgia. Should will note, Christian the Ossen, has played the big role in a cultural life of these people. X a century Christian in Ossetian has turned to official religion. But it did not mean that its distribution was general. At the first steps Christian, Byzantium them took under the sphere of influence. Bishops - metropolitans protected interests of Byzantium. There was an enslavement of Osset ideology by Russian tsarismus, by means of Christian missionaries later. Employees of Russian church have gone to Ossetia from the divine name as the historian speaks, «have begun enslavement of Ossetia». Process Christian went to Ossetien more than 100 years.

**ეპა ვარდოშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**თამარ მეფის პარადიგმული სახისმეტყველებისათვის**

„ქართული ქრისტიანობის“ ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია ნაციონალური წმინდანების კულტის შექმნა და მათი ცხოვრების ჩამოყალიბება. ასეთ ნაციონალურ წმინდანებად პირველ რიგში შეგვიძლია მივიჩნიოთ წმინდა ნინო და თამარ მეფე, რომელთა სახის-მეტყველება მრავალმხრივ აისახა ქართულ მწერლობაში.

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში თამარ მეფის სახისმეტყველება ძირითადად ორგვარად ვლინდება. პირველი: თამარს მოიხსენიებონ როგორც სახელმწიფო მოღვაწეს დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის გვერდით, ხშირად ხაზგასმულია, რომ სწორედ თამარია შოთას შთაგონების წყარო. ამ მხრივ საყურადღებოა ვახტანგ ორბელიანის ლექსიში: „მედი“, „არის ადგილი“, „ობოლი“.

თამარ მეფის ტრადიციული ქრისტიანული პარადიგმული სახისმეტყველება თავის იჩენს ასევე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. თამარის სახე ჩანს ლექსში „ბაზალეთის ტბა“, როგორც პირველ და მეორე, ასევე საბოლოო ვარიანტში. პოემა „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში, სადაც თამარის ტრადიციული სახისმეტყველება დავითთან და რუსთაველთანა დაკავშირებული. პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ პირვანდელ ესკიზებში.

აქვე უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „დიდი თამარი“. ვაჟას ღვთიური ნათელით შეუმოსავს თამარის სახელი, ქართველთა დედად მოიხსენიებს მას. თამარის ხატება გულში ლაპტრად უნთა თითოეულ ფშაველს, რაც უმთავრესად, ისინი მოწყვლებას ელიან თამარისაგან, ვითარცა ღვთისმშობლისაგან. ვაჟა-ფშაველა თამარს, ვითარცა ერის სულიირ მფარველს ისე მიმართავს და ამავდროულად ხაზს უსვამს მის გარეგნულ სილამაზეს.

მეორე ნიშანი, რითაც ხასიათდება თამარ მეფის სახისმეტყველება XIX საუკუნის პოეზიაში არის ის, რომ მას მიმართავენ ვითარცა ღვთისმშობელს, თამარი შემკულია საღვთო სიმბოლოებით. ამ იდეის საუკეთესო გამოხატულებაა გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. სანამ უშუალოდ ნაწარმოების განხილვას შევუდგებოდეთ, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ

რომანტიკოსები უშეუალოდ უკავშირდებიან წუთისოფლის ქრისტიანულ გაგებას. „ქრისტიანული პრინციპით „სოფელი“ იმიტომა წუთიერი, ანუ წუთისოფელი, რომ იგი მარადიულობის წინაშე გაიაზრება. ბევრი რამ მეორდება ამქვეყნად, მაგრამ ყველაფერი მაინც მარადიულობისაკენ მიისწრაფვის, ან სიკვდილით, ანდა სიცოცხლით“ (1.25).

ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩაში“ ჩანს, რომ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, მარადიულია მხოლოდ ბუნება. თუკი რამ უახლოვდება მარადიულობას ეს ხელოვნებაა.

საზოგადოდ, რომანტიზმი არა მარტო აგრძელებს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, არამედ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მოხდა შერწყმა მხატვრული სიტყვის სიღიადისა და ეიკონური საზებისა. ყოველივე ამს ბრწყინვალე ნიმუშია გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ბეთანიის ეკლესიაში მუხლმოდრეკილი პოეტი შესცემრის თამარის ფრესკას. აქვთ უნდა აღვინიშნოთ, რომ ვარძიისა და ყინწვისას ფრესკებზე თამარ მეფე გამოხატულია წმინდანის სახითა და შარავანდედით, ისე, რომ იგულისხმება მის წინაშე მლოცველის ვედრება, როგორც ღვთისმშობლის წინაშე ხდებოდა. თამარ მეფე წარმოდგენილია ღვთისმშობლის ნიშნებით, ვარძიის მოხატულობა თავისი კოლორიტით განსაკუთრებით ბეთანიის მოხატულობას უახლოვდება. ლექსს აქვს დეისისის ანუ ვედრების შინაარსი, ლექსში ლორიგული სუბიექტი თავად პოეტია:

„შენს წმინდა სახეს,

შვერებით სავსეს,

სახიერებით განსხივებულსა,

ვუმზერ კრძალვითა,

თაყვანცემითა,

ცრემლ-მორული ვემთხვევი ფერხთა“ (2.346).

ავტორი საღვთო ეპითეტებით ამკიბს თამარს, „წმინდა“ და „სახიერი“ ღვთაების ნიშნებია, დავით მეფის ფსალმუნებში ვკითხულობთ: „იქბლოდეთ სახელითა მისითა წმიდითა“ (ფსალმუნი, 104,3). მივმართოთ სახარებას, „აჰა, მო-ვინმე-უხდა მას და ჰრქეა: მოძღვარო სახიერო, რაი კეთილ ვემნე, რაითა მაქუნდეს ცხორება საუგუნო? ხოლო იქსუ ჰრქეა მას: რასა გეტყვ მე სახიერით? არა ვინ არს სახიერი, გარნა მხოლო ღმერთი...“ (მათე, 19, 16-17).

ეს ლექსი ერთგვარი ვედრებაა პოეტისა, რომელიც წარსულში ეძებს მომავლის იმედს.

თითქმის იგივე საღვთო სიმბოლოებით იხსენიებს გრიგოლ ორბელიანი თამარს პოემაში „სადღეგრძელო“:

„ვითარცა ღმერთა მშვენიერების,  
ქველ-მოქმედების, სახიერების  
ვით მტრედი მაღლის, მშვიდი და წყნარი  
ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი“ (2.357).

დავით მეფის საგალობლებში კითხულობთ: „სიონით გამო არს შუენიერებაი ჰაეროვნებისა მისისაი“ (ფსალმუნი 49,3). აქვე თავისთავად გვახსენდება იოანე შავთელის „აბდულმესიანი“, სადაც ავტორი თამარს ასხამს ხოტბას:

„მხნე, ლომბიძერი, ქველი, ძლიერი,  
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი  
შარავანდ-გმირი, ორგულო გამგმირი,  
მტერთა ქვესქნელად დამამხობელი“ (3.332).

თუკი გავიხსენებთ აკაკი წერეთლის ლექსს „ჩემი ლოცვა“, ვნახავთ, რომ ლექსში პოეტი ცალკე გამოყოფს სამი წმინდანის ძირითად თვისებებს. თამარის – მზეობას, ქეთევანის – მოთმინებას და ნინოს – სარწმუნოებას. აქვე უნდა გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ლექსს „თამარ მეფე“, სადაც ავტორი აღნიშნავს : „ქრისტიანობის ღროს, დედაკაცი კოდვე უფრო ამაღლდა მამაკაცების თვალში საქართველოში. უამისოდაც არ შეიძლებოდა, რადგნაც ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში პირველობა ყოლიოფერში ქალებს ერგოთ; ერთ უბრალო მოგზაურ, უძლურ, კაბადოკიცელ ქართველ ქალს, წმინდა ნინოს წინაშე, რომელსაც, გარდა მისივე თმებით ჯვარად შეკონილ ვაზის მეტი არა ეჭირა რა ხელში, ემხობიან თავიდან ფეხებამდი ადგურვილი მეფე და დიდებულები. ქეთევან დედოფალი საოცარ მავალითს უჩვენებს საქრისტიანოს რჯულისა და ეროვნებისათვის წმინდა მოწამეობისას. თამარ დედოფალი, რომლის მეფობის დროს სიკვდილით არავინ დასვალდა, უმტკიცებს მის შეძლევ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთოგულება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლომბიძერებითა და სიყვარულით, აი ეს სამი ქალი, ეს „მთიებთა სამაია“, ნათლის სვეტად წინ უძლოდა ჩვენს დღვებს“ (4.461). „დიდება ერთის მზეობას“, – ამბობს თამარის შესახებ აკაკი წერეთელი ლექსში „ჩემი ლოცვა“. იგი მიჰყვება ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას. ჩახრუხაძის „თამარიანსა“ და იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ პერსონაჟები წარმოდგენილნი არიან და თელმოსილებით. ამ მხრივ გამოიყოფა ანალოგიები თრი სახი-

სა, „მზე-ქრისტე“ და „ნათელი-ქრისტე“. ამის ანალოგიებია „მზე-თამარი“ და „ნათელი-თამარი“. „თამარიანში“ კითხულობთ:

„გვმობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,  
მით რომელ უცხო ხარ სახილველი“ (3.365).

იოანე შავთელი კი „აბდულმესიანში“ თამარის შესახებ აღნიშნავს:

„ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით  
ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი“ (3.322).

ამ შემთხვევაში რელიგიური შინაარსი გადატანილია ლიტერატურულ პერსონაჟებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ თამარ მეფის პარადიგმული სახის-მეტყველება დამახასიათებელია როგორც ძველი, ასევე ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. რ.სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ. 1987.
2. ქართული მწერლობა, თხზულებანი ოც ტომად, ტ. IX თბ. 1992.
3. ქართული მწერლობა, თხზულებანი ოც ტომად, ტ. III, თბ. 1988.
4. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. ტ.VI, თბ, 1957.

**Eka Vardoshvili**  
Professor of Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Doctor of Philological Science

## Paradigmatic expression of the King Tamar

### Summary

One if the main attribute of "Historical Christianity" is creation of national saints' cult and their forming. First of all such national saints we can take into consideration Saint Nino and the King Tamar.

In the XIX century poetry paradigmatic expression mainly appear in two kinds. The first , the King Tamar is mentioned as statesman by the side of the DaviT the Builder and Shota Rustaveli and other, she is called as Virgin. The king Tamar is decorated with spiritual symbols. The best expression of that idea is poetry of Gr. Orbeliani "The face of the King Tamar in the Betania Church", poem "the Toeast", Also it's important the poetry of Ak. Tsereteli "My pray", where author follows to the old Georgian tradition. The characters of Chakhrukhadze's "Tamariani" and Ioane Shavteli's "Abdulmesiani" are presented by spiritual illymination.

paradigmatic expression of the King Tamar is typical as old as new and the newest Georgian literature.

ლევან ბებურიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

„ პგავდა წმინდანსა იგი წამებულს. . .“  
( ილიას „განდევნილის“ შესახებ )

ილია ჭავჭავაძის „განდევნილის“ მთავარი გმირის შესახებ  
მრავალი მოსაზრება გამოითქვა. მევლევარები სხვადასხვაგვარად  
აფასებდნენ ბერის ღვაწლს, მის სულიერ ძღვომარეობას. იყო მცდე-  
ლობები წმინდა საღვთისმეტყველო პლანში გაერჩებინათ განდევი-  
ლის დაცემა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა თუ რამდნად რეა-  
ლისტურია ბერის სახე, შეიძლება თუ არა ასეთი ასკეტი შეგვხვდეს  
სინამდვილეში. ამის გასარკვევად აუცილებელია ღრმა ანალიზი ბე-  
რის სამოღვაწეო პრინციპებისა და შეხედულებებისა.

საინტერესოა, სულიერების რომელ საფეხურზე იმყოფება მწი-  
რი.

ავტორისეული დახასიათების მიხედვით აშკარაა, რომ ბერი  
სრულყოფილებასთანაა მიახლოებული:

„არ იყო წნიერ, მაგრამ ვით წმინდანს  
სულის სიმაღლე ზედ დასხნეოდა  
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეპსიზნებოდა.  
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი  
სიწმინდის მაღლით დაპშვენებოდა  
და მაღალს შებლსა ნოჭიდ შეკრულს  
შარაგანდედი გადაპფეხოდა.“

ბერი წმინდანია, მას დაუმარხავს ხორციელი გულისთქმანი,  
მოუპოვებია განუწყვეტელი ლოცვისა და ცოდვათა ზედა გლოვის  
ნიჭი:

„დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება  
მოპფენია კლდეს ყინულისასა  
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი  
ვითა ღელესა მას გლოვისასა.  
განყენებული წუთისოფლისგან

აქ სული მისი აღყვავებულა  
და ხორციელი გულისოქმა ყველა  
დამარტულა და განსვენებულა.“

განდეგილის წმინდნობის უტყუარი საბუთია ის სასწაული, რომელსაც უფალი ყოველდღე უგზავნილა მას „ხორციუსხმელი“ მზის სხივის სახით.

ა. ბაქრაძე მიჩნევდა, რომ განდეგილი სულიერების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა, რომ იგი „ჯერ კიდევ გაორუბული იყო.“ (2, 78) ამ მოსაზრების სიმცდარეს მოწმობს თვით ავტორის აღწერილობა ბერისა და მეორე მხრივ მადლომოსილება, რომელსაც ცხადია ღმერთი სულიერებაში ახლად ფეხადგმულს არ მოუვლენს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ „ყოველდღიურ სასწაულებს გაშინაურბული ბერი ხიბლშია ჩავრდნილი.“ (10, 9) ეს შეხედულება ყოველად უსაფუძვლო და შეუსაბამოა. წმინდა უგნატე ბრიანჩანინოვი ხიბლის შესახებ ბრძანებს: „ხიბლი ადამიანური ბუნების სიცრუით დაზიანებაა. ამპარტავნებითა და განუსჯელობითაა აღვსილი გულის სურვილი და სწრაფვა – დატებეს წმინდა, სულიერი, ღვთაებრივი გრძნობებით, როცა იგი ჯერ სრულიადაც არ არის მზად ასეთი ტკბობისათვის. როგორც განუწმენდელი გონება, რომელსაც ღვთაებრივი ხილვების ნახევა სურს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს, ხილვებს თვითონ იგონებს და მათით იტყუებს თავს, ასევე გულიც – როცა ღვთაებრივი ხიტკბობებისა და სხვა ღვთაებრივი გრძნობების განცდას ცდილობს და ვერ ჰოულობს მათ საკუთარ თავში, მაშინ თვითონ იგონებს მათ. მათით იცოუნებს და იღუპავს თავს, რამეთუ შედის სიცრუის არეში, ეშმაკებთან ერთობაში, ემორჩილება მათ ზემოქმედებას და მათ ძალაუფლებას ემონება.“ (6, 48) სულის ამგვარ მდგომარეობას ეწოდება ხიბლი. „ხიბლი არის ჭეშმარიტი სულიერი ორიენტირების დაკარგვა, ადამიანისა და სატანის ცოდვის გამეორება, როდესაც ადამიანს სულიერი ცხოვრების, მართლმადიდებლური ასკეზის გარეშე სურს მდალი სულიერი საზომის მიღწევა.“ (5, 52) ხიბლის შმობელი ამპარტავნებაა. პოემიდან კი ჩანს, რომ განდეგილს ჩაბარებული აქვს გამოცდა სიმდაბლეში. მას ხილვები ეშმაკისგან არ ეგზავნება. იგი ღვთის მადლის მფლობელია: „წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია.“ „ვერგის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად. ვერ ხელ ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა“ (მათე 6, 24). შეუძლებელია ადამიანს ღვთის მადლი ჰქონდეს და ამავდროულად ხიბლში იყოს ჩავარდნილი. „ამპარტავნთა შეპტუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“

(იაკობი 4, 6). აბსურდია იმის განცხადება, რომ განდეგილი ხიბ-ლშია.

უნდა თოქვას ისიც, რომ სულიერ პლანში თუ განვიზილავთ „განდეგილს“, სერიოზულ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ. მართალია, მსატერული ნაწარმოები საღვთისმეტყველო ტრაქტატი არ არის, მაგრამ როდესაც მწერალი რელიგიურ თემატიკას ეხება, მას ღრმა სასულიერო განათლება და დიდი სიფრთხილე მოეთხოვება. მითუმეტეს, თუ რეალისტურ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე.

ბერის საქციელი და შეხედულებები სრულიად არ შეეფერება მაღლმოსილი მოღვაწისას. იგი გულის სიღრმეში თავს უბედურად მიიჩნევს! ასეთ ადამიანს, შეუძლებელია, ღვთისგან სულიერი ნიჭები ჰქონდეთ მიმადლებული. წმინდანისათვის სრულიად უცხოა ის შიში, რომელსაც განდეგილს ქალის ხმის გაგონების შემდეგ ეუფლება. „უფალი ძალ ჩემდა, ვისა მეშინოდეს? უფალი შესავედრებელ ჩემდა, ვისაგან შევძრწუნდე?“ – ბრძანებს დავით მეფსალმუნე. განდეგილი კი:

„შეპრთა, შეშინდა ამა ხმისაგან,  
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლონა?  
და ვითა ელგამ ამისმა ფიქრმა,  
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.“

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ბერს უყვარს ქვეყანა, რომ „ბერის მოღვაწეობის მიზნი იყო მთელი ქვეყნისათვის ღლოცვა.“ (8, 55) ამის დასტურად მოაქვთ ორი ტაეპი პოემიდან. როცა საშინელი ჭე-ქა-ქუხილი ატყვა განდეგილი ღვთისმშობელს

„. . . ხელაპყრობით ევედრებოდა  
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.“

აუცილებელია გავრკვითოთ ბერის დამოკიდებულება საზოგადოების, ქვეყნის, მოყვასისადმი. თუ მას მართლაც უყვარს ქვეყანა, ავტორი ხუთ სტროფს იმის ჩვენებას არ დაუთმობდა, თუ რად მიიჩნევს ბერი სოფელს. „ცოდვის სადგური“, „სამეფო ბოროტისა“ – ამ ეპითეტებით ახასიათებს განდეგილი (და არა ილია ჭავჭავაძე) ქვეყანას. თუ ბერს მართლაც უყვარს იგი, ილია ამას საგანგებოდ აღნიშნავდა და არა გაკვრით. მაშ რატომ ევედრება განდეგილი ღვთისმშობელს ქვეყნის ხსნას? უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის ენას, ამ პოემის მიხედვით, ახასიათებს არქაულობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიური ლექსიკა არქაულია. სიტყვა „წარწყმედა –

ნიშნავს დაღუპვას, ამ მნიშვნელობით არის იგი ნახმარი სახარებაში, სასულიერო მწერლობაში. განსაკუთრებით ხშირად იხმარება ეს სიტყვა წარლინასთან მიმართებაში: „ მოიწია წყლით-რღუნაი და წარწყმიდნა ყოველნი ( ლუკა, 17,27 ) ბერი ლოცვას იწყებს საშინელი სტიქის დროს. იგი ადამიანთა სულების გადარჩენისათვის კი არ ლოცულობს, არამედ ღმერთს ქვეყნის საშინელი წარლინაგან გადარჩენას ევედრება. ბერში თვითგადარჩენის ინსტიქტი ლოცვით გამოიხატა, რაც სრულიად ბუნებრივია.

ბერის დამოკიდებულება მოყვასისადმი შესანიშნავად ჩანს მისი და მწყებსი ქალის დიალოგში, ქალი მას ეკითხება:

„ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი

ყველა გულიდან ამოგილია?

ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი

თან არავისი წამოგილია?

არ გაგონდება არც მამა, დედა,

ან მმა, ანუ და, ან სახლი, კარი?“

ჰეშმარიტება ქრისტიანმა ასეტმა ცხადია უნდა უპასუხოს, რომ დიახაც უყვარს ისინი, მათი სიყვარულის გამო წამოვიდა სამოღვაწეოდ და ამ გზით უფრო შეუძლია მათი შეწევნა. რას პასუხობს ბერი?

„ . . . ყველაზე უფრო სული ტებილია

იგი ტყვე არის წუთისოფლისა

და ეს ყოველი მის ბორკილია.“

ამის შემდეგ უაზრობაა ვისაუბროთ იმაზე, რომ განდეგილს უყვარს მოყვასი. „თვისტომი, ტოლი და სწორი“ მისთვის ბორკილია, უსარგბდლო და არასაჭირო. ასეთ შეხედულებას ქრისტიანობასთან შეუძლებელია რაიმე კავშირი პქონდეს. ასეთი მრწამსის ადამიანი ნამდვილ ქრისტიანდ ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, მოუხედავად ავტორის აღწერილობისა, ბერის საქციელი და შეხედულებები ცხადყოფს, რომ იგი ნამდვილად არ არის ჰეშმარიტი ასეტი.

საფიქრებელია, რომ ეს შეუსაბამობა ილიას მიერ ორი მიზეზით, შეგნებულად არის დაშვებული. ჯერ ერთი, მზის სხივი, მადლი ღვთისა, აუცილებელია სიუჟეტური განვითარებისათვის. ეს უმთავრესი ელემენტია სიუჟეტისა, რომლის გარეშე მოქმედება ვერ დასრულდება და მეორე, ილიამ განდეგილი ასეთ სულიერ სიმაღლეზე იმიტომ აიყვანა, რომ გაემაფრებინა მისი დაცვით გამოწეველი ტრაგიზმი. ილია თვლიდა, რომ ნამდვილ ქრისტიანს შეუძლებელია არ უყვარდეს მოყვასი, სამშობლო. არ გვგონია, ეს ვინმესათვის სა-

დავთ იყოს. ამდენად პოეტი იძულებულია ასეთი უზუსტობა დაუშვას.

ზოგიერთ ქრიტიკოსს მიაჩნია, რომ მწირის მოღუნება, მისი ღვთიური მაღლისაგან განძარცვა იწყება მის მიერ ჩამავალი მზის სურათის ხილვის შედეგად. „ბერს არ ახსოვდა ღვთის გაფრთხილება . . . ფრთხოლად იყავი, რომ ცისკენ ახვევისას და მზისა და მთვარისა და ვარსკვლავების, ცისული მხედრობის დანახვისას იქ შეცდე და თაყვანი არ სცე მათ“. აქედან იწყება მისი დაღმასვლა.“(8, 56) ამ ეპიზოდში ავტორის სათქმელი სრულიად სხვაა. ბერი აღტაცებული უცქერს ბუნების უმშვენიერეს სურათს:

„მზე, გადახრილი ჯერ კიდევ სრულად

მთისა გადაღმა არ დასულიყო

და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი

ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.

ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერჩხალი,

წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა

და განმსჭვალული მისით ღრუბელი

შორის ათას-უერად სხივებში ჰთროოდა.

ამა უბიწო დიადის ხილვით

წარტყვევნილ იქნა განყენებული

და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას

შესცქერდა მზესა განციფრებულია“.

ბერი უცქერს „უბიწო დიადის“: იგი მზეს კი არ სცემს თაყვანს, არამედ მისი საშუალებით, მის მაგალითზე ხედავს უფლის დიდებულებას. ბუნების მშვენიერების, პარმონიულობის მეშვეობით შეიმეცებს ადამიანი ღვთის ყოვლისშემძლებასა და სიღიადეს. „ცანი უთხოობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნელსა ხელთა მისთასა მოუთხოობს სამყარო“ – ბრძანებს დავით მეფსალმუნე (ფს 18).

ზუსტად ასეთივეა ბერის მიმართება ბუნების, თვალწარმტაცი სურათისადმი. იგი მას უცქერს „ვით ცხოველ ხატს ღვთის დიდებისას“. თავისთვად არც ერთი საგნის ცქერა არ არის ცოდვა, მთავარია, როგორია მიღეორება ამ საგნისადმი. წმ. ოოანე სინელის „სათხოებათა კიბეში“ მოაქვს ერთი ასეთი მაგალითი: ერთმა ბერმა უმშვენიერესი ქალი იხლა და გულისთქმა კი არ გაუჩნდა მის მიმართ, არამედ ადიდა შემოქმედი, რომელმაც ასეთი მშვენიერება დაბადა. ილია-საგან არ გვაქვს არც ერთი მინიშნება იმაზე, რომ ჩამავალი მზის ცქერა განდევილს ღვთის მაღლს ართმევს.

რაც შეეხება განდევილის აღსასრულის, აქაც შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი საეკლესიო მოღ-

ვაწე ბერი გაპრიელი (ურგებაძე) მიუთითებდა: „იღდია ჰავჭავაძე ერისკაცი იყო და არ ესმოდა, რომ ბერს, რომელსაც ასეთ სულიერ სიმაღლეზე აიყვანს ღმერთი, ასე ადვილად არ დასცემს. გაბრიელ ეპისკოპოსმაც (ქიქოძე) იცოდა ეს, მაგრამ არ ამხილა და არ მიუთითა მეგობრობის გამო.“ (7, 35)

იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ მადლმოსილიც შეიძლება დაუცეს, მაგრამ მის დაღუპვას უფალი არასოდეს დაუშვებს მისი უწინდელი დავაწლის გამო. ამის მაგალითები მრავლად შეიძლება მოვყენოთ მამათა ცხოვრებიდან.

წმინდა იაკობს ლეთიგვათონ ცხოვრების სანაცვლოდ უფლისა-გან სასწაულითმოქმედების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. მისი ლოცვა სწულებს კურნავდა და დავრდომილებს აღადგენდა. ერთ დღეს დი-დი განსაცდელი შეემთხვა. მას განსაკურნად ახალგაზრდა ქალიშვი-ლი მიუყვანეს, იაკობს სძლია გულისთქმა და ქალთან შესცოდა, შემდეგ კი მოკლა იგი. ბერი საშინელმა სასოწარკვეთამ მოიცა და მონაზენობის დატოვება განიზრახა, მაგრამ უფალმა არ დაუკარგა უწინდელი დავაწლი და ერთი ღვთისმსახურის პირით ამხილა იგი. იაკობი გონს მოეგო და დიდ სინაზულში ჩავარდა. ოცი წლის გან-მავლობაში ის უმკაცრეს მოღვაწეობას ეწეოდა განმარტობული. ბერს დაუბრუქდა ღვთაებრივი ნიჭი და მხოლოდ მისმა ლოცვამ შეძ-ლო საშინელი გვალვის ჟამს წვიმის მოვყანა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

განდევილი შეიძლება დაცუმულიყო, მაგრამ მისი საბოლოო წარწყმედა შეუძლებელი იქნებოდა. მითუმეტეს ბერმა გააცნობიერა თავისი უღირსი საქციელი. მისი დაცემაც არ არის დიდი. იგი მხო-ლოდ გულში გაივლებს ქალის კოცნის სურვილს და დროულად მო-ახერხებს თავის დამორჩილებას. ზორციელ დაცემასა და გულის-თქმას შორის კი ნამდვილად არის დიდი განსხვავება.

ამრიგად, პაგიოგრაფიულ ნაწარმობებსა და პატერიკებში შეუძლებელია შეგვწვდეს მსგავსი დრამა ბერის დეცემტისა, ამდენად გამორიცხულია განდევილის ტრაგედიის სწორი საღვთისმეტყველო ანალიზი. რაც შეეხება პოემის მხატვრულ ღირებულებას, იგი უდა-ვოდ დიდია და „განდევილს“ სამართლანად მიიჩნევთ იღიას პოე-ტური მემკვიდრეობის გვირგვინად.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ახალი აღთქუმაი, თბილისი, 2003
2. ბაქრაძე აკაკი, ილია და აკაკი, თბილისი, 1992
3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა XX ტომად, ტ. I, თბილისი, 1987
4. ლირისი ოანე სინელი, კლემაქსი ანუ კიბე, თბილისი, 2000
5. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), საუბრები მართლმადიდებლობაზე, II, თბილისი, 1994
6. მამათა სწავლანი სულიერი ცხოვრების შესახებ, თბილისი, 2005
7. შვენიერაძე დალი, ბერის დადემა, თბილისი, 2006
8. ნინიძე მარიამ, დაცარიელებული ბეთლემი, თბილისი, 2000
9. ქურნალი „კარიბჭე“ 7, 2005
10. ქურნალი „კარიბჭე“ 28, 2007

**Levan beburishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

III year Student

**“ He looked like a martyr saint...” (About the Ilia’s “Ascet”)**

### **Summary**

“ The Hermit” is the one of the most popular poems of Ilia Chavchavadze. It was written in 1883 year. After publishing the poem several critical reviews were stamped about “The Hermit.” Critics had different opinions about the main hero of the poem. The aim of this work is to analyse the spiritual condition of the monk, his behaviour and religiosity.

## ანა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

### წმინდა ნინოს სახე მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა აგრძელებს ძველი ქართული მწერლობის ხაზს. მისი თემატიკა თუმცა მრავალფეროვანია, მაგრამ მსოფლმშედველობა ერთინიშვნელოვნად ქრისტიენული. სხვადასხვა ქრისტიანულ თემასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში ასახვა პპოვა წმინდა ნინოს თემამაც. ყველაზე განსხვავებულ თვალოთახედვას, ვფიქრობთ, ვახტანგ ორბელიანი გვაძლევს.

ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში ყველაზე მეტად გვხვდება ქრისტიანული თემატიკა და მოტივები, ვიღრე სხვა რომელიმე ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებაში. ქრისტიანულ მოტივებზე შექმნილი ტაძიური რელიგიური ლირიკის ნიმუშია ლექსი „ჯვარი ვაზისა“. ლექსის თემაა წმინდა ნინოს შემოსვლა და ქრისტიანობის გარცელება ქართლში; მოტივი კი რწმენაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ყველაფერს ძლევს. თითქოს მოტივი, თემატიკა და ლექსის შინაარსი წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს ერთმანეთთან, მაგრამ წაკითხვის შემდეგ გაურკვლობის გრძნობა გებადება. საქმე ის არის, რომ ვახტანგ ორბელიანის „ჯვარი ვაზისა“ მიხედვით წმინდა ნინო ზღვით შემოძის საქართველოში. ამ ფაქტს ნინოს ცხოვრების ოთხი რედაქციიდან (შატბერდულ-ჭელიშური(IXს.), ლეონტი მროველის(XIს.), არსენ ბერის(XIIIს.) და უცნობი ავტორის (XIIIს.)) არცერთი არ ადასტურებს, არც სხვა რამ ისტორიული წყაროები მოგვეპოვება. მაშინ რაშია საქმე? ნუთუ ვახტანგ ორბელიანმა, სამეურ ოჯახში აღზრდილმა კაცმა, არ იცოდა საქართველოში ნინოს შემოსვლის გზა?! არ იცოდა საქართველოს ისტორია, თუ სხვა რამ ისტორიული ცნობები მოეპოვებოდა? ჩვენი აზრით, არც ერთი და არც მეორე. არანაირი ისტორიული ცნობები სხვა გზის შესახებ არ არსებობს და თუ ამდაგარი რამ გააჩნდა ვახტანგ ორბელიანს, ეს ინფორმაცია დიდი ხნის წით განვითარდა ცნობილი; თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჯვარი ვაზისა“ მხატვრული

ნაწარმოებია, მწერალს კი უფლება აქვს გადააქეთოს სინამდვილე, თუ ეს მის მხატვრულ ამოცანებს ესაჭიროება. მაშ, რა მხატვრული ამოცანები იდგა ვახტანგ ორბელიანის წინაშე, რამ აიძულა პოეტი, სხვაგვარად წარმოედგინა წმინდა ნინოს შემოსვლის გზა საქართველოში?! ამისათვის გადავხედოთ ლექსის შინაარსეს. პირველ თავში აღწერილია აბობექრუბული ზღვა და მასზე უშიშრად შერბოლავი ნავი, რომელიც ღვთის ძალით მოქრის კოლხიდის ნაპირებისკენ:

„ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰქერავს,  
ზღვა ჰქებს და შფოთავს, ზღვა ღუღს და ღელაგს;  
ზვირთებს ზვირთებზე შავი ზღვა ისვრის,  
განრისხებული ღრალებს, ყვირის...  
მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!  
მორბის უშიშრად, მორბის ღვთის ძალით“ (1, 278, „ჯვარი რი ვაზისა“).

მეორე თავში ავტორი ახასიათებს წმინდა ასულს, რომელსაც ღვთის ძალით დათრგუნული აქვს შიში და ვაზის ჯვრით ხელში ღვთისმშობლის წილებული ქვეყნისკენ მოისწრაფვის:

„მიდის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,  
არ ეშინია სიმშილისა, არც უგზო გზისა...“ (1, 279).

მესამე მეორე თავებში მოთხრობილია ნინოს მიერ კერპბის დამხობისა და ქართლის გაქრისტიანების ამბავი. მეხუთე თავში კი ისმის რომანტიკული ჩივილი წარსული დიდების დამხობისა და გავრანების გამო, მაგრამ ჩანს იმდიც, რომ ყველაფერი არ მოსპობოლა. გადარჩა ვაზის ჯვარი, რომლის მადლიც „ჩვენს სამშობლოზეც, ჩვენს ერზედ არის!“ ისევე, როგორც ძეველ ქართულ მწერლობაში, ვახტანგ ორბელიანიც ქვეყნის ხსნის გზას სარწმუნოებრივ თვითშემეცნებაში ხედავს.

ლექსის ბოლოს ვხედავთ კიდევაც ავტორის დამოკიდებულებას ფაქტებისადმი. საქართველოს დიდება, როგორც თითქმის ყველაფერი, დროის მსხვერპლია და ჩვენს გულებში მხოლოდ დარდს ტოვებს, რომ იყო და აღარ არის:

„დიდი პალატნი, დიდი ტაძარი  
სადღა არია? აღარ არიან...“ (იქვე).

ვახტანგ ორბელიანი გვეუბნება, რომ სხვა ქვეყნიდან მოსული სტუმარი ამ ნანგრევებში ეძებს ჩვენს ისტორიას, მაგრამ ვერაფერს პოულობს, რადგან ქვებზეც კი წაშლილია უკვე ყველაფრის კვალი და პოეტი სვაგს კითხვას – ნუთუ ვერაფერი საუნჯე ვერ გადაურჩა მტრის ულმობელ ხელს? საძენიეროდ გადაურჩა, გადაურჩა ის, რისი წყალობითაც და იმედითაც აქმდე მოაღწია ქართველმა ერმა.

გადარჩა ღმერთის წყალობით, რადგან უფალმა ქართველი ერი გა-  
მოარჩია და უბოძა ხელშეუხებელი საჩუქარი – ჯვარი ვაზისა,  
რომლის ძალა საქართველოზე და ივერიის ძეზე ვრცელდება. ღვთის  
ძალას კი ყველაზე დიდი შეძლება აქვს:

„ჯვარი ვაზისა!... მაღლი იმ ჯვარის

ჩვენს სამშობლოზე, ჩვენს ერზედ არის!“ (1, 281).

დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას: რა მხატ-  
ვრული ამოცანები იდგა მწერლის წინაშე? ქრისტიანი ავტორი ყო-  
ველთვის ცდილობს, წარმოაჩინოს ის სიძნელები, რომელიც მის  
გმირს ატყებება ამ ცხოვრებაში, ის კი რწმენით არ ეპუება მათ. ამ-  
ქეყნიურობის სიმბოლო სახარებისადა მიხედვით ზღვაა, რომელსაც  
რწმენით უნდა სძლიო. ნავში მჯდომ იქსოს ჩაეძინა. ზღვაზე კი დი-  
დი ღელვა დაიწყო, ნავი ტალღებით იყარებოდა. მას კი ეძნა. მო-  
წაფებმა გააღვიძეს და უთხრეს: უფალო, ვიღუპებითო. მან კი უთ-  
ხრა მათ::, რამ შეგაშინათ, მცირედ მორწმუნენო? შეძლევ წამოდგა,  
შერისხა ქარგი და ზღვა და ჩამოდგა დიდი სიწყნარე” (მათე  
8;26). აგტორის მიერ წმინდა ნინოს გზის ამდაგვარად დახატვის  
მიზეზი პირველ რიგში ქრისტიანული მოტივისა და ქრისტიანული  
სიმბოლიკის ანალოგიური გადმოღება უნდა იყოს. ამგვარი ანალიგი-  
ებისა (ძირითადად ქრისტეს ცხოვრებიდან) და ფაქტებისადმი ნაკ-  
ლები მნიშვნელობის მინიჭება დამახასიათებელია ქრისტიანი ავტო-  
რისთვის, რომლის მიზანი გმირის სულიერი ამაღლების ჩვენებაა და  
არა ფაქტის. გახტანგ ორბელიანშა, შესაძლოა, შეგნებულად მიმარ-  
თა ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ამ მხატ-  
ვრულ-ესთეტიკურ პრინციპს.

მეორე მიზეზი, ჩვენი აზრით, ისტორიული უნდა იყოს.  
საქართველოში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში გავრცელდა ქრის-  
ტიანობა ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატა-  
თას მიერ. ისინი კი სწორედ კოლხეთიდან შემოვიდნენ საქართვე-  
ლოში. ქართველ მოღვაწეთა შორის კამათიც კი იყო, ვინ მიეწიათ  
განმანათლებლად. ნინოს მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოზე არ  
გავრცელებულა. არადა, ამ დროს ეგრისში უკვე ქრისტიანობაა. 325წელს ნიკეაში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებას ბიჭვინ-  
თის ეპისკოპოსიც ესწრებოდა. ქართველი მოღვაწენი შეეცადნენ ამ  
ორი მოვლენის გარკვეულ შეჯერებას. ეფრემ მცირემ საქართველოს  
განმანათლებლად ორივე აღაარა და განმარტა მეორედ ქადაგების  
აუცილებლობა. ვგონებთ, ნაწილობრივ გეოგრაფიული თვალთახედ-  
ვით შეჯერების მცდელობასთან უნდა გაქონდეს საქმე გახტანგ ორ-

ბელიანის ლექსშიც „ჯვარი ვაზისა“, ნაწილობრივ კი ლიტერატურული პრინციპების გადმოღებასთან.

წმინდანთა სახეებით განსაკუთრებით მდიდარია ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი წმინდა ნინოს სახეს უჭირავს. წმინდანთა მნიშვნელობას მართლმორწმუნე ერისთვის ილია ჭავჭავაძე ორ სხვადასხვა ასპექტში გნიხილავს – მათი ლოცვით შემწეობისა და პირადი მაგალითის კუთხით. მისი აზრით, „ამ უძველესთა და უდიდესთა მოქმედთა მეობებითა და ღვაწლით ცეცხლობთ დღესა და ვსულდებულობთ“ და ერთ მათში „პპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლებლობას, თავის სატსა და მაგალითს.“

მწერალი ამ ადამიანებს ერის ვინაობის საძირკვლად მიიჩნევს და მათი სოფელის გარეშე ერის არსებობა, წინსვლა და შეობის შენარჩუნება წარმოუდგენლად მიაჩნია.

ილია საყურადღებო წერილებს უძღვნის ქართველთა სულიერ მშობელს, ჩვენში ქრისტიანობის გამავრცელებელს წმინდა ნინოს, მოგვითხრობს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას, უკრძალება ვაზუშტის, ბროსესა და საბინინის გამოცემებს. წმინდა ნინოს თემა მის პუბლიცისტიკაში აისახება და არა მხატვრულ შემოქმედებაში.

წმინდა ნინოს თემა შემოღის აკაკი წერეთლის პოეზიაშიც. ქრისტიანულ სამებას აკაკი ხშირად სამი წმინდანის – ნინოს, თამარისა და ქეთევანის ერთობით გამოხატავს და უწოდებს მას „სამთა მთიებს“. ამ ერთობაში ნინო განასახიერებს რწმენის დაბადებასა და მშობლობას; თამარი ერთდროულად – ამქვეწიური რწმენის სიძლიერესა და ზეცის შვილობას; ქეთევანი – რწმენისათვის თავდადებასა და სულიერებას:

„თმარს, ქეთევანს და ნინოს  
თაყვანს-ვსცემ, როგორც იდეალს,  
საკერთხად ვუდგამ წმინდა გულს  
და ვუკმევ ტრუთიალების ალს!  
დიდება ერთის მზეობას!  
მეორის მოთმინებას!  
მესამის სარწმუნოებას...  
და მათსა მოვლინებასა..“

ერთს არსებაში სამიგეს  
გხედავ აქ მოთავსებულად!..  
თაყვანს-ვსცემ, როგორც ღვთაებას  
და თავს ვვრმნობ გაახლებულად“ (3,439, „ჩემი ლოცვა“).

იგივე აზრია გამოთქმული აკაკის „ქებათა-ქებაშიც“, სა-დაც ღვთიური ჭეშმარიტება ნინოს, თამარისა და ქეთევანის ერთო-ბითაა გააზრებული:

„ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი  
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება...  
სიყვარული რომ ტახტად უდგია,  
ეგვირგვინება პატიოსნება!..  
როცა ჭაბუკი გამოუცდელი  
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,  
ვხდავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,  
იმაში შენათხ-შეერთებულად“ (3, 247, „ქებათა-ქება“).

წმინდა ნინოს თემა თვით „წარმართად მაჩნეული“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც იჭრება, რაც მწერლის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე მიგანიშნებს. იქსო ქრისტესა და მისი მოძღვრების ჭეშმარიტებას სცნობს პოეტი წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ სიტყვებში:

„ცანით იქსო ქრისტესი,  
ჭეშმარიტის ღვთის ძეობა  
და ქრისტეს სწავლა-მოძღვრების  
სიღიღე, მძლეთა-მძლეობა.  
ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,  
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.  
იგურთხოს მისი სახელი,  
იგურთხოს ნინოს მხნეობა“ („წმინდა ნინო“ გ. II, 265).

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახალი ქართული ისტორია, ქრესტომათია, I, თსუ, 1979.
2. ვაჟა-ფშაველა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ტ. II, 1964.
3. აკაკი წერეთელი, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988 წ.

**Ana Dolidze**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
III Year Student

## **The Image of Saint Nino in the 19<sup>th</sup>-Century Georgian Literature**

Summary

The Georgian literature of the 19<sup>th</sup> century continues the line of the old Georgian literature. Although its themes are varied, the world view is unequivocally Christian. Along with different Christian themes, the theme of Saint Nino also found reflection in the 19<sup>th</sup>-century Georgian literature. In my opinion, the most different point of view is found in the work of Vakhtang Orbeliani. In his poem *Jvari Vazisa* (“the Cross of Vine”) St. Nino arrives in Georgia by sea. Such an interpretation, not confirmed by historical sources, must be explained by two reasons. The first one must be the analogous introducing of the Christian motif and the Christian symbolism. Giving less importance to similar analogies (mostly from Christ’s life) and facts is typical of a Christian author whose aim is to demonstrate the spiritual transformation of the character, rather than the fact. Vakhtang Orbeliani might have consciously resorted to this artistic-aesthetic principle typical of Christian literature. Another reason may be a historical-geographical one, aiming to combine the history of the conversion to Christianity of Georgia by two enlighteners – the conversion of Western Georgia by St. Andrew the First-Called and that of Eastern Georgia by St. Nino. In the second half of the 19<sup>th</sup> century the theme of St.Nino occurs in the work of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela as well.

**ქეთვევან აფთარაშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

**“აბდულმესიანი”  
(ქების ობიექტი და ავტორობის საკითხი)**

კლასიკური ხანის ხოტბითი ჟანრის ერთ-ერთი ნაწარმოებია “აბდულმესიანი”. უძველესი წერილობითი ცნობა “აბდულმესიანისა” და მისი ვატორობის შესახებ შემოგვინახა “ვეფხისტყაოსანის” ბიბლიოგრაფიულმა სტროფმა:

“ამირან დარევანის ძე მოსეს უქია ხონელსა,  
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,  
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრობელსა,  
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელ-  
სა” ...

ამ ცნობის მიხედვით, რომელიც ტექლ ტრადიციას ეყრდნობა, შავთელს დაუწერია თხზულება, სადაც აბდულმესია უნდა ყოფილიყო შექმაბული. ვინაა აბდულმესია? ვინ არის ამ თხზულების ავტორი? ეს ის საკითხებია, რომელზეც პასუხის გაცემას, საუკუნეებზე მეტია, ცდილობენ მკვლევარნი.

თხზულების კვლევასა და ძიებას საინტერესო ისტორია აქვს. პირველად მის საკითხებს სწავლული ბატონიშვილები შეეხენ. ივანე ბატონიშვილი “კალასობაში” შავთელს მიიჩნევდა თამარის დროის მგოსნად, რომელსაც უნდა დაეწერა თამარის შესხმა იამბიკოდ. ის ამ იამბიკის დაკარგულად თვლიდა.

თემურაზ ბატონიშვილი აბდულმესია შავთელს მიაწერს ორ ლი-  
რიკულ პოემას – “აბდულმესიანისა” და თამარის ქებას, რომელთაგან პირველს დაკარგულად თვლიდა. ეს მკვლევარნი ეყრდნობოდნენ “ვეფ-  
ხისტყაოსნის” ბიბლიოგრაფიულ სტროფს, თამარის ისტორიკოსის ცნობას თამარ მეფის დროის ლექსთა გამომთქმელ იოანე შავთელ-  
ზე და ხელნაწერებს, რომელთაც დაუცავთ შავთელის გალექსილი თამარის ქება. აღსანიშნავია, რომ მკვლევარებს დღესაც იგივე მასალა აქვთ ხელთ. კვლევას ართულებს ის, რომ თამარის ქება გვიანდელი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული. ჩვენ ხელთ სულ თვრამეტი ხელნაწერია, რომელთაგან ორი მეორამეტე საუკუნისაა, დანარჩენი

— მეცხრამეტის. მეთვრამეტე საუკუნის ორივე ხელნაწერის მიხედვით, ქების ობიექტი არჩილ მეორეა, ავტორი—იაკობ დუმბაძე. ცნობილია, რომ დავითისა და თამარის სახელები შეუცვლია არჩილის სახელით და გადაკეთებული ქების ავტორად თავისი თავი გამოუცხადებია, თუმცა ერთ-ორ ადგილას არჩილის ნაცვლად თამარისა და დავითის სახელებიც ჩანს. ქების რესტავრაცია, საფიქრუებელია, XVIII—XIX ს-ში მოხდა. XIX ს-ის ხელნაწერში უკვე შეცვლილია ქების სახელწოდება და ამის მიხედვით, ქების ობიექტის სახელიც.

და მაიც, ვინ არის აბდულმესია? ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს სხვადასხვა აზრი აქვთ გამოოქმედი. ერთნი აბდულმესიას თვლიან ავტორის, შავთელის სახელად (პ. იოსელიანი, დ. ჩუბინიშვილი) (1: 233). დავით რექტორის ხელნაწერში ვკითხულობთ: “დიდის თამარ მეფის, გიორგი მეფის ასულის, დავითნ-პრკრატოვანისა შესხმა, აბდულმესია შავთელისგან თქმული. ამან მოართვა გელათიდამ მეფესა თამარსა, რომელი იყო მდივანი მეფის თამარის და შემდგომად იქნა მონაზონ და უწოდეს სახელად იოანე”... როგორც ვხედათ, აქ იოანე შავთელი და აბდულმესია გაიგივებულია და საბუთიც მარტივია: ერთი სახელი ერობისაა, ხოლო მეორებერობისა. დღეს უკვე ერთხმადაა აღიარებული, რომ აბდულმესია არაა შავთელის სახელი. ეს მოსაზრება მომდინარეობდა ბიბლიოგრაფიული სტროფის არა სწორი გაეცემდან.

3. ინგოროვა თვლის, რომ შავთელის სახელი დავითი. ეს სახელი გამო ყავს ხოტბის თავისებური წაკითხვიდან. სახელდღირდი: “მწარეს აქ ებანი დავითის, დავითვჯდე მუსიკობად”. რაც ასე უნდა წავიკითხოთ: “მწარეს აქ ებანი, და ვთ ის დავით, ვსჯდე მუსიკობად”(1: 241).

ამრიგად, შავთელის სახელი არც აბდულმესიაა, არც დავითი. “აბდულმესიანის” ავტორი იოანე შავთელია, თამარის დროის. მის შესახებ ცნობას თეომურაზ ბატონიშვილი გვაწვდის.

მაშ, ვინაა აბდულმესია? 6. მარა 1902 წელს წამოაყენა მოსაზრება, რომ ხოტბა მიძღვნილია დავით აღმაშენებელისადმი და შესაბამისად, აბდულმესიად წოდებულია დავით აღმაშენებელი. არაბული “აბდულმესიპ” ქრისტეს მესას, მონას ნიშავს. ეს სიტყვები მისი აზრით, შეშვენის დავითს, რომელიც იყო ერთგული მონა-მოსამსახურე ქრისტესი, მისი მცნების აღმსარებელი, ძლევამოსილი მხედარი მესისა. ეს თავისებურებანი კი ხომ შეიძლება მიეკუთვნოს სხვა ქართველ მეფეებსაც? ყველას რომ თავი დაკანებოთ, აქ შეიძლება თამარიც ვიგულისხმოთ, რადგანაც მის ფულზე ამოჭრილი იყო: “ თამარი შემდეგი მესისა”. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ ყოფილა 6. მარის არგუმენტი. მას საბუთად მოჰყავს სომხური წყაროები, რომელშიც

იოანე დაკონი დავითს მიმართვას სიტყვებით: მონა ქრისტესი. აქ სწორად შენიშნავს კ. კეკელიძე, რომ თუ სომეხი დიაკონი დავით მეფეს “ქრისტეს მონას” უწოდებს, ეს არ ნიშნავს, ქართველებმაც ისტორიულად დაუმკიდრეს მას ეს სახელი, როგორც ეპითეტი. უფრო გასაგებია იქნებოდა, თუ შერჩებოდა სახელი “ჰუსამულ-მესიპ”, ხმალი ქრისტესი, რომელიც მის ფულზე იყო ამოჭრილი.

კ. კეკელიძის აზრით, აბდულმესია არის არა სიმბოლურ-აღმეგორიული, არამედ საკუთარი სახელი აღმოსავლეთის ეკლესიისა. აბდულმესი ან აბდულმესის “ცხოვრება” შენახულია ასურულ, სომხურსა და არაულ ენებზე. ეს “ცხოვრება” ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი და შენახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ XII–XIII ს-ების ხელნაწერში. კ. კეკელიძე სვამს კითხვას: ხომ არ აქვს რაიმე კავშირი ამ აზნიშნულ “ცხოვრებას” შავთელის თხზულებასთან? ხომ არ გალექსა ეს ცხოვრება ისე, როგორც აღორძინების ხანაში სჩადიოდნენ (1: 234) თუ თეიმურაზ ბატონიშვილის ცონას დაგეყრდნობით, “აბდულმესია” იოანე შავთელისა დაკარგულია. აი, რას ამბობს ის: “ამისნი გვქონან ლექსნი შესხმანი საქებარნი თამარ მეფისანი, ხოლო გაუკეთებიეს ამას სტიხად წიგნი, აბდულმესია სახელდების წიგნსა მას”. ბროსესადმი მიწერილ წერილში კი ამბობს: “შავთელს დაუწერია ლექსად საკვირველის შეთხვით მოთხრობა აბდულმესიანი ვისმე, და ასე იტყვათ ჩვენში მოთხრობელნი, რომ იმისთანა ლექსები არასოდეს ქართულს ენაზედ არ დაწერილიყოს... ჩვენ უბადრუეთ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შავთელისა, აბდულ-მესიას წიგნი, დავპჰარგეთ”. ეს წიგნი ვერ უპოვათ და სხვა ლექსები კი არის შავთელისაგან შეთხული, – თამარ მეფის ქება – და რომელნიმე სხვანი დიახ ურჩელესნი”. ამ სიხტყვებიდან გამოგვაქს: “აბდულმესია” სხვა თხზულებაა, რომელიც დაკარგულია და “თამარის ქება” კი სხვა. ყურადღების მისაქცევად ისიც, რომ შავთელმა შეთხხა სხვა ლექსებიც “თამარ მეფის ქების” გარდა. ისინი ჩვენამდე შემონახულიაო. აქედნ შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: თამარიოს ქება და “რომელნიმე სხვანი დიახ ურჩეულესნი” ლექსები ერთ წიგნში, კრებულში გააერთიანეს და უწოდეს აბდულმესიანი” ე.ი შესაბამისად, მას არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა თხზულების ქების ობიექტთან ან ობიექტებთან, თუმცა არა მგონია, ასე სელოვნურად შეერქმიათ ეს სახელი, აუცილებლად ექნებოდათ მიზეზი. პირველი შესაძლებლობა არის ის, რომ “აბდულმესიანი” შავთელის დაკარგული წიგნის ანალოგით შეარქევს, მისი ნაშრომის სახელის უკვდავსაყოფად (მაგრამ ამ შემთხვევაში, “აბდულმესია”-ს უწოდებდნენ და არა “აბდულმესიანს”), მეორე კი ისაა, რომ

როგორც ზემოთ ვახსენეთ, აბდულ მესიქ ქრისტეს მონას, მესიას ნიშნავს და იგი შეიძლება მეომეაროვბოდეს ნებისმიერ მეფეს. ამ შემთხვევაში ისინი იყვნენ თამარი და დავით აღმაშენებელი (გამორიცხული არაა არც დავით სოსლანი, რადგან ისიც იყო თამართან ერთად ქვეყნის თანამართველი). ასე, რომ ქრისტეს მონება შეგვიძლია ვაწილოთ თამარს, დავით აღმაშენებლებსა და დავით სოსლანს, რა გაძლევს იმის საბუთს, რომ ეს პირები გამოვაცხადოთ “აბდულმესიანის” ქების ობიექტებად (და არა მხოლოდ დავით აღმაშენებელი, როგორც ნ. მარი თვლილა)?

განვიხილოთ სამი თხზულების სახელი: “ამირანდარეჯანიანი”, “თამარიანი”, “აბდულმესიანი”. “ამირანდარეჯანიანის” შემთხვევაში სახელწოდებაში გამოიყოფა “-იანი” სუფიქსი და, რა თქმა უნდა, ეს ვინმესაგან წარმოისვლობის აღმნიშვნელია. შემდეგ ამ “-იანი” სუფიქსი მიიღო კუთვნილების აღმნიშვნელი ფუნქცია, რაც “თამარ-იანი”-ში აისახა. რაც შეეხება “აბდულმესიანი”-ს, აქ ჩვენი მხრიდან “-იანი” სუფიქსის გამოყოფა შეცდომა იქნებოდა. რადგან საკუთარი სახელი არის აბდულმესია, მას ემატება მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი “ნ” სუფიქსი. შესაბამისად, “აბდულმესი-ნ-ი” ითარგმნება ასე: ქრისტეს მონები, მესიები, ე.ი ქების ობიექტი ერთზე მეტი პირია.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აღნაშენული თხზულების სათაურად “აბდულმესიანის” შერჩევის მიზეზი იყო: 1) შავთელის დაკარგული წიგნის “აბდულმესიას” ანალოგია; 2) მოხდა ამ ტერმინის სემანტიკური გადაზრუბაც. სათაურით ზუსტად აისახა ის, ვისზე უნდა ყოფილიყო თხზულებაში საუბარი. ესენი არიან ქრისტეს მონები.

გ. კეკელიძეც, ნ.მარისაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ ქების ობიექტი არის ორი პირი. მისი არგუმენტებია: 1) ქების საგანს ავტორი თქვენობით მიმართაც (თუმცა არის შემთხვევა, როცა ის მხოლობითში გვჩვდება, რადგან ზმა მხოლობით რიცხვში შეეთანხმება); 2) ქების საგანი სიცოცხლეშივეა გაღმერთებული. დავით აღმაშენებლის კულტი კი მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა; 3) ერთი სტროფიდან ჩანს, რომ გელათი უკვე მიჩნეულია მეფეთა საკრძალავად, რაც აღმაშენებელის დროს ვერ იქნებოდა (ტაძარი არ იყო დამთავრებული); 4) ხოტის გმირი იმორჩილებს ლიმონას, ხარცს ადგბს და თან ახლავს დროშა “დავითიანი”, ყოველივე ეს აღმაშენებლის ეპოქაში ანაქრონიზმია (1: 237-238.).

ქების ერთი ობიექტი რომ ნამდვილად ქალია და თანაც თამარი, ამის საბუთიც მოყავს კეკელიძეს: 1) პოეტი ხმარობს ისეთ ეპითეტებს, რომ შეუძლებელია კაცს მიემართებოდეს და ეპითეტები “სიწმინდე” და “უხრწნელობა” მხოლოდ თამარს შემვენის. 2) პოე-

ტი საბრობს იდუმალ, ქველ საქმეებზე, რა თქმა უნდა, თამარის განსაკუთრებული თვისება იგულისხმება აქ. 3) ამ სიტყვებიდან “არიან მხეცნი მისთვის შევრდიმით” ჩანს, რომ თამარია ქების ობიექტი. აქ ნაგულსიხმებია თამარ მეფის მიერ აღზრდილი ლომი, რომელიც მას სარგანიდან მოუყვნეს. (1: 238)

რაც შეეხება ქების მორო ობიექტს, პ. პეპლიძე მას დავთ აღმაშენებელს მიიჩნევს. არგუმენტები: 1) ზოტბის მეფე არის “ცხებული”, “გვირგვინოსან-სკიპტრა-მპყრობელი, ქვეყნის მპყრობელი, თვითმპყრობელი”. 2) ხოტბაში გულისხმობს იქინი მეფეს, დავით სოსლანი კი წოდებულია ეფრემიანად (1: 239)

ამრიგად, პ. პეპლიძე ასკვნის, რომ ქების ობიექტები არიან დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე. იმ პერიოდისათვის, ასეთი ძლიერი სახელმწიფო შექმნა არა მარტო თამარმ, არმედ დავით მეფემაც. “დავით არის ალფა მოშებიძლელი საქართველოსი, ხოლო თამარი-ომეგა”-ო, — ამბობს ის.

პ. კეპლიძე აღნიშნავს, რომ ზოგ სტროფში თამარია განდიდნებული, ზოგში დავითი და ზოგში — ორივე ერთადო. აქედან გამოდინარე, იმის გარკვევაც ვერ ზერხდება, რომელ გმირს ეხება ესა თუ ის სტროფი (1: 240).

მაშ, რატომ თვლისკ. კეპლიძე, რომ ეპითეტები “ცხებული, გვირგვინოსანი, პორფიროსან-სკიპტრა-მპყრობელი” აუცილებლად დავითს მიეკუთვნება და არა თამარს? ვერც იმ სტროფს მივჩმალავთ, რომელშიც ავტორი გმირს უქებს მუკლებრივ სიყვარულს:

“გვრიტა მართისა თვარ აქვს მართ ვისა

თქენებრ სურვილსა მეუღლებობისა?”

ელ. მეტრეველის აზრით, აქ ერთი თუ თამარი, მეორე დავით სოსლანი უნდა იყოსო. აქ ორი სამეფო პერსონაა შექებული, რომელთაც მეუღლებრივი სიყვარული აცავშირგბთო (ელ. მეტრეველის აზროთ, ქების იბიექტი თამარი და დავით სოსლანია) (2: 94).

ასევე დავით სოსლანი უნდა ვიგულისხმოთ ზოგიერთ იმ სტრიქნში, სადაც “ლომია” დასახელებული. დავით სოსლანს ხშირად “ლომი” ეწოდება (მაგ: “ვეჯხისტყაოსანში”: ვის შვენის-ლომსა—ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა”...).

როგორც ვხედავთ, სავსებით შესაძლებელია დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის გარდა, ქების ობიექტი დავით სოსლანიც იყოს. სოსლანისა და აღმაშენებელის ქების ობიექტი გამოცხადებისათვის ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტები, რომლებსაც ვერ უარვყოფთ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კეკელიძე პ, მველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II თბ., 1981.
2. ქართული ლიტერატურეს ისტორია, II თბ., 1966..
3. შანიძე ა, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1953.

**Ketevan Aptarashvili**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
III Year Student

### **“Abdulmesiani”**

### **(The Object of apology and the question of authorship)**

One of the works of praise genre of classical period is “abdulmesiani”. The researches attempts to give answers to the following question for many centuries: 1. who is abdulmesiani? 2. who is the author of this work?

P. Ioseliani, D. Chubinishvili, David Rector regard that abdulmesia is the secular name of Shavteli. In P. Ingorkva’s opinion, Shavtheli’s name is David and he derives it from reading of certain place of the Praise. According to data of Teimuraz Batonishvili (Prince Teimuraz) the author is Ioane Shavteli.

N. Mar regards that David the Builder was called Bdulmesia (the Slave of Christ) and respectively, names him as subjectof praise.

K. Kekelidze reguards that Abdulmesia is he proper name. IoaneShavteli ho has written the “Life” of abdulmesia in a from the poem, lost according to information of Teimuraz Batonishvili, thought there are maintained “praise of Tamar” and “Some other Cosen”.

in our opinion, it is possible to include the oems maintained up to present in one collection whit the name “Abdulmesiani”, not only based on similiarity with the title of the lost book but also based on semantic reconsideration. In the title “Abdulmesiani”- the Christ’s slaves –showed who should be the subjects of praise.These are Christ’s slaves: King Tamar, David the Builder, David Soslan and not only single slave of Christs – David the Builder (as assumed by N. Mar) as “Abdulmesiani” is translated as the Slaves of Christ (plural) and not the Slave of Christ (singular).

## სალომე წულუკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

### “გეფხისტფაონინისა” და პაგიოგრაფიის იდეალები (ერთი ასპექტი)

“იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც  
თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი”  
(მათე 5.48)

ადამიანი ერთადერთია, რომელიც უფალმა თავის “სახედ და ხატად” შექმნა, სწორედ ამიტომ ადამიანის მთავარი ფუნქცია, მთავარი მოწოდება უფალთან, ჩვენს ზეციერ მამასთან მიმსგავსება, მასთან მახლოებაა, ეი ცდა, გავხდეთ სრულყოფილნი, მსგავსად უფლისა. ჩვენი ცხოვრება ძიებაა, სწრაფვაა იდეალისაკენ. ეს სწრაფვა კი პიროვნების სრულქმნილების საფუძველია და თუკი ჩვენ არ ვეცდებით გავხდეთ სრულყოფილნი, არ შევეცდებით მიგემსგავსოთ უფალს, დაგეარგავთ იმ მთავარ იდეას, როსთვისაც დავიძადეთ.

სწრაფვა სრულყოფილებისაკენ დიდ ნებისყოფას, სულიერ სიმტკიცეს, შეურყეველ რწმნას და პირველ რიგში, უფლის სკუფარულს მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას გულისხმობს სრულყოფილება, რა კრიტერიუმებით განისაზღვრება იგი და სინამდვილეში როგორი უნდა იყოს იდეალური ადამიანი. თუკი ამ საკითხს დაუუფიქრდებით, გაგვიჭირდება გამოყენებით იდეალური, სრულყოფილი ადამიანისათვის დამახასიათებელი ოვისებები, ეს კი ჩვენს ადამიანურ ბუნებას უნდა დავაბრალოთ. ჩვენ, მიწიერნი, რომლებიც მიწიერი ცხოვრების ჭაპანს ვეწვით, თუკი საკუთარ თავს საღი თვალით შევხედავთ და რეალურად შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ცხოვრების სირთულით დალლილნი, სიმარტივისაკენ ვისწრაფვით და სწორედ ამიტომა, რომ უმეტესი ჩვენვანი იდეალს გარშემოყოფებში ვეძებთ, შორს ადარ ვიხედვით (“ვინც ეძებს, ის პოულობსი” –ნათქვამია, მაგრამ ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ თურმე “სხვა” რამ გვიპოვნია სიმარტივით დაბრმავებულებს), იმას კი ვერ ვაცნობიერებთ, რომ როულია ამ ცოდვით საგსე მიწაზე იდეალურის, სრულქმნილის პოვნა, რომ მისგან აიღო მაგალითი, მაში აღმოაჩინო ის, რაც დაგეხმარება შენც

გახდე იდეალური, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ნაბიჯით მაინც მიუ-ახლოვდე სრულყოფილებას.

როცა ძეგლი ქართულ მწერლობას ვსწავლობთ და ვაფასებთ, იგეთება ადამიანთა ორი იდეალი: ისინი, ვისაც სასულიერო ცხოვრების წესი აურჩევათ და ისინი, რომლებიც საერო ცხოვრებით ცხოვრობენ. თუკი ამ ორ იდეალს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოვაჩნთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელ ნიშნებს.

“ვეფხისტყაოსნის” ავტორმა პოემაში პერსონაჟთა მეშვეობით, მრავალფეროვანი მხატვრული სახეების გამოყენებით, შექმნა სრულყოფილ ადამიანის სახე. “ვეფხისტყაოსნის” ყველა გმირი, ყველა პერსონაჟი რაღაცით გამორჩეული და იდეალურ თვისებათა მატარებელია, სწორედ ამ გამორჩეულობითა და იდეალურ თვისებათა ერთობლიობით იქრწება ჩვენს თვალწინ უნივერსალური, სრულქმილი ადამიანის სახე.

იდეალურში უნაკლო, გამორჩეული, საუკეთესო თვისებების მქონე იგულისხმება და ის (სრულყოფილება) მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარე, იდეალური ადამიანები საერთო თვისებების მქონენ გამოდიან, მუქ ერთმანეთს უდრიან. რესთაველმა კი თავის პოემაში სხვაგარად, უფრო განსხვავებულად დაგვიხსტა ადამიანს იდეალი. შეიძლება, ერთი შეხედვით მოგვეჩვნოს, რომ იდეალური გმირები (ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარევანი, თინათინი) ერთმანეთს ისე ჰგანან, რომ ფაქტიურად, ერთმანეთს განასხიერებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით, თუკი ამ პერსონაჟებს კარგად დაგაკირდებით, აშკარა გაჩდება, რომ უმრავი საერთო თვისების, ცხოვრების საერთო წესისა და მსგავსი პრობლემების მოუხედავად, ისინი მაინც სხვადასხვა ტაქები, განსხვავებული ხასიათის ადამიანები არიან. ჩემირად მსგავს სიტუაციებში ერთმანეთისაგან განსხვავებულად მოქმედებენ (მაგალითად, გავიჩსენოთ ნესტან-დარევანისა და ტარიელის პირველს შეხვედრა და შევუძროთ ავთანდილისა და თინათინის პირველს შეხვედრას, სიტუაცია ერთია, ხოლო პერსონაჟთა შედება კი განსხვავებული), ყველა თვისებითაც არ ჰგვინან ერთმანეთს. ამის გამო, უფრო მართებული იქნება, თუკი ვატყებით, რომ მათი საერთო და ზოგიერთი გამორჩეული თვისებით ქმის ავტორი ზოგად იდეალური პიროვნების სურათს.

სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს ერთმანეთისაგან მკეთრად განსხვავებული შეხედულებები აქვთ, განსხვავებული ღირებულებები გააჩნიათ, ამიტომ, შესაბამისად, მათი დამოკიდებულება და შეფასება სრულყოფილი ადამიანისა განსხვავებულია. თუკი პოემაში ერთ პერსონაჟის გამოვიყოთ, მაგალითად, ტარიელს და მას მივიჩნევთ იდეალურ პიროვნებად, ადვილი შესაძლებელია სხვა ეპოქის ადამიანმა, განსხვავებული შეხედულებების მქონემ, მასში სრულად ვერ დაინახოს

სრულყოფილება, მისთვის მოუღებელი აღმოჩნდეს ტარიელისათვის და-  
მახასითებელი თვისებები. პოემის ავტორის სიღრდე და გენია კი სწო-  
რედ იმაში ძღვომარეობს, რომ ის იდეალს გმირთა დაღებით თვისებათა  
ერთობლიობით, რამდენიმე პერსონაჟის მრავალფეროვანი წასიათებით  
ქმნის და ამ იდეალის დნახვა ყველა მკითხველისათვის ინდივიდუა-  
ლურია. სხვაგვარად რომ ვთქათ, რუსთაველი თვალწინ გვიშლის  
იდეალურ თვისებათა მრავალფეროვან პალიტრას, სადაც წებისმიერი  
ადამიანი აღმოჩენს მისთვის მისაღებ იდეალს, ამოკრებს უნივერსალუ-  
რი, სრულყოფილი პიროვნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ამ-  
გვარად, პოემის ავტორმა შეძლო გმიკლავებოდა დროსა და სივრცეს  
და შეექმნა წებისმიერი ეპოქისათვის მისაღები იდეალური, სრულყოფი-  
ლი ადამიანის სახე.

განსხვავებით “ვეჯზისტყაოსნისაგა”, სადაც პიროვნების იდეალი  
პერსონაჟთა საუკეთესო და გამორჩეულ თვისებათა ერთობლიობით იქ-  
მნება, პაგიოგრაფიაში წებისმიერ მთავარი გმირი, წებისმიერი წმინდანი  
განასხიერებს ადამიანის სრულყოფილ სახეს. მათ საერთო იდეალური  
თვისებები აქვთ, ერთნაირად მოქმედებს მსგავს რთულ სიტუაციებში  
და მათ ხასიათებს შორის განსხვავება იმდრნად მცირე და უმნიშვნე-  
ლოა, რომ შეიძლება ვერც კი შევამჩნიოთ. მათი არჩეული ცხოვრების  
გზაც ერთია.

“ვეჯზისტყაოსნში” სრულებრივი პიროვნების თვისებათა ერ-  
თობლიობას ქმნის არა მხოლოდ მთავარ გმირთა მახასიათებლები, არა-  
მედ მეორექარისხოვან პერსონაჟთა დაღებითი თვისებებიც, პაგიოგრა-  
ფიაში კი მხოლოდ მთავარი გმირი ქმნის იდეალის სახეს და მხოლოდ  
ის არის ყურადღების ცენტრში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პა-  
გიოგრაფია ქმნის ერთი სრულყოფილი ადამიანის სახეს და მასში ვერ  
გამოყოფთ მამაკაცისა და ქალის იდეალებს (რუსთაველის “ვეჯზის-  
ტყაოსნი კი ამის შესაძლებლობას იძლევა). აქ იდეალი მხოლოდ ერ-  
თია, კანონიგურია და კონკრეტული, ხოლო რუსთაველის იდეალი კი  
— ზოგადი. იგი დინამიკურია და “გათვლილია” წებისმიერ დროსა და  
გაოქაზე.

როგორც უკვე ვთქვით, პაგიოგრაფიის წებისმიერი მთავარი გმი-  
რი სრულყოფილია და მას ისეთივე გამორჩეული და იდეალური თვი-  
სებები აქვს, როგორიც სხვა წებისმიერი პაგიოგრაფიული თხზულების  
მთავარ გმირს (წმინდანს). სხვაგვარად რომ ვთქათ, პაგიოგრაფიული  
იდეალი კონკრეტული თვისებების მატარებელია, ის ყველა ეპოქის ადა-  
მიანისათვის საერთოა (მთებულებად იმისა, რომ როგორც ზემოთ ითქა,  
სხვადასხვა ეპოქის ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები გააჩინათ  
და შესაბამისად მათი იდეალებიც განსხვავებულა), წებისმიერი ადამია-

ნისათვის მისაღებია მისი თვისებები, იდეალურია მისი მახასიათებლები. ჩვენს თვალწინიშე სრულქმნილი ადგიანის სახე დგას და არ იქნება იმის საჭიროება, რომ მთავარ გმირში ჩვენთვის მისაღები იდეალური თვისებები კვებოთ, “კუთხისტყაოსანის” იდეალს კი თვითონ მკითხველი ქნის, თავისი ინდივიდუალური სასათღან გმომძინარე.

როგორც ვხვდავთ, “გეგმისსტყოსანის” და პაგიოგრაფიაში იდეალის შექმნის ხერხი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. პაგიოგრაფიის იდეალი ერთია, კონკრეტულია მისი თვისებებიც, მისი სახე სრულყოფილადაა შექმნილი და ყველასთვის საერთოა, ხოლო რუსთაველის პოემში კი ავტორი საშუალებას გვაძლევს მისი გმირების თვისებათა მრავალფეროვანი პალიტრიდან თავადე შევქმნათ ჩვენთვის მისაღები იდეალი

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ცაიშვილი, ნ. ნათაძე, რუსთაველი და მისი პოემა; თბ., 1966
2. ალ. ბარამიძე, რუსთაველი და მისი პოემა; თბ., 1966

**Salome Tsulukidze**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
III Year Student

## The ideals of “The Knight in the Tiger Skin” and hagiography (one aspect)

### Summary

The work considers human ideal, according to the “The Knight in the Tiger Skin” and hagiography, as one aspects of this problem.

In the author’s opinion in the Rustaveli’s poem the ideal is of dynamic nature and it is “intended” for any time and epoch. As for the ideal of fagiography, it is more “canonic” and specific.

## თამარ ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

### ეროვნულ - ქრისტიანული მოტივები გურამ დოჩანაშვილის მოთხოვბაში “ცალ-ცალკე და ერთად”

გურამ დოჩანაშვილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და დაფასებული მწერალია თანამედროვე საქართველოში. მისი შემოქმედებაც სხვებისგან განსხვავებული და ძალიან საინტერესოა.

ჩვენი გამოკვლევისთვის ავირჩიეთ მისი ერთ-ერთი ნაწარმოები “ცალ-ცალკე და ერთად”, რომელშიც გაცოცხლებულია ქართული ხასიათები, ქართველი კაცის ბუნება, მისი საამაყო თუ მანკირი მსარებები და გაყიცხული, ირონიულად დამცირებულია ბოროტება. ჩვენი ნაშრომის მიზანია ამ ნაწარმოებში ეროვნულ-ქრისტიანული მოტივების წარმოჩენა.

აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, ეს ორმხრივად საინტერესო საქმეა, რადგან ქრისტიანობა საუკუნეთა მანძილზე შეერწყა ქართულ ცნობიერებას. ქრისტიანული მოტივები თითქმის ემთხვევა ტრადიციულ ქართულ მენტალიტეტს და ამიტომ, ქრისტიანული მოტივების საკითხი პირდაპირ უკავშირდება ეროვნული მოტივების საკითხს.

“ცალ-ცალკე და ერთად”, ავტორისაც თქმით, თანამედროვე ქართული ზღაპარია. მასში მოთხოვნილია სამი ძმის, კეშერაძეების ამბავი. ძმები ტიპური ქართველები არიან, მათი თვისებები, ნაკლი და ლირსება ზოგადქართულ თარგზეა შექმნილი და ამის პირველი დამადასტურებელი საბუთი გახლავთ ის, რომ: “ერთი ერთგან იწევდა, მეორე-მეორეგან, მესამე სულ სხვა სათკენდაც. –თუმცა ძმები იყვნენ, ერთმანეთში უჩირდათ საუბარი. ცალ-ცალკე გაგიჩარია, იმათ შეეძლოთ სიტყვების ფრქვევა სხვადასხვანაირ ადგინებასა თუ საზოგადოებაში, მაგრამ ახლა, რადგან მშვენივრად მოეხსენებოდათ ერთიმეორის ვრცელი შესაძლებლობები, უნგრუად ფრთხილობდნენ რაიმე უმნიშვნელო არ დასცდენოდათ.

ამ ეპიზოდში ერთი შეხედვითაც აღვილი აღმოსაჩენია ეროვნული მოტივი, რადგან საუბარია პრობლემაზე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არამხოლოდ კონკრეტულ პირიენებებს, –მთელ ქარ-

თუდ საზოგადოებას ვერ მოეგვარებინა. მუდმივად ვერ რიგდებოდნენ დამოუკიდებელი სამეფო—სამთავროები, მუდმივად ქაშპობდნენ გაერთიანების შემდგაც და ეს კონფლიქტი აქტუალურია დღესაც. მართალია,

გ. დოჩანაშვილის გმირებივით, ყველა ქართველმა იცოდა და იცის ისრების ამბავი, მაგრამ ერთობა მაინც ყოველთვის ჭირდა.

მმები მართლაც კარგი საქმისთვის: “ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობების მისაღწევად” შეიკრიბნენ. გადაწყვიტეს, რომ “აქმდე თუმც შეწვეული ვიყავით ცალ-ცალკე წანწალს, ახლა ამთილი უნდა ვინებოთ და შევერთდეთ უნდათ”.

ავტორი ზოგადსაკაცობრიო ჰეშმარიტებაზე წერს, რომელიც განსაკუთრებით კარგად სწორედ ქართველებმა უნდა ვიცოდეთ იმ არაერთი მწარე გაგევთილის შემდეგ ისტორიაშ რომ ჩაგვიტარა, მაგრამ ეს ასე არ არის. და აქვე შემოდის ქრისტინული მოტივიც, რადგან სწორედ ამ პრობლემაზე საუბრობს უფალი სახარებაში, რომ მეც იქ გაქნები, სადაც ორი ან სამი ჩემი სახელით შეკრებილიო.

მმები საქართველოს ერთ-ერთ სოფელში აპირებენ წასკლას: “ეს იქნება გამორჩეულად ნაძღვილი ქართული სოფელი, ჩვენი, ოდესლაც კოლხთა და ბერთა. მრავალმხრივად აბურდული და დაბურდული სოფელი იქნება ეს ქართველის- ჩვენი, და როგორც ყველგან, იქნებან აქ სულნი ბოროტნი და სულნიც კეთილნი... ხოლო ხალხმა რომ მოგვისმინოს და აგვევეს ხელოვნების ერთ-ერთი კუთხით უნდა მივუდგეთ”. მმებმა ისიც კარგად იციან, რომ ხელოვნება ერთმხრივ სახიფათო რამაცაა: “მუსიკა, პოეზია და მისთანანი, დალოცვილები, საშიშია, რაიმეთი ცუდად რომ არ შემოგვიბრუნდეს”... “კარგ გერმანელებს ხელოვნებაში ის ძალიან დიდი მიღწევები რომ არ ქონდათ, ცუდი გერმანელები ვერც წამოიწყებდნენ კველაძე საშიშ ომს”, “დიდმა ხელოვნებამ სწორედ უდირსები გააყოყოჩა”.

სწორედ ამიტომ, დიდი ფიქრისა და სჯა-კამათის შემდევ, მმებმა საცირკო ხელოვნება აირჩიეს. გადაწყვიტეს კლოუნის საფარქვეშ ემოქმედათ, სიკეთე შეენიდბათ. მართალია, გულს ეჭვები უღრღნიდათ: “კი მაგრამ ვინ დაგვიჯერებსო”, მაგრამ, ალბათ, ისევ ძველ ქართულ სიბრძეს ენდვნენ— “ცდა ბედის მონაბევრეაო” რომ გვასწავლის.

შენიდბული სიკეთე და საერთოდ, დაფარული მოღვაწეობა ძალიან მნიშვნელოვანი მოქნეული ქრისტიანობაში. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მთელი მოძღვრება თავმდაბლობის შესახებ. დოჩანაშ-

ვილის გმირების არჩეული კლოუნის ნიღაბი, ამ შემთხვევაში, შეიძლება ერთგარად სალოსობას დავუკავშიროთ. სალოსები საკუთარი სიბრძნისა და დამსახურების დასაფარავად, რასაც თავმდაბლობის გამო იქმოდნენ, სულელის ნიღაბს იკეთებდნენ, თავს იგიურანებდნენ და მათ ასეც უწოდებდნენ: “ქრისტესთვის სულელნი”. მმების მერ მათი საქმინობის შენიღბება და ხალხის უკეთესობისკენ შეცვლის მცდელობა ნამდვილი მიზნის, ნამდვილი ვინაობის გამოუმჟღავნებლად, შესაძლოა, შორეული გამოძახილი იყოს სწორედ ამ ქრისტიანული ინსტიტუტისა.

მექბს ისიც არ ავიწყდებათ, რომ ყოვრლი ადამიანი პირველ რიგში, საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი: “სხვებს რა ჭკუა უნდა ვასწავლოთ, უცოდეველი ხომ არავინააო”, მაგრამ აქ ავტორი ძალიან ოსტატურად ხსნის ამ დილემას, ის ვევდა ამბავს ციცინათელაზე, რომელიც ჩანქრალი და მომაკვდავი იპოვა ვიღაც კიკოლმა და ეს ეპიზოდი უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანულ მოტივს: ციცინათელამ დახმარება სთხოვა, მაგრამ “ჩემნაირ გაჭირვებულს რა შეუძლიანო”, – კიკოლმა. იმან კი, “სული ხომ მაინც გიდგია და შთამბერეო” და აქ, კიკოლოს კითხვას, შენ რომ ჩემი ერთადერთი სული შთაგბერო მე რაღა დამრჩებაო, ციცინათელა პასუხობს: “სულს რომ შთამბერავ შენც უფრო შეიგხებიო, მეც გავთბები და შენც უფრო გაგათბობო”.

ღრმა ფილოსოფიური და ქრისტიანული აზრია ჩადებული ამ ეპიზოდში. სიკეთე ხომ საკუთარი თავის ურყოფით, დათრგუნვით ძლიერდება, ბოროტება კი მუდამ სხვის ხარჯზე – სიკეთის ნაკლებობის ხარჯზე იზრდება. სწორედ ამაზე წერდა დიდი ილია, რომ ერთ ციცქა სანთელზე რომ სხვა ათასი აანთო, ამით მას არც ალი ჩაუქრება და არც მხერვალება მოაკლდება, პირიქით, ათასი სანთელი ერთად გაანათებს უკუნის.

ამ ეპიზოდში გადაჯაჭვულია ეროვული და ქრისტიანული მოტივი, მათი გათიშვა შეუძლებელია, რადგან ერთი მეორეს ავსებს და მეორე პირველით საზრდოობს. “მე რა შემიძლია” – ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მტკიცნეული წყლოულია თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც ყველაზე მეტად, ალბათ, სიყვარულის უნარი აკლია. უნარი, რომ საკუთარი სულიც კი არ დაიშუროს სხვისთვის. როგორც აღვნიშნეთ, ეს ერთდროულად, ეროვნული მოტივიც არის და რელიგიურიც.

მმებმა განიზრახეს სულიც კი არ დაეშურებინათ საკუთარი ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად და მზადებას შეუდგნენ.

როცა სოფელში მივიღნენ, “მზე მაღლა იდგა, როგორც ჩანდა, იქაურობამ მიიღო მმები”. ისინი იტალიური კომედიის დადგმას აპირებდნენ. იმერეთის სოფელში, სადაც მშვენივრად ერწყმის ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, კომედია დელ არტე, რომელსაც მოვლილი ქონდა მთელი ქვეყნა და რომლის ოდნავი სიო ეგბ საჩირ ჰანსისაც შეხებოდა, მთელი საქართველოს გასაგონად წარმოთქმული სიტყვა უნდა ყოფილიყო.

აქ ჩანს ეროვნული მოტივი, რადგან კომედიის პერსონაჟები დაუჯერებლად გვანან ქართველებს. არაერთ ქართველ მწერალს ზუსტად ასეთი გმირები შეუქმნია ოღონდ, რა თქმა უნდა, სულ სხვაგან და სულ სხვა ვითარებაში:

ამბავი სწავლულ იურისტზე, რომელიც უთავბოლოდ აფრქვეს მოუწესრიგებელ სიბრძნესა და ცნებებს, უთუოდ მ. ჯავახიშვილის თეთმურაზს მოგაგონებთ. დარდიმანდი, მუწი და ქალგბის მოყვარული ვაჭარი პანტალონეც არ არის მაინცდამანც შორს ქართული ხსიათისგან; ხოლო მედროვე, ლაჩართა და სუსტაგან უძლეველი ბრიგადირი, რომელიც ყველას სიცოცხლეს უმწარებს, ნამდვილი ჯაყოა! ჩვენებურია სასაცილო კაპიტანიც, რომელიც დიდი დათვის თანავარსკვლავედის დამრცხებასაც ლამობდა. ხელმოცარული არლეკინი კი, თავისი გულუბრყვილობითა და ოცნებებით ცხოვრების გამო მუდამ დაჩაგრული და მიუსაფარი რომ იყო, გაგახსენებთ ელიოზს, გ. ლეონიძის “ნატერის ხიდან”.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვნია, თითოეული მათგანი, და ასობით და ათასობით მათი მსგავსი, დღევანდელ საქართველოშიც დადის. ზუსტად ისეთი უთავბოლო, მოუწესრიგებელი, დარდიმანდი, მედროვე, სასაცილო, ხელმოცარული თუ მეოცნება თითოეული მათგანი და როგორც არასდროს ისე აქტუალურია დღეს ყველა მათი პრობლემა.

ხოლო რაც შეეხება კომედიას, “ეგ ერთ-ერთი ხერხია ლიტერატურაში –ამბობს ავტორი –თანაც ძალან ძეველი. დიდი ხნის წინათაც კი საბერძნეთში, კინიკოსი მწერლები მხიარულ, ზღაპრულ სამოსელში ხვევდნენ თავიანთ არც თუ ისე მხიარულ ნააზრევს, რათა მკითხველისთვის ამ გზით უფრო ადვილად მიეწოდებინათ სათქმელი”.

აქ მანდვილად ვერ ვიტყვით, რომ ქრისტიანობა იზიარებს აზრს, რომ შეიძლება ადამიანმა სიცილით, ირონიით შეძლოს უკეთესობისაკენ შეცვლა. ეს ძველ საბერძნეთში იყო, კომედია და ტრაგედია თანაბრად მიიჩნეოდა სულიერი ამაღლების საშუალებად, მაგრამ ქრისტიანობაში მხოლოდ ტკივილები, მხოლოდ ცრემლები აღ-

ბობენ ადამიანის გულს, ანათებენ გონებას; სიცილი, ირონია უარყოფილია. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში სოლომონ ბრძენი წერდა, რომ მწუხარება სჯობია სიცილს, რადგან სახის დაღვრემისას კეთილია გულიო.

დოჩანაშვილმა ეს ხერხი მაინც გამოიყენა. საინტერესოა ის გარემოება, რომ როდესაც ხალხმა ამ კომედის გაღმოქართულებული ვარიანტი მოისმინა და მოიწონა, როცა მაყურებლები გულიანად ახარხარდენ და თითქმის ყველაფერი გენიალურად იყო, ერთ-ერთი ძმა, შალვა, მიხვდა, რომ ეს ის არ იყო, რაც მათ სურდათ. “საცილოდ გაქვთ არა საქმე? — აყვირდა ის— ჩვენ, სამა ღვიძლმა ძმამ მხიარული წვითა და დაგვით ამოგიტანეთ აქ, ამ სოფელში შორს ამოსული თავისუფლების უცხო ყვავილი. თავად სილადე, იტალიური კომედია დელ არტე და რომ გავეგოთ იმისი მაღლი, სახელდახელოდ გადმოგიტართულეთ კიდეც, მაგრამ, ბოდიში!— სიცილ-კასკისის მეტს ვერაფერს მიგაღწევინეთ! იმ სილადეში სიხარხარის გარდა სხვა ვერაფერი შენიშვნეთ არა?— შეგირცხვათ თავი!

ვინ აგირძალავთ სიცილს და ხარხარს, მაგრამ უნდა იცოდეთ რაზე იცინოთ. ნუუუ ვერ შენიშვნეთ ის სილადე და თავისუფლება ყოველი თქვენგანისთვის საოცნებო რომ უნდა იყოს”...

და ამან ნამდვილად გაჭრა.

ანუ ბოლოს, მაინც ქრისტიანულ მოძღვრებას დაეთანხმა ავტორი და ჩვენც, შესაბამისად ქრისტიანულ მოტივად ჩავთვალეთ ეს პასაჟიც. სადაც კომედიამ არ გაჭრა, იქ შეგონებამ იმომედა და რადგანაც ზღაპარი იყო, ზღაპრულად გაღმოსცა ძმების მოღვაწეობის შედეგი: ხალხი შეერთდა, შეჯვაფდა, ერთმანეთს მიეტმასნა; ისინიც კი აგრ ათი წელი ერთმანეთს რომ არ ელაპარაკებოდნენ ერთ კაცად გადაიქცნენ. იმ ერთ კაცში კი ცალცალკე რომ იყო აქამდე ქართული სიძლერა, ქართული ლექსი, ქართული პროზა, ქართული სული, გული, თავი მოიყარა ერთად.

ეს ამ ლამაზი ხაწარმოების მთავრი საოქმელაა, ძნელია ცალცლებების უნდა გავერთონდეთ. გაერთიანებისთვის კი “ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობები” აუცილებალია, უკეთესი ურთიერთობები კი წარმოუდგნელია ”ერთი რამის სიყვარულის” გარეშე— ”დაფარვა რომ სჭირდება”. მწერალმა ჩვენ თვალწინ ერთგვარი სამკუთხედი შექმნა, რომლის ორი წვერო ერთობა და ურთიერთგაებაა, მწვერვალი კი— სიყვარული. უდაოა, რომ ეს მღალმატერული ოსტატობით დამუშავებული სახარებისეული მოძღვრებაა, რომ ადამიანებმა ერთმანეთის გაგება უნდა შეგძლოთ, რომ ადა-

მიანები ბოლოსდაბოლოს უნდა ავმაღვლდეთ და დავიტიოთ არსი, მიზანი და მიზეზი ყოველივესი— სიყარული.

“ცალ-ცალკე და ერთად” თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი ყვლებები საიტერესო ნაწარმოებია. ავტორი თითქმის ყველზე აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობს და კიდევ ერთხელ, ცხადად წარმოგვიდგენს თუ როგორ გვჭირდება ეროვნულ-ქრისტიანული ფესვების მოფრთხილება და პატივისცემა.

მისი ნაწარმოები არამხოლოდ სასიამოვნო— სასარგებლოა, ხოლო მისი არჩევანი— მისაბაძი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. დოჩანაშვილი, ბაქანი, 1997;
2. გ. დოჩანაშვილი, საქმე, 1990;
3. სწავლანი, 2002;
4. ბიბლია, ძველი აღთქმა, 1992.

**Tamar Adamia**  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
III Year Student

### The National-Christian motives in Guram Dochanchvili's story: “Separately and together”

#### Summary

this article is about Guram Dochanchvili's story: “Separately and together”. Dochanchvili is one of the eminent representative members of Georgian modern literature. We suggest that it is very interesting because it shows forms of coexistence of the national and Christian values. It shows how the question of Christian motives connects with Georgian national ones as well.

## **სამართალმცოდნეობა ( Law studies)**

**ნათია შეუბუღიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

**საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ურთიერთობის  
საკითხისათვის  
(კონსტიტუციური შეთანხმების I მუხლის მიხედვით)**

საქართველოს მთელი კულტურა, ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება მთლიანად დაფუძნებულია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, მართლმადიდებლობაზე იყო აგებული საქართველოს კანონმდებლობა წარსულში. ბუნებრივია, სახელწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაც საქართველოს გაქრისტიანების დროიდან ძალზედ აქტუალურ თემად ითვლებოდა და დღემდე ასე რჩება. საქართველოს, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ქრისტიანული ქვეყნების მეთაურები ყოველთვის დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ეკლესიის წინაშე და ყველანაირად ხელს უწყობდნენ მის საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივ ისტორიაში აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის მიერ მწიგობართუ-ხუცეს – ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ აღასტურებს იმას, თუ რაოდნენ შემჭიდროებული და დაახლოებული იყო ერთმანეთთან ქართული ეკლესია და სახელმწიფო.

სასურველი იქნება, თვალი გადავავლოთ მოკლე ისტორიულ ექსურსს საქართველოს ეკლესიის შესახებ. მეოთხე საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა გახდა სახელმწიფოებრივი რელიგია და ჩვენ ეკლესიურად და პოლიტიკურად დავუკავშირდით ახლად შექმნილ ბიზანტიის იმპერიას. აქედან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანას ყოველთვის უწევდა ბრძოლა როგორც სამშობლოს, ასევე ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. ის მშვიდობინი ურთიერთობა, რაც არსებობდა საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, დაარღვია რუსეთის იმპერიამ, 1801 წელს უძველესი ქართული სახელ-

მწიფოებრიობის, ხოლო 1811 წელს მრავალსაუკუნოვანი ექლესიის აგტოკეფალიის გაუქმდით. 1921 წლის კონსტიტუციამ სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისაგან განაცალკევა, ხოლო ყველა სარწმუნოებას თანაბარი უფლებები მიანიჭა. მას თან მოჰყვა ათეიზმის მრავალწლიანი ეპოქა, როცა სავსებით უგულებელყოფილ იქნა სარწმუნოება.

დღესდღეობით, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზოგადი რეგულირება ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში, რომლის მიხედვითაც “სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.” (1. მუხლი 9) ეს ფაქტი ნათლად დაგანახებს იმას, რომ მოუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვენის ხელისუფლება აღიარებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ძალას დიდ როლს ქვენის მრავალწლიური ისტორიაში, საჭიროდ აღარ მიიჩნევს ეკლესის ჩარევას ქვენის საქმიანობაში და მას დამოუკიდებელ ერთულდად აცხადებს. 2001წლის 30მარტის ცვლილებით მე-9 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, სადაც აღნიშნული არის, რომ “სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ კი, ადმინისტრაციის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.” დღეისათვის ურთიერთობა საქართველოსა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რეგულირდება სწორედ ამ კონსტიტუციური შეთანხმების საფუძვლზე, რომელსაც ხელი 2002წლის 14ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტისა და კათოლიკოს – პატრიარქის მიერ მცხოვის სკეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოეწერა.

შეთანხმება სულ 12 მუხლისაგან შედგება. ყველა მათგანი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას არეგულირებს ყოველ-დღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა, მაგალითად: განათლება, ჯვრისწერა, სამხედრო ვალდებულებები, ქონებრივი ურთიერთობები და ა.შ. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ პირველი მუხლს და შეგეცდებით, ამ მუხლით მოწესრიგებული საკითხები განვაზოგადოთ. კონსტიტუციური შეთანხმების ეს მუხლი კონკრეტულ რამებ საკითხს არ ეხება. აյ საუბარია ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ზოგად რეგულირებაზე. უპრიანი იქნება, გავეცნოთ თავად მუხლის შინაარს:

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვენის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.
2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთნებები ურთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნობაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.
3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთნებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორებისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.
6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

როგორც გხერძავთ, შეთანხმების პირველი მუხლის პირველივე პუნქტში ნახსენებია ფრაზა “ქვენის მოსახლეობის საკეთილდღეოდ”, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ნებისმიერი საქმე, რომელსაც განახორციელებს ეკლესია ოუ სახელმწიფო, უნდა კეთდებოდეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. დავთ ჩიკვაიძე წერს: “ადამიანისთვის, რომელიც სულისა და სხეულისაგან შედგება, უცილობლივ საჭიროა შესაბამისი პირობები თითოეულის განსავითარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება ღვთის ხატება დაკარგოს და ცხოველსაც კი მიემსგავსოს. ყურადსალებია ის ფაქტი, რომ სულის განვითარებაზე ზრუნვა ეკლესიას ევალება, სხეულისაზე – სახელმწიფოს.”(2. ვ.9)

ძალზედ საინტერესოა შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ეკლესია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეწოდება ისეთ ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად). საქართველოში, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, გარდა სა-

მინისტრობისა (დეპარტამენტებისა) და ეკლესიისა, არიან პოლიტიკური პარტიები და პროფესიული კავშირები. ზოგადად, ოურისპრუდენციაში არსებული განმარტებიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აყალიბებს სახელმწიფო ან იქმნება კანონის საფუძვლზე. როგორც ვიცით, ეკლესია არც სახელმწიფოს ჩამოუყალბებია და არც რაიმე ნორმის საფუძველზე შექმნილა, სწორედ ამიტომ, ეკლესის საჯარო სამართლში ენიჭება განსაკუთრებული იურიდიული პირის სტატუსი. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში მოცემული დებულება, რომ სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსთვის. ამავე პუნქტის მიხედვით, ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო (კნონიკური) სამართლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. სასურველი აქნება აღნიშნოთ, რა არის საეკლესიო სამართალი. მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით საეკლესიო სამართალი ეწოდება სამართალს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას ეკლესიასა და მრევლს (მის წევრებს) შორის. ჩვენი ეკლესია ადგენს საეკლესიო სამართლის შემდეგ იერარქიას: 1. წმინდა წერილი და წმინდა გარდამოცემა, 2. მოციქულთა კანონები, 3. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები და 4. ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები. აღსანიშნვია ის, რომ სახელმწიფო არ ზღუდავს კანონიკური სამართლის მოქმედებას ეკლესიის შიდა საქმიანობაში, თუმცა ზღუდავს მის ფარგლებს ეკლესიის საგარეო ურთიერთობაში (იგულისხმება ურთიერთობა საერო ხასიათის დაწესებულებებთან). მაგალითად, საეკლესიო სამართლით, ეკლესიის მეთაური (ჩვენს შემთხვევაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ითვლება სახელმწიფოს მეთაურის თანასწორად. ეს ნორმა საეკლესიო სამართლისაა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მართლმდდებლი ეკლესია ვერ მოთხოვს უცხო სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს პრეზიდენტის თანასწორად მიიღონ. ამავე დროს, ვერც სახელმწიფო მოსთხოვს ეკლესიას, ვთქვათ, ქალები აკურთხონ დვითიშვილსახურებად, ვინაიდან, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა, მაგრამ კანონიკური სამართლით აკრძალულია ქალთა დვითიშვილსახურად კურთხევა.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის მიხედვით ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს საეკ-

ლესიო კრება, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით). ეს იმას ნიშნავს, რომ როგორ-საც დანიშნული იქნება ესა თუ ის განსაზღვრული პირი, მას აღარ სჭირდება საეციალური უფლებამოსილება იხელმძღვანელოს ეკლესიის სახელით. საეკლესიო კრება არის საქართველოს ეკლესის საკანონმდებლო, აღმასრულიერი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანი. მისი სინონიმია წმინდა სინოდი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საეკლესიო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა შეუძლია მიღლონ წმ. სინოდის მიერ მოწვეულმა გარეშე პირებმაც (როგორც საერო, ისე სასულიერო), ხოლო წმინდა სინოდის სხდომებში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები. თუმცა ხმის მიცემის უფლება ორივე შემთხვევაში მხოლოდ ეპისკოპოსებს აქვთ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის საქართველოს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესის საჭირობელი. ამავე დროს იგი არის მცენისა და თბილისის ეპარქიის მმართველი. საქართველოს საპატრიარქო არის იმ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ეჭვემდებარებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საქართველოს კანონმდებლობით, მნიშვნელოვან თამანდებობის პირებს, როგორებიც არიან, მაგალითად დეპუტატები, მინისტრები, პრეზიდენტი, მინიჭებული აქვთ ხელშეკალობის უფლება, ეწ. იმუნიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ან დაპატიმრება დანაშაულზე წასწრების შემთხვევის გარდა. კონსტიტუციური შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი მსგავს უფლებას ანიჭებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ჩვენს ქვეყანაში, დასევნების, ანუ უქმე დღეებს ადგენს საქართველოს მრომის კოდექსის მე-20 მუხლი, რომლის მიხედვითაც უქმე დღეებად ცხადდება როგორც საეკლესიო, ასევე საერო დღესასწაულები (მაგ.: ახალი წელი, 3მარტი, 8 მარტი, 26 მაისი და ა.შ.) (3. მუხლი20). ისტორიულად, საქართველოში ათორმეტივე საუფლო დღესასწაული დასვენების დღეებად ითვლებოდა. კომნისტური ხელისუფლების დამხობისთანავე აღდგა ტრადიციული დღესასწაულები, თუმცა უდიდეს საუფლო დღესასწაულთაგან ყველა არ გამოცხადებულა სახელმწიფო დღესასწაულად. ხოლო ხოლო შეთანხმების ამ ნორმამ აღადგინა და სახელმწიფო დღესასწაულად ცნო ათორმეტივე საუფლო დღესასწაული. ეს ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, რადგან უცნობია, რა ნიშნით იყო გამორჩეული

დღესასწაულები ერთი-მეორისგან კონსტიტუციური შეთანხების და-დებაძე.

ბოლოს, დავუბრუნდეთ ისევ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურ-თიერთობის ზოგად მიმოხილვას. ძალზედ საინტერესოა მოსაზრებაა, რომლის მიხედვითაც ხშირად სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერ-თდამოყიდვებულებას ადარქენ ძე ღვთისას ორ ბუნებას: ღვთიურსა და ადამიანურს. სახელმწიფო და ეკლესია უნდა იყვნენ ერთიანნი და ამვე დროს შეურევნელნი, როგორც ღვთატებრივი და კაცობრივი ბუნება ქრისტეში. ეკლესია, რომელიც განასახიერებს ზეციურ სამე-ფოს, არ შეძლება განვიხილოთ წარმავალი სამეფოს, ანუ სახელ-მწიფოს თანასწორად. თუმცა არსებობს საპირისპირო დებულება, რომ ამქვეყნად სახელმწიფოს ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან იგი არის მიწიერ წესებზე შექმნილი და ეკლესიის პირველობა შეოღულდ ზეცაშია. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არ არსებობს უპირატესი. ორივეს გააჩნია საკუ-თარი მოვალეობანი ადამიანთა წინაშე, რითაც უპირატესობა ენიჭე-ბათ ერთიმეორის მიმართ. (2. გვ. 9)

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 2009 წლის მდგომარეობით.
2. დავით ჩიგაიძე. “საქართველოს სახელმწიფოსა და საქართვე-ლოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შო-რის კონსტიტუციურის შეთანხმების კომენტარები” თბილისი. 2005წ.
3. საქართველოს შრომის კოდექსი. თბ., 2009
4. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკ-ლესიას შორის. (2002წლის 14ოქტომბერი)
5. ივანე ჯავახიშვილი. “ქართველი ერის ისტორია” ტ. VI–VII. თბილისი. 1982-1984წწ.
6. მარიამ ცაცანაშვილი. “სახელმწიფო და რელიგია” თბილისი. 2001წ.
7. გიორგი ხუბა. “სახელმწიფოსა და სამართლის თე თეორია” თბ. 2005წ.
8. [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge)
9. [www.patriarchate.ge](http://www.patriarchate.ge)

**Natia Shkubuliani**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
The student of III cours of faculty of law

**On the Question of the realtion between State of Georgia and  
Georgian Church**

**Summary**

There is consideration about the interrelation between Georgian government and Georgian orthodox church in this work. In The Constitution of Georgian, I article, consider exactly this issue. And this relationship is regulated in The constitutional agreement between Georgian government and Georgian orthodox church, whis was got in Mckheta, in 14 October, in 2002.

## ცირა შალოშვილი

ივანე ჯავახისვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ტიტის  
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის  
სტუდენტი

### ქორწინების რეგისტრაციის ფორმა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით

ოჯახის ინსტიტუტი უხსოვარი დროიდან ჩამოყალიბდა საზოგადოებაში. ჯერ კიდევ თემური წყობილების პირობებში ოჯახს დიდი დატვირთვა პქნონდა ადამიანის ცნობიერებაში. დროთა განმავლობაში, საზოგადოების განვითარების პარალელურად, საქორწინო ურთიერთობები საერო და საეკლესიო სამართლის რეგულირების სფეროში მოექცა. ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო განხილული ოჯახის წევრების უფლებრივი მდგომარეობა, ურთიერთდამოკიდებულება. წმინდა მამებიც აგრეთვე დიდ ადგილს უთმობდნენ მას ქადაგებებში და მუდლებს სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემაზე, ერთგულებასა და მოთმინებაზე დაფუძნებული ოჯახის შექმნას ურჩევნენ...

პატივ მოციქული ოჯახს “სახლის ეკლესიას” უწოდებს. ამ სიტყვებით ასახება მისი კულტი ქრისტიანულ საზოგადოებაში. ეკლესია უფლის სახლია, სიმშვიდისა და სიყვარულის ტაძარი, შესაბამისად ოჯახში სიყვარული და სიმშვიდე უნდა სუფევდეს სამართლისოდ. დროთა განმავლობაში, რატომდაც, ოჯახის კულტი საქართველოში გაფურმირთალდა, განქორწინება და განმეორებითი ქორწინება საქამაოდ გახშირდა. საზოგადოებაში ჩნდება ძალიან ბევრი კითხვა, თუ რამ გამოიწვია ოჯახების ასეთი ხშირი რღვევა. ერთნი ამ ფაქტს კომუნისტურ სახაში გამტებული ათეიზმით სწნიან, მეორენი მძმე სოციალურ მდგომარეობას უკავშირებენ. ვფიქრობთ, ოჯახი, რომელიც მატერიალური სიკეთის მოლოდინზეა დაფუძნებული, დასაბამიდანვე დანგრევისთვისაა განწირული, მაგრამ “ათეიზმის წვლილს”, ალბათ, ნამდვილად ვერ უგულებელყოფთ. ოჯახის ცნების სამართლებრივ განმარტებას ქართველი კანონმდებელი არ იძლევა. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ შემდეგი სიტყვებით შემოიფარგლება: “ქორწინება ეჭყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას; სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღებას”(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი-36.) სრულიად საქართვე-

ლოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნტარესი, ილია II 1987 წლის საახალწლო ეპისტოლეში ოჯახის ფუნქციას ასე განსაღვრავს: “ოჯახი არის ის გარემო, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ისმენს პირველ ზღაპარს, აქ ეზიარება რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა პიროვნებად. სამწუხაროა, რომ ქართული ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს; თანდათან უფრო შემაშუოთებელია მისი რღვევის ნიშნები” (2. გვ.9.). ამავე ეპისტოლეში უწმინდესი ხაზს უსვამს ქალის როლს ოჯახის ურღვევობის საკითხში. არ ვიზიარებთ “მუდლეთა უფლებრივი თანასწორობისა და ნებაყოფლობის იდეას”, რადგან ეს სიტყვები უარყოფს ქრისტიანულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ ჭამარში უპირატესობა მამაკაცებს ენიჭება (უფალმა ხომ ევა ადამის ნეკნისაგან შექმნა), ასევე უნდა იყოს ოჯახში – სახლის ეკლესიაში. თუმცა ეს იმსა არ ნიშნავს, რომ ქალს უუფლებო მონად წარმოვიდგინთ, უბრალოდ ე.წ. გენდერულ თანასწორობას არ მივიჩნევთ გამართლებულად. მაგალითად შეგვიძლია მოვიყანოთ მამა პაისი მთაწმინდელის სიტყვები: “როდესაც ხარების წყვილი ერთ უღლეშია შებმული და ერთ-ერთი მათგანი მეტად ზანტი ან სუსტია, მეორე ცხოველი დიდ ძალის ხმევას ხმარობს და გარკვეულწილად მიათრევს, ქაჩავს მეორეს” (3. გვ. 1.), გამწევის უწმინდება კი შეუძლია, როგორც მამაკაცს, ისე ღვედაკაცს-დღესდღეობით ქართული ეკლესია დაუდალავად ცდილობს, აღმოიგხერას ან, უკიდურეს შემთხვევაში, შემცირდეს მაინც განქორწინებების რიცხვი, თუმცა, მხოლოდ ეკლესია ვერ შეძლებს სერიოზული გარდატეხის შეტანას; საეკლესიო ქორწინებას, ჯვრისწერას, არ აქვს იურიდიული ძალა, წყვილი ანგარიშვალდებული არ არის ეკლესიასთან, სამოქალაქო კოდექსი კი არანაირ სამართლებრივ შეზღუდვას უწევს წყვილს განქორწინების შემთხვევაში. ვინაიდან, საქორწინო ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებისათვის, გადავწყვიტეთ, მისი განხილვა საეკლესიო და საერო კანონების მხედვით. ნაშრომში საუბარი იქნება: ჯვისწერის იურიდიული აღიარების პრობლემაზე.

ზემოთ ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეაზე. ამ საკითხის ხსნება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, რიგი საკითხების გვერდით, ერთ-ერთი ყურადსალები მიზეზი ოჯახების ასეთი სისწრაფით დაშლისა, სწორედ ე.წ. გენდერული თანასწორობის სურვილია. სანამ უშუალოდ საკითხის პლევაზე გადავალოთ, უპრინი იქნება, ქორწინების სამართლებრივი ცნების ჩამოყალიბება: “ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებუ-

ლია საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაგალი საჯარო სამართლის ოურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგნეტოს ტერიტორიულ სამსახურში” (4. უხლი 1116). აქედან ირკვევა, რომ ჯვრისწერას სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს, ის უბრალოდ “ლამაზი რიტუალია” და ბევრი წყვილი ვერც კი აცნიბერებს, თუ რა დიდი დატვირთვა აქვს უფლის კურთხევას ოჯახური ცხოვრების მშვიდობანად წარმართვისათვის. ზემოხსენებული მუხლის კომენტარში ვკითხულობთ: “ნამდვილი ოჯახი მატერიალური ანგარიშიანობისა და რელიგიური შეხედულებებისაგან თავისუფალი ქალისა და მამაკაცის სამისღებით კავშირია” (13. გვ. 24). ამ სიტყვებით ცხადი ხდება, რა დატვირთვას ანიჭებს ქართული კანონმდებლობა ქრისტიანულ დოგმებს. უწმინდესი ჯვრისწერას შემდეგნარიად ხსნის: ჯვრისწერის დროს მეფე-დედოფალი ერთი სასმისიდან სეამს ღვინოს. ეს სიმბოლოა არა მარტი მათი ერთად ეყონისა, არამედ იქ კრისტესთან, ეკლესიასთან მათი ერთობისა. ახალდა-ქორწინებულთა ცხოვრება უნდა იქცეს “ლიტურღიად”, მსახურებად ღვთისა და ქვეყნისათვის. მხოლოდ ამ შეგრძნებით, ამ რწმენით უნდა ეზიარონ ისინი ქორწინების საიდუმლოს; თასი ბოლომდე მხოლოდ ასეთი ცხოვრებით შეისძება” (2. გ.10).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IVსს), ქორწინების რეგისტრაციას (ქრისტან (მართლმადიდებელ) წვილებს შორის) მხოლოდ ეკლესია ახორციელებდა. ასევე ხდებოდა სხვა ქრისტიანულ ქვეწებმიც, ამიტომ საქართველოს რესეფთან მიერთების შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა; ქრისტიანული სახელმწიფოების ასეთი მიდგომა ამ საკითხის მიმართ იმით აისხება, რომ ჯვრისწერა ერთ-ერთი საღვთო საიდუმლოა; ჯვრისწერის საფუზველზე შექმნილი ოჯახი მყარია, ასეთი ოჯახების სიმრავლე კი სახელმწიფოს წინავლის – საწინდარი. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციის წესი გაუქმდა 1921 წლის ქართული კონსტიტუციის 31-ე მუხლით (5. მუხლი 31.). საბჭოთა რეჟიმს კი ცხადია, არაფერი მოუმოქმედია ამ ტრადიციის აღსადგენად და პირიქით, თუ დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას რთავდა მოქალაქებს, ექორწინათ საეკლესიო წესით და უბრალოდ, სამართლებრივ ძალას უკარგავდა ჯვრისწერას, საბჭოთა რეჟიმმა საერთოდ აკრძალა. “ბურჟუაზიულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა დაარღვია წინანდელი დიდი ოჯახები, დააწვრილებოთ უფრო მეტ გასაქანს პოულობენ; ქალი უკვე აღარ არის ქორწინების ობიექ-

ტი” – წერდა გ. ნადარეიშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ოჯახებზე (5. გ. 177.).

საწუხაოდ უნდა დავთანხმოთ გაზეთ “საპატრიარქოს უწყებანში” გამოქვენებულ გიორგი ყოფიანის სიტყვებს: საქართველოში ოჯახისა და ქორწინების სიმტკიცეზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტს არ წარმოადგენს, მაგრამ კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის იძლევა შესაძლებლობას, ეკლესიამ აქტიური მონაწილეობა მიღილს ახალგაზრდობის მომავლის განსაზღვრაში (7.). ამ შემთხვევაში ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯად მივიჩნევთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმებაში შევიდეს ცვლილება. სანამ უშუალოდ ცვლილებაზე ვისაუბრებდით, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმების პროექტის მესამე მუხლი შემდეგი სახით იყო ჩაწერილი: “სახელმწიფო აღიარებს საეკლესიო სამართლის ნორმების მიხედვით განხორციელებული ქორწინების სამართლებრივ შედეგებს, თუ ეს აქტი რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში” (8. გ. 72.). აღნიშნული დებულება უცვლელად რომ გადასულიყო კონსტიტუციური შეთანხმების საბოლოო ვარიანტში, სადაც აღარაფერი იქნებოდა, მაგრამ გაურჩეველი მიზეზების გამო, კონსტიტუციური შეთანხმების მესამე მუხლში ვკითხულობთ: “სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით; სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები” (9.) გარკვეული მიზეზების გამო, მივიჩნევთ, რომ უმჯობესი იქნება კონსტიტუციური შეთანხმების დღვენდელ ვარიანტში აღდგენილ იქნას პროექტისეული ნორმა. ეს ნაბიჯი, ბევრ პრიბლემას გადაჭრის და გარდა ამისა პასუხს გასცემს ბევრ ბუნდოვან კითხვას... ასეოდულურად გაურკვეველია, რას გულისხმობს ქართველი კანონმდებლი, როდესაც აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრის-წერას, თუმცა არ გამოიყენებს სამართლებრივ ურთიერთობებში. ამასთან დაკავშირებით დავით ჩიკვაძე ასეთ აზრს გამოთქვას: “ეს ცნობა, სავარაუდოდ, გამოიხატება იმაში, რომ ჯვარდაწერილ, მაგრამ სახელმწიფო რეგისტრაცია გაუვლელ ცოლ-ქმარს სახელწიფო განარჩევს სხვა შემთხვევითი წყვილისაგან და ამგვარად, გამართლებურია ზნეობრივად. კერძოდ, ეს უპირველესად შექება მამობის დადგენას...” (11. უხლი 3.) ვფიქრობთ ჯვრისწერისა და ჯვარდაწერილი წყვილის ზნეობრიობის განსაზღვრაზე უპრინი იქნებოდა შეთანხმებაში ქმედითი ნორმის ჩაწერა... აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტი-

კაში, ძალიან ხშირად, არც მამობის დადგენისთვის არის საქმარისი მხოლოდ ჯვისწერის მოწმობა, გარდა ამისა, თუ წყვილს ხელი არ ჰქონდა მოწერილი, დაქვრივების შემდეგ ჯვარდაწერილი მუჟღლე ვერ იღებს გარადცვლილი მეუღლის სამკვდროდან წილს, რაც სამწუხაროდ, ყველაზე მეტად მათ არასრულწლოვან შვილებს აზარალებს...

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ქრისტიანობა არ არის სახელმწიფო რელიგია, რასაც კანონმდებლები დემოკრატიული ტენდენციებით ხსნან, ცხადია, რომელი იქნება იმ ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ; დადგება არამართლმადიდებელი წყვილების ქორწინების რეგისტრაციის პროცედურა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ასეთი წინადაღება შეგვიძლია, შევთავაზოთ საკანონმდებლო ორგანოს: ქრისტიანი წყვილების ქორწინების რეგისტრაცია მონდეს ჯვრისწერით, ხოლო სხვა აღმსარებლობის ადამიანებს შეუძლიათ, დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რაც (როგორც ჯვისწერის მოწმობა, ისე არამართლმადიდებელ წყვილებს შორის დადებული ხელშეკრულება) დარეგისტრირდება, სამოქალაქო რეესტრში. ეს წესი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებდა რუსეთსა თუ სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში (9.). გარდა ამისა, ჯვრისწერის ოურიდოული აღიარება არც დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდევება; მსოფლიოს ბევრ კვრიკულ და ამერიკულ ქვეყანაში ჯვრისწერის ოურიდოული ძალა აქვს, თუ ის შესრულებულია კანონის ნორმების დაცვით. ამავე აზრს იზიარებს დავით ჩიკვაძე და წერს: “უმჯობესი იქნებოდა, აგველო ბერძნული მოდელი. კერძოდ, საბერძნეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ, დაიწერონ ჯვრი ეკლესიაში, ან ქორწინების რეგისტრაცია გაიარონ სახელმწიფო ორგანოში” (11. უხლი 3.). ამ შემთხვევაში ეს ნორმა აღმტერნატიული ხასიათისაა და კანონიერი ძალა ენიჭება როგორც ერთი, ისე მეორე ფორმით შესრულებულ (დარეგისტრირებულ) ქორწინებას. ამრიგად წყვილებს აღარ მოუწევთ ქორწინების რამდენჯერმეტე რეგისტრაცია, რაც მათთვის მომებიანი იქნება არამარტო რწმენის გამოხატვის თვალსაზრისით, არამედ შეძლებენ დაზოგონ საქმაოდ დიდი დრო და ხარჯები...

დასაწყისში საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ ჯვრისწერის როლზე ქართული ოჯახების ასე რიგად რღვევის შეფერხებასთან დაკავშირებით, დასკვის სახით კი მაცხოვარის შემდეგ სიტყვებს მოვიყვანთ:ერთ-ერთ ძველ ხელნაწერში არის ადგილი, სადაც ქრისტეს ეკითხებიან: „როდის მოვა დოთის სასუფეველი?“ და ქრისტე პასუხობს: „ღვთის სასუფეველი უკვე მოსულია

იქ, სადაც ორნი - უკვე ორნი კი არა, ერთნი არიან...“ (7.). ასეთი ოჯახი, სადაც წყვილი “ერთ სულ და ერთ ხორც არის” თავისთავად ცხადია, რომ ურლვევი და მყარი კაგშირია, რომლის დაშლა ამქვეყნიურ “სიმეთა” მეშვეობით შეუძლებელია, მის შესაქმნელათ კი ღრმა, ქრიტესმიური უბიწო სიყვარული და ჯვირსწერის საიდუმლოს აღსრულება აუცილებელია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წელი. 2009 წლის მდგომარეობით.
2. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საპატრიარქოს გამოცემა, 1987.
3. [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge) “მოთმინება ოჯახს დანგრევისაგან იცავს”;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ, 2009 წლის მდგომარეობით.
5. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია.
6. გ. ნადარეიშვილი, “ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევბი”, გამ.”შეცნიერება”, 1971.
7. [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge) “სქესობრილი აღზრდა თუ აღვირახსნილბა”.
8. მ. ცაცანაშვილი, “სახელმწიფო და რელიგია”, თბ., 2001.
9. [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge) “ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემა”;
10. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. 2009 წლის მდგომარეობით.
11. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო აეტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, თბ.2005.
12. [www.orthodoxy.ge](http://www.orthodoxy.ge) “მიტროპოლიტი ანტონ სუროველი, სიყვარულის საიდუმლო, საუბარი ქრისტიანულ ქორწინებაზე”;
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, 2000წ.
14. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996.
15. ვ. მეტრეველი, “საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია”, გამ. “მერიდიანი”, 2003

**Cira Shaloshvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The student of III cours of faculty of law

**The form of wedding registration with Christian ideology  
and modern Georgian law aspects**

**Summary**

There is consideration of the form of wedding registration in this work; We have formulated weddings registration's rules and conditions, foundations, registration's annulemant; We've reviewed these issues with Christian world outline and contemporary Georgian law, so here are comparative analysis of this problem.

## **ფილოსოფია, ფიზიოლოგია, სოციოლოგია (Philosophy, phsyiology, Sociology)**

**სალომე დავითულინი**

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
III კურსის სტუდენტი

**თაობათა შორის ურთიერთობები, მშობლებისა და შეიღების მაგა-  
ლითზე, ქრისტიანული და ფიზიოლოგიური ასპექტებით**

ყოველი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობები. სწო-  
რედ ურთიერთობების აქრძალვა სასჯელი, ანუ თავისუფლების აღ-  
კვეთა. თოთოეული ჩვენგანის პირველადი ურთიერთობები, ჯერ კი-  
დევ მუცულადყოფნის პერიოდში მშობლებთან კავშირშია და შემდეგ  
უკვე სხვა, დანარჩენ საზოგადოებასთან ურთიერთობა ოჯახიდან მო-  
დის.

ცნობილია, როგორც ქრისტიანულად, ასევე ფიზიოლოგიუ-  
რად, რომ ადამიანის სხეულში სამი სახის ხორციელი ძალა მოქმე-  
დებს. პირველი ბუნებრივი ძალაა. თანდაყოლილი მისწრაფება მის-  
წრაფება მორჩაობისაკენ, რომელიც თავისთავად, სულის დაუკითხა-  
ვად არაფერს აღმოაცენებს ცოდვისმიერსა და სულის დამამიმე-  
ბელს, არამედ მხოლოდ შეგვაგრძნობინებს თავს, რომ ეს ძალა არ-  
სებობს და მოქმედებს ჩვენს სხეულში. მეორე ძალა ზედმეტი საზ-  
რდოს მიღებისაგან აღიძვრის და მოქმედებს ჩვენს სხეულში, როცა  
ნოყიერი და ჭარბი საჭმლისაგან განხურვებული სისხლი ჩვენს სხე-  
ულს სულის წინააღმდეგ აღაშვითებს და არაწმინდა სურვილებს  
დაპბადებს მასში. მესამე ძალა ადამიანის სხეულში ბოროტი სულე-  
ბით მოქმედებს, რომელიც შურით აღისებინ ხოლმე სიწმინდისა-  
კებ მსწრაფელის მიმართ და ცდილობენ ამ ძალის მოქმედებით აც-  
დუნონ იგი. აი ეს სამი ხორციელი ძალა მოქმედებს ყოველი ადამი-  
ანის სხეულში ყოველ დროში.

როგორც ადამიანის სხეული გაივლის სამ ასაკს, სანამ მასში სული იმყოფება, კერძოდ კი: ყრმობას, დაკაცებასა და სიბერეს, ასევე სამ ასაკს თავისი განვითარებისა გაივლის სხეულში დაფარული სულიც, კერძოდ, კი: ჩასახვასა და დასაწყისს რწმენისა, წარმატებულობას რწმენაში, ცხოვრებისა და სრულყოფილების მიღწევას (3, 185). სწორედ სულიერ და ხორციელ ამ განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობენ მშობლები და ოჯახური გარემოცვა.

ბავშვის აღზრდისას კველაზე დიდი ბიძგის მიმცემი მშობლების პირადი მაგალითია. იმ ოჯახში, სადაც ყოველდღიურად აღველინება ლოცვა, სადაც მშობლები ყოველდღიურად კეთილსინდისიერად შრომობენ, ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავენ, ცდილობენ დაეხმარონ გაჭირვებულებს, იქ, სადაც არავინ არავის უყვირის, არ უხეშის, არ ატყებს, იზრდებიან ასეთივე კეთილი თვისებების მქონე პიროვნებები. გრიგოლ ნოსელი წერს: ”ადამიანმა დაიკავა საშუალო ადგილი ღმერთსა და მის მდაბალ ქმნილებათა შორის, ამიტომაცაა იგი გაორუეული: ნათელი გონიერი ღვთაებრივ მშვენიერებას გვაგონებს, მგზნებარე ვნებებით კი ცხოველს, ამით აიხსნება ის შინაგანი კონფლიქტი და დაპირისპირება, რისკნაც საერთოდ მიდრეკილა ადამიანი.” (1, 52). ამიტომაც, მშობლები სულიერად უნდა დაეხმარონ მათ შეიღებს, მანამ, ვიღრე ისინი პატარები არიან, რადგან პატარაობისას გაცილებით ნაკლები ნაკლოვნებები აქვთ და მათი აღმოფხვრა უფრო ადვილია.

მამა პაისი აღნიშნავს: ”თუკი ბავშვობის წლებიდან ბავშვები მშობლების დახმარებით მოიპოვებენ ქრისტეს, ისინი მის სიახლოეს სამუდამოდ დარჩებიან. მოზრდილობაში გარკვეულწილად გზასაც რომ ასცდნენ ისინი, ასაკიდან გამომდინარე, ან ცუდ წრეში მოხვედრის გამო, - ბოლოს მაიც გონს მოეგებიან. ღვთის შიში და ღვთისმოსაობა რომლითაც სიყმაწვილის წლებში მათი გულები იყო სავსე, მათი არსებიდან სრულ გაქრობას ვეღარასოდეს შეძლებს.” (2, 82).

მოზარდობის ხანაში, კველაზე რთულ პერიოდში, შვილების გამო მშობლების მღელვარება იზრდება. ეს მღელვარება იქმდე გრძელდება, ვიდრე მშობლები შვილებს განათლებას არ მისცემენ და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე არ შეადგმევინებენ ფეხს. ვიდრე ბავშვები ამ ასაკს გასცდებიან, მშობლებს მათზე უმეტესი მზრუნველობა მართებთ. მაგრამ ის, რაც მშობლების ძალას აღემატება, ყოვლადლიერი ღმერთის ხელს უნდა გადასცენ. თუ მშობლები თავიანთ შვილებს ღმერთს მიანდობენ, ღმერთი ეხმარებათ მათ იმაში, რისი გაკეთებაც ადამიანის მიერ შეუძლებელია

ფისქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი თვითცნობიერი « მე »ს ჩამოყალიბებაა. ცნობიერება ბავშვს ორი წლის ასაკიდან ეწყება და ადამიანის პიროვნების ჩასახვის შესახებ ამ დროიდან შეიძლება ლაპარაკი. ამიერიდან ბავშვის ქცევა გარკვეული ცენტრიდან მომდინარეობს, რომელიც მას მიმართულებასა და სახეს აძლევს. ცნობიერი « მე »ს ჩამოყალიბების პირველ პერიოდში, ანუ ადრეულ ასაკში ბავშვის სურვილებს ეწინაავმდევება ობიექტური გარემო. ბავშვი გრძნობს რო უძლურია და სურვილის დასაქმაყობილებლად სპეციფიკურ რეაქციას ტირილს მიმართავს.

ყოველ ქრისტიანულ ოჯახში უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს: უნდა

მართლობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა ლოცულობდნენ, აუცილებელია შპათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ეპლესიაში სიარული, სინაცულითა და აღსარების საიდუმლოს მაღლით ცოდვათაგან სულის განწმენდა, ხშირად ზიარება, ყოველ წელს სახლის კურთხვა, აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა სპეციალურად მათვის განკუთხნილ დღეებში ლოცვა... ასეთია ოჯახი, როგორც ამბობს წმინდა მოციქული პავლე, იქცევა ”სახლის ეკლესიად” და დაივანებს იქ უფალი და დაიცვას მას შვილობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით (1,124). მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახში უფროსები ხშირად არასწორად იქცევიან. ისინი კერპებივით ეთაყვანებიან თავიანთ შვილებს, რაც ღვთის საწინააღმდეგოა, განსაკუთრებულად ზრუნავნ მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ აღზრდაზე, ცდილობენ აუცილებლად მისცენ საშუალო და უმაღლესი განათლებას.

ბერძენი მშობლები შვილების თვალწინ ჩსუბობენ და ამით ცუდ მაგალითს აძლევენ შვილებს. საბრალო ბავშვები სწუხან და დარღობენ. მერე კი მშობლები იმისთვის, რომ ისინი ანუგეშონ ყოველგვარ ახირებას უსრულებენ მათ. მამა, იმისთვის, რომ ბავშვს აამოს, მის „მოსყიდვას“ იწყებს (2, 86). დედა თავის შხრივ საკუთარ **ნაშობს** ყველა სურვილის შესრულებას პირდება. საბოლოო ჯამში კი ბავშვები უაღრესად განებივრებულები იზრდებიან, რადგან მშობლებს ყველაზე მთავარი ავიწყდებათ: ავიწყდებათ სულიერი აღზრდა, ავიწყდებათ ბავშვებში იმ მორალური თვისებების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ახასიათებდეს მართლმადიდებელ

ქრისტიანს. საბოლოოდ შედეგიც სამწუხაროა: შვილები ნელნელა კარგავენ მშობლების სიყვარულს, თანდათან შორდებიან მათ, ფურადღებას აღარ აქცევენ ანდა უპატრონოთა თავშესაფარში აბარე-

ბენ. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ იგივე ხვედრი, ანდა უფრო უარესი, თვითონ მათ ელით.

”პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყოს ქვეყანასა ზედა”, - გვასწავლის მეზუთე მცნება. მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შეიღების კეთილდღეობა. წმინდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული. ხშირად, მშობლები წუხან და ტირიან შეიღების უდიერი საქციელის გამო, თუმცა უმეტესწილად თვითონ არიან დამნაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ გაზარდეს ისინი. დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შეიღები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობით იტანჯებან, მათ ოჯახში არ არის სიმშვიდე და სიყვარული.

ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილი ბეჭნიერად და მშვიდობიანად ცხოვრობდეს ოჯახში. არავინ ცდილობს, დაშინოს შვილი, თავგასული, უპასუხისმგბლო და ჯიუტი გაზარდოს იგი, მაგრამ ზოგჯერ ბავშვები ზრდასთან ერთად იძენენ ხასიათის ამ და სხვა უამჟრ ნიშნებს, თანაც არც საკუთრი თავის რწმენა აქვთ და არც თავისი თუ სხვისი პატივისცემა გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია შეზღუდვა. პატარა ბავშვის თავისუფლება თავიდანვე შეზღუდულია. ცხრა თვის გამნავლობაში ის დედის მუცელშია გამოკიტილი. ახალშობილს აკვაში აამენ, გადის ხუთი-ექვსი თვე და მას გარს მაღალ ბაღეს შემოავლებნ. მოზრდილ ბავშვს მარტო სადმე გასვლის ნებას არ რთავენ, რომ არ დავარდეს, ან კიბიდან არ დაგორდეს. ბავშვი რომ თავისუფლად გაუშვა ის ხომ წაიქცვა და რამეს ივნებს. ყოველივე ეს იმისთვისაა აუცილებელი, რომ ბავშვი უსაფრთხოდ იზრდებოდეს. ერთი შეხედვით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლონისძიება ბავშვს თავისუფლებას უზღდავს, მაგრამ ყოველივე ამის გარეშე იგი არსებობის პარველივე დღეებიდანვე სიკვდილის საფრთხის ქვეშ იქნებოდა. თუმცა ბავშვები, განსაკუთრებით კი უმცროსი ასაკის ბავშვები ვერ ხვდებიან, რომ მათი შეზღუდვა აუცილებელია. მაგრამ, როდესაც გაზრდებიან, ვეღარც იმას გრძნობენ, რომ უკვე სულ სხვაგარი შეზღუდვა სჭირდებათ და თავისუფლებას ესწრაფიან.

ფსიქოლოგიურად დადგენილია, რომ პიროვნების სტრუქტურა სამი ნაწილისგან შედგება, ესაა: იდი, ეგო და სუპერეგო. იდი პირი-მიტიული და არაორგანიზებულია, ჩვენი პიროვნების მიუწვდომელი, ბნელი ნაწილია. მასში ურთიერთგამომრიცხავი იმპულსები გვერდიგ-

ვერდ თანაარსებობენ იდი მოიცავს აზრებს რომლებიც არასოდეს ცნობიერდებიან და აზრებს რომლებიც ცნობიერების მიერ უარყოფილიქმნა. მისი მიზანია საამონების გაძლიერება და დისკომფორტის მდგომარეობის მინიჭებამდე დაყვანა. ბაგშვებს ტავიდან მხოლოდ იდი აქვთ, ამიტომ მათთვის წარმოუდგენელი და განუხორციელებელი ამოცანა პირველადი მოთხოვნილებების დაუკავშობილებლობა და გადადება. ეგო გარესამყაროსთან, რეალობასთან კონტაქტსი იმყოფება. მისი წარმოქმნის შედეგად, ბაგშვი იწყებს რეალობის გაცნობიერებას და იდის მოთხოვნილებების დაშოშმნებას. ეგო ცდილობს იდის სურვილების გამოხატვას და დაკავშოფილებას იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელთაც გარე სამყარო აწესებს სუპერეგო განვითარებული პიროვნების ბოლო კომპონენტია და წარმოადგენს ქცევის სტანდარტებსა და საზოგადოებრივი ნორმების ფორმას. ამ სამიდან ყველაზე მნიშვნელოვანის სუპერეგოს ჩამოყალიბებაში, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სხვა ფიგურებთ ნურთიერობა თამაშობს დიდ როლს. იგი მაშინ ჩნდება, როდესაც ბაგშვი “სწორისა” და “არასწორის” გარჩევას იქცებს, იგებს რა არის კარგი და რა ცუდი. თავდაპირველად სუპერეგო მშობლების მოლოდინებს ასახავს, მაგარმ მოგვაინებით სოციალურ სამყაროს გაფართოებასთან ერთად სუპერეგო იზრდება. იგი ორ ქვეტიად იყოფა: სინდისად და ეგო იდეალად. სინდისი შეიძინება მსობლებისეული სასჯელის მეშვეობით (შეიძლება დავისაჯო) და მაშინ წარმოიშვება როდესაც ბაგშვია იცის, რომ კინკრუტული ქმედებით რაღაც დააშავა. ეგო იდეალი კი ფირმირდება იმისგან, რასაც მშობლები აქებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ. სუპერეგო მთლიანად ჩამოყალიბებულად ითვლება, როდესაც მშობლების ცონტროლს თვითკონტროლი ცვლის. ასე, რომ სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებს ყველაზე დიდი როლი დედ-მამას აქვს პიროვნების ჩამოყალიბება.

ხშირად, მშობლები შვილებს “სხვაზე უკეთ ცხოვრების” ინსტიქტს უდეიძენ, მათში მოშხმურებლის მსოფლმხედველობას აღვივებენ. მისწრაფება – “არ ვიცხოვო სხვაზე უარესად” უსათუოდ გადაიქცევა “სხვაზე უკეთესად ცხოვრების” ჟინად. ხშირად ეს ხდება ჩვენდ უნებურად. მშობლები დარწმუნებულები არიან, რომ საუკეთესო აღზრდას აძლევენ შვილებს, მაგრამ სინამდვილეში აღრმავებენ უფსკრულს მათ შორის.

ბოლოს, გვსურს, დავამთავროთ უწმინდესის სიტყვებით: “მოზარდს თავიდანვე უნდა გაყუდვივთ ტმიდა წერილისადმი” მოწიწება და სიყავრული, ეკლესიური ცხოვრების სურვილი. დავანახოთ ცოდვა და ცოდვითი მიდრევილებანი, ვასწავლოთ გარჩევა სიკეთისა

და ბოროტებისა, ვასწავლოთ სინანული, შერიგება, უნარი დანაშაულის აღიარებისა, სიმართლის დაცვისა, ისინი უნდა შევაჩვით სიყვარულით ცხოვრებას, სხვისი ტკივილის გათავისებას, ზრუნვას გაჭირებულებისა და ავადმყოფებისადმი და საერთოდაც, უნდა აღვწარდოთ მათში სურვილი იცხოვონ და იღვწონ ღმერთან, მოყვასითან და ბუნებასთან თანხმობასა და კავშირში” (1, 456).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ”ეპისტოლები, სიტყვანი, ქადაგებანი.” I ტომი, II ტომი. 1977-1996.
2. მამა პაისი მთაწმინდელი. ”ოჯახური ცხოვრება” 2006წ.
3. საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 1991წ.
4. ქადაგებანი იმერეთის ეპსკოპოსის გაბრიელისა. ტომი I, ტომ II. ქუთაისი. სტამბა ”მმობა”. 1913წ.
5. პაიმ ჯ. ჯაინოტი. ”მშობლები და შვილები” თბილისი. 1991წ.
6. დ. უზნაძე. ” ბავშვის ფსიქოლოგია”. თბილისი. 1947წ.

**Salome Davituliani  
Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University,  
Faculty of Humanities  
III Year Student**

### The relations between generations in the example of parents and childrens with the christian and aspects

#### Summary

There is consideration about the relationship between parents and children, general review of connection between psychology and orthodox church and comparative analysis. There is some differences from psychological and from orthodox view about this theme, but in both case parents role is most important in their children development. This relationship is very important in our century, and not only in our century.

## თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი (Translations)

ვლადიმერ კოლოსოვი  
ტატიანა პავლოვა

ტერმინების „მართლმადიდებელისა” და  
„მართლმადიდებლობის” ეტიმოლოგიისათვის

დღეისათვის ყველა თანხმდება იმ საკითხზე, რომ კაცობრიობა თავისი განვითარების პროცესში გადის სხავდასხვა ეტაპსა და საფეხურს, რომელიც ერთმანეთისაგან მრავალი პარამეტრითა და მნიშვნელით განსხვავდება. ეს თანაბრად ეხება ეთნიკურ წარმონაქმნებსაც, რომელთა მიმართაც ინტერესი თანამედროვე რუსეთში საგამოც მაღალია. ეთნოსის ცხოვრებაში მიძღინარე ცვლილებებზე თვალის მიღევნება შესაძლებელია, მაგალითად ენის ცვლილებათა მაგალითზეც, რომელიც არის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნიშანი ნებისმიერი ეთნიკური წარმონაქმნის იდენტიფიკაციისათვის. ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც განსაზღვრული მნიშვნელიბებით გამოიყენება და მაგალითად დაკავშირებული არიან ერის სულიერებასთან.

რუსი ერისათვის ამგვარ ნიშნიერ სიტყვებად სამართლიანად ითვლება ტერმინები „მართლმადიდებლობა” და „მართლმადიდებელი”. დღეისათვის ისინი ჩვეულებისამებრ ასოცირდება აღმოსავლეთის ქრისტიანობის იმ ტოტთან, რომელიც აღიარებულია რუსეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ. X საუგუნეში რუსეთმა მიიღო აღმოსავლური (ბიზანტიური) ქრისტიანობა, რომელიც მსოფლიო შვიდი საეკლესიო კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს მისდევდა. ქრისტიანობის ამ მიმართულებაშ ბერძულწარმართულ ქრისტიანულ სამყარიში მიიღო სახელწოდება „ორთოდიქსი”, რაც რუსულ ენაზე ნიშნავს „ჭეშმარიტ სარწმუნოებას”. ჩნდება კითხვა:

„ჭეშმარიტი სარწმუნოება” როგორ ტრანსფორმირდა „მართლმადიდებლობაში”? ზშირად ეს საკითხი ღვთისმეტყველებში იწვევს უფრო გაკვირვებას, ვიდრე მასზე პასუხის პოვნის სურვილს. მითუმეტეს ჭეშმარიტება, ისევე როგორც მისი ძიების პროცესი, კი არ უნდა ყოფდეს, არამედ პირიქით, უნდა აერთიანებდეს ადამიანებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გთვაზობთ მიყიდვით ტერმინ „მართლმადიდებელის” საკითხთან არა წინასწარშექმნილი აზრით, არამედ ფაქტურ მასალაზე დაყრდნობით. ამგვარ მასალებად ითვლება სხადასხვა ისტორიული ღოკუმენტები, კერძოდ, მატიანები. ძველი რუსული მატიანები არა მხოლოდ აღწერენ და განმარტავენ ისტორიულ მოვლენებს, არამედ ასახავენ იმ დროის თანამედროვე ენის განვითარების საფეხურს, კერძოდ იმ ნაწილისა, რომელიც გამოიყენებოდა ოფიციალურ ბრძნებებსა და საეკლესიო ღოკუმენტებში, რამდენადც თავდაპირებულად უამთააღმწერლობით ცენტრები მონასტრებში არსებობდა. სამატიანო წყაროების მნიშვნელოვან ნაწილში წინააღმდეგობრიობის არსებობამ ჰკვლევარება, კერძოდ კი ა.ა.შახმატოვა მიიყვანა იმ აზრამდე, რომ მემატიანეს ხელს „მართავდა პოლიტიკური და მსოფლიო ინტერესები.”\* ეს თავის მხრივ ხელს აძლევდა ზოგიერთ ისტორიკოსს მრავლი ისტორიული პროცესი და მოვლენა ფაქტებთან სრულიად წინააღმდეგობრივად აღეწერა, რაც ფიქსირდება რუსული და სლავური წარმოშობის სამატიანო წყაროებში. ია.ს. ლურიე წერდა: „XV-XVI სს-ის მატიანები არ შეიძლება ჩაითვალოს ძველი რუსეთის ისტორიის სარწმუნო წყაროებად. მატიანები წარმოადგენენ ფასულობებს არა მარტო იმ ფაქტების უტყუარობისთვის, რომელთაც აღეწერ. მატიანები არიან ასევე თავისი დროის ძეგლები. ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო იმის ცოდნა, თუ „საიდან წარმოიშვა რუსული მიწა”, არამედ როგორ იღებს მის ისტორიას მომდევნო საუკუნის ადამიანები. ამ მიმართებით ყველა წყარო... იწვევს დიდი ინრესს.”\* ამიტომ, ზოგიერთი სამატიანო წყაროს აშკარა ტენდენციურობის მიუწვდავად, კერძოდ კი XV ს-ის ბოლოსა და XVI საუკუნის, ენა რომელიც მათი დაწერისას გამოიყენეს, შესაძლოა განიხილოს იმ პროცესების ფაქტიური მოწმის სახით, რომელიც მიმდინარეობდა იმ დროის რუსეთის სასულეორ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვერებაში. ამგვარმა დასკვნამ გამოიწვია რუსეთში გამოქვეყნებული რუსული სამატიანო ღოკუმენტების კვლევა, სადაც გამოყენებული იყო ტერმინები „მართლმადიდებელი” და „მართლმადიდებლობა”, ასევე ეპითეტები, რომლებიც შეესაბამებოდნენ „რწმუნის”, „ეკლესიის” და „ქრისტიანობის” გაგებას.

კვლევისას ანალიზი 79 სამატანო დოკუმენტს ჩაუტარდა, რომელიც შემდეგი დათარიღებისანი იყვნენ: XVს – 9 დოკუმენტი; XVIს-ის ბოლო და XVI ს-ის სასაწყისი – 6 დოკუმენტი; XVI ს – 25 დოკუმენტი; XVI ს-ის ბოლო-XVII ს დასაწყისი – 2 დოკუ-მენტი; XVII ს – 28 დოკუმენტი; XVII ს-ის ბოლო-XVIII ს-ის და-საწყისი-2 დოკუმენტი; XVIII ს-3 დოკუმენტი; XIX ს – 1 დოკუ-მენტი.

ყველაზე საინტერესო შედეგი მოგვცა ნოვგოროდის I მატია-ნეს ძეგლი რედაქციის სინდალურმა ნუსხამ, რომელიც XIVსაუკუ-ნის II ნახევრით თარიღდება. დღეს დღეის ბით ეს სამატანო წყარო ჩრდილოეთ რუსეთის მატიანებიდან ჩვენამდე მოღწეული უქველე-სი ძეგლია. ამ მატიანეში არ გვხვდება ტერმინები „მართლმადიდე-ბელი“ და „მართლმადიდებლობა“. „რწმენის“ ცნების აღმნიშვნელად გამოიყენება ისეთი ეპითეტები, როგორიცაა ჰეშმარიტება, ქრისტია-ნული და მართალი. „ეკლესიის“ ცნება გამოიყენება არა სოციალურ ინსტიტუტებთან, არამედ მხოლოდ საკულტო ნაგებობებთან დაკავ-შირებით. „ქრისტიანობის“ ცნება საერთოდ არ გვხვდება. აღნიშვნუ-ლი მატიანე წარმოადგენს პროტოგრაფზე<sup>1</sup> ნოვგოროდის I მატიანის ახალ რედაქციის კომისიონური ნუსხისა, რომელიც დათარიღებუ-ლია XVს-ის I ნახევრით. ამ სამატანო დოკუმენტში „რწმენის“ ცნებასთან აღსანიშნავად გამოიყენებულია ისეთი ეპითეტები, როგო-რიცაა უბიწო, ქრისტიანული, მართალი და მართლმორწმუნე. ეპი-თეტი „მართლმორწმუნე“ გამოიყენება ასევე „არქიეპისკოპოსისა“ და „ქრისტიანის“ აღსანიშნავად. კომისიონური ნუსხის ნოვგოროდის I მატიანეს ახალ რედაქციაში გამოიყენება ტერმინი „მართლმადიდე-ბელი“ თავად აღესანდრე ნევსკის ცხოვრების აღწერისას: „... და დამცველი ჰეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენი-სა, რომელიც ათრთოლებდა აღესანდრეს....“. 1240 წლის მოვლე-ნებს, რომელიც აშკარად გამომოწრილია ნოვგოროდის I მატიანეს ძველი რედაქციიდან, უკვე წინ უძღვის თავადის ცხოვრების აღწე-რა, რომელშიც გამოყენებულია საძიებელი ტერმინი. რაც შეეხბა „მართლმადიდებელს“, ეს ტერმინი არ გვხვდება მითითებულ მატია-ნეში.

თუკი ჩვენ გადავხდავთ ცენტრალური რუსეთის ძველ მატია-ნეთა ძეგლებს: ლავრენტისეული ნუსხის 2 გარდასულ დროთა ამბავს და ამავე ნუსხის სუზდალისეულ მატიანეს, რომელიც დათარიღებუ-ლია 1377წლით, ჩვენ დავინახავთ საერთო, მსგავს სურათს. ლავ-რანტისეული ნუსხის გარადსულ დროთა ამბავში „რწმენის“ ცნების აღსანიშნავად გამოყებულია ისეთი ეპითეტები, როგორიცაა ღვთაებ-

რივი, ჭეშმარიტი, უბიწო და მართალი, ასევე ერთხელ გვხვდება ეპითეტი მართლმადიდებელი: „.... ამგვარი საქმეებით გამოიწრობა ჩვენი მართლმადიდებელი რწმენა...”. საინტერესოა ისიც, რომ ეს ტერმინი გამოყენებულია მოგვთა განსაცდელების აღწერისას, რომელიც უამთააღმწერელს თავად ოლეგის სიკვდილის (912წ) აღწერის შემდეგ ჩაუსკაში, რაც რუსეთის მოქცევამდე რაძინიმე ათეული წლის წინ მოხდა. ლავრენტისეული ნუსხის სუზდალისეული მატიანეში „რწმენის” ცნებასთან დაკავშირებით გამოყენებულია ეპითეტები ქრისტიანობა და მართლმორწმუნებელია, ამასთანავე ეპითეტი „მართლმორწმუნეს” შეესაბამება „ადამიანურის”, „დიდი თავადის” და „ხალხის უმრავლესობის” გაგებაც. ვლადიმირის თავადის, კინ-სტანტინეს გარდაცვალების აღწერისას ვხვდება ასევე ტერმინი „სამოციქულო მართლმადიდებლობა”. მოცემულ სამატიანო დოკუმენტებში „ეკლესიის” ცნება უკვე იხმარება რწმენის სიმბოლოსა და სოციალურ ინსტიტუტის აღსანიშავად („და იქნება განკვეთილი ეპლესისაგან...”), „.... საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია...”), ხოლო ტერმინები „ქრისტიანობა” და „მართლმადიდებლობა” არ გამოიყენება.

იპოტევსკისეული ნუსხის<sup>3</sup> მატიანეს (დათარიღებულია 1425 წლით და დაწერილია ჩრდილოეთ რუსეთში), ია.ს.ლურიეს აზრით, საეთო პროტოგრაფი აქვს ლავრენტისეული ნუსხის გარდასულ დროთა ამბავთან, სადაც ტერმინი „მართლმადიდებელი” და „მართლმადიდებლობა” არ გვხვდება, ხილო მატიანეთა კომეტერებში თავადი ოლეგის სიკვდილთან დაკავშირებით წერია: „.... ამგვარი საქმეებით გამოიწრობა ჩვენი სახელოვანი რწმენა...”. საინტერესოა, რომ ობოლენისეულ ნუსხის სოფთასეულ I მატიანეში (დათარიღებული XVს-ის 70-80-იანი წლებით და დაწერილია ჩრდილოეთ რუსეთში), მოცემულ კონტექსტში გამოიყენება „...დიადი რწმენა...”. XV საუკუნის გარდასულ დროთა ამბის სხვა ნუსხებში, კერძოდ კი, რაძინილესეული ნუსხაში, რომელიც თარიღდება 1486-1490წლებით და მოსკოვის აკადემიურ მატიანეებში, რომელებსაც მაკვლევარები მიაკუთვნებენ XVს-ის II ნახევარს, ზემოთ აღნიშნულ კონტექსტში გამოყენებულია „მართლმადიდებლური რწმენა”. უფრო გვიანდელი დათარიღების მატიანესეულ წყაროებში ამ კონტექსტან დაკავშირებით გვხვდება ტერმინი „მართლმადიდებელი”. იპოტევსკისეული ნუსხის მატიანეებში უკვე იხმარება „ქრისტიანობის” ცნება და ორჯერ გვხვდება ტერმინი „მართლმორწმუნე”.

თუკი გადავხედავთ XV საუკუნის სამატიანო წყაროების ანალიზს, ტერმინები „მართლმადიდებელი” და „მართლმადიდებლობა”

იპოტევსკისეული ნუსხის მატიანებსა და სინოდალური ნუსხის ფსკოვის II მატიანეს<sup>4</sup> გარადა არსად არ გვხვდება. ეს უკანასკნელი ასევე ჩრდილოეთ რუსეთშია დაწერილი. ტერმინი „მართლმადიდებელი” გამოყენებულია კომისიონური ნუსხის ნოვგოროდის I მატიანის ახალ რედაქციაში, მოსკოვის აკადემიურ მატიანეში, ობოლენსკისეული ნისხის სოფიისეულ I მატიანეში, აბრამისეულ<sup>5</sup> (სმოლენსკი), როგორისეულ (ტვერი), რაძივილოსეულ და ნიკიფორესეულ (ბელარუსია) მატიანებში. ამასთანავე კომისიონური ნუსხის ნოვგოროდისეული I მატიანის ახალ რედაქციაში, რაძივილოსეულ და ნიკიფორესეულ მატიანებში ის გვხვდება მხოლოდ თითოჯვრ „რწმენის” ცნების გამოსახატავად. საერთო ჯმში, ამ პერიოდის მატიანებში ტერმინი „მართლმადიდებელი” იხმარება იმგვარი ცნების აღსნიშნავად, როგორიცაა რწმენა, ადამიანები, ეკლესია, თავადი, ქრისტიანი, მღვდელმათვარი. XVსაუკუნის სამატიანო დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინი „მართლმორწმუნე”, მნიშვნელოვნად აჭარბებს ტერმინ „მართლმადიდებელის” გამოყენების რაოდნობას. გამონაკლისს წერმოადგენს როგორის უამთააღმწერელი და აბრამისეული მატიანე, სადაც ეს ტერმინები თითოების თანაბრი რაოდნობით არის გამოყენებული. რაც შეეხება ტერმინ „მართლმადიდებლობას”, ის გვხვდება მხოლოდ ობოლენსკისეული ნუსხის სოფიის I მატიანეში და ასევე აბრამისეულ მატიანეში.

XVს-ის ბოლოსა და XVIს-ის დასასრულის მატიანეთა ანალიზი აჩვენებს, რომ სამატიანო ენაში ხდება მუდმივი ჩანაცვლება ტერმინისა „მართლმორწმუნე”-, „მართლმადიდებლით”. ექვსი გაანალიზებული სამატიანო წყაროდან ტერმინი „მართლმორწმუნე” გვხვდება მხოლოდ ორ მატიანეში, რომელიც ჩრდილოეთ რუსეთშია დაწერილი. ეს არის ნოვგოროდის IV მატიანე და ნოვგოროდის კარამზისეულ მატიანე. ამ წყაროებში ტერმინი „მართლმადიდებელი” ხშირად გვხვდება და გაფართოებული მნიშვნელობით, ისე როგორც დღეს გამოიყენება. სანტერესოა, რომ სლუცკისეულ (უვარვისეულ) მატიანესა (ბელარუსია) და ვილენსკისეულ მატიანეში (ლიტვა) გაანალიზებული ტერმინები საერთოდ არ გვხვდება.

XVI საუკუნის სამატიანო დოკუმენტებში გახშირდა ტერმინთა „მართლმორწმუნისა” და „მართლმორწმუნების”-, „მართლმადიდებელისა” და „მართლმადიდებლობზე” ცვლილებათა ტენდენცია. ტრემინი „მართლმორწმუნებობა” გვხვდება მხოლოდ ორ მატიანეში: სიმონისეულში<sup>6</sup> (პოდმოსკოვი), 1219წლის მოვლენათა აღწერისას და დასაცლეთ რუსეული რედაქციის ქოროგრაფში, ბიზანტიის ისტორიის აღწერისას. ტერმინი „მართლმორწმუნე” არ გვხვდება XVIსაუ-

კუნის მოვლენათა გადმოცემისას, უფრო გვიან იგი ნახსენებია ვოლინსკისეულ მცირე მატიანეში (დასავლეთი რუსეთი) 1497წლის მოვლენათა ფონზე. რაც შექება ტერმინ „მართლმადიდებელს”, მისი გამოყენების „გეოგრაფია” მოიცავს 29 ცნებას, მათ შორის „მოწის” ცნებას სიმონისეულ მატიანეში, რომელიც ასევე გამოიყენება არსებოთის სახით. მოგვიანებით მართლმადიდებლებად თვლებოდნენ არა მარტო ბიზანტიელი მმართველები, არამედ ქრისტიანობის ყველა აღმსარებელი მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიებად გაყოფამდე. ფართოვდება „რწმენის” გაგებასთან დაკავშირებით ეპითეტთა სია, ისინი უფრო სადღესასწაულო გახდა. რაჩინსკისეულ მატიანეში (დასავლეთი რუსეთი) ჩნდება ისეთი ცნება, როგორიცაა „რუსეული რწმენა”. მოგვიანებით ეს ცნება გვხვდება დასავლეთ რუსეთის XVIIს-ის რუმინცევისეულ და ევრენონვისეულ მატიანებში, ასევე ამავე პერიოდის სტროვისეული ნუსხის ტვერისეულ მატიანეში.

XVს-ის ბოლოდან – XVII ს-ის დასასრულის სამატიანო წყაროებიდან დაწყებული ტერმინი „მართლმაწუნე” აღარ იხმარება. გამონაკლისს წარმოადგენს დუბოვსკისეული ნუსხის ნოვგოროდისეული მატიანე (XVIIს, ჩრდილოეთ რუსეთი), პისკარისეული მატიანე (XVIIს, ცენტრალური რუსეთი), ლიტვოვისეული ქრონიკა და ტობოლნისეული ნუსხის ჟმოიტის ქრონიკა. სამატიანო ენა მატიანეთა თხრობისას ხდება ნაკლებად პომპეზური. ტერმინმა „მართმადიდებელმაც” განიცადა ცვლილებანი: სიჩევსკის ნუსხის ესიპოვოსეული მატიანის ძირითადი რეჯაქციაში (XVIIს, ტობოლსკი) და გოლოვინის რედაქციის სიბირისეულ მატიანეში (XVIIს, ტობოლსკი) გამოიყენება გამონათქვამი „რუსეულმართლმადიდებელი ქრისტიანები”, ხოლო მაზურინისეულ მატიანეში (XVIIს, საწერის ადგილი დაიდგნებლია) – „რუსეულმართლმადიდებელი თავადები”.

ზემოთმყვანილი ფაქტები ადასტურებენ იმას, რომ ტერმინი „მართლმადიდებელი”, რომელიც აღმოსავლეთის ქრისტიანობისთვის იყო დამახასიათებელი, როგორც სიმბოლო მისი აღმსარებლობისა, სახზემწიფითო და ეკლესიის ოფიციალურ ენაში XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო გამოჩენა, ამასთანვე ეს პროცესი ცენტრალურ რუსეთის უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვიდრე ჩრდილოეთში. სამწუხაროა, რომ კიევის რუსეთში (სამხრეთით) შექმნილი სამატიანო დოკუმენტებსა ან მისი ნუსხებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამოქეცეყბული, 1846წლიდან დაწყებული სამატიანო დაკუმენტებიდან მკვდევარები მიაწერენ სამხრეთრუსეულ წარმოშობას მხოლოდ გუსტინისეულ მატიანეს

(XVII საუკუნის II ნახევარი, პოლტავსკის გუბერნიის წმინდა სამების გუსტინის მონასტერი) და სტოევას ნუსხის ტვერის მატიანეს (XVII საუკუნის მეორე მეოთხედი, კიევი). კვლევის ამ ატაპზე ეს არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ზემოთ გაანალიზებული ტერმინები კიევის რუსეთშიც გამოიყენებოდა. უფრო აქტიურად ტერმინები „მართლმადიდებლობი“ და „მართლმადიდებლობის“ XVI საუკუნიდან უკვე ხმარებაში შემოდის, თანაც ნოვგოროდისეულ მატიანებში ტერმინი „მართლმადიდებლობა“ გამოყენებული მხოლოდ დუბრივის ნუსხის ნოვგოროდისეულ მატიანები 1471-1491 წლების მოვლენათა აღწერისას (XVIII). ხანდახან ფურადლებას იპყრობს ამ ტერმინთა უადგილო ხმარება, მაგალითად, მოსესთან დაკავშირებით, შეიძლება განიხილულ იყოს როგორც „ზემოდა“ შემოღებული მიზანმიმართული შედეგი, აზრის ჩაუწვდომლობის გარეშე.

თუკი თვალს გადავავლებთ იმ დროის ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებულნი ყოფილიყნენ ეკლესიასა და სახელმწიფო ენაში ტერმინების „მართლმადიდებელისა“ და „მართლმადიდებლობის“ გავრცელებასთან, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა რუსული სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და მონძოლ-თათართა უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობდა აღმოსავლეთის ქრისტიანობაში: 1439წელი - ფლორენციის უნა, 1448წელი - რუსეთის ეკლესია ხდება ავტოკეფალური, 1453წელი - თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღება, 1461წელი - მოსკოვისა და კიევის სამიტროპოლიტოს გაყოფა. არ შეიძლება არ ვახსენოთ ცნობილი ფორმულა „მოსკოვი-მესამე რომი“, რომელიც ფილიპეის მონასტრის ბერ ელიაზარ ფსკოველის მიერ დიდი თავადის, ვასილი მესამისადმი 1514-1521წმ დაწერილ უსტარში იქნა ფორმულირებული.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს იმის ვარაუდის უფლებას, რომ ოფიციალური სახით ტერმინები „მართლმადიდებელი“ და „მართლმადიდებლობა“ შედის იმ ტალღაში, რომელიც მოსკოვის ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყლიბებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოჰყვა, რასაც თან დართო რუსული ქრისტიანული ავტოკეფალიის წარმოშობა. ბუნებრივია, ეს მიღის „პრავ“ და „სლავ“-ის ფესვების წარმოშობის, ძველრუსულ ენაში, კერძოდ გლავოლიცში მათი არსებობის საკითხამდე. ვთვლით, რომ შემდგომმა გამოკვლევებმა შესაძლოა ნათელი მოფინოს რუსი ხალხის, სხვა სლავური ერებისა და ეთნოსების, რუსული მართლმადი-

დებული გალესიისა და რუსეთის სახელმწიფოს განვითარებისას მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს.

1. Шахматов А.А. Повесть временных лет. Пг., 1916. т. 1.

2. Я.С. Лурье. История России в летописании и восприятии Нового времени. // Россия Древняя и Россия Новая, Санкт-Петербург: Д. Буланин, 1977.

### კომენტარები

1. პროტოგრაფი- ბერძ. თავდაპირველი ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო უფრო გვიანდელ ნუსხებს.
2. ლავრენტისეული ნუსხა-ლავრენტისეული მატიანეს ნუსხა. პეტერგამენტზე დაწერილი კოდექსი, რომლიდანაც შემორჩენილია 173 ფურცელი. დაკარგულია 12 ფურცელი. ამჟამად ინახება რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.
3. იანტევსკისეული ნუსხა—იანტევსკისეული მატიანის ნუსხა, რომელიც 307 ფურცელს შეადგინს. თარიღდება 1420წლით. იგი XVIIIსაუკუნეში ინახბოდა იანტევსკის მონასტერში საიდანაც მიიღო კიდევ სახელწოდება. დაწერილია 5 მწერლის მიერ.
4. სინოდალური ნუსხის ფსკოვის II მატიანე— მატიანე შედგენილია 1486 წელს. მან ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი XV საუკუნის სინოდალური ნუსხის სახით.
5. აბრამისეული მატიანე—მატიანეთა კრებულია შედგენილი XV საუკუნეში, სმოლენსკში. სახელწოდება მიიღო მისი ავტორის აბრამის სახელიდან, რომელმაც 1495 წელს გადაწერა სმოლენსკის ეპისკოპოსის იოსების(სალტანი) დავალებით დიდი კრებული, რომლის შემადგენლობასიც იყო ეს მატიანე.
6. სიმონისეული მატიანე— XV საუკუნის ბოლოს ხელნაწერი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან. ხელნაწერის მიხედვით დადგენილია მისი ავტორი— იოსებ- ვალაკოლავსკის მონასტრის წიგნის მკითხველი დიმიტრია ლაფშინა.

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო  
თამარ ტლაშვაძემ

## ჯორჯ ელდონ ლედლი

### ახალი აღთქმის თეოლოგია იოანე ნათლისმცემელი (იბეჭდება შემოკლებით)

იოანე ნათლისმცემელის მსახურების შეფასება მხოლოდ იმ დროის ისტორიული ფონის განხილვითაა შესაძლებელი, რა ეპოქა-შიც იყო მოღვაწეობა. დიდი წნის განმავლობაში წინასწარმეტყველების ცოცხალი ხმა დადუშებულიყო. ღმერთი თავის ერს პირდაპირ წინასწარმეტყველის სიტყვებით აღარ ეხმაინებოდა. შემოქმედი ამას იმის გამო აკეთებდა, რომ ეუწყებინა თავისი ნება, აეხსნა წარმართები რის გამო ავიწროვებდნენ ისრაელს, განესაჯა მისი ცოდვები, მოეწოდებინა საყოველთაო სიანულისაკენ, დაერწმუნებინა, რომ თუ არ შეინახებდნენ, მაშინ სასჯელი გარდაუვალი იყო და თუკი ერი ამ მოწოდებას შეეხმაინებოდა, მაშინ მათვის თავისუფლება აღეთქვა.

წინასწარმეტყველების ცოცხალი ხმის მაგიერ, სულიერი ცხოვრების ორი მიმდინარეობა იგეთებოდა, რომლებსაც ერთი საერთო სათავე გააჩნდათ: მწიგნობართა და აპოკალიპტთა რელიგია. პირველი ღვთის ნებას განმარტავდნენ, რაც მხოლოდ რჯულში მოცემული კანონების მორჩილებით (მათი მოაზრებით) საცნაურდებოდა, ხოლო მეორენი რჯულის პარალელურად, ძირითადად ფევდოეპიგრაფიკული ხასიათის აპოკალიპტურ ლიტერატურაში წარმოდგენილ მომავალზე ამყარებდნენ იმედებს.<sup>1</sup> ჩვენ არ გვაქვს მოწმობა იმის შესახებ, რომ ამგვარ აპოკალიპტთა შორის ვინმეს, რომელსაც ასეთი ფართო ლიტერატურული კრებული გააჩნდა, ერა ხალხში და ექადაგა სამომავლო ესქატოლოგიურ თავისუფლებაზე. ჩვენ არ ვიციობთ მათ შორის ვინმეს, როგორც წნის მქადაგებელს, ანუ წინასწარმეტყველს, რომელიც ერს ამგვარად მიმართავდა: „სე აბბობს უფალი.“ არც იმის შესახებ გვაქვს მოწმობა, რომ მათ თხზულებს ერში ესქატოლოგიური მოძრაობა წარმოეშვას, რომელიც ღვთის მალე მოსვლისა და მისი სამეფოს დამტკიცების მოლოდინს გააღვიძებდა. ცხადია, ყოველივე ეს მოხდებოდა, აპოკალიპტები ჰეშმარიტი საწინასწარმეტყველო სულით რომ ყოფილიყვნენ აღვსოლნი. მაგალითად, ყუმრანისტები უახლოეს მომავალში ისტორიის ესქატოლოგიურ დასასრულს ელოდნენ, თუმცა, ისინი უდაბ-

ნოში განმარტოვდნენ და არც უცდიათ ხალხი ამ დასასრულისათვის შეემზადებინათ.

მოძრაობები, რომელთა შესახებაც ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, უფრო პოლიტიკური იყო. აღნიშნული მოქმედებები რომის წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლებში გამოიხატებოდა და ასეთი ქმედებები მრავლად იყო. რომის წინააღმდეგ ბრძოლა ღვთის სასუფელის დადგომისათვის ბრძოლასთან იყო გაიგივებული. გამუდმებით, სხვადასხვა ადგილებში, ბრძო ხელში იღებდა იარაღს და ამასთან არა მხოლოდ ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, არამედ ღვთის სამეუფოს დადგომისათვისაც, რათა მხოლოდ ერთ ღმერთს ემართა თავისი ხალხი და არა — რომს.<sup>2</sup>

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეუმრანის თემი საწინასწარმეტყველო-ესქტოლოგიურ საზოგადოებას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ ამ სექტანტებს მართლაც სკეროდათ, რომ ისინი საღვთო სულის შთაგონების ქვეშ იყნენ, თუმცა ამ შთაგონებამ ისინი აძლელა ახლიბურად გაუზრგბინათ ძველაღთქმისული წიგნება და არ ეუწყებინათ ახალი წინასწარმეტყველება („ასე ამბობს უფალი“). ეუმრანის თემი ერთგვარად წარმოადგენდა რჯულის ნიშნით აღბეჭდილ საზოგადოებას, რომელიც არც კი ცდილობდა რაიმე ეუწყებინა ისრაელისათვის. ისინი უდაბნოში განმარტოვდნენ, რათა აქ აღესრულებინათ საღვთო რჯული და სასუფელის დადგომას დალოდებოდნენ.

იოანეს გამოჩენის ისტორიული მნიშვნელობა სწორედ აქ წარმოდგენილი სურათის ფონზე იქნება შეფასებული. უცრად, ხალხს, რომელიც იმ წარმართების უღელ ქვეშ გმინავდა, რომლებსაც მიეტაცებინათ საღვთო უფლება, ხალხს, რომელსაც სწეუროდა ღვთის სამეუფოს დადგომა და იმავდროულად გრძნობდა, რომ ღმერთი ღუმდა — მიმართა ახალმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც აუწყა, რომ „ღვთის სასუფელებული მოახლოებული იყო.“

იოანემ დატოვა ხალხმრავალი ადგილები და უდაბნოში განმარტოვდა (ლპ. I, 80). გარკვეული პერიოდის შემდეგ მასთან „იყო სიტყვა ღვთისა“ (ლპ. III, 2), რის შემდეგაც იოანე ჩნდება იორდანის ველზე და მოახლოებულ ცათა სასუფელზე წინასწარმეტყველებს.

თვისი ჩაცმულობით, იოანე წინასწარმეტყველთა გარეგნობას ბაძავდა.<sup>3</sup> ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იოანეს ამით სურდა ეჩვენებინა რომ ის თავს ელიად მიიჩნევდა;<sup>4</sup> თუმცა, თუკი იოანეს სახარებას მივაქცევთ ყურადღებას, ვნახავთ, რომ თავად იოანე ამას უარყოფდა (ინ. I, 21).

იოანეს ცხოვრება საწინასწარმეტყველო ტრადიციას შესაბამებოდა. ის ოუწყებოდა, რომ ღმერთი მალე გამოავლენდა თავის სამეუფო ძალას და დაიწყებდა მოქმედებას. ნათლისმცემელი ოუწყებოდა, რომ ამ უდიდეს მოვლენას წინ უნდა უსწრებდეს ერის სინაული და ამ სინაულის მოწმობად ნათლისძგბა უნდა იქცეს. ყოველივე ამას იოანე თავის საწინასწარმეტყველო ავტორიტეტზე დაყრდნობით ახორციელებდა, რადგან მას ღვთის სიტყვა ჰქონდა ნაუწყბი. იოლი წარმოსადგენია, როგორი მღლელვარება გამოიწვია ახალი წინასწარმეტყველის გამოჩენამ, რომელმაც ასეთი შესანიშნავი ამბავი აუწყა ხალხს. ღმერთი, რომელიც (იმ დროინდელი ოუდაური წარმოდგენების თანახმად) მრავალი საუკუნის მანძილზე უმოქმედოდ იყო, საბოლოოდ გადაწყვიტა აღთქმის აღსრულება და თავისი სამეუფოს დამტკიცება. სავარაუდოდ, ამბავი ახალი წინასწარმეტყველის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ იუდეაში და ხალხის ბრძო იორდანისაკენ დაიძრა, სადაც იოანე ქადაგებდა (მრკ. I, 5), რათა მისთვის მოესმინა და მის მოთხოვნებს დამორჩილებოდა. ბოლოსდაბოლოს ღმერთიმა მოვლინა თავისი წინასწარმეტყველი, რათა თავისი საღვთო ნება უწყებინა (მრკ. XI, 32; მო. XIV, 5).

იოანე ნათლისმცემლის ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ღმერთი მალე დაიწყებს მოქმედებას თავის სამეუფოში, ორ ასპექტს მოიცავდა. საქმე ეხებოდა ნათლიცების ორ სახეს: სულიწმინდითა და ცეცხლით (მო. III, 11; ლკ. III, 16). მარკოს მოცამულის საკმარის ლაკონურ თხრობაში მხოლოდ პირველი მათგანა ნახსენები (მრკ. I, 8). იოანეს სიტყვებს სხვადასხვავარად იგებენ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იოანე აუწყებდა ნათლობას ცეცხლით და მაღვევე მოსალოდნელ სამსჯავროს, რომელიც ამ განმწმენდელ ცეცხლში აღესრულებოდა. სულით ნათლობა განიხილება როგორც ქრისტიანული დამატება, რომელიც სულთმოფენიბის კვალობაზეა მოცემული.<sup>5</sup> მეორენი მიიჩნევენ, რომ სულით (პნეუმა) ნათლობა გულისხმობს არა სულიწმინდას, არამედ – მესიის ცეცხლოვანა პირისქარს, რომელიც მის მტრებს მოსპობს (ეს. XI, 4; 2 ეზდრ. XIII), ან მთუთითებენ, რომ აქ მოიაზრება საღვთო სამსჯავროს ქროლვა, რომელიც ბეღელიდან ცარიელ თავთავს გახვეტს. მესამენი მიიჩნევენ, რომ იოანე ერთი ნათლისღების შესახებ იუწყება, რომელიც ორი ძალით – ცოდვილთა დასჯითა და მართალთა განმწმენდითაა წარმოდგენილი.<sup>7</sup>

ძველ აღთქმაში სულის ესქატოლოგიურ გარდამოსვლის იმედი ფართოდა წარმოდგენილი. ესაიას ერთ-ერთ წინასწარმეტყველე-

ბაში ღმერთი იუწყება, რომ ის თავის ცხოველმყოფელ და ამაღორ-ძინებელ სულს მიჰთენს იაკობის მოდგმას (ეს. X IV, 3-5). სულის ასეთი მოფენა მესიანური ეპოქის ძირითად ძალად იქცევა, როდესაც მეფე-მესია სამართალსა და ნეტარებაში იმუჯგბს და ყველგან დამ-ტკიცდება სიმართლე და მშვიდობა (ეზეპ. XXXVII, 14). ამის შემ-დეგ ღმერთი თავის ერს მისცემს ახალ გულსა და ახალ სულს, რომელშიც იქნება სულიწმინდა და მისცემს მას საშუალებას, აღს-რულოს მისი ნება (ეზეპ. XXXVI, 27). ასეთივე აღთქმა მეორდება იოილ წინასწარმეტყველთან (II, 28-32). უფლის დიდი და საშინე-ლი დღე საღვთო სულის გარდამოსვლითა და ზეცაში და ქვეყანე აპოკლიფსური ნიშნებით იქნება საცნაური. ოთანე იუწყება, რომ ეს დაპირება მალე აღესრულება, თუმცა არა მის მიერ, არამედ მისით, რომელიც მის შემდგებ მოვა: მის შემდგომ მომავალი სულიწმინდით მონათლავს. საღვთო სულის მესიანური გარდამოსვლა მალე აღეს-რულება. თუკი ამ წინასწარმეტყველური მოლოდინის ფონს გავით-ვალისწინებთ, სავარაუდოდ უსაუკუპლო იქნება ვიფიქროთ, რომ იოანე მხოლოდ სამსჯავროთი (სასჯელით) ნათლიღებას იუწყებოდა.

იოანეს ნათლისცემა

იმისათვის, რომ ხალხი მომავალი სამეუფოსათვის მოემზადე-ბინა, იოანე მათ მოუწოდებს შეინანონ და წყლით მოინათლონ. სი-ნანულის იდეა (მეტანოია) ძველაღთქმისეულია, რომელიც ცოდვისა-გან ღვთისაკენ მიბრუნებას გულისხმობს. „მობრუნდით და განერი-დეთ თქვენს პერპებს და ყველა თქვენს სისაბაგლეს მოარიდეთ პი-რი“ – მოუწოდებდა ღმერთი განდგომილ ისრაელს (ეზეპ. XIV, 6; XVIII, 30; ეს. V, 6-7). მობრუნების იდეა ღმერთთან დაბრუნების კონტექსტშია გამოხატული (ეს. XIX, 22; V, 7; ეზეპ. XXXIII, 11; ოს. XIV, 1; იოილ. II, 13). სიტყვა „მობრუნება“ უკეთ გამოხატავს ამ იდეას, ვიდრე ტერმინი – „სინანული.“ „სინა-ნულში“ უწინარესად მოიაზრება დანანება, მწუხარება რაიმე ცოდ-ვის გამო, მეტანოია მოიაზრებს გონების შეცვლას; ამასთან ებრაე-ლებთან საუბარი მიმდინარეობდა ადამიანის მთლიანად ღმერთისაკენ მობრუნებაზე.

რაბინულ ლიტერატურაში აშკარა წინააღმდეგობაა თავად მობრუნების ტერმინის გაგებასთან დაკავშირებით. აბრამის ძენი, ერთი მხრივ, ფიქრობდნენ, რომ აბრაამმა, იყო რა ღვთის მორწმუნე, დამსახურების გარკვეული საგანმური მიიღო, რომელთანაც ხელი ყველა იუდეველს მოუწვდება.<sup>8</sup> მეორე მხრივ, რაბინები დიდ ყურად-ღებას უთმობეს სინანულს და თან იმდენად დიდს, რომ სწორედ სი-ნანული იწოდება იუდაურ მოძღვრებად წსნის შესახებ.<sup>9</sup> ამისი მიზე-

ზი ის გახლავთ, რომ სინანული რჯულის აღსრულებად გაიგება. საყოველთაოდ გავრცელებული იდეა ტესუბაპ-ის („სინანული“) შესახებ – რჯულს უფუძნება. მობრუნება კი ნიშნავს მიმართვას რჯულის მორჩილებისაკენ, სადაც განცხადებულია ღვთის ნება და შესაბამისად ის ასევე კეთილი საქმების აღსრულებაცაა. ეს მობრუნება შესაძლებელია კვლავ გამშეორდეს, თუკი ვინმე რჯულს დაარღვეს და შემდეგ კვლავ გამოავლენს მორჩილებას.<sup>10</sup>

სინანულის იდეა ყუმრანულ ლიტერატურაშიცაა გამოხატული. ყუმრანის საზოგადოების წევრები თავის „მობრუნებულ ისრაელიანებს“ უწოდებდნენ.<sup>11</sup> ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ როგორც რიტუალურ სისუფთავეს, ასევე შინაგან მდგომარეობას. „დაე, ცოდვილი ნუ შევა წყალში იმისათვის, რომ წმინდანთა განწმენდა მიიღოს, რამეთუ ადმინან ვერ მოიპოვებს სიწმინდეს, თუკი არ მიიქცევა თავისი ბოროტი განზრახვებისაგან. მანამ, სანამ კაცი არ-ლევეს მის<sup>12</sup> სიტყვას, ის გაუწმინდაურებულია.“<sup>13</sup> იმისათვის, რომ რიტუალური სიწმინდისათვის მიეღწიათ, სექტის წევრები ყოველ-დღიურ განბანგას აღასრულებდნენ, თუმცა განსაწმენდელ წყალს მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ეს განწმენდა შესაბამისი ზნეობრივი სიწმინდითა და სამართლიანობით აღსრულებოდა.<sup>14</sup> მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყუმრანული მოქცევა მოიაზრებდა სოციალურ გამოყოფას „წყვდიადის ძეთაგან“ და რჯულის იმგვარ მკაცრ მორჩილებას, როგორც ამას აღნაშნული საზოგადოების წევრები მოისაზრებდნენ. ზოგადად, მათი შეხედულებები შესაბლებელია განსილულ იქნას როგორც „მერჯულეული გაგება მობრუნებისა“, როდესაც ადმინან „ცოდვას განერიდება და გადაჭრით ამბობს უარს ცოდვილებთან ურთიერთობაზე, რათა რჯული აღასრულოს უმკაცრესად.“<sup>15</sup>

ოთანებს ნათლისცემა უარყოფდა ყველა იმ სახის სიმართლეს, რომელიც რჩეულობის იდეასა თუ რჯულის მყაცრ დაცვას უფუძნებოდა.<sup>16</sup> ის ღვთისაკენ ზნეობრიგ-სულიერ მობრუნებას ითხოვდა. ითანე არ იღებდა ამგვარ მართლებს. მხოლოდ იმას აცდება მომავალი სამსჯავრო, რომელსაც შეენანებინა და თავისი სინანული ცხოვრების შეცვლით დაემოწმებინა. ამაռა მესიანური ხსნის იმედი გქონდებს იმის გამო, რომ აბრამის მოდგმისა ხარ. ხე, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, მოიშრება და დაიწვება, თუნდაც ის (მაშინ გავრცელებული შეხედულების თანახმად) უფლის მიერ ყოფილიყო დარგული. ხსნის საფუძველი მხოლოდ სულიერ-ზნეობრივია და არა ნაციონალური. ისე რომ თავის განრისხებას არ ფარავს, ითანე ის-რაელის სულიერ წინამძღვრებს უუბნება, რომ მათვის უშედევოა,

იქედნეთა მსგავსად, მომავალ სასჯელს გაურბოლნენ (მთ. III, 7). ჩვენ ამჯერადაც საქმე გვაქვს ესქატოლოგიურ ტერმინოლოგიასთან, რომელსაც თავისი ძველაღთქმისეული კონტექსტი გააჩნია. იოანეს თანამედროვე თუდეველები დათის რისხვას ელოდნენ, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ის მხოლოდ წარმართებისათვის იქნებოდა განკუთვნილი. იოანე კი მიუთითებდა, რომ დათის რისხვა არც იმ თუდეველებს აუგლიდა გვერდს, რომლებიც არ შენანგბოდნენ.

ლუკა მახარებელთან თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი იოანეს მოწოდება ცვლილებისაკენ. ისინი, რომლებიც მდიდრები არიან, დარიბებს უნდა დაეხმარონ. იმის მაგიერ, რომ ერს აუტანელი გადასახადები დააკისრონ, გადასახადების ამკრევნი მხოლოდ იმდენს უნდა დაჯერდნენ, რამდენიც განწესებულია. შეუძლებელია არ დავთანხმოთ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი მოთხოვნები „გაართულებდა მათ<sup>17</sup> ურთიერთობას იმ სოციალურ თუ ეკონომიკურ სტრუქტურებთან, რომლებსაც თავად განეკუთვნებოდნენ.”<sup>18</sup> ჯარისკაცებიც უნდა დაკავშიროვლებულიყვნენ მათი გასამრჯელოთი და მარადიორობა უნდა შეეწყოტათ.

#### იოანეს ნათლისცემასთან დაკავშირებით წყაროები

იოანეს ნათლისცემასთან დაკავშირებით მეცნიერებს ერთიანი მოსაზრება არ გააჩნიათ. ზოგიერთი (მაგალითად, რობინსონი, ბრაუნი, სკობი) მიიჩნევს, რომ იოანე იმ განბანვას იყენებდა, რაც ყუმრანისტებთან აღესრულებოდა.<sup>19</sup> სკობიძე ყუმრანის ტექსტებში იპივა განბანვის აღწერა, რომელიც საზოგადოებაში მიღებისას აღესრულებოდა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ ყუმრანისტებს ინიციაციის რაიმე განსაკუთრებული პრაქტიკა გააჩნდათ, რომელსაც ნათლისცემას ვუწოდებდით. აღნიშნული ფრაგმენტი ტექსტიდან უფრო ყოველდღიური განბანვის რიტუალის არსებობას მოწმობს, რომელსაც უკვე საზოგადოებაში მიღებული წევრები აღასრულებდნენ.<sup>20</sup> თუმცა, შესაძლებელია, იოანე იყენებდა ამ განბანვას რათა აღესრულებინა თავისი უნიკალური, ერთჯერადი ესქატოლოგიური რიტუალი.

სხვა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ იოანეს ნათლისცემა პროზელიტების ნათლობას ეფუძნებოდა. როდესაც წარმართი იუდაურ რელიგიას აღიარებდა, მას უნდა აღესრულებინა განბანვისა და წინადაცვეთის რიტუალი. ამ შემთხვევაში შემდეგი პრობლემა დგება: ასეთი ნათლობა ახალაღთქმისეულ პერიოდშიც თუ აღესრულებოდა. ხშირად ამას უარყოფენ.<sup>21</sup> თუმცა, ეპრაული ლიტერატურის სპეციალისტები საწინააღმდეგო აზრს იცავენ.<sup>22</sup> იმდენად, რამდენადაც პროზელიტების წყალში შთაფვლა ჰილელისა და შამაიას სკოლების

მიშნაში<sup>23</sup> განიხილება,<sup>24</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ პრაქტიკასთან, რომელიც თითქმის ახალი აღ- თქმის ეპოქაში გამოიყენებოდა.

ნათლობას შორის, რომელსაც ერთი მხრივ იოანე აღასრუ- ლებდა და მეორე მხრივ პროზელიტებზე აღსრულებიდა, გარკვეუ- ლი მსგაცება შენიშვნება. ორივე შემთხვევაში მოსანათლი თვთონ ან ვინმეს დახმარებით სრულიად ეფლობოდა წყალში. ორივე შემ- თხვევაში ეთიკური მომენტია გათვალისწინებული, რაც გულისხმობ- და იმას, რომ მოსანათლი სრულიად წყვეტდა კავშირს თავის წარ- სულთან და თავს უძღვნიდა ახალ ცხოვრებას. მოუხედავად ამისა, აღნიშნულ რიტუალებს შორის ერთგარი განსხვავებაც არსებობს. იოანეს ნათლისცემა, თავისი არსით, ესქატოლოგიური იყო, ანუ ის ადმინისტრებს მომავლი სამუჯგონს დაგვომისათვის ამზადებდა. სწო- რედ ამის გამოა იოანეს ნათლისცემა განუმეორებელი. აღნიშნულ რიტუალებს შორის ყველაზე ცხადი განსხვავება კი ის გახლავთ, რომ პროზელიტთა ნათლისცემა მხოლოდ წარმართებზე აღსრულე- ბოდა, იოანეს ნათლიცემა კი იუდაველებზეც ვრცელდებოდა.

შესაძლებელია, იოანეს ნათლისცემის წყარო უნდა ვებიოთ არა ფუმრანისტებისა თუ პროზელიტების ნათლობაში, არამედ ტვე- ლალოტმისეულ განბანვის ცერემონიებში. მაგალითად, მღვდლებს ევალებოდათ განებანათ საკურთხეველში მსახურების წინ; რაც შეე- ხება ერის კაცებს, მათაც უნდა განებანათ სხვადასხვა მიზეზთა გა- მო (ლევ. XI-XV; რიცხვ. XIX). ერთ-ერთ კარგად ცნობილ წინას- წარმეტყველებაში ჩანს მოწოდება ზნეობრივი განწმენდისაკენ, რის- თვისაც წელით განბანვის სიმბოლო გამოიყენება (ეს. I, 16-20; იერ. IV, 14). სხვა წინასწარმეტყველებებში ნაუწყებია იმ განწმენ- დის შესახებ, რომელსაც ღმერთი ბოლო ჟამს აღასრუ- ლებს (ეზე. XXXVI, 25; ზაქ. XIII, 1). მნიშვნელოვანია, რომ ესა- ია სულის ნიშს სამომავლო განწმენდას უკავშირებს (ეს. X, 3). მოკლედ რომ ვთქვათ, როგორიც არ უნდა იყოს იოანეს ნათლისცე- მის ისტორიული ფონი, ის წყალში შთაველას ანიჭებს ახალ საზ- რისს და ხალხს სინანულისაკენ მოუწოდებს მომავალი სამუჯგონს დადგომისის წინ.

### იოანე და იესო

იოანეს ნათლობის შესახებ იესო ქრისტე საუბრობს მათეს სახარებაში. წმინდა წერილში ეს მონაკვეთი რთული გასაგე- ბია (მთ. XI, 2-18). საპყრობილები მყოფი იოანე მაცხოვართან აგ- ზაენის თავის მოწაფებს და ეკითხება, ქრისტეა თუ არა ის. ზოგი-

ერთი ფიქრობს, რომ მოხვდა რა ჰეროდე ანტიპას ზელში, იოანე შეეჭვდა თავისი მოწოდების საფუძვლიანობასა და მის მიერ მიწოდებულ ამბავში. თუმცა, აღნიშნული მონაკვეთის გასაგებად გასაღები იმავე XI თავშია საძიებელი, სადაც ნათქვამია: „ხოლო იოანემ შეიტყო...ქრისტეს საქმინი” (მთ. XI, 2). საქმე ის არის, რომ იოანე ქრისტესაგან ელოდა სულ სხვა საქმების აღსრულებას, თუმცა არ მომსდარა არც ცეცხლით და არც სულით ნათლისცემა. სამეუფო არ დამდგარიყო. სამყარო ისევ ისეთი რჩებოდა. იესო მხოლოდ სიყვარულის შესახებ ქადაგებდა და სნეულებს კურნავდა, იოანე კი ამას არ ელოდა. მას ეჭვი არასოდეს შეპარვია თავისი მოწოდებისა და მის მიერვე გავრცელებული ამბავის შესახებ; მას მხოლოდ ის აეჭვებდა, იყო კი ნამდვილად იესო ის, რომელიც ჰეშმარიტად და-ამყარებდა სამეუფოს მოელი თავისი აპოკლიტური ძლიერებით.

აღნიშნულის საბასუხოდ იესო აღნიშნავს, რომ მის მისიაში მესიის შესახებ ესაიას წინასწარმეტყველება აღსრულდა (ეს. XXXV, 5-6). მესიანური წინასწარმეტყველების აღსრულების დღები უკვე დამდგარიყო. ამის შემდეგ იესო აქებს იოანეს და აღნიშნავს, რომ იოანესავით დიდი ადამიანი არასოდეს შობილა, თუმცა იქვე დასძენს, რომ უმცირესი ცათა სასუფეველში მასზე დიდი იქნება. „დღისაგან შობილი არავინ აღმდგარა იოანე ნათლის-მცემელზე უმეტესი, ხოლო ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია, ვინაიდან იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული დღემდე, ცათა სასუფეველი ძალით (ბაზეტაი) იღება და მოძალადენი მიიტაცებენ მას. რადგან ყველა წინასწარმეტყველი, და თვით რჯული, იოანემდე წინასწარმეტყველებდნენ” (მთ. XI, 11-13). ძნელია დაზუსტებით ითქვას, რას ნიშნავს სიტყვები „იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული დღემდე.” ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვები მას, რომ ის, რაზეც იესო საუბრობს, იოანეს დღებიდან დაიწყო (მოცემული დღის ჩათვლით) თუ მითითება იმის შესახებ, რომ ყოველი-ვე ეს იოანეს დღების შემდეგ იწყება. ვ. ვინგმა დაწვრილებით განიხილა ეს მონაკვეთი და დასკვნა, რომ თუ წინსართი აპო გამოიყენება გამოთქმაში, რომელიც დროს ეხება, მაშინ მას ყოველთვის ინკლუზიური ხასიათი გააჩნია, ანუ მიუთითებს გარკვეულ დროის მონაკვეთზე, რომელშიც შედის ეს მოცემული მომენტიც. ვინკი ამ-ტკიცებს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, თვითონ გამოთქმა მიუთითებს იმაზე, რომ თვით იოანეც მოქცეული იყო სამეუფოს დაარსების ეპოქაში.<sup>25</sup> მიუხედავად ამისა, ჩვენ სხვა მოსაზრება გაგამნია. თუკი ავიღებთ გამოთქმას: „დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე” (მთ. I, 17), მაშინ აქ თვით მომენტი „დავითიდან” არ შედის

აღნიშნულ ეპოქაში, ანუ ეს გამოთქმა ექსკლუზიური ხასიათისაა. დავითის დრო ეს არის დრო აბრაამიდან დავითამდე. რაც შეეხება სხვა გამონათქვამს, რომელიც ასევე მათეს სახარებაში გვხვდება („იმ დღიდან ვეღარც კითხვას უბედავდა ვინ-მე“) (მთ. XXII, 46), აქც იგივე აზრია გატარებული და იგულისხმება, რომ სწორედ „იმ დღიდან“ ვერავინ ბედავდა რაიმე შეკითხვა დაესვა მაცხოვრისათვის, ანუ აღნიშნულ გამონათქვაში ათვლა იწყება იმ დღიდან, რომელიც შემდგომ დროით მონაკვეთში არ შედის, რადგან ამ დღეს იესოს ჯერ კიდევ უბედავზენ შეკითხვის დასმას. ამგარად, იესოს სურს თქვას, რომ იოანე, რომელიც უძიდესია წინასწარმეტყველთა შორის, უკანასკნელიცაა მათში. მისი მოსკლიოთ რჯულისა და წინასწარმეტყველების ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა. შესაძლებელია თქვას, რომ იოანეს შემდევ ღვთის სასუფეველი ამ ქვენად უკვე მოქმედებს და უმცირესი, რომელიც ამ ახალ ეპოქას ეპუთვნის და კურთხეულია, აღმატება იმას, რომლებსაც იცნობდა იოანე, რადგან ეს „უმცირესი“ მესასთან პირადი ურთიერთობის სიხარულს განიცდის და მით იმ კურთხევას განუკუთხებს თავს, რასაც ეს ურთიერთობა იძლევა. იოანე არის მახარებელი, რომელიც ძველი ეპოქის დასასრულსა და ახლის დაწყებას იუწყება. იოანეს სახე მეოთხე სახარებაში

რაც შეეხება მეოთხე სახარებას, მასში იოანეს შესახებ თხრობა ძლიერ განსხვავდება სინოპტიკურ სახარებებში მოცემული თხრობისაგან. მეოთხე სახარებაში იოანე იესოს ღვთის ტარიგს უწოდებს, რომელმაც სიფლის ცოდვები უნდა იტვირთოს (ინ. I, 29). აქ აპოკალიპტური მითოთება უკანა პლანზეა გადაწეული და ადგილი დათმობილი აქვს სოტეროლოგიას. ამგარად, ასკენიან, რომ იოანეს თხრობა არის არა ისტორია, არამედ საღვთისმეტყველო განმარტება.<sup>26</sup> უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნა გადაჭირდებულია და ის გარკვეულ მნიშვნელოვან ფაქტებს არ ეთანხმება. თხრობა ისტორიული თანამიმდევრობით მიმდინარეობს და ფიქლოგიურად დასაბუთებულია. თავის სახარებაში იოანე ითვალისწინებს იმ მოვლენებს, რომლებიც სინოპტიკოსებთან უკვე აღწერილია, რაც იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იესოს ნათლისდების შესახებ საუბარია, როგორც უკვე აღსრულებულზე (ინ. I, 32-33). მეოთხე სახარების მიზანი არ არის, შემოგვთავაზოს რაიმე განსაკუთრებული თხრობა. მისი მიზანია გადმოგცეს დამოუკიდებელი ტრადიცია.

მესიანური მსახურების არსის ფართო უწყება, რასაც ნათლისმცემელი ახორციელებს, უნდა გავიგოთ ისე, რომ იოანე თავად

განმარტავდა იმას, რაც იქსოს ნათლისცემისას განიცადა და რაც მის მიერ შესაბამისი სახით იქნა გაგებული შემდგომი საწინასწარმეტყველო შთაგონებისას. იმავდროულად არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მართალია, სინოპტიკოსებთან იოანე ნათლისმცემლის მსახურებას გარკვეული შეხება გააჩნია თანმედროვე ესქატოლოგიურ და აპოკლიასტურ საზრისთან, განსხვავება უფრო ხელშესახება. „წინასწარმეტყველური ინტეიციისა და ღვთაებრივი შთაგონების საიდუმლო“ არ შეიძლება აიხსნას ნატურალისტური მეთოდოლოგიის ჩარჩოებში. <sup>27</sup> ამიტომაც, ქრისტიანი ისტორიკოსი არ დაიწყებს მისი რეალობის უარყოფას, რადგან ის ბიბლიური ისტორიის ერთ-ერთ საფუძვლიან ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ის ღვთაებრივი შთაგონება ალაპარაკებს იოანეს, რომელიც იქსოსთან ურთიერთობით იქნა მოცემული და მას მესანური სწორი დადგომა აუწყებინა. როდესაც იქსო მასთან ნათლისღებისათვის მივიდა, იოანე მიხვდა, რომ მის წინ იდგა ისეთი ვინმე, რომელიც სრულებით არ ჰყავდა სხვას. იქსოს ცოდვა არ გააჩნდა და შესაბამისად ის არაფერს აღიარებდა. არ არსებობდა დანაშაულის განცდაც და ამიტომაც არაფერი იყო, რაც სინაულს მოითხოვდა. ჩვენ არ შეგვიძლია ვოქვათ, რომ იქსოსთან პირადი საუბრისას გაიგო იოანემ მისი უცოდველობა (სავარაუდოდ, იოანე იქსოს გარკვეულ შეკითხვებს აძლევდა) ან მისთვის ეს ცნობილი გახდა მხოლოდ წინასწარმეტყველური გასხივონსნების შემდეგ: შესაძლებელია ორივე იყო. ყოველ შემთხვევაში, იქსოსთან შედარებით იოანემ თავი ცოდვილად იგრძნოდა და მიუხედავად ამისა, იქსო მოითხოვდა, რომ იოანეს მისთვის ნეთელეცა, რათა ამით აღსრულებულიყო „ყოველი სიმართლე“ (მთ. III, 15). ნათლისცემისას ღმერთმა უთხრა იოანეს, რომ იქსო არა მხოლოდ უცოდველი კაცი იყო, არამედ — ის მომავალი, რომლის შესახებაც თავდა იუწყებოდა (ინ. I, 31-33). მოგვიანებით, ფიქრობდა რა ამ მოვლენის არსზე, იოანემ სულიწმინდის შთაგონებით თავისი უწყება უფრო გააძველოთ და თქვა, რომ სწორედ ეს მომავალი იყო ტარიგი ღვთისა, რომელიც სოფლის ცოდვებს იტკირთავდა.

## კომენტარები

1. მსგავსი მითოთება გვხვდება 3 ეზრ. XIV. 37-48-ში, სადაც ნათქვამია, რომ გამოცხადების შედეგად დაწერილი 204 წიგნიდან ხალხისათვის წასაკითხად მხოლოდ 70 იქნა დანიშნული
2. ოუდეველთა რელიგიური ნაციონალიზმისათვის იხ.: T. W. Manson, The Servant-Messiah (1953), W. Farmer, Maccabees, Zealots, and Josephus (1956)
3. ზაქ. XIII, 4-ში ნათქვამია: იმ დღეს იქნება, რომ გაწყილდებიან წინასწარმეტყველები თავიანთი ხილვების წინასწარმეტყველების დროს და აღარ შეძოოსავნ ბეწვიან შესამოსელს თვალის ასახვევად; აქვე მივუთითებთ 4 მფ. I, 18-საც სადაც ელია წინასწარმეტყველით დაკავშირებით ნათქვამია, რომ მას ბალანი ემოსა და ტყავის სარტყელი ერტყა. როგორც ცნობილია, მაცხოვარიც ითანე ნათლისმცემელს ელიას სულით მოსულს უწოდებს
4. J. Klausner, Jesus of Nazareth (1952), 243. წმინდა მამათა გვზეგეტყიასა და საეკლესიო გარდამოცემაში ნათლისმცემელთან დაკავშირებით ასეთი არაფერია ნათქვამი. სხვა საქმეა ითანეს მოღვაწეობის ის შეფასება რომელიც მაცხოვარმა მოგვცა და რომლის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ. ამასთან დაეძნო, რომ წმინდა ითანე ნათლისმცემლისა და წმ. ელია წინასწარმეტყველის ერთმანეთთან დაკავშირება ოდენ მათი მოღვაწეობის ნიშნით ხდება და პიროვნული იღენტობა აბსოლუტურად გამორიცხულია, რასაც ადასტურებს კოდეც ნაშრომის ავტორი
5. V. Taylor, Mark (1952), 157; W. F. Flemington, Baptism, 19; T. W. Manson, The Servant-Messiah, 42. G. R. Beasley-Murray, Baptism, 36; J. D. G. Dunn, Baptism in the Holy Spirit, 8.
6. C. K. Barrett, The Holy Spirit and the Gospel Tradition (1947), 126. J. D. G. Dunn, Baptism in the Holy Spirit, 8-9;
7. J. D. G. Dunn, Baptism in the Holy Spirit, 12-13;
8. A. Edersheim, The Life and Times of Jesus the Messiah (1896), 1:271; S. Schechter, Some Aspects of Rabbanic Theology (1909), ch. 12; H. L. Strack and P. Billerbeck, Kommentar zum NT, 1:117-19;
9. G. F. Moore, Judaism (1927), 1:500;
10. J. Behm, TDNT 4:997-998;
11. CD 6:5; 8:16;
12. იგულისხმება ღმერთი;
13. 1QS 5:13-14;
14. 1QS 3:4-9;
15. J. B. Bauer, «Conversion,» Sacramentum Verbi (1970), 1:138;

16. ნაშრომის ავტორი რკულის მკაცრს აღსრულებაში გულის-ხმობს რკულის მხოლოდ გარეგნული სახით გაგებას და მიუწვდომლობას იმ სულისა, როთაც ძველი აღთქმის კანონმდებლობა იქნა მოცემული;
17. იგულისმება ითანე ნათლისმცემელის ის მსმენელები, რომლებიც რომელიმე ეკონომიკურ სტრუქტურაში მუშაობდნენ;
18. J. A. T. Robinson, 'John the Baptist,' IDB 2:960;
19. 1QS 2:25-3:12;
20. H. H. Rowley, 'The Baptism of John and the Qumran Sect,' NT Essays (1959), 220f. A. Duponi-Summer, The Essene Writings from Qumran (1961), 76, headsthis section with the caption 'The Annual Census.'"
21. T. M. Taylor, 'The Beginning of Jewish Proselyte Baptism,' NTS 2 (1956), 193-97.
22. See H. H. Rowley, 'Jewish Proselyte Baptism,' HUCA 15 (1940), 313-34. T. F. Torrance, 'Proselyte Baptism,' NTS 1 (1954), 150-54.
23. თალმუდის უძველესი ნაწილი, რომელიც ზეპირი რკულის კრებულს წარმოადგენს;
24. H. Danby, The Mishnah (1933), 148;
25. W. Wink, John the Baptist, 29. J. Jeremias, NT Theology (1971), 47;
26. C. J. Wright, Jesus the Revelation of God (1950), 112-13;
27. C. H. Kraeling, John the Baptist, 50. 'What John knew of the Christ, he knew by way of revelation.' L. Morris, John (1971), 149;

**რუსულიდან თარგმნა და კომენტარები  
დაურთო გიორგი გვასალიამ**

## ანა მებარდი<sup>1</sup>

უკრნალიდან  
“Histoire moderne et contemporaine, #2  
Paris, 1992

### “მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” ისტორიიდან (იდეოლოგიური ასპექტი)

საბჭოთა რელიგიურ ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს “მებრძოლ უღმერთოთა კავშირს, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში ზუსტად გამოხატავდა სახელმწიფოს ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას, მართალია იგი თავიდნ, როგორც თავისუფალი საზოგადოება ისე შეიქმნა, მაგრამ სრულიად აშკრაა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ხელისუფლების უშუალო დაკვეთით მოქმედებდა, მისი შექმნის აუცილებლობა აგრესიულმა საეკლესიო პოლიტიკმ განაპირობა, რომელიც უშუალოდ ლენინის დირექტივებით ხორციელდებოდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც მებრძოლ უღმერთოთა კავშირს დაუვალა იყო მოსახლეობის საგანმანათლებლო პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა, სწორედ ეს იყო ანტისაეკლესიო პოლიტიკისათვის ერთად მისი მთავარი იდეოლოგიური ასპექტი, რაც უშუალოდ დაუკავშირდა “კულტურული რევოლუციის” საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომლის მიზანიც იყო მოსახლეობის ფართო ფენებში მასიური გაუნათლებლობის აღმოფხვრა. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ხალხის ცოდნას ათეზმი ესაჭიროებოდა, უბრალოდ ასეთი იყო იდეოლოგია, ყველაფერი მაქსიზმ-ლენინიზმს და მის შესაბამის აზროვნებას უნდა დაკავშირებოდა.

ამ პერიოდში საბჭოთა სინამდვილეში აქტიურად დაისვა ე.წ. “კულტურული რევოლუციის” განხორციელების საკითხი, რომელსაც თავის მხრივ უნდა უზრუნველეყო ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბება, რომელიც დამუხტული იქნებოდა საბჭოთა იდეოლოგით.

თეორიულად იგი ეყრდნობოდა იმ პრინციპს, რომლის თანახმად პროლეტარიატს ძირიქესვიანად უნდა დაენგრია ძველი და შექმნა ახალი კულტურა, რაც პრაქტიკულად ემსახურებოდა საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცენტრალიზაციას და კოლექტივისადმი პიროვნების სრულ დამორჩილებას.

აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებდა რა საბჭოთა კავშირში არსებულ რეალობას, სადაც მრავალი ერი და ეროვნება ცხოვრობდა, მიზანშეწონილად მიაჩნდა კულტურის ეროვნული ფორმით დაშვებას, ხოლო შინაარსის გასოციალისტურებას ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრების ცენტრალიზაცია და უნიფიკაცია უნდა უზრუნველეყო. სრულიად აშკარა იყო, რომ აღნიშნული მიღვომა ეროვნულ კულტურას საკუთარ შინაარს ართმევდა. სამაგიეროდ იგი აქტიურად ემსახურებოდა “სოციალისტური მშენებლობის” პრაქტიკას, ხელს უწყობდა რა ეროვნული კულტურების ლიკვიდაციას და საერთო “სოციალისტურ”, ფაქტობრივად რესული კულტურაში ათქვეფას.

ამ ორგანიზაციას დღიდან დაარსებისა დიდი იდეოლოგიური ფუნქცია დაუკისრა, მას ყოველმწერივი დაბმურება უნდა გაეწია პარტიისა და ხელისუფლების ახალი მშენებლობის პროცესში.

“მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა” სულ მაღლე ფართოდ გაშალა მოძრაობა, სწრაფად იზრდება მისი უჯრედების და წევრთა რაოდენობა, დაფიქსირებულია, რომ 1929 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ასეთი უჯრედი 10 000-მდე იყო, ხოლო მასში გაწევრიანებულთა რაოდენობა 600-700 ათას კაცს შეადგენდა. ორგანიზაციის წევრების სწრაფი ზრდა განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ მათი წარმომადგენლები საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ხელშეწყობთა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდების ეს ორგანიზაცია კომკავშირთან ერთად კარიერულ-პარტიული დაწინაურების ერთ-ერთი მთავარი გარანტი იყო.

აღნიშნული ორგანიზაციის სიძლიერეს ისიც განაპირობებდა, რომ მას ცენტრალური ბიუკეტიდან დიდი სახელმწიფო დაფინანსება პქონდა, ყველა სახელწიფო მუშაკი ვალდებული იყო “მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” აქტიური აგიტატორი ყოფილიყო მოსახლეობის ფართო ფენებში.

გარდა ამისა ამ ორგანიზაციას გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი პერიოდული ბეჭდებით ორგანო გააჩნდა, რომ თავისი ნამოქმედარ-ნამოღვაწარის აგიტაცია-პროპაგანდა უნდა დაეწყო, ისინი პირდაპირ ახორციელებდნენ თავიანთი იდეოლოგიური ბელადის ვლადიმერ ლენინის მოწოდებას “აღნუსხეთ ყოველი ფაქტი, გახსოვდეთ პრესა ჩვენი იარაღია, რომელიც სახოგადოების დარაზმვას უწყობს ხელს”<sup>2</sup>. ყურადსალებრივი აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ პროფესიონის, კულტურის და განათლების განყოფილებები ბევრგან თითქმის არაფერს აკეთებდნენ ანტირელიგიური პროპაგანდის ხაზით, ნაკლები ფურადღება ექცევოდა კლუბებისა და სამკითხველოების მუშაობას,

სწორედ ამიტომ აღნიშნულ ფრონტზე ბრძოლის წარმოება თავის თავზე მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა აიღო, იგი საკითხისადმი უკომპრომისო და შეუცალი დამოკიდებულების გამო წარმატებით შეღლებდა ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

აღნიშნული უშესალოდ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თავ-მჯდომარისა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგის ემციან იაროსლავსკის<sup>3</sup> უშესალო მითითებით ხორციელდებოდა.

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო უჯრედების მჟადრო შეკავშირება და მათი ორგანიზაციული განმტკიცება, ათეისტური მუშაობის სათანადო კადრების სააგიტაციო მუშაობისათვის მომზადება. უჯრედის რიცხვთა სწრაფი ზრდის გამო, ბუნებრივია ფართოვდება მათ მიერ ჩატარებული მუშაობის მასშტაბები, სოციარი მოქნილობით მუშავდა პროპაგანდისტული მანქანა. დიდი ტირაუით იბეჭდებოდა ათეისტური ლიტერატურა, მათ შორის უურნალი მებრძოლი ათეისტი, რომელსაც უდიდესი სააგიტაციო-საინიცირმაციო ფუნქციები ჰქონდა და კისრებული. ასევე დიდი რაოდენობით უშვებდნენ პლატებს, დგამდნენ ანტირელიგიურ სპექტაკლებს, იღებდნენ ათეისტური სულისკეთებით გამსჭვალულ კინოფილმებს. კლესია-მონასტრების ნგრევა-განადგურებასა და სიწმინდების შეურაცხოვას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ხშირი იყო ეკლესიის მსახურთა დევნა-შევიწროვების და მათი საჯარო გასამართლებლის შემთხვევებს.

როგორც აღნიშნეთ, მებრძოლ ურმერთოთა კავშირი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიის „კულტურული რევოლუციის“ ერთ-ერთი შემადგენლი ნაწილი იყო, რომლის მიზანიც იყო ჩამოყალიბებულიყო ერთიანი შეგნების საბჭოთა ადამიანი Homo Sovieticus, რომელიც განმსჭვალული იქნებოდა ათეისტურ-ინტერნაციონალისტური აზროვნებით, მისთვის უცხო და მიუღებელი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი სარწმუნოებრივ-ეროვნული იდეალები, სწორედ აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის მოსახლეობაში გააქტიურდა ბრძოლა ისტორიული წარსულის წინააღმდეგ, იგი გამოცხადდა ფეოდალურ გადმონაშთად, რომელშიც დირექტული ბევრი არაფერი იყო და საჭირო იყო მისი გადაფასება-დავიწყება, მოსახლეობას უნდა ეწამა თანამედროვე ცხოვრების და ებრძოლა ნათელი მომავლისთვის.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა“, როგორც საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის („კულტურული რევოლუციის“) შემადგენლომა ნაწილმა, აქტიურად გაიღაშერა ეროვნული თვითშეგნების წინააღმდეგაც. ეროვნულობაზე ხაზგასმა ცხადებოდა „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად, რაც ძალზე საშიშ მოვლენას წარმოადგენდა საზოგა-

დღებისთვის, რომელსაც საერთო ინტერნაციონალისტური იდეით და-  
მუხტული სახელმწიფო უნდა აეშენებინა”.

საზოგადოებაში სააგიტაციო მუშაობის დროს განსაკუთრებუ-  
ლი საზი ესმებოდა, იმ ფაქტს, რომ ეროვნებას მხოლოდ გამოხატვი-  
თი თვალსაზრისი შეიძლებოდა ჰქონოდა და იყი მასობრივი გარცე-  
ლების საგნად არ უნდა ქცეულიყო.

ბუნებრივად, აღნიშნული სახის იდეოლოგის გატარება მოსახ-  
ლებაში მძაფრ პროტესტს იწვევდა, ამიტომ საზოგადოების რისხეის  
თავიდან აცილების მიზნით “გულტურულმა რევოლუციამ” მუშაობის  
ტაქტიკა-სტრატეგია გარკვეული ფორმით შეარბილა.

მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მოღვაწეობაზე საუბრისას სა-  
ჭიროდ მიგვაჩინა აღვინშნოთ, რომ მან თავის დასახულ მიზნებს მეტ-  
ნაკლები წარმატებით მიაღწია, თუმცა სამართლანობა მოითხოვს  
აღინიშნოს, რომ სამღვდელოება მის ათეისტურ პროპაგანდას აქტიუ-  
რად უპირისპირდებოდა.

30-იანი წლების ბოლოსა და განსაკუთრებით დიდი სამმულო  
ომის დაწყების შემდეგ სარწმუნოებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანმა  
ცვლილებებმა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის უფლებები მნიშვნე-  
ლოვნად შეკვეცა, ცხადი გახდა, რომ მან თავდაპირეველი თავისი შე-  
საძლებლობა და დანიშნულება ამოწურა, თუმცა, როგორც ორგანიზა-  
ციული ერთეული არ გაუუქმებიათ და მას მოსახლეობაში სახელი-  
სუფლებო იდეოლოგიის აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქციები მიენიჭა.

## კომენტარები

1. ანა მებარდი (1947-) ფრანგი ისტორიკოს-სოცელოგი, ნანტის უნივერსიტეტის პროფესორი, წლების მანძილზე ხელძვანელობდა სოცელოლოგის მიმართულებას, XX საუკუნის 20-ანი წლების საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და კულტურული ისტორიის სპეციალისტი, ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის: “საბჭოთა კავშირის მენტალიტეტის ფორმირება, პარიზი, 1988“, “ლენინი (მთავარი დამნაშავე), პარიზი, 1996“ (Sovietologies français, Paris., 2004, pp. 98)
2. ვლადიმერ ლენინის თხზულებებში სარწმუნოებრივი პოლიტიკის ასახვის შესახებ ვრცლად იხილეთ: მიხეილ ქართველიშვილი, საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა ვლადიმერ ლენინის, ლევ ტროცკის და ოსებ სტალინის ნააზრევში (შედარებითი ანალიზი), ჟურნ. “ქრისტიანობის კვლევები“ №3, თბ., 2009, გვ. 94-102
3. ემელიან იაროსლავსკი (1878-1943) კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, აქტიური რევოლუციონერი, ცნობილი პუბლიცისტი, ანტი საეკლესიო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგი და პრაქტიკული განმხორციელებელი, “მებრძოლ უდმერთოთა კავშირის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე 1929-1943 წლებში. (ქართული საბჭოთა ერციკლოპედია, ტომი V, თბ., 1980, გვ. 61)

**ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო  
მიხეილ ქართველიშვილმა**

# დეკანოზი ვასილი ზაევი<sup>1</sup>

წიგნიდან

“Лекции по истории Поместных Православных Церквей,”  
Киев 2003

## ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია XII-XIX სს. \*

ლათინთა მიერ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის (1204წ.) შე-დეგად თანამედროვე ალბანეთის რეგიონში, განსაკუთრებით კი მის ჩრდილოეთ რაიონში (შეოდერი, კრუია) გაძლიერდა კათოლიკური ეკლესიის გავლენა. 1273 წ-ს მიწისმვრის დროს მართლმადიდებელი მიტროპოლიტის დაღუპვის შემდეგ, დირახიის<sup>2</sup> კათედრაზე დადგენილ იქნა კათოლიკე ეპისკოპოსი.

ალბანეთის მიწაზე პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების – არბერიის სამთავროს (პრინციპატი) წარმოქმნა უკავშირდება XII ს-ის მიწურულს. ალბანეთის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა დროს შედიოდა ეპირის სადესპოტოს, ბიზანტიის, ბულგარეთისა და სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში.

1335 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე III ილაშქრა კონსტანტინეპოლიშმ მიაღწია დირახიამდე და აღადგინა ბიზანტიური ხელისუფლება ალბანეთის ტერიტორიაზე, თუმცა იმპერიამ 40-იან წლებში კვლავ დაკარგა კონტროლი ამ ტერიტორიებზე. XIV ს-ის შუა სანებში ალბანეთი სერბეთის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა. სტეფანე დუშანის<sup>3</sup> სიკვდილის შემდეგ (1355წ.) კი მისი ვრცელი სამეფო დაშალა, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ მცირე სამთავროები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ტოპია. 1392 წ-ს ტოპიას მთავრებმა დირახია გადასცეს ვენეციელებს, რომლებიც მას 1501 წლამდე აკონტოლებდნენ.

XV ს-ის დასაწყისში ალბანეთის რაიონის დიდი ნაწილი თურქეთის სულთანებმა დაიპყრეს. ნაწილი კი მათდამი გასაღურ დაქვემდებარებაში მოექცა თითქმის მთელი XV ს-ის მანძილზე ალ-

\* ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია (I-XI სს.), იხ. ჟურნ. “ქრისტიანობის კვლევები”, თბ., 2009, №3, გვ. 230-235

ბანეთი წინააღმდეგობას უწევდა თურქულ ანგექსიას. ეს მოძრაობა უკავშირდება ალბანეთის ეროვნული გმირის გიორგი კასტრიოტის<sup>4</sup> (სკანდერბეგად წოდებული) სახელს. 1443 წ-ს მან განდევნა თურქები თავისი საგვარეულო სამფლობელოდან – კრუადან და დაამყარა კონტროლი თანამედროვე ალბანეთის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. შექმნა სამთავროთა კავშირი (ლიგა); წარმატებით მოიგრია ორი თურქი სულთნის სადამსჯელო ლაშქრობები; მოპოვა ნეაპოლიტინის სამეფოსა და პაპის მხარდაჭერა. სკანდერბერგის სიკვდილის შემდეგ (1468წ.), მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა. მხოლოდ 1479 წ-ს შეკვეთისა და დურეშის აღების შემდეგ, თურქებმა შეძლეს თავიანთი ძალაუფლების დამყარება სრულიად ალბანეთზე.

დირახის ეპარქიის ოხრიდის საარქეპისკოპოს<sup>5</sup> იურისდიქციაში ყოფნის პერიოდში, წყაროებში იხსენიება მიტროპოლიტი, რომელიც ატარებს დირახისა და გორა-მოკრას ეკლესიის წარმომადგენლის ტიტულს. („მიტროპოლიტი დირახისა და ეპისკოპოსი გორა-მოკრისა“).

ბელიგრადის სამიტროპოლიტოს დაარსების შესახებ ზუსტი ცნობები არ შემონახულა (ბელიგრადი – თანამედროვე ბერატი)<sup>6</sup> სახელწოდება „ბელიგრადი“ გვხვდება XIV ს-ის დასაწყისში. 14 წ-ს ქალაქი დაიპყრეს ინამალებმა. წყაროებში მოხსენიებულია ბელიგრადის სამიტროპოლიტოს 20 მღვდელმთავრის სახელი, რომელთაგან ყველაზე ცნობილი არან: უგნატე (1691-1693წ.). და ოთასაფი (1752-1760 და 1765-1801). იოასაფის დროს ბელინგრადის სამიტროპოლიტო დაბრუნდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

კორჩას ოლქი, ჯერ კიდევ ქ. კორჩას დაარსებამდე (1490წ.) ეკუთვნოდა კასტორიის სამიტროპოლიტოს (კასტორია – თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორია), რომელიც აგრეთვე შედიოდა ოხრიდის საარქეპისკოპოსიში. კორჩას სამიტროპოლიტო დაუუძნდა XVII ს-ის დასაწყისში. ის აერთიანებდა კოლონიის, დევოლისა და სელასფორის საეპისკოპოსოებს. კორჩას პირველი ცნობილი ეპისკოპოსი იყო ნეოფიტე (1624წ. და 1628წ.). 1670 წ-ს ოხრიდის არქიეპისკოპოსმა პართემა, წარმოშობით კორჩიელმა, მშობლიური ქალაქი აიყვანა სამიტროპოლიტოს რანგში, რომლის პირველი მღვდელმთავარიც ფლობდა ტიტულს „კორჩას, სელასფორისა და მასხოპოლის მიტროპოლიტისა“.

სამხრეთ ალბანეთის საეპისკოპოსოები ტრადიციულად, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდნენ. 18

ცონბილი დელგინელი ეპისკოპოსიდან ყველაზე ადრე მოღვაწეობდა მანასე (1270წ.) არსებობს მრავალი წყარო აგრეთვე დრინოპოლის საეპისკოპოსოს X-XVIII სს-ის ისტორიის შესახებ. მისი 41 ცნობილი ეპისკოპოსიდან თვალსაჩინონი არიან: სოფიანე (1672-1700) – ისლამიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი; მიტროფანე (1752-1760) – მუსიკოსმცოდნე და დისიოგისი (1760-1799წწ.), რომელმაც ისლამური ხელისუფლების მმართველობის დროს შეძლო სამოცდაათამდე ტაძრის აგება.

ისლამური ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ალბანეთის მართლადიდებელი ეკლესიასთვის, ყველაზე სერიოზულ განსაცდელს წარმოადგენდა ალბანელთა მასობრივი ისლამიზაცია. მოსახლეობის ისლამიზაცია ხელს უწყობდა ალბანელთა მშობლიურ ქაზე არსებული ქრისტიანული ლიტერატურის გაქრობას. ამავე პერიოდში ალბანეთის ზღვისპირა რეგიონში – ხიმარში მოქმედებდნენ აგრეთვე სხვადასხვა რომაულ-კათოლიკური პროპაგანდისტული მისიები. [აღნიშვნულის საპასუხო] მართლმადიდებლობის განმტკიცების მიზნით, XVII ს-ში ალბანეთის მრავალ რაიონში აიგო ახალი მონასტრები, რომლებიც მაღლევე იქცნენ უცხო რჯულის საწინააღმდეგო, ფართო სასულიერო მოღვაწეობის, და აღმზრდელობით ცეტრებად. (მაგ. რავენის, პეტელის, დრინის, ჩეპის, პოლიჩანის, კამენის, ლესინის, ხიმარის, პაიაშის, დრიმადის, კაბარის, ხორმოვის, კოდრის, არდენიცის, აპოლონიის და სხვა მონასტრები).

მართლმადიდებელ მოსახლეობას აქტიურად ედგა შხარში სამღვდელოება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსხოპოლეული მღვდელ-მონაზონის ნექტარიუსის (ტერპონის) ღვაწლი. იგი 1719 წლიდან 1730 წლამდე მოღვაწეობდა ბერატის ოლქსა და სპაფიაში. შემდეგ მან დეკნის გამო, თავი შეაფარა იტალიას, სადაც გამოსცა წიგნი „რწმენა“, რომელიც გამუსულმანებულ ალბანელთა პკლავ მართლმადიდებობაზე მოქცევის. მცდელობას წარმოადგენდა.

ალბანეთის მრავალ რეგიონში ქრისტიანულ ეკლესიათა აგებითა და სკოლათა მოწყობით, გაძლიერდა ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა. მნიშვნელოვანი სასულიერო ცენტრების რიცხვში შედიოდა მოსხოპოლიც, რომელიც მნიშვნელოვანი მთან ადგილას იყო აგბული. ქალაქისთვის უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ აქ არ იყო განთავსებული ისლამური სამხედრო აღმინისტრაცია. XVIII ს-ში იგი დაახლ. 60.000 მცხოვრებს ითვლიდა, მოსახლეობის შემადგენლობა რელიგიური და სოციალური თვალსაზრისით ერთგვაროვანი იყო: მას ძირითადად მართლმადიდებელი ვაჭრები და

ხელოსნები შეადგენდნენ. ეკონომიკურმა კეთილდღეობამ და საქალაქო თვითმმართველობითმა სისტემამ განსაზღვრულ მის მკვიდრთა ცხოვრების მაღალკულტურული დონე. ფართო აღიარება და დიდება მოიხვეჭა მოსხობოლის „ახალმა აკადემიამ“ (1744), მისმა ბიბლიოთეკამ, სტამბამ. ქალაქში არსებობდა 20 ეკლესია. 1670 წლამდე მოსხობოლი ექვემდებარებოდა ოხრიდის საარქეპისკოპოსის, შემდგომ კი – კორჩას სამიტროპოლიტოს. მისი დაცემა დაიწყო იმ ძარცვა-რბევის შედეგად, რაც მან XVIII ს-ის 60-80-ან წწ-ში ფეოდალური ანარქიის პირობებში განიცადა, ამჟამად იგი ქცეულია სოფლად.

ისლამიზაციისაგან თავის დაღწევისა და საკუთარი მრწამის შენარჩუნების მიზნით, ქრისტიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა, ისლამთა ბატონობის პერიოდში, ამჯობინეს „კრიპტოქრისტიანებად“ ყოფნა: მათ სახელი და გარებრული ქცევა ჰქონდათ მუსულმანური, ოჯახში კი ინარჩუნებოდნენ მართლმადიდებლურ ტრადიციებს. კრიპტოქრისტიანობის კლასიკურ ნიმუშს აღბანეთში წარმოადგენდა ტოსკიდონი (სპაფია), სამხრეთ ელბასანის მთიანი რაიონი. ეს მოვლენა XVII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის დასასრულამდე გაგრძელდა. ამ რეგიონში იყვნენ ახალმოწამენიც.

1767 წლიდან ოხრიდის საარქეპისკოპოსთან ერთად, აღბანური ეპარქიები გადავიდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. ამ პერიოდიდან იწყება სამიტროპოლიტოებისა და საეპისკოპოსოების რეორგანიზაცია, იგება ახალი ტაძრები, სისტემა-ტურ სახეს იქნის მართლმადიდებელთა სულიერი გმოვლებებას. აღნიშნულ ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო პიროვნებად მიიჩნევენ წმ. კოზმა ეტოლიელს., რომელიც 1775 წლიდან მოღვაწეობდა აღბანეთში. 1779 წ-ს კი თავისი მისიონერული მოღვაწეობა დასრულა ბერატში მოწამეობრივი აღსასრულით. კონსტანტინეპოლის საყდრი-სადმი აღბანელთა ქვეშვერდომობის წლებში, მათ სკოლებსა და ტაძრებში ღვთისმსახურება აღსრულებოდა ბერძნულ ენაზე.

XIX ს-ში აღბანეთში აღმოცენდა და სწრაგად გავრცელდა ფანარიოტთა<sup>7</sup> წინააღმდევ მოძრაობა. შეიქმნა აღბანური ანბანი, გაჩნდა ეროვნული ლიტერატურა. ქვეყნის სულიერ აღორძინებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს იმ მართლმადიდებელმა აღბანელებმა, რომლებიც ადრე იმიგრირებულნი იყვნენ ბულგარეთში, რუმინეთსა და აშშ-ში. მათ დაარსეს ეროვნული „მეგობრები“, რომელიც ფართოდ ავრცელებდნენ ეროვნულ ლიტერატურას.

XVIII-XIX სს-ში ადგილი ჰქონდა წმინდა წერილის აღბანურ ენაზე თარგმნის მცდელობას. პირველ მთარგმნელთა შორის იხსენიებიან: მღვდელმონაზონი გრიგოლ კონსტანტინიდისი (შემ-

დგომში დირახის მიტროპოლიტი), რომელმაც თარგმნა ძველი და ახალი აღთქმა, შესრულებული აღბანური შრიფტით, თუმცა ეს თარგმანი არ შემორჩენილა. XIX ს-ში გრიგოლ აგიოგასტრელმა (ევბეის ეპისკოპოსი) გამოაქვეყნა ახალი აღთქმის აღბანური თარგმანი, ბერძნული შრიფტით. მოგვაინებით დღის სინათლე იხილეს პქრისტოფორიადის თარგმანებმა ჰეგურ (1869) და ტოსკურ (1879) დალექტებზე, ბერძნული ლიტერით.

XIX ს-ის დასასრული — XX ს-ის დამდევი აღბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში აღინიშნა განხევტებით, სამღვდელოების ზედა და ქვედა ფენებს შორის. ეპისკოპატი, რომელიც ძირითადად ბერძნებისგან შედგებოდა, კვლავ განაგრძობდა აღბანელთა ელინიზაციას. სამღვდელოების ქვედა ფენების წარმომადგენლები კი, რომელებიც აღბანური წარმომვლობის იყვნენ, ითხოვდნენ ღვთისმსახურებაში მმობლიური ენის დამკვიდრებასა და ზოგადად ადგილობრივი საეკლესიო ტრადიციების აღდგენას.

1878-1881 წწ.-ში აღბანეთში იჯეოჭა ფართო საერთო-სახალხო მოძრაობამ, ქვეყნის ავტონომისა და ტერიტორიული ერთანობის მოპოვებისათვის, რომელიც ცნობილია „აღბანეთის ლიგის“ (იგივე „პრიზრენის ლიგა“)<sup>8</sup> სახელწოდებით. მიაღწია რა ლიგამ ჩრდ. აღბანეთისა და კოსოვოს ფაქტობრივ ავტონომის, იგი თურქეთის მერიისა განადგურებული. მოძრაობის განახლების მცდელობა 1899-1900 წწ.-ში (“ლიგა პე”)<sup>9</sup> კვლავ უშედგოდ დასრულდა. მხოლოდ 1909-1912 წწ.-ის სახალხო აჯანყების და თურქეთის დამარცხების შემდგომ, 1912 წლის 28 ნოემბერს, ქალაქ ვლერაში, აღბანეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ჩამოყალიბდა აგრეთვე მისი მთავრობა, რომელსაც სათავეში ისმაილ ქემალი<sup>9</sup> ჩაუდგადიდმა სახელმწიფოებმა აღბანეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ 2 წლის შემდევ.

## **კომენტარები**

1. დეკანოზი ვასილი ზაევი (1947-2008)-უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობილი მოღვაწე. წმინდა მოციქულთასწორ მთავარ კლადიმირისა და დირს ნესტორ უამთააღმწერლის სახელობის ორდენთა კავალერი. 1999 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიის ახალი აღთქმის კათედრის დოცტორი, 2008 წლიდან კი ამავე კათედრის პროფესიონალი საეკლესიო და საერო ხასიათის შრომებისა. მისი “ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ისტორია” წარმოადგენს სალექციო კურსის კრებულს და სახელმძღვანელოს კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტთათვის. (იხ. საიტი <http://orthodox.org.ua/uk/novini/2008/12/30/4336.html>)
2. “დირახია” ქალაქის სახელწოდების რუსული ვარიანტია. მისი თანამედროვე ალბანური სახელწოდება “დურეშია” (Durres). ალბანური ტრადიციის მიხედვით, დურეშში ჯერ კიდევ I საუკუნეში, მოციქულ პავლეს მიერ იქნა დაარსებული ქრისტიანული საეპისკოპოსი. პირველი ქრისტიანი მოწამეებიც ალბანეთის ტერიტორიაზე სწორედ დურეშში აღსრულნენ. შეა საუკუნეებში დურეში წარმოადგენდა მძლავრ საეპისკოპოსო კათედრას. ა;მანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ქალაქ ცნობილია აგრეთვე “მეორე ურუსალიმის” სახელწოდებით. (იხ. Robert Elsie. The Christian Saints of Albania <http://www.scribd.com/doc/87003/Christian-Saints-of-Albania>)
3. სტეფანე დუშანი (1331-1355)-სერბეთის დიდი მეფე და იმპერატორი. XIV საუკუნის შეა წლებში დაიპყრო ბალკანეთის 6/კ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი (მაკვდონია, ალბანეთი, ეპირი) და შექმა სერბთა დიდი იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო მდინარე დუნაი-დან-ეგეოსის ზღვასა და ადრიატიკამდე. სტეფანე დუშანის სახელს უკავშირდება ასევე სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატ-რიარქო რანგში აყვანა (1346 წ.) Radomir Popovic, Serbian Church in History <http://www.kosovo.net/socheng2.html>
4. გიორგი კასტრიოტი (1405-1468) ალბანეთის ეროვნულ-განმათვისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ხელმძღვანელობდა ოსმალთა წინააღმდეგ პატრიზანულ ბრძოლებს. დღესათვის გეორგ კასტრიოტის სახელს ატარებს ალბანეთის ეროვნული ორდენი. (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985, გვ. 416-417; <http://en.wikipedia.org/wiki/Skanderbeg>; Modern History of Albania, vol. II, Cambridge University, 1987, pp. 23-45
5. ოხრიდის საარქიეპისკოპოსო-შუა საუკუნეების ცენტრალური ბალკანური საარქიეპისკოპოსო. 1018 წელს ბიზანტიის მიერ ბულ-

გარეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, იმპერატორმა ბასილი II ახლად შემოერთებულ ბულგარულ მიწებზე ეკლესიის განმგებლობისათვის, შექმნა ოხრიდის საარქიეპისკოპოსო, რომლის იურისდიქციაშიც შედიოდა 32 საეკლესიო ეპარქია თანამედროვე ბულგარეთის, მაკვდინის, სამხრეთ სერბეთისა და აღმანეთის ტერიტორიებიდან (Василий Заев “Лекции по истории Поместных Православных Церквей”).

”Киев, 2003; [http://en.wikipedia.org/wiki/Orthodox\\_Ohrid\\_Archbishopric](http://en.wikipedia.org/wiki/Orthodox_Ohrid_Archbishopric), <http://www.poa-info.org/eng>)

5. ბერატი-ალბანეთის ისტორიული ქალაქი. 1922 წელს ბერატში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელმაც ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია დააკანონა. (იხ. ეთერ ბოკელავაძე, ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეებთან, “გელათის მეცნიერებათა აკადემიის შურნალი”, №8-12, თბ., 2008, გვ. 53-59)

6. ფანარიოტები- (Πηαριτες-სიტყვასიტყვით ფანარის (სტამბოლის კვარტალი, სადაც არის კონსტანტინეპოლის პატრიარქის რეზიდენცია) მცხოვრები) საბერძნეთის სასულიერო პირთა არის სტოკრატიის წარმომადგენლები ოსმალთა იმპერიაში XVIII-XIX საუკუნეებში, სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი პრივილეგიებით, მათ შორის შექძლოთ მაღალი თანამდებობები დაკავება თსმალეთი ადმინისტრაციაში (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1985, გვ. 216-217)

7. პრიზრენის ლიგა- (Lidhja e Prizrenit) -ალბანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი ძალების კოალიციური სახელწოდება XIX საუკუნის მიწურულს, მან გააერთიანა ალბანეთის პოლიტიკური ძალები თსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, წარმოადგნდა, როგორც პოლიტიკურ-დიპლომატიურ, ასევე სამხედრო გაერთიანებასაც (იხ. [http://en.wikipedia.org/wiki/League\\_of\\_Prizren](http://en.wikipedia.org/wiki/League_of_Prizren); The Albanians in Yugoslavia in light of historical documents edited in New York in 1984, <http://www.alb-net.com/juka2.htm>)

8. ისმაილ ქემალი (1844-1919) ალბანეთის ეროვნული გმირი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ალბანეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, მის სახელს ატარებს ალბანეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო (იხ. [http://en.wikipedia.org/wiki/Ismail\\_Qemali](http://en.wikipedia.org/wiki/Ismail_Qemali))

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო  
ეთერ ბოკელავაძე

**ავტორთა საყურადღებოდ :** გთხოვთ წარმოადგინოთ სტატიები A4 ფორმატზე Microsoft Word-ში აკრეფილი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად. სტატიები დაიბეჭდება სარედაქციო კოლეგის თანხმობის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

**ქეთევან პავლიაშვილი**

ელ-ფოსტა: ketevan.pavliashvili@yahoo.com,  
ტელ. 23-06-96 ; 899 27-32-13

**მიხეილ ქართველიშვილი**

ელ-ფოსტა: mishakartveli@yahoo.com,  
ტელ. 32-43-88; 893 94-84-50

**ეთერ ბოკელავაძე**

ელ-ფოსტა: eter.bokelavadze@yahoo.com,  
ტელ. 34-42-49; 898 21-53-50

**Submission for Authors:** Please prepare the Article in Microsoft Word A4 format, with electronical version, the articles will be published in case to consent of Reviewer Board.

For more Information contact us :

**Ketevan Pavliashvili**

E-mail: ketevan.pavliashvili@yahoo.com,  
Tel.. 23-06-96; 899 27-32-13

**Mikheil Kartvelishvili**

E-mail: mishakartveli@yahoo.com, Tel.32-43-88;  
893 94-84-50

**Eter.bokelavadze**

E-mail: eter.bokelavadze@yahoo.com, Tel. 34-42-49;  
898 21-53-50



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)